

# საოჯახო საპართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2022, № 10

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2022, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2022, №10

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2022, № 10

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ქეთევან შენგელია**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეხელი

- 1. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები**  
მეუღლეთა თანასაკუთრება ..... 4  
თანასაკუთრებაში არსებული ქონების  
განკარგვა ურთიერთშეთანხმებით ..... 29
- 2. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ**  
არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი  
მშობლების განქორწინებისას ..... 45
- 3. მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობანი**  
ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ ..... 75
- 4. შვილება** ..... 88  
შვილად აყვანის დადასტურება  
აღმზრდელის გარდაცვალებისას ..... 88
- 5. მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა** ..... 100  
მხარდაჭერა ..... 100
- 6. არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად  
დაკავებული ბავშვის დაბრუნებისა და ბავშვთან ურთიერთობის  
უფლებები**  
არამართლზომიერად გადაადგილებული  
ბავშვის დაბრუნება ..... 115; 152

# 1. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

## მეუღლეთა თანასაკუთრება

### განჩინება

### საქართველოს სახელმწიფო

№ას-1242-2018

16 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**სასარჩელო მოთხოვნა:**

1. ა. თ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. (შემდგომში – მესაკუთრე მოპასუხე) და ნ. გ-ების (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ.

**სარჩელის საფუძვლები:**

2. მოსარჩელის განმარტებით, 2002 წლის 5 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრე მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა უძრავი ქონება, რომელიც რეალურად შეიძინა მოსარჩელემ, საკუთარი სახსრებით ააშენა და გაარემონტა ნაგებობა.

3. მესაკუთრე მოპასუხე მოსარჩელის იმჟამინდელი მეუღლის – მოპასუხის მამაა, რის გამოც საკუთრების უფლება დარეგისტრირდა მის სახელზე. ფაქტობრივად მესაკუთრე მოპასუხეს ქონება არ უყიდა, ფინანსური სახსრები მისი აშენებისა და კეთილმოწყობისათვის არ დაუხარჯავს.

4. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ქორწინება შეწყდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. მესაკუთრე მოპასუხემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლებით გადასცა მის შვილს – მოპასუხეს. არც მოპასუხე მხარე უარყოფს იმ გარემოებას, რომ ქონება რეალურად მოსარჩელემ შეიძინა. ამჟამად, უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ირიცხება მოპასუხის სახელზე

მაშინ, როდესაც მოსარჩელე წარმოადგენს ამ ქონების თანამესაკუთრეს.

**მოპასუხის პოზიცია:**

5. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

6. მესაკუთრე მოპასუხის მითითებით, 2002 წლის 5 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებების შესაბამისად, მესაკუთრეებმა გადასცეს, ხოლო მესაკუთრე მოპასუხემ საკუთრებაში მიიღო ორი უძრავი ნივთი. მისი საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოება, რაც შეიძლება განხილულიყო მისი მესაკუთრედ მიჩნევის საფუძვლად. ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადასტურებას მოსარჩელე მოწმეთა ჩვენებებით შეეცადა, საქმისათვის არარელევანტურია.

7. მესაკუთრე მოპასუხის მოსაზრებით, სარემონტო სამუშაოების დროს მისი სიძის – მოსარჩელის რაიმე ფორმით მონაწილეობის დადასტურებაც ვერ გახდება საჯარო რეესტრის ჩანაწერთა ნამდვილობის პრეზუმფციის გაბათილების საფუძველი. 2011 წლის 23 სექტემბერს, მეუღლეთა შორის ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტიდან ორ წელზე მეტი ხნის შემდეგ მესაკუთრე მოპასუხემ სადავო ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა საკუთარ შვილს, შესაბამისად, თანასაკუთრების უფლება მოსარჩელე მეუღლის მამის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ვერ წარმოეშობოდა, ხოლო ჩუქებით მიღებული ქონება წარმოადგენს ქონების მიმღები პირის ინდივიდუალურ საკუთრებას და მასზე თანასაკუთრების რეჟიმი ვერ გავრცელდება.

8. მოპასუხის განმარტებით, სადავო უძრავი ქონება მიიღო მამისაგან საჩუქრად მას შემდეგ, რაც ორ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოსარჩელესთან ფაქტობრივად შეწყვეტილი ჰქონდა ქორწინება და თანაცხოვრება. სადავო უძრავი ნივთები წარმოადგენს მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებას და მოსარჩელეს არ გააჩნია არავითარი სამართლებრივი საფუძველი, მოითხოვოს თანამესაკუთრედ ცნობა.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა მოპასუხის სახელზე რიცხული სადავო ორი უძრავი ნივთის თანამესაკუთრედ, რაც მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს ეთქვა უარი შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 1-იდან მოსარჩელე და მოპასუხე იმყოფებოდნენ ქორწინებაში.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მათ შორის 1-ს რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. 2-ს მხარეები განქორწინდნენ.

13. საქმეში წარმოდგენილი 2002 წლის 5 თებერვლის სანოტარო წესით დადასტურებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე სადავო უძრავი ქონება საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში აღირიცხა მესაკუთრე მოპასუხის სახელზე.

14. აღნიშნული სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების მიხედვით, ქონების გამსხვისებელ პირებს წარმოადგენდნენ მ. გ-ა (გარდაიცვალა 2-ს) და ა. დ-ე (შემდგომ – მესაკუთრე მონმე).

15. 2011 წლის 23 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე მესაკუთრე მოპასუხემ ორივე უძრავი ნივთი საკუთრებაში გადასცა შვილს – მოპასუხეს, რაც ამჟამად საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოსარჩელის ყოფილი მეუღლის – მოპასუხის სახელზე.

16. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 1158-ე მუხლის სამართლებრივი საფუძველით იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ორივე უძრავი ნივთი 2002 წელს რეალურად მან შეიძინა და ისინი მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს.

17. პირველი ინსტანციის სასამართლოში მონმის სახით დაკითხულმა მესაკუთრე მონმემ განმარტა, რომ მან უძრავი ქონების ნასყიდობის საფასური მიიღო მოსარჩელისაგან. მან კონკრეტულად ვერ გაიხსენა ვინ ესწრებოდა ნოტარიუსთან ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, თუმცა დაადასტურა ის გარემოება, რომ უძრავი ქონების მყიდველს წარმოადგენდა მოსარჩელე. ამ უკანასკნელმა გადაუხადა ნასყიდობის თანხა. მესაკუთრე მონმემ ზუსტად ვერ გაიხსენა, იცნობს თუ არა მესაკუთრე მოპასუხეს და სად ჰყავდა იგი ნანახი, ასევე, ვერ დაასახელა ნოტარიუსთან მყოფი პირების ვინაობა, რომლებიც ესწრებოდნენ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას.

18. მონმის სახით დაკითხული ს. ჩ-ის (შემდგომ – პირველი მონ-

მე) ჩვენების თანახმად, მოსარჩელემ იყიდა ორი უძრავი ნივთი – 12 000 აშშ დოლარად და 3000 აშშ დოლარად. მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო სამსართულიანი შენობა ე.წ. შავ კარკასულ მდგომარეობაში, რომლის გარემონტება, გადაკეთება, ეზოში ღობეების მოწყობა და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები ჩაატარა უშუალოდ პირველი მონმის მონაწილეობით, რომელიც ხელმძღვანელობდა სამუშაო ბრიგადას. მუშებისათვის გადასახდელ თანხას იღებდა მოსარჩელისაგან და თავად ანაწილებდა თანხას მუშებზე. სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად სხვა პირს პირველი მონმისათვის თანხა არ გადაუცია.

19. მონმის სახით დაკითხული ვ. ი-ის (შემდგომ – მეორე მონმე) განმარტებით, ოცდასამი წელია ცხოვრობს სადავო უძრავი ქონების განლაგების ადგილას და მოსარჩელეს იცნობს მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა სადავო საცხოვრებელი სახლი შეიძინა და გაარემონტა. მეორე მონმე იღებდა მონაწილეობას სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას. პირველი მონმისაგან შეიტყო, რომ ამ სახლის მეპატრონე იყო მოსარჩელე, რომელიც მშენებლობისა და რემონტის ხარჯს ფარავდა. მეორე მონმის შვილიშვილის ნათლია არის მოსარჩელე. ნათლობაში მოსარჩელე და მოპასუხე იმყოფებოდნენ, თუმცა ერთად არ მისულან.

20. გასაჩივრებული გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების შეძენის ფაქტი დადგენილად მიიჩნია ზემოაღნიშნული მონმეების ჩვენებების საფუძველზე.

21. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადანყვეტილების სამართლებრივ დასკვნას და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო უძრავი ქონების მიმართ მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელების წინაპირობა არ არსებობს, ვინაიდან მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების შეძენის ფაქტობრივი გარემოება საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

22. სააპელაციო პალატის მითითებით, საოჯახო-სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმს, რომლითაც დადგენილია მათი უფლებები ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე.

23. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს მეუღლეთა უფლება-მოვალეობათა წარმოშობას. სსკ-ის 1158-ე მუხლის მიზანს წარმოადგენს ოჯახის ინტერესების დაცვა. ამდენად, სამართლებრივი ნორმა მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის შემოღებით ემსახურება სწორედ მეუღლეთა ურთიერ-

თვალდებულებების სამართლიანი და ობიექტური ბალანსის უზრუნველყოფის მიზანს. უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია მეუღლეთა მიერ ამ ქონების შეძენა ქორწინების განმავლობაში. ივარაუდება, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძღოლის საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამიტომ დავის არსებობის შემთხვევაში, ქორწინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი საკმარისი საფუძველია ამ ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისათვის.

24. მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის დაწესებით სამართლებრივი ნორმა წარმოადგენს საკუთრების კონსტიტუციური უფლების წარმოშობის წინაპირობას და კანონის ძალით აღჭურავს მეუღლეს ამ უფლებით.

25. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ მესარჩელესა და მოპასუხეს შორის ქორწინების პერიოდში სადავო ორი უძრავი ქონება სანოტარო წესით დადასტურებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, 2002 წელს შეიძინა მოპასუხის მამამ მესაკუთრე მოპასუხემ და საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა თავის სახელზე.

26. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხემ ზემოაღნიშნული ქონება 2011 წლის 23 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა შვილს – მოპასუხეს. ორივე უძრავი ქონება ამჟამად საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოპასუხე მოპასუხის სახელზე.

27. მოსარჩელის განმარტებით, იგი წარმოადგენს ზემოხსენებული ორივე უძრავი ნივთის რეალურ მესაკუთრეს, ვინაიდან მან გადაიხადა უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულება და, რადგან იმ დროისათვის წარმოადგენდა საჯარო მოხელეს – ს-ში, წ-ს თავმჯდომარეს, ვერ მოახერხა საკუთარ სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაცია. მისივე განმარტებით, მოსარჩელეს მისი მეუღლის მამასთან ჰქონდა შეთანხმება სადავო ქონების ფორმალურ საკუთრებასთან დაკავშირებით.

28. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2002 წლის 5 თებერვლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების, 2011 წლის 23 სექტემბრის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის შესაბამისი ჩანაწერების ბათილად ცნობა მოსარჩელეს არ მოუთხოვია. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ 2002 წელს შეძენილი ორი უძრავი ნივთი, რომელიც ფორმალურად გაფორმდა მესაკუთრე მოპასუხის სახელზე, წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, ვინაიდან შეძენი-



ლია მოსარჩელის მიერ მისივე კუთვნილი სახსრებით, მოპასუხეს-  
თან ქორწინების განმავლობაში.

29. ამდენად, სადავოა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრუ-  
ლების იურიდიული ძალა რეგისტრირებულ მესაკუთრესთან მიმარ-  
თებით და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სა-  
ფუძვლები.

30. სააპელაციო პალატის მითითებით, გასაჩივრებული გადაწ-  
ყვეტილებით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, რომ  
2002 წელს სადავო უძრავი ქონების რეალურ შემძენს მოსარჩელე  
წარმოადგენდა, ემყარება მხოლოდ მონშეთა ჩვენებებს, რასაც სა-  
აპელაციო სასამართლო კატეგორიულად არ დაეთანხმა და უძრავ  
ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივ ასპექ-  
ტებთან დაკავშირებით მიუთითა სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი  
ნაწილზე, რომლის ანალიზით, ნასყიდობის ხელშეკრულება კონ-  
სესუალურია და იგი დადებულად ითვლება მის ყველა არსებით პი-  
რობაზე საამისოდ დადგენილი ფორმით შეთანხმების მომენტიდან.

31. სსკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის, თანახმად, უძრავ  
ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია წე-  
რილობითი ფორმა. იმავე შინაარსისაა ამავე კოდექსის 323-ე მუხ-  
ლი. როგორც ყველა გარიგებისთვის უძრავი ნივთის ნასყიდობის-  
თვისაც გადაამწყვეტა ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგი-  
სიანობა. კანონით დადგენილი წესის თანახმად, თუ ნება გამოვლე-  
ნილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად სამართლებრივი შე-  
დეგი არ მიიღწევა.

32. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 323-ე და 183-ე  
მუხლები, რომლებიც უძრავი ქონების შესაძენად წერილობით ფორ-  
მას ადგენენ, თავისი ბუნებით იმპერატიული ხასიათის ნორმებია,  
რომლის მიზანი, როგორც ზოგადად ყველა იმპერატიული ნორმი-  
სა, კერძო უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაშია. კანონის გან-  
მარტება კანონის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას და ტექსტის  
მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს, შესაბამისად, სასამართლო  
უფლებამოსილია, განმარტოს კანონი მაშინ, როდესაც ამისი საჭი-  
როება არსებობს და საკანონმდებლო დანაწესებით პრობლემის ერ-  
თმნიშვნელოვანი გადაწყვეტა ვერ ხდება. კანონის ინტერპრეტა-  
ციის არსი, კანონის ტექსტის საფუძველზე კანონის აზრისა და მიზ-  
ნის დადგენაა, რაც სამართლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნე-  
ლოვანი საფუძველია. კანონის ინტერპრეტაციის აუცილებლობას  
კანონში არსებული ხარვეზი განაპირობებს. ასეთი ვითარება მაშინ-  
ნაა, როდესაც კანონი პირდაპირ არ იძლევა პასუხს ამა თუ იმ სა-  
კითხზე და სასამართლო ხარვეზიანი ნორმის კანონის ტექსტისა  
და სამართლის ძირითად პრინციპების შეჯერებით ადგენს იმ სა-

მართლებრივ წესრიგს, რომლის დადგენაც კანონმდებელს სურდა – კანონმდებლის მიზანი.

33. ამდენად, იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქცევის მიზანსა და მიზანშეწონილობაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა დატოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში კანონმდებელი ქცევის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი.

34. მოცემულ შემთხვევაში სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებები დადასტურებულია სანოტარო წესით და ისინი აკმაყოფილებს უძრავი ქონების ნასყიდობისათვის დადგენილ ყველა სამართლებრივ წინაპირობას. ხსენებული ხელშეკრულებების საფუძველზე საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებულია სადავო ქონებების მესაკუთრედ მესაკუთრე მოპასუხის რეგისტრაცია. არც უძრავი ქონების განკარგვის ხელშეკრულებები და არც საჯარო რეესტრის ჩანაწერები დადგენილი წესით სადავოდ არ არის გამხდარი და კანონიერ ძალაშია.

35. ნასყიდობის ხელშეკრულებებით მხარეებმა, გაითვალისწინეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა, კერძოდ, ნასყიდობის საგანი იდენტიფიცირებადია, ფასი განსაზღვრულია, გარიგება წერილობითი ფორმითაა ჩამოყალიბებული, მხარეთა ნება გამოვლენილია ნოტარიუსთან, რაც ქმნის ნების ნამდვილობის პრეზუმფციას.

36. სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. აღნიშნული ნორმა დეკლარაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა ზოგადად დამრღვევისათვის ვალდებულების დაკისრების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს. ამავდროულად, ნდობა და კეთილსინდისიერება კანონთან შესაბამისობაში უნდა იყოს განხილული და სსკ-ის მე-3 მუხლის მეორე ნაწილით, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

37. ხელშეკრულების დადების ნდობის ფაქტორი კანონშესაბა-

მისი უნდა იყოს და იგი დაცვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ჰქონდა კანონიერი საფუძველი ხელშეკრულების დადების რწმენა შექმნოდა. მოცემულ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ სადავო უძრავი ქონების ფასი ნამდვილად მოსარჩელემ გადაიხადა, აღნიშნული ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, ვინაიდან, კანონით იმპერატიულად განსაზღვრული ფორმის დაუცველობა (ზეპირი შეთანხმება მესაკუთრე მოპასუხესთან მოსარჩელის მესაკუთრეობის შესახებ) ხელშეკრულების არსებობას და, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის კანონიერებას გამორიცხავს.

38. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაუშვებელია უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის იმპერატიული ნორმებით (სსკ-ის 323-ე და 183-ე მუხლები) დადგენილი სავალდებულო პირობის – გარიგების წერილობითი ფორმით დადების უგულვებელყოფა და საკუთრების უფლების წარმოშობის ფაქტის დადგენა მხოლოდ მონმეთა ჩვენებების საფუძველზე. სსკ-ის 323-ე და 183-ე მუხლების ასეთი განმარტება წინააღმდეგობაშია ნორმის მიზანთან და დაუშვებელია.

39. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ობიექტური და მიუკერძოებელი მონმეთების არსებობის პირობებშიც, დაუშვებელია მონმეთა ჩვენებამ გადაწონოს უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულების და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ლეგიტიმურობა. მოცემულ შემთხვევაში, მონმეთა ჩვენებები არარელევანტურ მტკიცებულებას წარმოადგენს, რადგან გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს საამისოდ ვარგისი მტკიცებულებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვაგვარად, სსსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად.

40. ასევე, დაუსაბუთებელია მოსარჩელის განმარტება, რომ მას მესაკუთრე მოპასუხესთან ჰქონდა შეთანხმება სადავო ქონების ფორმალურ საკუთრებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მხარეთა შორის ასეთი შეთანხმების არსებობა საქმის მასალებით არ დასტურდება.

41. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება სადავო უძრავი ქონების მოსარჩელის მიერ შეძენის ფაქტი, რაც გამორიცხავს სსკ-ის 1158-ე მუხლის გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობას და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

42. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი მიუთითებს სარჩელის ხანდაზმულობაზე, თუმცა ვინაიდან პალატამ უკ-

ვე იმსჯელა სარჩელის დაკმაყოფილების გამომრიცხავ მოტივაცი-  
აზე, აღარ არსებობს ხანდაზმულობაზე დამატებით მსჯელობის  
საჭიროება (გადანყვეტილების დასაბუთების საკმარისობის პრინ-  
ციპიდან გამომდინარე), ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ხანდაზ-  
მულობაზე მსჯელობა წარმოადგენს ე.წ. დამხმარე დასაბუთებას.

#### **კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

43. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე მოსარჩე-  
ლემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახა-  
ლი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძ-  
ვლებით:

44. კასატორმა მიუთითა გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში  
ასახულ მონმეთა ჩვენებებზე და მიიჩნია, რომ მათ საფუძველზე  
დადგინდა შემდეგი: უძრავი ქონების გამყიდველმა დაადასტურა  
მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების შეძენისა და შესაბამისი ღირე-  
ბულების გადახდის ფაქტი, ამავდროულად, ვერ დადგინდა, რომ  
მესაკუთრე მოპასუხე საერთოდ მონაწილეობდა ამ პროცესებში.  
სამუშაო ბრიგადის ხელმძღვანელმა, რომელიც მუშაობდა სადავო  
უძრავი ქონების სარემონტო სამუშაოებზე დაადასტურა, რომ სა-  
რემონტო სამუშაოებს სრულად აფინანსებდა მხოლოდ მოსარჩე-  
ლე. ის არამარტო აფინანსებდა სამუშაოებს, არამედ ფიზიკურა-  
დაც იმყოფებოდა სამუშაოების ადგილზე და მესაკუთრე მოპასუ-  
ხეს იცნობდნენ, როგორც მოსარჩელის სიმამრს, რომელიც ხანდა-  
ხან ადიოდა სტუმრად სიძესთან და მის სახელზე რეგისტრირებულ  
სახლში არც ერთხელ არ დარჩენილა. სოფლის მკვიდრმა დაადას-  
ტურა, რომ მისთვის ცნობილი იყო სადავო სახლის მეპატრონე –  
მოსარჩელე. მას საერთოდ არ უხსენებია და არავითარი შეხება არ  
ჰქონია მესაკუთრე მოპასუხესთან.

45. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სა-  
სამართლომ დაასკვნა, რომ სადავო უძრავი ქონების მიმართ მე-  
ულღეთა თანასაკუთრების რეჟიმი ვერ გავრცელდება, ვინაიდან  
მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების შეძენის ფაქტობრივი გარემო-  
ება საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით ვერ დასტურდება  
და გასაჩივრებული გადანყვეტილების სამართლებრივი შეფასება  
ეფუძნება პოზიციას, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების  
წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების შესაბამისი ფორმის  
დაცვა, რაც არ არის რელევანტური მსჯელობა სასარჩელო მოთ-  
ხოვნასთან მიმართებით. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა  
სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა. აღნიშნული  
სარჩელის აღძვრის წინაპირობა სწორედ ის გარემოება გახდა, რომ,  
მართალია, მოსარჩელემ საკუთარი სახსრებით შეიძინა და გაარე-  
მონტა უძრავი ქონება, მაგრამ დადგენილი წესით არ აღრიცხულა

მის მესაკუთრედ. შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია ის გარემოება, რომ ნასყიდობისა და სარემონტო სამუშაოების ღირებულება გაილო ა. თ-ემ, რომელიც წარმოადგენდა რეალურ მესაკუთრეს და ქონება მხოლოდ ფორმალურად იყო გაფორმებული მის სიმამრზე. მოცემულ სარჩელში თანამესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთს პროცესუალური თვალსაზრისით წარმოადგენს მოსარჩელის სადავო უძრავ ქონებაზე უფლების დადგენა და არა მესაკუთრე მოპასუხის ან სხვისი უფლების არარსებობა. შესაბამისად, გაურკვეველია თუ რატომ გახდა შეფასების საგანი ზემოაღნიშნული გარემოებები.

46. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ის ფაქტი, რომ 2002 წელს სადავო ქონების რეალურ შემძენს წარმოადგენდა მოსარჩელე, ემყარება მხოლოდ მონმეთა ჩვენებებს, რასაც პალატა კატეგორიულად არ დაეთანხმება და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით მიუთითა სსკ-ის 477-ე, 183-ე და 323-ე მუხლებზე. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აქცენტი კვლავ გაკეთდა გარიგების ფორმაზე და კანონის იმპერატიულ მოთხოვნაზე იმასთან დაკავშირებით, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება, სასამართლომ ასევე მიუთითა, ასეთი ტიპის გარიგებისათვის სათანადო ფორმის სავალდებულობის დამდგენ ნორმებზე, თუმცა საბოლოო ჯამში დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება დადასტურებულია სანოტარო წესით და აკმაყოფილებს ფორმის ნამდვილობისათვის დადგენილ ყველა წინაპირობას და საჯარო რეესტრის ჩანაწერები არ გამხდარა სადავო არავის მიერ. აღნიშნულ პოზიციას სასამართლო საკუთარ მსჯელობაშიც ამყარებს იმით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეების მიერ გათვალისწინებულია ყველა არსებითი პირობა, რაც ქმნის ნების ნამდვილობის პრეზუმფციას.

47. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული მსჯელობა აცდენილია დავის რეალურ არსს და ვერ გამოხატა იმ სამართალური თვითობის რეალური ბუნება. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა, რისთვისაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მესაკუთრე მოპასუხის ნების ნამდვილობის შეფასებას, რაც აღიარებითი სარჩელით გარიგების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის შეფასების საგანია.

48. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს შეფასების საგანს უნდა წარმოადგენდეს მოსარჩელის თანამესაკუთრედ ცნობის წინა-

პირობებისა და შესაბამისი მტკიცებულებების არსებობა და არა მესაკუთრე მოპასუხის ნების გამოვლენის ნამდვილობის ფაქტი. ამასთან, კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებაში ყველა არსებითი პირობის გათვალისწინება ნების ნამდვილობის პრეზუმფციას წარმოადგენს, რაც სასამართლოს მსჯელობის შესაბამისად, კვლავ უკავშირდება იმის მტკიცებას, იყო თუ არა ნამდვილი ვისიმე ნება ამ ურთიერთობაში. ეს განსაკუთრებით წინააღმდეგობრივია იმ პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, არსებობს იმის მტკიცებულებები, რომ უძრავი ქონება მოიძია მოსარჩელემ, ახორციელებდა მის შეძენასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, გადაიხადა უძრავი ქონების ღირებულება, უძრავი ქონების გამყიდველი ადასტურებს მოსარჩელესთან ურთიერთობის და მისგან თანხის მიღების ფაქტს და საერთოდ არ იცნობს მესაკუთრე მოპასუხეს, უძრავი ქონების სარემონტო სამუშაოები სრულად ჩაატარა და დააფინანსა მოსარჩელემ. სამუშაოების უშუალო მწარმოებელთაგან არავინ იცნობდა მესაკუთრე მოპასუხეს, როგორც უძრავი ქონების მეპატრონეს, პირიქით, ისინი და სოფლის მკვიდრნი უძრავი ქონების მესაკუთრედ მიიჩნევენ.

49. მეორე მხრივ, ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების საპირ-წონედ არსებობს მხოლოდ მესაკუთრე მოპასუხის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება.

50. კასატორის მოსაზრებით, მოწმეთა ჩვენებების გარდა, სხვა რა სახის მტკიცებულებები შეიძლება არსებულებოთ ამ საქმეზე და რატომ არის დაუშვებელი ამ გარემოებების მოწმეთა ჩვენებით დადასტურება. მოქმედი სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა იშვიათ საგამონაკლისო შემთხვევებში ადგენს საკითხებს, რომლებიც არ შეიძლება დადასტურდეს გარკვეული მტკიცებულებებით (მაგ. სესხის ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით) და ასეთი საგამონაკლისო შემთხვევის არარსებობის პირობებში დასაშვებია ნებისმიერი გარემოების მტკიცება ნებისმიერი იმ მტკიცებულებით, რაც მხარეს მოეპოვება. მართალია, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კატეგორიულად არ დაეთანხმა მოწმეთა ჩვენებებს, თუმცა რატომ არ არის ეს ჩვენებები გასათვალისწინებელი, როგორც მტკიცებულება, გაურკვეველი დარჩა. ერთადერთი გარემოება, რაზედაც უთითებს სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით, არის მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოიშობა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რაც არ გამორიცხავდა სასამართლოს მიერ მოწმეების ჩვენების გათვალისწინებას. მოსარჩელე სადავო ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობას ითხოვდა სასამართლოსაგან და არ

თვლიდა, რომ უფლება წარმოეშვა მოწმეების ჩვენებით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილზე და კვლავ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში რელევანტური არ არის მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ვერ გააქარწყლებენ საჯარო რეესტრის ჩანაწერს.

51. კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას და აღნიშნა, რომ დავის საგანს წარმოადგენს სწორედ უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა, შედეგად საჯარო რეესტრში არსებულ ჩანაწერებში უძრავი ქონების თანამესაკუთრედ აღრიცხვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მსჯელობის მიხედვით კი, მოსარჩელეს უნდა ჰქონოდა წერილობით გაფორმებული ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე და უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში ამ ქონების მესაკუთრედ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელეს არ ექნებოდა სარჩელის აღძვრის საფუძველი და დავის წინაპირობები. ამასთან, გაურკვეველია, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გარდა, რით უნდა დადასტურდეს სადავო ქონებაზე რეალურად საკუთრების უფლების არსებობა.

52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე პალატის 2018 წლის 14 ნოემბრის განჩინებით კი საკასაციო საჩივარი საქმის ზეპირი განხილვით ცნობილ იქნა დასაშვებად და მხარეებს მიეცათ ვადა დავის მორიგებით დასრულების მიზნით მორიგების აქტის წარმოსადგენად.

53. საკასაციო პალატის 2018 წლის 18 დეკემბრის განჩინებით, მხარეთა მორიგების ხელშეწყობის მიზნით, განსახილველ საქმეზე 2018 წლის 28 დეკემბერს დაინიშნა საქმის ზეპირი განხილვა მხარეთა დასწრებით, თუმცა საქმის არსებითი განხილვისას მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას დავის მორიგებით დასრულების შესახებ. საკასაციო პალატამ საქმის არსებითად განხილვის შემდეგ იხელმძღვანელა სსსკ-ის 257-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო 2019 წლის 16 იანვრისათვის.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

54. საკასაციო პალატა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გა-

საჩივრებული გადაწყვეტილება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

55. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის განმხილველ სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობას კანონი არ დაურღვევია, კასატორს კი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

56. საკასაციო პალატა მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ და საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

57. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 1-იდან მოსარჩელე და მოპასუხე იმყოფებოდნენ ქორწინებაში.

58. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მათ შორის 1-ს რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. 2-ს მხარეები განქორწინდნენ.

59. საქმეში წარმოდგენილი 2002 წლის 5 თებერვლის სანოტარო წესით დადასტურებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე სადავო უძრავი ქონება საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში აღირიცხა მესაკუთრე მოპასუხის სახელზე.

60. აღნიშნული სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების მიხედვით, ქონების გამსხვისებელ პირებს წარმოადგენდნენ მ. გ-ა (გარდაიცვალა 2-ს) და ა. დ-ე (შემდგომ – მესაკუთრე მონმე).

61. 2011 წლის 23 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე მესაკუთრე მოპასუხემ ორივე უძრავი ნივთი საკუთრებაში გადასცა შვილს – მოპასუხეს, რაც ამჟამად საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოსარჩელის ყოფილი მეუღლის – მოპასუხის სახელზე.

62. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 1158-ე მუხლის სამართლებრივი საფუძველით იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ორივე უძრავი ნივთი 2002 წელს რეალურად მან შეიძინა და ისინი მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს.



63. საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ, როგორც მატერიალური კანონმდებლობის არასწორი განმარტებისა და გამოყენების, ასევე საპროცესო ნორმების დარღვევის საფუძველით, რაც გამოხატება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებაში (იხ. წინამდებარე განჩინების პ.44-51).

64. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონემაზეც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებით სეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გეთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ №ას-1529-1443-2012, 09.12.2013წ.; სუსგ საქმე №ას-973-1208-04). მოსარჩელე შესაძლებელია, ცდებოდეს კიდევ სადავო ურთიერთობის სამართლებრივ შეფასებაში, რაც არამცთუ არ ზღუდავს სასამართლოს, არამედ, პირიქით, სწორედ სასამართლოა ვალდებული, სამართლებრივად სწორად შეაფასოს სადავო ურთიერთობა და მოძებნოს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

65. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძველების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერ-

ძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

66. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განანილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

67. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი განაწილება მოდავე მხარეებს შორის.

68. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლენი, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკი-

ცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

69. მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

70. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელი-საგან (მოთხოვნისაგან).

71. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატიური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლის პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარე-

მოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

72. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებებს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი – მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი, მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

73. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2003, გვ. 64).

74. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ამკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნა-

თელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმტებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *niderost-huber v. Switzerland*, § 24; *k.s. v. finland* § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

75. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოსარჩელე კასატორი სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობას ითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 1158-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ორივე სადავო უძრავი ნივთი 2002 წელს რეალურად მან შეიძინა და სწორედ ამიტომაც, ისინი მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს.

76. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას უკავშირებს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1158-ე მუხლის სამართლებრივი დანაწესის გამოყენების ანუ უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია მეუღლეთა მიერ ამ ქონების შეძენა ქორწინების განმავლობაში. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დაწესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლივითა და ერთობლივი შრომით. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას (მეუღლეების საერთო ქონებას) მიეკუთვნება, როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, ასევე სამწარმოო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება არ

აქვთ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შექცნილია მე-უღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომელი მეუღლის სახელზეა იგი შექცნილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა.

77. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ქორწინების პერიოდში სადავო ორი უძრავი ქონება სანოტარო წესით დადასტურებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, 2002 წელს შეიძინა მოპასუხის მამამ – მესაკუთრე მოპასუხემ და საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა თავის სახელზე. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხემ ზემოაღნიშნული ქონება 2011 წლის 23 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა შვილს – მოპასუხეს. ორივე უძრავი ქონება ამჟამად საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოპასუხის სახელზე.

78. მოსარჩელის განმარტებით, იგი წარმოადგენს ზემოხსენებული ორივე უძრავი ნივთის რეალურ მესაკუთრეს, ვინაიდან მან გადაიხადა უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულება. მისივე განმარტებით, მოსარჩელეს მისი მეუღლის მამასთან ჰქონდა ზეპირი შეთანხმება სადავო ქონების ფორმალურ საკუთრებასთან დაკავშირებით.

79. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2002 წლის 5 თებერვლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების, 2011 წლის 23 სექტემბრის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის შესაბამისი ჩანაწერების ბათილად ცნობა მოსარჩელეს არ მოუთხოვია. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ 2002 წელს შექცნილი ორი უძრავი ნივთი, რომელიც ფორმალურად გაფორმდა მესაკუთრე მოპასუხის სახელზე, წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, ვინაიდან შექცნილია მოსარჩელის მიერ მისივე კუთვნილი სახსრებით, მოპასუხესთან ქორწინების განმავლობაში. ამდენად, სადავო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების იურიდიული ძალა რეგისტრირებულ მესაკუთრესთან მიმართებით და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველები.

80. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 2002 წელს სადავო უძრავი ქონებების რეალურ შემძენს თითქოსდა მოსარჩელე წარმოადგენდა, ემყარება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს, და დამატებით აღნიშნავს, რომ სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი თანახმად, ხელშეკრულების დასადებად საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პირობებზე,

არამედ საჭიროა ასევე, რომ ეს შეთანხმება მოხდეს საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. სსკ-ის 69-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. გარიგების ფორმასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი წესები ხელშეკრულების ფორმაზეც ვრცელდება.

81. ამდენად, ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებითაც მოქმედებს სახელშეკრულებო ფორმის თავისუფლების პრინციპი. თუმცა ეს პრინციპი შეუზღუდავი არ არის. ცალკეულ შემთხვევებში კანონი ადგენს ფორმას, რომლის დაცვაც კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია. მხარეებსაც შეუძლიათ გაითვალისწინონ ხელშეკრულების რაიმე ფორმა, როგორც მისი ძალაში შესვლის აუცილებელი წინაპირობა. კანონმდებელი გარკვეულ წესებს ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით ისეთ შემთხვევებში განსაზღვრავს, როდესაც თავად სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად არის ამის საჭიროება და ფორმის დანესებას შესაბამისი მიზანი გააჩნია.

82. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ხელშეკრულების ტიპებს, რომელთა ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ ისინი დაიდოს წერილობითი ფორმით. თავის მხრივ, წერილობითი ფორმა იყოფა რთულ (სანოტარო) წერილობით და მარტივ წერილობით ფორმებად.

83. სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის აუცილებელი ყველა არსებითი პირობის წერილობითი ფორმით ასახვა და ხელმოწერით დადასტურება მხარეებს ნარმოუშობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს, კერძოდ, მყიდველს თანხის გადახდის, ხოლო გამყიდველს კი თანხის მიღებისა და ქონების გადაცემის ვალდებულებას.

84. წერილობითი გარიგების საფუძველზე გამოვლენილი ნების შესაბამისად, გამსხვისებელი ვალდებულია, მიიღოს ნასყიდობის ფასი და დაარეგისტრიროს უძრავი ქონების შემძენი უძრავი ქონე-

ბის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში, რაც გამოიხატება მის ვალდებულებაში, გადასცეს შემძენს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საბუთები და გადაიხადოს რეგისტრაციისათვის აუცილებელი ხარჯები. წერილობითი გარიგების შედეგად გამყიდველის უარი ნასყიდობის ფასის მიღებასა და უძრავი ქონების საჯარო რეესტრში შემძენის სახელზე დარეგისტრირებაზე, სხვა არაფერია, თუ არა უძრავ ქონებაზე დადებული გარიგების დარღვევა და არა ვალდებულების შეუსრულებლობა გარიგების ფორმალაუცველობის საფუძვლით.

85. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უძრავი ნივთის ნასყიდობაზე შეთანხმების ნამდვილობისთვის კანონმა იმპერატიულად დაადგინა კონკრეტული ფორმა, კერძოდ, სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმა. როგორც ყველა გარიგებისთვის, უძრავი ნივთის ნასყიდობისთვისაც გადამწყვეტია ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობა. კანონით დადგენილი წესის თანახმად, თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად, სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა. (სსკ-ის 59-ე მუხლი).

86. სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზის საფუძველზე, ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია და იგი დადებულად ითვლება მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ დადგენილი ფორმით მხარეთა შეთანხმების მომენტიდან. შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლა ნივთის გადაცემაზე დამოკიდებული არ არის. ამასთან, ხელშეკრულების მიზანი და ინტერესი, რასაკვირველია, საკუთრების უფლების გადაცემაშია და იგი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ უფლების გადაცემას ემსახურება. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც ერთიანი ხელშეკრულება, ერთობლივად უნდა იქნეს განხილული.

87. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ ნორმის განმარტება ზოგად ნორმებთან ერთობლიობაში უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, სსკ-ის 323-ე და 183-ე მუხლის დანაწესები ურთიერთშეჯერებით უნდა იქნეს განხილული. ამასთან, სსკ-ის 323-ე მუხლი თავისი ბუნებით იმპერატიული ნორმაა, რომლის მიზანი, როგორც ზოგადად ყველა იმპერატიული ნორმების მიზანი კერძო უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაშია. კანონის განმარტება კანონის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას და ტექსტის მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, განმარტოს კანონი მაშინ, როდესაც ამისი საჭიროება არსებობს და საკანონმდებლო დანაწესებით პრობლემის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა ვერ ხდება. კანონის ინტერპრეტა-



ციის არსი, კანონის ტექსტის საფუძველზე კანონის აზრისა და მიზნის დადგენაა, რაც სამართლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. კანონის ინტერპრეტაციის აუცილებლობას კანონში არსებული ხარვეზი განაპირობებს. ასეთი ვითარება მაშინაა, როდესაც კანონი პირდაპირ არ იძლევა პასუხს ამა თუ იმ საკითხზე და სასამართლო ხარვეზიანი ნორმის ტექსტისა და სამართლის ძირითადი პრინციპების შეჯერებით ადგენს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დადგენაც კანონმდებელს სურდა – კანონმდებლის მიზანი. ამასთან, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქცევის მიზანსა და მიზანშეწონილობაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა დატოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში კანონმდებელი ქცევის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულოობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძველად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი. უძრავ ნივთზე დადებული ვალდებულებითი გარიგების ფორმასავალდებულოობა ნათლად წარმოაჩენს კანონმდებლის მიზანს – უძრავი ნივთების სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

88. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებები დადასტურებულია სანოტარო წესით და ისინი აკამაყოფილებს უძრავი ქონების ნასყიდობისათვის დადგენილ ყველა სამართლებრივ წინაპირობას. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებულია სადავო ქონებების მესაკუთრედ მესაკუთრე მოპასუხის რეგისტრაცია. არც უძრავი ქონების განკარგვის ხელშეკრულებები და არც საჯარო რეესტრის ჩანაწერები დადგენილი წესით სადავოდ არ არის გამხდარი და კანონიერ ძალაშია. ნასყიდობის ხელშეკრულებებით მხარეებმა, გაითვალისწინეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა, კერძოდ, ნასყიდობის საგანი იდენტიფიცირებადია, ფასი განსაზღვრულია, გარიგება წერილობითი ფორმითაა ჩამოყალიბებული, მხარეთა ნება გამოვლენილია ნოტარიუსთან, რაც ქმნის ნების ნამდვილობის პრეზუმფციას.

89. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების და-

დების ნდობის ფაქტორი კანონშესაბამისი უნდა იყოს და იგი დაცვა-ვადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ჰქონდა კანონიერი საფუძველი ხელშეკრულების დადების რწმენა შექმნოდა. მოცემულ შემთხვევაში (იხ. წინამდებარე განჩინების მე-17-მე-18 პუნქტები), ის გარემოება, რომ სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ფასი მოსარჩელემ გადაიხადა, მაინც ვერ წარმოშობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ წინაპირობებს, ვინაიდან, კანონით დადგენილი დანაწესების უგულვებელყოფა (ზეპირი შეთანხმება მესაკუთრე მოპასუხესთან მოსარჩელის ვითომცდა მესაკუთრეობის შესახებ) ხელშეკრულების არსებობას და, შესაბამისად, უძრავ ქონებაზე თანასაკუთრებად ცნობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის კანონიერებას გამორიცხავს.

90. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე თავიდანვე მოითხოვდა სადავო უძრავ ქონებებზე თანამესაკუთრედ ცნობას. ეს მოთხოვნა მოსარჩელეს არ შეუცვლია. მას არც სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეუცვლია. ამ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე (იხ. 2018 წლის 14 ნოემბრის, ასევე 2018 წლის 28 დეკემბრის სხდომის ოქმები), კასატორმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მისი მოთხოვნა მესაკუთრე მოპასუხის მიმართ არ გამომდინარეობს არც დავალების ხელშეკრულებიდან, არც საკუთრების მინდობის ხელ-

შეკრულებიდან, ასევე არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე რომელიმე სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, არამედ ეფუძნება ზეპირ შეთანხმებას, სადავო უძრავ ქონებებზე მესაკუთრე მოპასუხის საკუთრების უფლების მხოლოდ ფორმალურად აღრიცხვის თაობაზე მოსარჩელის სასარგებლოდ.

91. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამომწებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემომწების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

92. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაუშვებელია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის იმპერატიული ნორმებით (სსკ-ის 323-ე და 183-ე მუხლები) დადგენილი სავალდებულო პირობის – გარიგების წერილობითი ფორმით დადების უგულვებელყოფა და საკუთრების უფლების წარმოშობის ფაქტის დადგენა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე. სსკ-ის 323-ე და 183-ე მუხლების ასეთი განმარტება წინააღმდეგობაშია ნორმის მიზანთან და დაუშვებელია.

93. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ობიექტური და მიუკერძოებელი მოწმეების არსებობის პირობებშიც, დაუშვებელია მოწმეთა ჩვენებამ გადანონოს უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულების და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ლეგიტიმურობა. მოცემულ შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებები არარელევანტურ მტკიცებულებას წარმოადგენს, რადგან გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს საამისოდ ვარგისი მტკიცებულებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვაგვარად, სსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად.

94. სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი. მოცემულ შემთხვევაში, გასა-

ჩივრებული განჩინების საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემომ-  
მების შედეგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის განმხილ-  
ველ სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობას კანონი არ და-  
ურღვევია, ხოლო კასატორს კი დასაბუთებული საკასაციო პრე-  
ტენზია არ წარმოუდგენია.

95. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 6000 ლარის  
ოდენობით დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი და მეო-  
რე ნაწილებით, 410-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. თ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 ივნისის გადანყვეტი-  
ლება;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-  
ჩივრდება.

# თანასაკუთრებაში არსებული ქონების განაწილება ურთიერთშეთანხმებით

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-260-2020

13 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ერემაძე,  
გ. მიქაუტაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. გ-მა (შემდგომ – მოსარჩელე, აპელანტი, მეორე კასატორი, დედა) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. გ-ის (შემდგომ – მოპასუხე, პირველი კასატორი, მამა) მიმართ და მოითხოვა 30 000 აშშ დოლარის დაკისრება.

### სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელე და მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1996 წლის 20 ნოემბრიდან 2013 წლის 19 აგვისტომდე. ქორწინების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი: 1997 წლის 4 მარტს დაბადებული ნ. გ-ი (შემდგომ – უფროსი შვილი) და 1999 წლის 28 სექტემბერს დაბადებული ა. გ-ი (შემდგომ – უმცროსი შვილი). მოპასუხემ მეუღლეთა საერთო ქონება განკარგა მეუღლესთან შეთანხმების გარეშე, კერძოდ, მან 2009 წლის 13 თებერვლიდან მხარეთა განქორწინებამდე მამას, ნ. გ-ს (შემდგომ – მოპასუხის მამა), ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებიდან 45 020 აშშ დოლარი გადმოურიცხა რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში. ამასთან, მოსარჩელისათვის მისაკუთვნებელი წილი აღემატება თანასაკუთრების ნახევარს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 1168.2 მუხლიდან გამომდინარე, რამდენადაც დედასთან ცხოვრობდა თავიანთი ორი არასრულწლოვანი შვილი ათი წლის განმავლობაში, მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების დროს.

### მოპასუხის შესაგებელი

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელისა და მოპასუხის შვილები 2011 წლიდან 2014 წლამდე ცხოვრობდნენ ხარაგაულის რაიონში, სოფელ ... მოპასუხის მშობლებთან, ბავშვე-

ბი სწავლობდნენ რაიონის სკოლაში და მათზე ზრუნავდნენ ბებია და პაპა. მოპასუხე სწორედ ამიტომაც ურიცხავდა მამას თანხას 2011-2012 წლებში. ამასთან, ამავე პერიოდში რუსეთის ფედერაციაში მოპასუხესთან ერთად იმყოფებოდა მისი ძმა, მ. გ-ი და მოპასუხე მშობლებთან აგზავნიდა როგორც თავის თანხას, ისე – ძმისას და, პირიქით, ზოგჯერ ეს უკანასკნელი რიცხავდა მოპასუხის თანხას, როდესაც ამას ვერ ახერხებდა თავად მოპასუხე. შესაბამისად, რთულია იმის გახსენება გადმორიცხული თანხებიდან თუ რამდენი იყო მოპასუხის და რამდენი – მისი ძმის.

4. მოპასუხე გამუდმებით ზრუნავდა თავის ოჯახზე, მეუღლე-სა და შვილებზე და რუსეთის ფედერაციაში მუშაობის განმავლობაში ყოველთვის უზრუნველყოფდა მათ ფინანსურად. შვილები უკვე სრულწლოვნები არიან. უფროსი შვილი 2014 წლის შემდეგ ცხოვრობს მამასთან, თბილისში. მამის დახმარებით ემზადებოდა რეპეტიტორებთან. ამჟამად, სწავლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და სწავლის საფასურს მამა უხდის.

5. მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ პირველად სასამართლოს სხვა ქონებათა საერთო საკუთრებად ცნობის მოთხოვნით მიმართა 2015 წლის 13 მაისს, როდესაც ითხოვა საქართველოში ლიცენზირებული ბანკებიდან მოპასუხის მიერ მამისათვის გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვაც, რის საფუძველზეც, 2015 წლის 20 მაისს, სასამართლომ განჩინებით დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა. 2015 წლის 28 მაისს, ბანკმა საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში წარადგინა შესაბამისი მიმართვა და გადახდის ქვითრები. შესაბამისად, მოსარჩელემ გადმორიცხული თანხის შესახებ ინფორმაცია შეიტყო ჯერ კიდევ 2015 წლის მაისში. შესაბამისად, გასულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

#### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა- რეზოლუციო ნაწილი:**

6. სარჩელი თანამესაკუთრედ აღიარებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

7. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

#### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ- ციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:**

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება და მისი შეცვლით მიღებულ

იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს დაეკისრა 12 000 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

9. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი იყო პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა სადავო პერიოდში მოპასუხის სახელით მამისათვის თანხის გაგზავნის ფაქტზე. მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ამ პერიოდში გამოგზავნილი თანხა ეკუთვნოდა არა მოპასუხეს, არამედ მის ძმას, ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელმაც სასამართლოს ვერ წარმოუდგინა ამ გარემოების დამადასტურებელი ვერცერთი მტკიცებულება.

10. პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ სადავო ქონებაზე არ უნდა გავრცელებულიყო მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი, რამდენადაც მხარეთა შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეები, სადავო პერიოდში (2009-2012 წწ.) იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. სკ-ის 1158-ე მუხლი ადგენს კანონისმიერ პრეზუმფციას, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე ვრცელდება თანასაკუთრების რეჟიმი. ამის საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, რომელმაც სათანადო მტკიცებულებებით სადავო ფაქტი ვერ დაადასტურა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სამოქალაქო საქმე №2/9088-15, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობდნენ), პრეიუდიციულად დასტურდებოდა, რომ, მიუხედავად მხარეთა ცალ-ცალკე ცხოვრებისა, მათ შორის არსებობდა ერთიანი საოჯახო მეურნეობა და მათ მიერ განხორციელებული ქმედებები მიმართული იყო ოჯახის საერთო ინტერესებისა და კეთილდღეობისაკენ.

11. სააპელაციო პალატამ თანასაკუთრების რეჟიმი გაავრცელა არა სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილ თანხაზე სრულად, არამედ, მის ნაწილზე (45 000 – 21 000) 24 000 აშშ დოლარზე. პალატამ მიიჩნია, რომ 21 000 აშშ დოლარი იყო ის თანხა, რომელიც მოპასუხის მიერ გადმორიცხული თანხებიდან ხმარდებოდა მისი შვილების ინტერესებს, კერძოდ, დადგენილია, რომ 2009-2010 წლებში შვილები ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ მამიდასთან, თბილისში, 2011 – 2014 წლებში კი, – ხარაგაულის რაიონის სოფელ ..., მოპასუხის მშობლებთან. ბავშვები სწავლობდნენ სოფლის სკოლაში და მათზე ზრუნავდნენ ბებია და პაპა. უფროსი შვილი 2014 წლის შემდეგ ცხოვრობს მამასთან. 2015 წელის იგი ჩაირიცხა სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, არ მოუპოვებია სასწავლო გრანტი და სწავლის საფასურს ყოველწლიურად იხდის მოპასუხე. სწორედ

ეს პერიოდი ემთხვევა 2009-2012 წლებში, მოპასუხის მიერ თანხების რუსეთიდან გადმორიცხვას. სადავო არ არის არც ის გარემოება, რომ მოპასუხე მოსარჩელეს ბავშვების მოვლა-პატრონობაზე, 2001-2009 წლებში სისტემატურად ურიცხავდა თანხას საშუალოდ 2500 აშშ დოლარს, ანუ თვეში 208 აშშ დოლარს. ამასთან, სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ 2009-2012 წლებში გადმორიცხული 45 000 აშშ დოლარი მოხმარდა ბავშვების მოვლა-პატრონობასა და მათ კეთილდღეობას. თუკი მოსარჩელეს ბავშვების მოვლა-პატრონობაზე წლების მანძილზე საშუალოდ ხმარდებოდა 208 აშშ დოლარი, ბავშვების მზარდი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ასევე, უფროსი შვილის უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად მომზადების კუთხით და სასწავლებელში სწავლის ღირებულების დასაფარად, ყოველთვიურად, საშუალოდ აღებული უნდა ყოფილიყო თვეში 350 აშშ დოლარი, რაც წელიწადში შეადგენდა 4200 აშშ დოლარს, ხოლო 5 წელზე – 21 000 აშშ დოლარს. შესაბამისად, პალატამ 24 000 აშშ დოლარის ნახევარი – 12 000 აშშ დოლარი მიაკუთვნა მოსარჩელეს.

12. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისიდან გადახვევის თაობაზე და მიუთითა, რომ საქმის მასალებით სსკ-ის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები არ ვლინდებოდა.

13. პალატამ არც მოპასუხის შესაგებელი არ გაიზიარა ხანდაზმულობის თაობაზე და განმარტა, რომ №2/9088-15 სამოქალაქო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოსარჩელე ვერ იდავებდა გადმორიცხული თანხების თანამესაკუთრედ ცნობაზე, ვინაიდან უძრავი ქონება, რომლის თანამესაკუთრედ ცნობას ითხოვდა მოსარჩელე, გაცილებით მეტი ღირდა, ვიდრე მოცემული სარჩელით მოთხოვნილი თანხა. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ქონება ნაწილობრივ შეძენილი იყო მოპასუხის მიერ მამისთვის 2009-2014 წლებში გადმორიცხული თანხებით. დადგენილია, რომ მოსარჩელემ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, რამდენიმე თვეში მიმართა სასამართლოს ახალი სარჩელით, რის გამოც დავა ხანდაზმულად ვერ მიიჩნეოდა.

### **I კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

14. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და სარჩელის სრულად უარყოფის მოთხოვნით.

15. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ მამისათვის გადმოგზავნილი თანხებით გამოთვალა შვილებისათვის მოხმარებული საშუალო თანხა და აღნიშნული გამოაკლო 45 000 აშშ დოლარს, რაც



დაუსაბუთებელია. პირველ რიგში, გაურკვეველია, რა სტანდარტით იხელმძღვანელა სასამართლომ, როდესაც 2010-2014 წლებში გადარიცხული თანხების საშუალოდ თვეში მიიჩნია არა, მაგალითად, 500 აშშ დოლარი, არამედ – 350 აშშ დოლარი. ამ ნაწილში სასამართლოს გადანყვეტილება ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდს, რომელიც შესაძლოა, არც არის პროპორციული იმ ხარჯების, რასაც თავისი შვილებისათვის ხარჯავდა მოპასუხე.

16. მართალია, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მეუღლეთა თანაცხოვრებისას შეძენილ ქონებაზე საერთო საკუთრების უფლებას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში სადავოა არა ტრადიციული გაგებით ქონება, არამედ – ფული. მოსარჩელემ უტყუარად ვერ დაადასტურა ამ გზავნილების სრულად მოპასუხისადმი კუთვნილების ფაქტი. ამ უკანასკნელს არ ევალებოდა იმის მტკიცება, რომ გადმორიცხული თანხა მისი ხელფასითა თუ სხვა სახის ანაზღაურებით მოპოვებული არ იყო.

17. სასამართლო, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ მოპასუხის მხარეზე იყო ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის მტკიცების ტვირთი, რომელიც მან ვერ დაძლია, მეორე მხრივ კი – თავად მიუთითებს, რომ მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ბავშვები კი ბები-ბაბუასთან იზრდებოდნენ დედის გარეშე. შესაბამისად, გაუგებარია, სასამართლომ რატომ შეაფასა ამ პერიოდში გადმორიცხული თანხა მეუღლეთა თანასაკუთრებად.

18. ასევე გაუგებარია რატომ დაუკავშირა სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა მხარეებს შორის არსებულ წინა დავის დასრულების თარიღს. არასწორია მსჯელობა, რომ საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე, მოსარჩელე მხარე ვერ იდავებდა გადმორიცხული თანხების თანამესაკუთრედ ცნობაზე, ვინაიდან უძრავი ქონება, რომელზეც მოსარჩელე მოითხოვდა თანამესაკუთრედ ცნობას, გაცილებით მეტი ღირდა, ვიდრე მოცემული სარჩელით მოთხოვნილი თანხა. გაუგებარია, რისი თქმა სურდა სასამართლოს ამით, უძრავი ქონების ღირებულება უფრო მეტი რომ იყო, ეს რატომ ართმევდა უფლებას მოსარჩელეს, ედავა უფრო მცირე თანხაზე ან, თუკი სასამართლო სრულად დააკმაყოფილებდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მოთხოვნას, ამ შემთხვევაში მოსარჩელეს ინტერესი დაეკარგებოდა 45000 აშშ დოლარის 2/3 მიღებაზე? ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაეკავშირებინა გადარიცხვების დამადასტურებელი ქვითრების სასამართლოში წარდგენის თარიღისათვის.

## **II კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

19. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი მოსარჩელემაც წარადგინა, გასაჩივრებული განჩინების

გაუქმებისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით. ამასთან, მან შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხისათვის ნაცვლად 30 000 აშშ დოლარისა, 22 000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა. კასატორმა გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა 2/3 ნაცვლად მოსარჩელისათვის თანასაკუთრების ნახევრის მიკუთვნების თაობაზე. ასევე, თანასაკუთრებიდან 1000 აშშ დოლარის შვილებისათვის მოხმარების თაობაზე.

20. სასამართლოს მსჯელობა მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის გამოთვლის კუთხით კრიტიკას ვერ უძღვება. სასამართლომ თვითონ დაადგინა, რომ შვილების მოვლა-პატრონობას ოჯახის არსებობის მანძილზე არასოდეს დასჭირვებია თვეში 208 აშშ დოლარზე მეტი, მაგრამ, რაკი უფროსმა შვილმა მხარეთა განქორწინებიდან 5 წლის შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა და ამ მომენტში მამამ მისი მომზადებისა და სწავლის საფასური გადაიხადა, შვილების რჩენის თანხა 350 აშშ დოლარამდე გაზარდა. ეს თანხა უკუქცევითი ძალით სადავო პერიოდს მიაბა და მხარეთა თანასაკუთრებას გამოაკლო. ამასთან, მაქსიმუმ ორ წელიწადზე საანგარიშო თანხა სასამართლომ 5 წლამდე გაზარდა, შედეგად, 12 000 აშშ დოლარი მიაკუთვნა მოსარჩელეს. ასეთივე წარმატებით სასამართლოს შეეძლო, ნებისმიერი თანხა გამოეკლო ან დაემატებინა თანასაკუთრებაზე და ისე დაედგინა გადასახდელი თანხა. სასამართლოს მიერ თანხის ამგვარი დაანგარიშება მოკლებულია ლოგიკას, მათემატიკასა და იურიდიულ დასაბუთებულობას.

21. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოცემული დავის მიმართ პრეიუდიციული ძალის მქონე ფაქტები, კერძოდ, არასწორად გამოთვალა ბავშვების მამის მშობლებთან ცხოვრების წლები, რომელთა სოფელში ცხოვრობის პერიოდი ორ კალენდარულ წელს არ აღემატებოდა (2011 წლის ივლისიდან 2013 წლის აგვისტომდე). ამასთან, შვილები მამიდასთან მხოლოდ 2010 წელს ორი თვე ცხოვრობდნენ, რაც დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებით (მამის მიერ დედისათვის ბავშვების სარჩენად გადარიცხული თანხების წყვეტილობით), რომელსაც ვერც მოპასუხე ვერ უარყოფს. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ გაიზიარა სასამართლომ ამ უკანასკნელის მხოლოდ ზეპირი განმარტებები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

22. მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, ხოლო პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობ-

რივ უნდა დაკმაყოფილდეს (მოპასუხისათვის 19 900 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში) შემდეგ გარემოებათა გამო:

23. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმების გამოყენებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასება-დადგენის თვალსაზრისით, პირველ კასატორს დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ წარმოუდგენია, მეორე კასატორმა კი, ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა.

24. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 1158-ე (მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უფლიდა შვილებს ან, სხვა საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი), 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი., უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლები.

25. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფით გამოიხატა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სარჩელის წარმატებულობისათვის მოსარჩელემ სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული წესით უნდა დაამტკიცოს, რომ: ა. სადავო ქონება მეუღლეთა თანასაკუთრება იყო; ბ. მოპასუხემ თანასაკუთრებაში არსებული ქონება მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე გაასხვისა, რამაც მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა განაპირობა.

26. მეუღლეთა საერთო საკუთრების წარმოშობის საფუძვლებს სსკ-ის 1158-ე მუხლი განსაზღვრავს და მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრე შემდეგია: მეუღლეები რეგისტრირებულ ქორწინებაში უნდა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან; უნდა არსებობდეს მეუღლეთა საერთო ქონება. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1996 წლის 20 ნოემბრიდან 2013 წლის 19 აგვისტომდე. სადავო 45 000 აშშ დოლარი მეუღლეთა რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის პერიოდშია შეძენილი.

27. კასატორი აპელირებს, რომ მის მიერ მამისათვის ფულის გამოგზავნის დროს მხარეთა შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოება მტკიცების საგანში არ შედის. ჯერ ერთი, განქორწინების რეგისტრაციამდე ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის შესახებ მოპასუხეს არც შესაგებელში და არც მოსამზადებელ სხდომაზე არ მიუთითებია, რაც პროცესუალურად გამორიცხავს ასეთ პრეტენზიაზე სასამართლოს რეაგირებას, ვინაიდან საქმის მომზადების სტადიის დასრულების შემდეგ ახალ გარემოებაზე მითითებას საპროცესო კანონმდებლობა (სსსკ-ის 201.4 და 219.1 მუხლები) ზღუდავს.

28. ამასთან, მოპასუხეს შესაგებელში რომც მიეთითებინა, სადავო პერიოდში ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის საფუძვლით სადავო თანხაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელების გამორიცხვის თაობაზე, სასამართლო მას მაინც ვერ გაიზიარებდა, რამდენადაც ფაქტი, რომ მხარეთა შორის ქორწინება ფაქტობრივადაც 2013 წლის 19 აგვისტოს შეწყდა, მოცემულ დავაში დადგენილია პრეიუდიციულად (სსსკ-ის 106 მუხლის „ბ“ პუნქტი), კერძოდ, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.03.2017 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმის N2/9088-15, ნ. გ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების ა. გ-ის, ნ. გ-ის, შპს „ბ-სა“ და გ. ს-ას მიმართ, თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების განკარგვით მიღებული სარგებლიდან ნილის კომპენსაციის, ალიმენტის დაკისრებისა და დამატებით ხარჯებში მონაწილეობის, ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებების თვალთმაქცურად ცნობის, ნასყიდობის ხელშეკრულებების მხარედ ა. გ-ის მიჩნევისა და უძრავი ქონების ნილზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე), რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობდნენ, წინამდებარე დავის მიმართ პრეიუდიციული ძალისაა. გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა ორმხრივ სავალდებულო აკრძალვას გულისხმობს, რომელიც კანონიერ ძალა-

ში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი და დადასტურებული ფაქტების სხვაგვარად შეფასებას უკრძალავს სასამართლოს, ხოლო საქმეში მონაწილე პირებს – ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებთან და სამართლებრივ ურთიერთობებთან შედავებას, თუ სხვა საქმეში იგივე პირები ან მათი უფლებამონაცვლები მონაწილეობენ. სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს აქვთ პრეიუდიციული მნიშვნელობა და ისინი აღარ უნდა დამტკიცდეს ხელახლა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ (იხ. პ. ქათამაძე, სსსკ-ის კომენტარი (რჩეული მუხლები), თბილისი, 2020, მუხ. 266, გვ. 994).

29. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ „მიუხედავად მხარეთა ცალ-ცალკე ცხოვრებისა, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებობდა ერთიანი საოჯახო მეურნეობა და მათ მიერ განხორციელებული ქმედებები მიმართული იყო ოჯახის საერთო ინტერესებისა და კეთილდღეობისაკენ“. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივლისის განჩინებაში, რომლითაც მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები, როგორც დაუშვებელი, განუხილველად დარჩა, მითითებულია, რომ „საკასაციო პალატა უარყოფს პირველი კასატორის შედავებას ხანდაზმულობის საკითხზეც და აღნიშნავს, რომ, როგორც ეს პირველ კასატორს განემარტა, მეუღლეები განქორწინდნენ 2013 წლის 19 აგვისტოს, ქ. ტ-ის, მოსკოვის რაიონის №6 სასამართლოს გადაწყვეტილებით. სსკ-ის 1171-ე მუხლის თანახმად, განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სარჩელი აღიძრა 2015 წლის 13 მაისს, სამწლიანი ვადის დაცვით“. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ფაქტის პრეიუდიციულობის შემონემებისას საჭიროა, შეფასდეს არა მხოლოდ ფორმალურ-პროცესუალური წინაპირობები (არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის სუბიექტებიც სხვა სამოქალაქო საქმეში იღებენ მონაწილეობას), არამედ, მნიშვნელობა ენიჭება ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს – კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები უნდა ამართლებდეს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ანუ განსაზღვრავდეს მხარის მატერიალურსამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას (სუსგ №ას-547-510-2017, 04.05.2018წ.). მოცემულ შემთხვევაში, სასამარ-

თლოს ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ მხარეები ფაქტობრივად 2013 წლის 19 აგვისტოს განქორწინდნენ და ეს ფაქტი მოცემული დავის მიმართ პრეიუდიციულია.

30. მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, ცალსახად არ დასტურდება, რომ მოპასუხის მამისათვის გამოგზავნილი სადავო თანხა სწორედ მოპასუხეს ეკუთვნოდა, რამდენადაც რუსეთში იყო მისი ძმაც და ზოგჯერ ძმის თანხებსაც აგზავნიდა. მოპასუხის შედაგება არასათანადო და დაუსაბუთებელია. როდესაც მოპასუხე მოთხოვნის წარმოშობის ხელისშემშლელ, სანინააღმდეგო გარემოებასა თუ ფაქტებზე მიუთითებს, მანვე უნდა დაასაბუთოს და დაამტკიცოს ისინი. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარმოადგინა ძირითადი მტკიცებულება – მოპასუხის მიერ გადმორიცხვის საბუთები, საპირისპირო მტკიცებულების წარმოდგენა, კერძოდ, რომ მოპასუხე არა საკუთარ, არამედ ძმის თანხას რიცხავდა, სწორედ მოპასუხეს ევალებოდა. მან არა მხოლოდ ვერ დაამტკიცა აღნიშნული, არამედ არც მიუთითებია, თუ თანხის რა ნაწილი იყო ძმის კუთვნილი. ზოგადი მითითება, რომ რთულია იმის გარკვევა, თუ რამდენი იყო მოპასუხის და რამდენი – მისი ძმის, აბსტრაქტული შედაგებაა და ვერ გაითვალისწინება. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად განაწილების შესახებ პირველი კასატორის პრეტენზია, კერძოდ, რომ მას არ ევალებოდა იმის მტკიცება, რომ გადმორიცხული თანხა მას არ ეკუთვნოდა, დაუსაბუთებელია.

31. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ მეულღეთა საერთო საკუთრების ოდენობას, მასზე ორივე კასატორი დავობს, კერძოდ, სადავოა თანხის ოდენობა, რომელიც ბავშვების მოვლა-პატრონობას მოხმარდა და რომელიც 45 000 აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს.

32. პალატა მიუთითებს სსკ-ის 1198.2 მუხლზე, რომელიც მშობლების მიერ ბავშვების რჩენის ვალდებულებას განამტკიცებს. დადგენილია და მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ მამა თავის არასრულწლოვან შვილებს მატერიალურად უზრუნველყოფდა, მათ შორის, ბებია-პაპასთან ცხოვრების პერიოდშიც. სააპელაციო სასამართლომ ბავშვების მოვლა-პატრონობისათვის თვეში 350 აშშ დოლარი განსაზღვრა, რომელშიც გაითვალისწინა მამის მიერ 2014 წლიდან უფროსი შვილის უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად მომზადებისა და სასწავლებელში სწავლის ღირებულების ხარჯებიც.

33. მოცემულ შემთხვევაში, ნაწილობრივ გასაზიარებელია მეორე კასატორის პრეტენზია, შვილების მოვლა-პატრონობის თანხის დაანგარიშებასთან დაკავშირებით, კერძოდ, პალატა მიიჩნევს,

რომ ქორწინების განმავლობაში შექცენილი მეუღლეთა საერთო ქონებას ვერ გამოაკლდება განქორწინების შემდეგ ერთ-ერთი მეუღლის მიერ თუნდაც შვილების მოვლა-პატრონობისთვის გაღებული ხარჯები. ქონებაზე მეუღლეთა საერთო საკუთრების წარმოშობა, როგორც აღინიშნა, დაკავშირებულია ქორწინებასთან და საერთო ქონება ვერ შემცირდება ქორწინების შეწყვეტის შემდგომ გაღებული ხარჯებით. შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრებას უნდა გამოაკლდეს მხოლოდ სადავო პერიოდისათვის ბავშვებისათვის გაღებული ხარჯი, უფრო კონკრეტულად კი, იმ პერიოდის, როდესაც ისინი ბებია-პაპასთან ცხოვრობდნენ და მამიდასთან დროებით იმყოფებოდნენ და არა – შემდგომ ბავშვის მომზადებისა თუ სრულწლოვანების შემდეგ სწავლის საფასურის თანხა. თავად მოპასუხეც განმარტავს, რომ თანხას მშობლებთან შვილების მოვლა-პატრონობისთვის აგზავნიდა, ვინაიდან ბავშვები მის მშობლებთან ცხოვრობდნენ, თუმცა პალატა იზიარებს მეორე კასატორის მითითებას, რომლის მიხედვით – ბებია-პაპასთან ცხოვრებისას შვილების მოვლა-პატრონობის თანხას უნდა გამოაკლდეს იმდენი, რამდენიც მათ დედასთან ცხოვრების პერიოდში ხმარდებოდათ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ დედასთან ცხოვრების პერიოდში მოპასუხე შვილებს საშუალოდ 200 აშშ დოლარს უგზავნიდა. ასევე დადგენილია და არც მოსარჩელე უარყოფს, რომ სადავო პერიოდისა და იმ წელი ბავშვები ბებია-პაპასთან ცხოვრობდნენ. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ მამისათვის გამოგზავნილ 45 000 აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს 4800 (200X24) აშშ დოლარი.

34. პირველი კასატორის პრეტენზიის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილება ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდს, რომელიც შესაძლოა, არც არის პროპორციული იმ ხარჯების, რასაც თავისი შვილებისათვის ხარჯავდა მოპასუხე. პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, კიდევ ერთხელ, მიუთითოს მტკიცების ტვირთის სამართლიან და ობიექტური გადანაწილების წესზე და განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ ბავშვების მოვლა-პატრონობისათვის გაწეული თანხის ოდენობის დადგენისას გაითვალისწინა მოპასუხის მიერ ბავშვების დედასთან ცხოვრების პერიოდში გადმოგზავნილი თანხები, სწორედ მოპასუხეს ევალებოდა იმ ფაქტის მითითება და დამტკიცება, რომ მოპასუხემ სადავო პერიოდში ბავშვების მოვლა-პატრონობისათვის უფრო მეტიც დახარჯა. მოპასუხეს არ მიუთითებია, თუ მამა შვილებისათვის თვეში 200 აშშ დოლარს აგზავნიდა, მაგალითად, 2010 წელს, 2011 წელს რამ განაპირობა უფრო მეტი ხარჯი, კონკრეტულად რამდენი იყო ეს თანხა და რაში დაიხარჯა. მით უმეტეს, მოპასუხეს არ წარმოუდგენია ამ

ფაქტების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

35. რაც შეეხება ბავშვების მამიდასთან ცხოვრების ფაქტს, სა-აპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009-2010 წლებში შვილები ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ მამიდასთან. პალატა მიიჩნევს, რომ ამ ფაქტობრივი გარემოების მიმართ მეორე კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. როგორც აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.03.2017 წლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებით (საქმის №2/9088-15) დადგენილი ფაქტები მოცემული დავის მიმართ პრეიუდიციულია. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კი დადგენილია, რომ ბავშვები 2003 წლის ივნისიდან 2011 წლამდე ცხოვრობდნენ დედასთან, თბილისში. შესაბამისად, 2009-2010 წლებში ბავშვების დედასთან ცხოვრების ფაქტი მოცემულ დავაზე მტკიცების საგანში არ შედის, ის დამტკიცებულად მიიჩნევა. ამასთან, ასეც რომ არ იყოს, თავად მოპასუხეც შესაგებელში მიუთითებს, რომ ბავშვები 2010 წელს მხოლოდ ორი თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ მამიდასთან. პალატა მიიჩნევს, რომ გასაზიარებელია ბავშვების მამიდასთან დროებით – 2 თვის განმავლობაში ყოფნის ფაქტი, რომელსაც არც მოსარჩელე უარყოფს და მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის გადარიცხული თანხების წყვეტაც ადასტურებს.

36. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო პერიოდში ჯამურად 26 თვე ბავშვები არ იმყოფებოდნენ დედასთან, მათი მოვლა-პატრონობის 200 აშშ დოლარს მოპასუხე უგზავნიდა მამას, შესაბამისად, ჯამურად 5200 აშშ დოლარი უნდა გამოაკლდეს მოპასუხის მიერ მამისათვის გადმოგზავნილ 45 000 აშშ დოლარს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ 39 800 არის მეუღლეთა საერთო საკუთრება, რომლის ნახევარი 19 900 აშშ დოლარი ეკუთვნოდა მოსარჩელეს (სსკ-ის 1168.1 მუხლი).

37. სსკ-ის 1160.1 მუხლის მიხედვით, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა მხოლოდ მეუღლეთა შეთანხმებითაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხემ საერთო საკუთრება მეუღლის თანხმობის გარეშე მართლსაწინააღმდეგოდ განკარგა (სსკ-ის 992-ე მუხლი).

38. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი). პალა-



ტას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიაჩნია, რომ დასტურდება მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება – მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფა, ზიანი – ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მოსარჩელეს მიაღდა, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის – მიღებული ზიანი არის მოპასუხის მოქმედების უშუალო შედეგი, ზიანის მიმყენებლის ბრალი – მოპასუხემ შეგნებულად, სადავო გარიგების გაცნობიერებულად დადებით (ჩუქებით), მოსარჩელის საკუთრება ხელყო. შესაბამისად, მოპასუხე მოვალეა, მოსარჩელეს 19 900 აშშ დოლარი გადაუხადოს (შდრ. სუსგ №ას-237-222-2014, 25 სექტემბერი, 2015 წელი).

39. არ არის გასაზიარებელი მოპასუხის მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი – ხანდაზმულობის შესაგებელი. დადგენილია, რომ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ 2015 წლის 13 მაისს. სხვა მოთხოვნებთან ერთად სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენდა: 1) შპს „ბ-სა“ და მოპასუხის მამას შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2010 წლის 25 აგვისტოს მოპასუხესა და მოპასუხის მამას შორის დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების თვალთმაქცურ გარიგებებზე ცნობა; შპს „ბ-სთან“ დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარედ მოპასუხის მიჩნევა და უძრავი ქონების, 2/3 ნილზე შესაკუთრედ აღიარება და 2) 2013 წლის 22 მაისს გ. ს-ასა და მოპასუხის მამას შორის 2013 წლის 22 მაისს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების თვალთმაქცურ გარიგებზე ცნობა, ხელშეკრულების მხარედ მოპასუხის მიჩნევა და უძრავი ქონების 2/3 ნილზე მოსარჩელის საკუთრების უფლების ცნობა. ამ სასარჩელო მოთხოვნათა ფაქტობრივ საფუძვლად მოსარჩელე, მათ შორის მიუთითებდა იმაზე, რომ მოპასუხის მამას არ ჰქონდა მატერიალური შესაძლებლობა, შეეძინა მითითებული ორი უძრავი ქონება შვილის – მოპასუხის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. მოპასუხის მამამ მითითებული ქონება შეიძინა მოპასუხის მიერ რუსეთის ფედერაციიდან გამოგზავნილი თანხებით. ამდენად, ქონების რეალური შემძენი იყო მოპასუხე, ხოლო ქონება – მეუღლეთა თანასაკუთრება (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.03.2017 წლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილება საქმეზე №2/9088-15). სწორედ ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად იშუამდგომლა მოსარჩელემ სასამართლოს წინაშე მოპასუხის მიერ მამისათვის თანხის გადმოგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულებების ბანკიდან გამოთხოვის შესახებ.

40. პალატა მიიჩნევს, რომ მითითებულ საქმეზე სასარჩელო

მოთხოვნასა და განსახილველ სასარჩელო მოთხოვნას ერთი და იგივე საფუძველი აქვთ, ერთი და იმავე ფაქტსა და გარემოებას ეფუძნება – მეუღლის მიერ თანასაკუთრების უკანონოდ განკარგვას, კერძოდ, მამისათვის საერთო საკუთრებაში არსებული თანხის გადმორიცხვას. შესაბამისად, ეს ორი მოთხოვნა ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნაა და ისინი ერთმანეთთან ალტერნატიულ კონკურენციაში არიან, რაც იმას გულისხმობს, რომ სასამართლოს მიერ პირველი მოთხოვნის დაკმაყოფილება გამორიცხავდა წინამდებარე მოთხოვნის დაკმაყოფილებას და, პირიქით, სასამართლოს მიერ წარდგენილი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის პირობებში, მხარეს უფლება ჰქონდა წარედგინა მეორე მოთხოვნა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის შემთხვევაში, ერთ-ერთი მოთხოვნის განხორციელება აქარწყლებს იმ მოთხოვნას, რომელიც მხარეს არ აურჩევია, ხოლო განხორციელებაზე უარი ალტერნატიული მოთხოვნის წარდგენის უფლებას უნარჩუნებს (მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით წარმოიშვება დამოუკიდებელი მოთხოვნები. ალტერნატიული კონკურენცია არსებობს მოთხოვნისა თუ სარჩელის „მიზნის“ დაკმაყოფილებამდე. იხ. ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011, 34-35). ამდენად, ვინაიდან მოსარჩელის როგორც პირველ სარჩელს, ისე განსახილველ სარჩელს ფაქტობრივად ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა – მეუღლის მიერ საერთო საკუთრების უკანონოდ განკარგვის შედეგად მოსარჩელის ქონებრივი უფლების აღდგენა, მოსარჩელე წინამდებარე დავას ვერ დაიწყებდა, ვიდრე კანონიერ ძალაში არ შევიდოდა გადაწყვეტილება მისი წინა სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

41. პალატა განმარტავს, რომ დელიქტური სამართლის ნორმების გამოყენებისას, მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოება სსკ-ის 1008-ე (დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ) მუხლით დადგენილი წესით მონმდება. ამ ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა, მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.03.2017 წლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან უნდა აითვალოს, ვინაიდან სსკ-ის 138-ე მუხლის (ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად,

ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები) თანახმად, 2015 წლის 13 მაისის სარჩელის წარდგენით ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა, რაც ამავე კოდექსის 139.1 მუხლის (ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.) საფუძველზე გაგრძელდა 28.03.2017 წლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივლისის განჩინებით, მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. შესაბამისად, ხელახალი ვადის ათვლა დაიწყო 11.07.2018 წელს, სარჩელი კი წარდგენილია 04.10.2018 წელს ხანდაზმულობის ვადის დაცვით.

42. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საქირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, კერძოდ, მოპასუხეს უნდა დაეკისროს 19 900 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

43. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტიში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად,

რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. სსსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, მოპასუხეს, დავის საგნის ღირებულების შესაბამისად, დაეკისრება სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟი – 1242 ლარი მოსარჩელის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა:**

1. ა. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ნ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
5. ა. გ-ს 19 900 აშშ დოლარის გადახდა ნ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს;
6. ა. გ-ს ნ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 1242 ლარის გადახდა;
7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. მოპოვების უფლებაები და მოვალეობები შვილების მიმართ

### არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი მოპოვების განქორწინებისას

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-857-2019

18 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** მოპოვების წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა, არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. მოსარჩელის/შეგებებულ სარჩელის ავტორის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებულ სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. გ. ფ-ძემ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა მ. ჩ-ისა (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებულ სარჩელე ან მონინააღმდეგე მხარე) და მესამე პირების: ნ. და ს. ფ-ების (შემდგომში – მესამე პირები), ასევე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (უფლებამონაცვლე – სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. შემდგომში – სააგენტო ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო) მიმართ, 2007 წლის 15 ოქტომბერს დაბადებული ნ. ფ-ისა და 2010 წლის 19 აპრილს დაბადებული ს. ფ-ის საცხოვრებელი ადგილის მამის – მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილით განსაზღვრის, ასევე, მოპასუხის თანხმობის გარეშე, არდადეგების პერიოდში ორი კვირის განმავლობაში არასრულწლოვანთა საზღვარგარეთ გაყვანის მოთხოვნით.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მხარეები 2005 წლიდან იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში. თანაცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი: 2007 წლის 15 ოქტომბერს ნ. ფ. და 2010 წლის 19 აპრილს ს.

ფ. მხარეთა შორის თავიდანვე დამყარდა არაჯანსაღი ურთიერთობა და მათ შორის წლების განმავლობაში გრძელდება უთანხმოება. არასრულწლოვნები პერიოდულად ხან დედასთან იმყოფებოდნენ მარნეულის რაიონში, ხან – მამასთან. ბოლო სამი წელია ბავშვები აღსაზრდელად იმყოფებიან მამასთან და ეს უკანასკნელი ზრუნავს მათ საჭიროებებზე. ორივე მათგანი სწავლობს სსიპ ქ. თბილისის №126 საჯარო სკოლაში. ბავშვებს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი მამის საცხოვრებელ სახლში დასვენების, მეცადინეობისა და ნორმალური აღზრდისათვის, სადაც შექმნილია მათთვის უსაფრთხო, დაცული და კეთილსაიმედო გარემო. შვილები უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ დედის მიმართ. ეს უკანასკნელი კი, შვილების მიმართ გამოიჩინოდა სიმკაცრითა და უყურადღებობით, რის გამოც დედასა და შვილებს შორის დამოკიდებულება უკიდურესად გამწვავებულია. ბავშვები კატეგორიული წინააღმდეგეები არიან იცხოვრონ დედასთან ერთად. არასრულწლოვანთა უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ბავშვების საცხოვრებლად განისაზღვროს მამის საცხოვრებელი ადგილი. გარდა ამისა, მოსარჩელეს აქვს სტაბილური შემოსავალი და სურს მიეცეს შესაძლებლობა, მოპასუხის თანხმობის გარეშე, არდადეგების პერიოდში ორი კვირის ვადით არასრულწლოვანი შვილები გაიყვანოს საზღვარგარეთ, რაც დადებითად აისახება შვილების განვითარებასა და სოციალიზაციის პროცესზე.

1.2. მოპასუხეზე შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის დედის საცხოვრებლით განსაზღვრა.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მხარეთა შორის ურთიერთობის დაძაბვის გამო, მათი ოჯახური თანაცხოვრება შეწყდა. არასრულწლოვანი ბავშვები საცხოვრებლად დარჩნენ დედასთან. შეგებებული მოსარჩელის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, ს. ფ. საცხოვრებლად გადავიდა მამასთან. მოგვიანებით, 2014 წლის მაისიდან ნ. ფ. ც იმყოფება მამასთან. მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, ამ პერიოდში შეგებებული მოსარჩელე იძულებული გახდა, გამგზავრებულიყო სამუშაოდ უკრაინაში, თუმცა ვერ შეძლო დასაქმება და ერთ თვეში დაბრუნდა საქართველოში. იგი ამჟამად დასაქმებულია, აქვს სტაბილური შემოსავალი, თუმცა, თავდაპირველი მოსარჩელე მას ბავშვებს აღარ უბრუნებს, უფრო მეტიც, მოპასუხე (შეგებებული სარჩელით) დედის წინააღმდეგ განაწყობს არასრულწლოვან შვილებს, ახდენს ბავშვებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რის

გამოც ბავშვები ერიდებიან მასთან ურთიერთობას. შეგვებებული მოსარჩელე გარკვეული პერიოდი ახერხებდა შვილების სკოლასა და ბაღში მონახულებას, თუმცა, ამჟამად მოპასუხის აგრესიული ქმედების გამო, იქაც ვეღარ ახერხებს მათ ნახვას. მ. ჩ-ი საქორწინო ურთიერთობაში იმყოფება ნ. შ-თან, რომელთან თანაცხოვრების პერიოდშიც, 2016 წლის 16 ოქტომბერს შეეძინა შვილი, ა. შ-ძე. არასრულწლოვანი ნ. ი. და ს. არ იცნობენ ძმას და მასთან ურთიერთობა არ აქვთ. ბავშვებს უფლება აქვთ, იზრდებოდნენ ჯანსაღ, მშვიდ და საიმედო გარემოში, სადაც შექმნილია მათი განვითარებისათვის შესაბამისი გარემო-პირობები. ბავშვების უპირატესი ინტერესების დაცვის მიზნით, მათი საცხოვრებელი ადგილი უნდა განისაზღვროს დედის საცხოვრებლით.

## **2. მოპასუხეების, არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლისა და არასრულწლოვანთა პოზიცია:**

2.1. მოპასუხემ თავდაპირველი სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2014 წლის მაისიდან მხარეები აღარ ცხოვრობენ ერთ ოჯახად. მათ შორის მანამდეც დაძაბული და კონფლიქტური ურთიერთობა იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს დაეკისრა აღიმენჯის გადახდა არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ და, ამავდროულად, განესაზღვრა ნ. ფ-სთან ურთიერთობისათვის დრო. ბავშვები ძირითადად იმყოფებოდნენ დედასთან ქ. მარნეულში, ... მდებარე №29 ბინაში, ხოლო 2014 წლის მაისიდან იმყოფებიან მამასთან ქ. თბილისში. ბავშვებს მამის საცხოვრებელ სახლში არ აქვთ შექმნილი დასვენების, მეცადინეობისა და აღზრდისათვის ნორმალური პირობები. მოსარჩელე საქორწინო ურთიერთობაშია სხვა პირთან – მ. ც-თან, რომელიც არასრულწლოვნებს ვერ მისცემს იმგვარ სითბოსა და სიყვარულს, როგორსაც ბიოლოგიური დედა. ბავშვებს უფლება აქვთ, იცხოვრონ და გაიზარდონ დედის გარემოცვაში, ვინაიდან დედის როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შვილების სულიერი აღზრდის საქმეში. მოსარჩელე მიუთითებს, თითქოს მ. ჩ-ი შვილების მიმართ გამოირჩეოდა სიმკაცრითა და უყურადღებობით, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. მოპასუხეს შვილებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერთად ცხოვრების პერიოდში, მოსარჩელე კი, სისტემატურად ახდენს ბავშვებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, აშინებს მათ, რომ დედა შეიძულონ. ამდენად, ბავშვების სწორად აღზრდა-განვითარებასა და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს მამასთან საცხოვრებლად დარჩენა. მამას გადაწყვეტილი აქვს, ბავშვების საქართველოს საზღვრებს გარეთ საცხოვრებლად გაყვანა და დედასთან სამუდამოდ დაშორება. იმ შემთხვევაში, თუკი მას ამის შესაძლებლობა მიეცემა, იგი მათ აღარ დააბრუნებს და

მოპასუხეს აღარ ექნება შვილების ნახვისა და მათთან ურთიერთობის შესაძლებლობა;

2.2. თავდაპირველმა მოსარჩელემ ასევე არ ცნო შეგებებული სარჩელი და აღნიშნა, რომ ბავშვები დიდი ხანია იმყოფებიან მამასთან, სადაც შექმნილია მათთვის მისაღები, სასურველი და კეთილსაიმედო გარემო. ისინი წინააღმდეგი არიან დაბრუნდნენ დედასთან საცხოვრებლად ქალაქ მარნეულში. შეგებებულ მოსარჩელესთან არ არის ნორმალური პირობები ბავშვების აღზრდა-განვითარებისათვის. ის გარემოება, რომ მან მუშაობა დაიწყო და აქვს შემოსავალი, არ განაპირობებს ბავშვების უპირობოდ მამასთან საცხოვრებლად გადასვლას. არასრულწლოვნებზე დედა არ ზრუნავს სათანადოდ, არ უთმობს მათ ყურადღებას და ხშირად ძალადობდა მათზე. ბავშვებს არ სურთ შეიცვალონ საცხოვრებელი გარემო, ისინი მამასთან თავს დაცულად გრძნობენ და მიჩვეული არიან საცხოვრებელ გარემოს, სკოლას, ნორმალური დამოკიდებულება აქვთ მამის ამჟამინდელ მეუღლესთან. ბავშვებს მამის საცხოვრებელ ბინაში აქვთ ცალკე საძინებელი, ასაკობრივი განვითარებისათვის ყველა საჭირო ნივთი. მამას თავად დაჰყავს ისინი სკოლაში, უმზადებს საჭმელს, ხოლო, ბავშვები ყოველთვის სათანადოდ მოვლილები არიან;

2.3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მხარი დაუჭირა თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის დასკვნებს, 2017 წლის 8 ივნისის და 29 ივნისის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგებს და მიუთითა, რომ არასრულწლოვანი ბავშვების უფლებებიდან და მათი ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, რომ მათ ურთიერთობა ჰქონდეთ როგორც მამასთან, ისე – დედასთან. დედასთან ამ ეტაპზე არსებული გაუცხოება და მის მიმართ ნეგატიური ხასიათის დამოკიდებულება უნდა აღმოიფხვრას ეტაპობრივად ისე, რომ არ მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი არასრულწლოვანთა ემოციურ თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. აუცილებელია, მშობლებსა და შვილებს შორის სწორი და პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის, საკითხი გადანაცვდეს ბავშვების ინტერესების სრული დაცვით. ის გარემო, სადაც მომავალში ცხოვრება მოუწევს თითოეულ არასრულწლოვანს, სრულად უნდა უზრუნველყოფდეს მათთვის უსაფრთხოებისა და დაცულობის გრძნობას. როგორც მამის, ასევე დედის ოჯახი ვალდებულია, იზრუნოს და შეუქმნას ბავშვებს განვითარებისა და აღზრდისათვის კეთილსაიმედო გარემო. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ნ. ფ., რომელიც ასაკით უფროსია, გავლენას ახდენს უმცროს ძმაზე, იგი აკონტროლებს ს-ს, არ ტოვებს მას მარტო არც ფსიქოლოგიური კვლევის მიმდინარეობის და არც სასამართლოს



სხდომათა დარბაზში და ცდილობს მის მაგივრად გასცეს პასუხი. ამასთან, ნ. ი. არ ერიდება ტყუილის თქმასაც იმისათვის, რომ მ. ჩ-ი, როგორც დედა, წარმოაჩინოს უარყოფითად, ნეგატიური კუთხით. საყურადღებოა, რომ არასრულწლოვნის მიერ მსგავს ვითარებაში ტყუილის თქმის შესაძლებლობა თუ „გამბედაობა“ მიუთითებს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის არამდგრადობასა და საეჭვოობაზე. აუცილებელია, ბავშვებს ჯანსაღი ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ დედასთან. მათთვის მამა ავტორიტეტია და ბავშვებისათვის მისი ყოველი ნათქვამი სიტყვა თუ მითითება მეტად მნიშვნელოვანია. არასრულწლოვნებზე მამის გავლენა იკვეთება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვალსაზრისით. საქმის განხილვისას ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, ამ ეტაპზე არსებული ვითარებიდან გამომდინარე არ გამოიკვეთა არასრულწლოვანთა საზღვარგარეთ გაცვანის აუცილებლობა.

2.4. ნ. ფ. სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა 2017 წლის 11 აპრილს, ხოლო ს. ფ-სთან ერთად კი – 2017 წლის 4 ივლისს გამართულ სხდომაზე. მათ გამოთქვეს მოსაზრება თავიანთი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, მშობლებთან ურთიერთობასა და საზღვარგარეთ გ. ფ-ძესთან ერთად წასვლასთან დაკავშირებით. ბავშვებს სურთ, იცხოვრონ მამასთან. მათი მითითებით, მამასთან ცხოვრება ურჩევნიათ, რადგანაც მამა ყველაფერს ყიდულობს, უმზადებს საჭმელს და ზრუნავს მათზე. დედასთან ცხოვრების პერიოდში, დედა არ ზრუნავდა მათზე, არ ასაუზმებდა, უხეშად ექცეოდა და ერთხელ ს-ს ტუჩზე ხელის დარტყმით, „სისხლიც კი ადენინა“. ბავშვებმა ერთობლივად ისიც კი გაიხსენეს, რომ დედამ იძულებით წაიყვანა ისინი და ცდილობდა მათ „მტკვარში გადაგდებას“, რადროსაც ისინი დაინახა ს-ს ნათლიამ, რომელმაც დაურეკა მამას და ამ უკანასკნელმა ბავშვები წამოყვანა იმ ადგილიდან, სადაც დედასთან ერთად იმყოფებოდნენ. ბავშვები დადიან სკოლაში, სადაც ძირითადად დაჰყავს მამას. არასრულწლოვნებს მამასთან ცხოვრება მოსწონთ და არ სურთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. ისინი გამოთქვამენ სურვილს მიმდინარე წლის აგვისტოში გაემგზავრონ მამასთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ცხოვრობს მათი უფროსი ძმა (გ. ფ-ძის შვილი პირველი ქორწინებიდან). ბავშვებს ძმასთან ურთიერთობა აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების საკომუნიკაციო საშუალებებით და პირადად რამდენიმე წლის წინ ჰყავთ ნანახი. ბავშვებისთვის, მათი საზღვარგარეთ გამგზავრების შემთხვევაში, საქართველოში უკან დაბრუნების დრო ცნობილი არ არის. გამგზავრების შემთხვევაში, ისინი საზღვარგარეთ წავლენ მამასთან და მის მეუღლესთან – მ. ც-თან ერ-

თად.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი უარყოფილ იქნა, შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, არასრულწლოვანთა საცხოვრებელი მათ სრულწლოვანებამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილით.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო, შეგებებული სარჩელის უარყოფა.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო, შეგებებული სარჩელის უარყოფა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას კასატორის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ფარგლებში შეამოწმებს, თუმცა, ვინაიდან წინამდებარე დავაში საკითხის გადაწყვეტის ქვაკუთხედს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გამოკვლევა-დადგენა წარმოადგენს, სასამართლო განკარგავს ამავე კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ინკვიზიციურ-

ბის პრინციპს და შეეხება იმ საკითხთა წრეს, რომლებიც შესაძლოა აბრკოლებდეს ქვემდგომი სასამართლოს გადანყვეტილებათა აღსრულებას და არ ემყარებოდეს ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასება-გამოკვლევას. საკასაციო საჩივრის თანახმად:

1.1.1. 2014 წლიდან შვილებზე ზრუნავს მამა და მათ აღზრდას მონინაალმდევე მხარის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე უზრუნველყოფს. დედამ შვილები ამ დროის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე მოინახულა და თითოეულმა შეხვედრამ ჩაიარა ნეგატიურად. არასრულწლოვნებმა როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოში საქმის მიმდინარეობისას ერთმნიშვნელოვნად გამოხატეს დედის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ასევე, დაადასტურეს, რომ მათ სურთ ცხოვრება მამასთან გააგრძელონ. ამ მოცემულობაში ბავშვების საცხოვრებლის დედის საცხოვრებლით განსაზღვრა ეწინააღმდეგება მათ უპირატეს ინტერესებს;

1.1.2. ნ. ფ. 2014 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით სწავლობდა ქ. მარნეულის მე-6 საჯარო სკოლაში, ხოლო ს. ფ. ამავე პერიოდში დადიოდა ქ. მარნეულში მდებარე საბავშვო ბაღში, რაც განპირობებული იყო გ. ფ-ძის მიერ გადატანილი ოპერაციის გამო ჯანმრთელობის გაუარესებით. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის მხარეთა ახსნა-განმარტებები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებდა, რომ მ. ჩ-თან არასრულწლოვნებს არ ჰქონდათ შექმნილი მათი ნორმალური აღზრდისთვის, განვითარებისთვის საჭირო პირობები და სასამართლო პროცესზე არასრულწლოვნებმა ცალსახად დააფიქსირეს საკუთარი სურვილი, დარჩენილიყვნენ მამასთან, სასამართლომ მიიღო ბავშვების უპირატესი ინტერესების საწინააღმდეგო გადანყვეტილება, რითიც არასრულწლოვნებს ჩამოართვა უფლება, თავად აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი;

1.1.3. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა 2017 წლის 29 ივნისის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები, რომლის თანახმაც ს. და ნ. ფ-ების გონებრივი, ინტელექტუალური თავისებურებები, ზოგადი ცოდნის დონე შეესაბამება ასაკს. ორივე არასრულწლოვანი სიმშვიდით ხასიათდება, რაც მათ ჰარმონიულ საღმზრდელი გარემოზე მეტყველებს. ბავშვები მამის მიმართ ასევე ავლენენ მკვეთრ ურთიერთმიჯაჭვულობას, ხოლო დედის მიმართ გაუცხოებას და ეშინიათ კიდევაც მისი. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე და იზიარებს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი და მშობლებს არა აქვთ ისეთი ღო-

ნისძიებების მოთხოვნის უფლება, რომელთა განხორციელებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას, მეორე მხრივ, კი სასამართლო გადანყვეტილებას ბავშვის ინტერესების უხეში უგულვებელყოფით იღებს. მ. ჩ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებით სასამართლო გადანყვეტილება იქცევა ფორმალურ, აღუსრულებელ გადანყვეტილებად, რამდენადაც არასრულწლოვნები დედის მიმართ განიცდიან მკვეთრ გაუცხოებას და აღნიშნულით საფრთხის ქვეშ დადგება მათი ნორმალური განვითარება, მეტიც მათ სიცოცხლესაც კი შეექმნება საფრთხე. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ითვალისწინებს ბავშვების ასაკს, პირად დამოკიდებულებას მშობლებისადმი, იმ სოციალურ თუ ყოფით გარემოს, სადაც ბავშვებს მოუწევთ ყოფნა და მათი ცხოვრების წესს, თუმცა რეალურად უგულვებელყოფს აღნიშნულ გარემოებებს. ფსიქოლოგის გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ მ. ჩ-ი თავისი არაეთიკური ქცევით უარყოფით ზეგავლენას ახდენდა არასრულწლოვნებზე. როგორც ფსიქოლოგთან საუბრისას ნ. ი. იხსენებდა, დედა ხშირად სვამდა კაცებთან ერთად, რადროსაც ნ. ს. სახლიდან აგდებდა, არ აჭმევდა, არ უვლიდა მას და ს. ს. ამგვარი ფაქტი, დადასტურების შემთხვევაში, წარმოადგენს მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძველსაც კი. სასამართლომ არ გაითვალისწინა მოცემული ფაქტები და არ იმსჯელა, რა შედეგები მოჰყვებოდა ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებლის განსაზღვრას, რა გარემოში გაიზრდებოდნენ ისინი და საერთოდ, შეძლებდნენ თუ არა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებას მსგავს პირობებში აღზრდის შედეგად;

1.1.4. სააპელაციო პალატა უსაფუძვლოდ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს იმის თაობაზე, რომ ნ. და ს. ფეხების დედასთან ცხოვრება არ იქნება ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი, არ დააბრკოლებს მათ განვითარებას, სოციალიზაციას და არ შეუქმნის საფრთხეს სამომავლოდ მათი საზოგადოების სრულყოფილ წევრებად ჩამოყალიბებას, ამასთან, ვერ ასაბუთებს რით იხელმძღვანელა მან აღნიშნული გარემოებების დადგენისას იმ პირობებში, როდესაც არასრულწლოვნები დედის მიმართ დღეის მდგომარეობით არიან სრულიად გაუცხოებულები, მონინალმდევე მხარე არ გამოხატავს შვილების მიმართ ურთიერთობის სურვილს. სასამართლო ეყრდნობა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის განმარტებებს და უსაფუძვლოდ ადგენს, რომ არ გამოკვეთილა მ. ჩ-ის უარყოფითი პიროვნული მახასიათებელი, რაც, შესაძლოა, საფრთხის შემცველი ან საზიანო ყოფილიყო არასრულწლოვანთა აღზრდის პროცესში;

1.1.5. ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს კა-

სატორის მიერ წარდგენილი აუდიო და ვიდეორჩანანერები და ისე დაადგინეს, რომ აღნიშნულით არ დასტურდებოდა დედის მიერ ბავშვებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტი. ამ მასალებში ასახული იყო მონინალმდეგე მხარის უარყოფითი დამოკიდებულება არასრულწლოვნების მიმართ, მან ბავშვებს არაერთხელ განუმარტა, რომ უარს აცხადებდა მათ დედობაზე, რადგან „მამის ჯიშისები არიან“. აღნიშნული გამონათქვამებით მონინალმდეგე მხარე ცდილობდა ბავშვებში ჩაენერგა მამის მიმართ ზიზღი, უკმაყოფილება, რაც დედის მხრიდან განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე მეტყველებს. აღნიშნულმა განაპირობა ბავშვებში დედის მიმართ გაუცხოებული დამოკიდებულება. დედის მიმართ მხოლოდ უარყოფითი, დამთრგუნველი მოგონებების გათვალისწინებით, ფსიქოლოგთან ვიზიტისას ბავშვებმა მკაცრი უარი განაცხადეს დედასთან შეხვედრაზე, ვინაიდან მათ არ სურდათ დედის ნახვა და მასთან ურთიერთობა. არასრულწლოვნები ასევე ადასტურებდნენ, რომ მ. ჩ-ი სისტემატურად ძალადობდა (სცემდა) მათზე და ერთ-ერთი შემთხვევის დროს „ციცინათელაში თავში წამოარტყა მ-ამ ნ-ს, ხოლო ს-ს მუშტი დაარტყა და სისხლი ადენინა პირიდან, როდესაც დედისთვის დანის გამორთმევას ცდილობდა“. ბავშვების თქმით მ-ას გვერდით არ ჰქონდათ მშვიდი ცხოვრება, ვინაიდან იგი ხშირად მოდიოდა სახლში „მთვრალი“ და ეჩხუბებოდა, ანერვიულებდა ბავშვებს. აღნიშნული ფაქტები არ არის გამოკვლეული და გაქარწყლებული სასამართლოს გადაწყვეტილებაში. კასატორის მხრიდან არასოდეს ჰქონია ადგილი ბავშვებისთვის დედის შესახებ ნეგატიური წარმოდგენის შექმნას. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც არ გაითვალისწინა, რომ არასრულწლოვნებში დედის შესახებ გარკვეული ინფორმაციის ცოდნა გამოწვეულია მხოლოდ დედის მიმართ მათ მეხსიერებაში აღბეჭდილი უარყოფითი ფაქტებით და არა კასატორის მიერ დედის შესახებ უარყოფითი ფაქტების შესახებ მათი ინფორმირებით;

1.1.6. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ბავშვების აღზრდისათვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნას შეძლებს მხოლოდ მონინალმდეგე მხარე. სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს, რომელიც თითქოსდა იდენტურია სააპელაციო სასამართლოში ბავშვების მიერ დაფიქსირებული პოზიციისა. ბავშვებს სასამართლო სხდომაზე არ მიუციათ იმგვარი განმარტება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასამართლოს დაედგინა ის გარემოება, რომ არასრულწლოვნები მათთვის საუკეთესო გარემოში არ იმყოფებიან. ამის საპირისპიროდ, მათ მიერ ზეპირი ფორმითაც დადასტურებული იქნა მამასთან მიჯაჭვულობა, ემოციური კავშირი. სასამართლო თავადვე

მიუთითებს, რომ ნათელია არასრულწლოვანთა პოზიცია და აშკარად გამოხატული სურვილი, იცხოვრონ მამასთან და კატეგორიულნი არიან დედასთან ურთიერთობის ნაწილშიც, მათ არ სურთ დედის ნახვაც კი, რასაც სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას სრულად უგულვებელყოფს. სასამართლო ასევე ადგენს, რომ კასატორს მატერიალური თუ კომფორტის თვალსაზრისით უკეთესი პირობები აქვს, თუმცა ემყარება შინაგან რწმენას, რომ ბავშვების მონინალმდეგე მხარესთან ცხოვრება ნაკლებად საზიანო და უარყოფითი ემოციის გამომწვევი იქნება ბავშვისთვის ვიდრე დარჩენა მამასთან, მაშინ როდესაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და ბავშვების ახსნა-განმარტება მითითებული გარემოების დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა;

1.1.7. არასრულწლოვნებზე ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2013 წლის 28 იანვარს მიმართა კასატორმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მარნეულის რაიონულ განყოფილებას განცხადებით, სადაც სამართალდამცავ ორგანოებს ატყობინებდა არასრულწლოვნებზე დედისა და ბებუის მიერ ძალადობის შესახებ, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა გადაწყვეტილების მიღებისას, ისევე, როგორც გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ არასრულწლოვნის ნორმალურ აღზრდაზე, საზოგადოების ნევრად ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს არა მხარეთა განათლების დონე, არამედ – ბავშვებისთვის თბილი, მშვიდი ოჯახური გარემოს შექმნის შესაძლებლობა, რაც მოცემულ დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლოს უპირველეს ყოვლისა უნდა მიეღო მხედველობაში;

1.1.8. გაურკვეველია, რით იხელმძღვანელა სასამართლომ როდესაც დაადგინა, რომ მონინალმდეგე მხარის საცხოვრებელი და მატერიალური პირობები დამაკმაყოფილებელია, ვინაიდან სათანადოდ არ ყოფილა გამოკვლეული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებები, როგორიცაა მ. ჩ-ის ხელფასის, ასევე მისი ახლანდელი მეუღლის ოჯახური პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია. გასათვალისწინებელია, რომ მ. ჩ-ი ქ. მარნეულში ცხოვრობს 17.70 კვ.მ ერთთახიან ბინაში დედასთან და მეუღლესთან ერთად. ბინა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მ. ჩ-ის დედის სახელზე. მონინალმდეგე მხარის სახელზე არ ირიცხება სხვა საცხოვრებელი, სადაც იგი შეძლებდა ბავშვებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების/გარემოს შექმნას. საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და არასრულწლოვნების ახსნა-განმარტებიდან კი ირკვევა, რომ მონინალმდეგე მხარის საცხოვრებელი პირობები სრულად აკმაყოფილებს არასრულწლოვნების აღზრდის, განვითარებისა და საზოგადოების სრულფასოვან ნევ-

რად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ პირობებს;

1.1.9. ფსიქოლოგიური გამოკვლევით დადგინდა, რომ გ. ფ-ქემ, როგორც მშობელმა, მ. ჩ-ისგან განსხვავებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და მშობლებთან ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის მიზნით ნე-ბაყოფლობით დათანხმდა ფსიქოლოგთან შეხვედრას. მ. ჩ-მა კი, მოუცვლელობის გამო, უარი განაცხადა ფსიქოლოგთან ვიზიტზე. რაც შეეხება გ. ფ-ძისთვის ალიმენტის დაკისრებას, 2011 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი 2013 წლის 22 თებერვლის განჩინებით ვინაიდან არ არსებობდა გ. ფ-ძისთვის ალიმენტის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულ პერიოდში ს. და ნ. ფ-ები ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ გ. ფ-ძესთან ერთად, შესაბამისად, ბავშვების საჭიროებების უზრუნველყოფაზე ფინანსურად ზრუნავდა და ახლაც ზრუნავს მხოლოდ მამა;

1.1.10. გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას არასრულწლოვნების საზღვარგარეთ გაყვანისა და მ. ჩ-ისთვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბავშვების საზღვარგარეთ გაყვანა სასარგებლოა მათივე საუკეთესო ინტერესებისათვის, ახალი გარემოს გაცნობის, ენის უკეთ ათვისებისა და დასვენებისათვის. ამერიკაში კასატორის უფროს შვილთან ვიზიტის შემთხვევაში ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან ოჯახური, მშვიდი, უსაფრთხო და კომფორტული გარემოთი, სადაც გაატარებენ რამდენიმე დღეს არდადეგების პერიოდში;

1.1.11. 2014 წლის 24 ივნისს მ. ჩ-ი, დასვენების მიზნით, სრულიად მოულოდნელად, გ. ფ-ძის წინასწარი ინფორმირების გარეშე ერთი თვით გაემგზავრა უკრაინაში და საქართველოში დატოვა ორი მცირეწლოვანი ბავშვი, რაც არასწორად შეაფასა სააპელაციო პალატამ და მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ამის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ გააჩნდა, დაადგინა, რომ მონინა-ალმდეგე მხარის უკრაინაში ვიზიტი უკავშირდებოდა დასაქმებას და არა დასვენებას. გასათვალისწინებელია, რომ მ. ჩ-მა უარი განაცხადა მისივე შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნული ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებაზე, რითიც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მის ინტერესს არ წარმოადგენს შვილების უპირატესი ინტერესის უზრუნველყოფა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მ. ჩ-ს გ. ფ-ძის მხრიდან არასდროს შეშლია ხელი ბავშვებთან ურთიერთობაში, სასამართლომ არ გამოიკვლია დედის ურთიერთობის სიხშირე, მისი ინტერესი შვილებისადმი. 2014 წლის შემდეგ 5 წლის განმავლობაში მ. ჩ-მა სულ რამდენჯერმე გამოხატა

შვილების ნახვის სურვილი. აღნიშნული ვიზიტებიც მიზნად ისახავდა სასამართლო დავის მიმდინარეობის ეტაპზე მ. ჩ-ის მიერ ბავშვებთან გადაღებული ფოტოების სასამართლოსთვის წარმოდგენას. არასრულწლოვნებმა სასამართლო პროცესზე თავადვე დაადასტურეს, რომ დედასთან აქვთ გაუცხოვება, ვინაიდან დედა არ ნახულობს მათ. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ გ. ფ-ძე მავნე გავლენას ახდენს არასრულწლოვან შვილებზე და არამართებულად განსაზღვრავს ბავშვების დამოკიდებულებას დედის მიმართ, ასევე მამა სრულად მართავს ბავშვების სურვილებს და არასწორ ფორმირებას აძლევს მათ, მამა განაგებს მათ სურვილს და არ აძლევს საშუალებას გამოხატონ სურვილი დედასთან ურთიერთობის, რაც სრულიად უსაფუძვლოა;

1.1.12. გასაჩივრებული განჩინებით დარღვეულია ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, ასევე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნები (იხ. EElsholz v. Germany, # 25735/94, 31.07.2000, par. 52 და TK and KM v. UK № 28945/95, 10.05.2001, par.72).

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, დასაბუთებულ შედავებად განიხილება მხარის პრეტენზია, რომელიც შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტები მხარეთა მიერ შედავებული არ არის:

1.2.1. მხარეები 2005 წლიდან 2014 წლამდე იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქონწინო ურთიერთობაში. 2014 წლის მაისიდან ისინი არ ცხოვრობენ ერთ ოჯახად და არ ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას. მათ შეეძინათ ორი შვილი: 2007 წლის 15 ოქტომბერს ნ. ფ. და 2010 წლის 19 აპრილს ს. ფ.;

1.2.2. არასრულწლოვნები: ნ. და ს. ფ-ები 2014 წლის მაისამდე



ცხოვრობდნენ მ. ჩ-თან ქ. მარნეულში, ..., ბინა №29-ში. 2014 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით ნ. ფ. სწავლობდა ქ. მარნეულის №8 საჯარო სკოლაში. იმ პერიოდისათვის, ს. ფ. დადიოდა ქ. მარნეულში მდებარე საბავშვო ბაღში. არასრულწლოვნების დედასთან ცხოვრების პერიოდში, ბავშვების აუცილებელი მოთხოვნები, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და ყველა საჭირო პირობები უზრუნველყოფილი იყო;

1.2.3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მარნეულის რაიონულ განყოფილებას 2013 წლის 28 იანვარს განცხადებით მიმართა გ. ფ-ძემ, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავდა, რომ ბავშვებზე სისტემატურად ხდებოდა ძალადობა დედისა და ბებუის (დედის დედა) მიერ. შეფასების პროცესში ჩართული იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალური სამსახურის ფსიქოლოგი, რომელიც მუშაობდა არასრულწლოვნებთან მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესაფასებლად. ფსიქოლოგის დასკვნის (რასაც სოციალური მუშაკიც ეთანხმება) მიხედვით, ბავშვები დადებით ემოციებს ამჟღავნებენ მშობლებისა და ბებუის მიმართ. ნ-ის გუნება-განწყობილებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა მშობლების კონფლიქტური ურთიერთობა. ბავშვების მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელება, ბავშვებთან და მათ ბიოლოგიურ ოჯახთან მუშაობის შედეგად, არ დადასტურდა;

1.2.4. ს. ფ. მამასთან საცხოვრებლად გადავიდა 2014 წლის 22 აპრილს, ხოლო, ნ. ფ. გ. ფ-ძესთან და ს. ფ-სთან ერთად ცხოვრობს 2014 წლის 15 მაისიდან დღემდე;

1.2.5. მ. ჩ-ი 2014 წლის 24 ივნისს გაემგზავრა უკრაინის სახელმწიფო ტერიტორიაზე, სადაც ორი კომპანიის დასაკავშირებლად უნდა დასაქმებულიყო ბროკერად, თუმცა ვერ შედგა ურთიერთნამშრომლობა და მ. ჩ-ი 2014 წლის 23 ივლისს დაბრუნდა საქართველოში;

1.2.6. მ. ჩ-ი შრომისუნარიანია, მას მიღებული აქვს განათლება სამი სპეციალობით: ავიაციის ინჟინერი (მაგისტრი), ექიმი-ვეტერინარი და გიტარის კლასიკოსი. ამჟამად, იგი დასაქმებულია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „მ. ქ-ში“ ბიზნესგანვითარების ოფიცერის პოზიციაზე. მისი დასაქმების ადგილია ქ. მარნეული. ის 2004 წლიდან ძირითადად ცხოვრობს ქ. მარნეულში, თუმცა გარკვეული პერიოდულობით ცხოვრობდა ქ. თბილისშიც;

1.2.7. მ. ჩ-ი დედასთან, მეუღლესთან – ნ. შ-ძესთან და არასრულწლოვან შვილთან – 2016 წლის 15 ოქტომბერს დაბადებულ ა. შ-ძესთან ერთად ცხოვრობს ქ. მარნეულში, ... ოჯახი ცხოვრობს ერთოთახიან ბინაში, დამაკმაყოფილებელია საცხოვრებლის ზოგადი მდგომარეობა, დაცულია უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰი-

გიენური ნორმები. ოჯახის წევრებს აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსი;

1.2.8. თავდაპირველი მოსარჩელე ოთხ წელზე მეტი ცხოვრობდა საქართველოს ფარგლებს გარეთ – ჰოლანდიაში. 2004 წელს ჩამოვიდა საქართველოში. მას ჰყავს შვილი პირველი ქორწინებიდან – ლ. ფ., რომელიც რამდენიმე წელია ცხოვრობს საზღვარგარეთ – ამერიკის შეერთებულ შტატებში;

1.2.9. გ. ფ-ძე დასაქმებულია შპს „B.P.-ში“ მძღოლის პოზიციაზე და აქვს სტაბილური ხელფასი;

1.2.10. გ. ფ-ძე ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში იმყოფება მ. ც-თან. ისინი ნ. და ს. ფ-ებთან ერთად ცხოვრობენ ქ. თბილისში, ..., მე-15 კორპუსში მდებარე №13 ბინაში. საცხოვრებელი შედგება სამი ოთახისაგან, სადაც საყოფაცხოვრებო პირობები და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დამაკმაყოფილებელია. ბავშვებს აქვთ ცალკე საძინებელი, რომელშიც განთავსებულია ასაკობრივი განვითარებისათვის საჭირო ნივთები. მოსარჩელეს დაჰყავს ბავშვები სკოლაში, თვითონ უმზადებს საჭმელს, ურეცხავს და ბავშვები ყოველთვის მოვლილები არიან;

1.2.11. 2015 წლის 22 აპრილის მდგომარეობით ს. ფ. ირიცხებოდა ა(ა)იპ 27-ე საბავშვო ბაგა-ბაღის 4-5-წლიან აღსაზრდელთა ჯგუფში. ამჟამად, ნ. ფ. და ს. ფ. სწავლობენ სსიპ ქ. თბილისის №126 საჯარო სკოლაში. 2015 წელს არასრულწლოვანი ბავშვების სანახავად პერიოდულად მიდიოდა დედა, როგორც საბავშვო ბაღში არასრულწლოვან ს. ფ-სთან, ისე – საჯარო სკოლაში არასრულწლოვან ნ-თან;

1.2.12. მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გ. ფ-ძეს მ. ჩ-ის სასარგებლოდ შვილის – ნ. ფ-ძის სარჩენად სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე დაეკისრა ალიმენტის სახით ყოველთვიურად 80 (ოთხმოცი) ლარი, მასვე დაეკისრა ბავშვის მკურნალობისათვის დამატებითი ხარჯების გადახდა 212 (ორას თორმეტი) ლარის ოდენობით. მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ფ-ძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და შვილთან, არასრულწლოვან ნ. ფ-სთან ურთიერთობისათვის განესაზღვრა დროის მონაკვეთი ყოველი კვირის პარასკევს 18:00 საათიდან კვირა დღის 20:00 საათამდე. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 14 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მ. ჩ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა: გ. ფ-ძეს მ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის 200 (ორასი) ლარის გადახდა ყოველთვიურად, არასრულწლოვანი შვილის, 2010 წლის 19 აპრილს დაბადებული ს. ფ-ძის რჩენა-აღზრდისათ-

ვის, მისი სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე;

1.2.13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ჩ-ის შუამდგომლობა დროებითი განკარგულებით შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის თაობაზე: განესაზღვრა მ. ჩ-ს არასრულწლოვან შვილებთან: ს. და ნ. ფ-ებთან ურთიერთობისათვის კვირის შაბათი დღის 09:00 საათიდან 14:00 საათამდე და ყოველი კვირის კვირა დღის 09:00 საათიდან 14:00 საათამდე დროის მონაკვეთი, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლებით. სასამართლოს 2017 წლის 16 იანვრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მ. ჩ-ის შუამდგომლობა 2016 წლის 17 მარტის სასამართლოს დროებით განკარგულების შეცვლის შესახებ;

1.2.14. არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და მშობლებთან ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის მიზნით, შეხვედრა შედგა გ. ფ-ძესთან. არასრულწლოვნების დედამ კი, სატელეფონო საუბრისას უარი თქვა ფსიქოლოგთან ვიზიტზე და მიზეზად მოუცვლელობა დაასახელა. ბავშვები ორჯერ იმყოფებოდნენ ფსიქოლოგთან, თუმცა, საყურადღებოა, რომ მათ უარი თქვეს ოთახში დარჩენაზე. მამამ გამოთქვა პოზიცია ფსიქოლოგის სამუშაოსთან დაკავშირებით და ბავშვების თანდასწრებით აღნიშნა, რომ ფსიქოლოგთან ვიზიტები ატარებს ფორმალურ ხასიათს და ამ შემთხვევაში საკვლევი არაფერი იყო, ცხადზე ცხადი იყო ბავშვების სურვილი. გ. ფ-ძემ ბავშვების თანდასწრებით ისაუბრა უარყოფითი კუთხით დედის შესახებ. ფსიქოლოგის სამუშაოს მიმართ გამოხატული უნდობლობის, ამ საქმის არასერიოზულად აღქმის პირობებში, არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული ფსიქოლოგის სამუშაოს გაგრძელება და არსებული ხელისშემშლელი გარემოებების გამო ფსიქოლოგის მუშაობა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შეწყდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით, საქმეში ჩაბმულ იქნა ფსიქოლოგი და დაევალა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი ფსიქოლოგის ჩაბმულობის უზრუნველყოფა საქმის განხილვაში ამ უკანასკნელის მიერ წერილობითი ფორმით მოსაზრების (ფსიქოლოგიური გამოკვლევის) წარმოდგენის სახით. ამავე განჩინებით განემარტათ მხარეებს, რომ ისინი ვალდებული იყვნენ, ხელი შეეწყოთ ფსიქოლოგისათვის გამოკვლევის ჩატარებასა და სასამართლოს განჩინებით მისთვის დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულებაში. არასრულწლოვნების ფსიქო-ემოციური მდგომარეობისა და მათი მშობლებთან ურთიერთდამოკიდებულების შეფასების მიზნით, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგმა ჩაატარა გამოკვლევა, რომლის თანახმადაც:

i არასრულწლოვნების გონებრივი და ინტელექტუალური თავისებურებები, ლექსიკური მარაგი და ზოგადი ცოდნის დონე შესაბამეა მათ ასაკობრივ მაჩვენებლებს. ნ. ი. ემოციური დაძაბულობის ნიშნებს ავლენს, თუმცა მისი ემოციური მდგომარეობა გასულ წელთან შედარებით (ნ. და ს. 2016 წლის მაისში იმყოფებოდნენ ფსიქოლოგთან ვიზიტზე) გაცილებით უკეთესია. ს-ს ემოციური სირთულეები არ აღენიშნება, არ ვლინდება შფოთვა და დაძაბულობა. პირველ ვიზიტზე მისულ ნ-სა და ს-ს დაძაბულობა მალე მოეხსნათ, ნდობა და კეთილგანწყობაც გაუჩნდათ ფსიქოლოგის მიმართ, აქტიურად და ხალისით ჩაერთნენ გამოკვლევის პროცესში. ს-მ საკუთარი ინიციატივით ლექსიც კი წაუკითხა ფსიქოლოგს. ვიზიტის დასასრულს ს-მ დარჩენისა და თამაშის გაგრძელების სურვილიც გამოხატა, ხოლო ვიზიტის დასასრულს ბავშვები ერთხმად და ხალისით დათანხმდნენ ფსიქოლოგს კვლავ მისულიყვნენ მასთან. მეორე ვიზიტზე არასრულწლოვნები შედარებით თავშეკავებულები იყვნენ. ბავშვები მამის მიმართ ემოციურ კავშირს, ხოლო დედის მიმართ გაუცხოვებას ავლენენ. შვილისა და მშობლის ურთიერთდამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორების სრულად შესწავლა ვერ მოხერხდა, მაგრამ რამდენიმე ასეთი ფაქტორი ცხადად გამოვლინდა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გასულ წელს ერთობლივი ვიზიტების დროს, როცა ბავშვები მამის გარეშე არ რჩებოდნენ ფსიქოლოგთან, მამა ბავშვების თანდასწრებით მეტად უარყოფითად საუბრობდა დედის შესახებ. მამა აღნიშნავდა, რომ „ბავშვები როცა აბრაზებენ, მ-თან წაყვანილი აშინებს“. დედის სახელის გამოყენება, როგორც სადამსჯელო მექანიზმის, მეტად უარყოფითი გავლენის მქონეა არა მარტო მშობელი-შვილის ურთიერთობაზე, არამედ თვითონ ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც. ნ-ის გადმოცემით, ისინი დაახლოებით სამი წელია დედასთან, მ-თან ერთად ცხოვრობენ. ამბობენ, რომ ადრე სახელით მიმართავდნენ, ესლა კი დედას ეძახიან. ორივე ბავშვი აღნიშნავდა, რომ ურჩევნიათ ისევე სახელით მიმართონ და დედა არ დაუძახონ. ბოლო ვიზიტზე ბავშვებმა საუბრის დასრულებისა და წასვლის სურვილი გამოხატეს, მიზეზად კი ის გარემოება მიუთითეს, რომ „მ-ზე საუბარი არ სურთ, მის შესახებ ყველაფერი მხოლოდ ცუდი ახსოვთ, კარგი კი – არაფერი“. მსგავსი დამოკიდებულება – მხოლოდ ნეგატიურზე კონცენტრირება და ყველაფერი დადებითის უარყოფა, თავისთავად არაობიექტური და საეჭვოა. უნდა აღინიშნოს ძმებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა კვლევის პროცესზე. სახალისო დავალებების შესრუ-

ლების დროსაც კი ცხადად ვლინდებოდა ს-ს მიმბაძველობა ნ-ისადმი. ს-ს ნახატები, მისი მონათხრობი ხშირად იცვლებოდა ნ-ის მონათხრობის შესაბამისად, მით უმეტეს, დედის შესახებ საუბრისას. ნ-მა კატეგორიული უარი განაცხადა ძმის ფსიქოლოგთან მარტო დატოვებაზე;

- ii 2017 წლის 23 ივნისს ფსიქოლოგის კვლევის პროცესში უნდა შემდგარიყო ბავშვების დედასთან შეხვედრა, რაც გაუქმდა ფსიქოლოგის გადანყვეტილებით. ამ გადანყვეტილების ძირითადი მიზეზი იყო ბავშვების პოზიცია – მათ უარი თქვეს დედასთან შეხვედრაზე. ბავშვებისა და მამის პასუხების მიხედვით, შეფასებული რისკების შემდეგ ფსიქოლოგმა მიიღო გადანყვეტილება ამ შეხვედრის გაუქმების შესახებ. იმის მიხედვით, როგორი განწყობით მოვიდოდნენ ბავშვები, შესაძლოა შეხვედრა მათი ემოციური ტრავმით დასრულებულიყო. დედისადმი დამოკიდებულებას დიდწილად განსაზღვრავდა ზეგავლენა – ბავშვებისათვის მუდმივად ხდებოდა დედის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის შეხსენება. ბავშვები ფლობენ მათთვის არასაჭირო ინფორმაციას. ზეგავლენაზე მიუთითებდა მხოლოდ უარყოფით მოვლენებზე კონცენტრირება და ყველაფერი დადებითს უარყოფდა. გავლენის არსებობის პირობებში ბავშვების რეალური დამოკიდებულება მშობლებისადმი იკარგება. რომელიმე მშობელზე მუდმივად ნეგატიური ინფორმაციის მიწოდებას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობისათვის. ასევე ნებისმიერ შემთხვევაში მატრავმირებელია ბავშვებისათვის მშობელზე უარის თქმა;

1.2.15. საქმის განხილვის დროს არასრულწლოვნებზე დედის მხრიდან არ გამოკვეთილა რაიმე ნეგატიური შინაარსის ფიზიკური ძალადობის ან/და ფსიქოლოგიური ზეგავლენის კვალი. საქმეში წარმოდგენილი მამის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს მაცხოვრებელთა განცხადება არ შეიცავს მისი შედგენის თარიღს, არ ჩანს რომელი პერიოდის მდგომარეობაა ასახული, არ ირკვევა, განცხადებაში მითითებული ფაქტების მომსწრენი განცხადებაზე ხელისმომწერი პირები იყვნენ უშუალოდ თუ მათთვის ეს ამბავი გადმოცემით არის ცნობილი. ასევე, არ იკვეთება, კონკრეტულად რომელი მცხოვრები, მეზობელი რომელი ფაქტის მომსწრე გახდა და შეესწრნენ თუ არა ისინი (ან რომელიმე მათგანი) პირადად არასრულწლოვანთა მიმართ დედის მხრიდან რაიმე ძალადობრივი ქმედების გამოვლენას. დედის მხრიდან ძალადობის ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად მამამ წარმოადგინა ვიდეომასალა. აღნიშნულ ჩანაწერებთან დაკავშირებით მოსამართლის შეკითხვაზე გ.ფ-ქმმ განმარტა, რომ იგი თავად, პირადი ინიციატივით ახორციე-

ლებდა ვიდეო და აუდიოჩანაწერებს და ამის თაობაზე შესაბამისი გაფრთხილება მეორე მხარისათვის არ მიუცია, თუმცა ვიდეოჩანაწერის მიმდინარეობისას, მ. ჩ-ისათვის აღქმადი იყო ის გარემოება, რომ მისი გამოსახულებით გ. ფ-ძე ახორციელებდა ჩანწრას. რაც შეეხება სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერს, აღნიშნულის თაობაზე, მოპასუხისათვის ცნობილი არ ყოფილა. ჩანაწერებში არ იკვეთება მოპასუხის მხრიდან რაიმე ძალადობრივი ქმედების ჩადენა შეილების მიმართ. ბავშვებს არ მისდგომიათ ზიანი ან რაიმე საფრთხე არ დამუქრებიათ დედის ქცევის შედეგად. რაც შეეხება სატელეფონო საუბრის ჩანაწერს, მოპასუხის მიერ გამოთქმული სიტყვები ბავშვების მიმართ შემდეგი შინაარსით – „თქვენ დედა არ გყავთ, ნ-საც თქვენთან გამოვუშვებ“, მოპასუხისვე განმარტებით, ძლიერი ემოციური აღელვების შედეგია, რაც არ ასახავს მის რეალურ დამოკიდებულებას ბავშვების მიმართ;

1.2.16. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით, ბავშვების ფსიქოლოგიურ თუ ემოციურ მდგომარეობაზე დაყრდნობით დედასთან ჩამოყალიბებული ნეგატიური დამოკიდებულების აღმოფხვრის მიზნით, უპირველესად აუცილებელია, დედასთან ჯანსაღი ურთიერთობის არსებობა. ბავშვებმა, რომლებიც ბოლო სამი წელია დედის სურვილის საწინააღმდეგოდ, უწყვეტად ცხოვრობენ მამასთან, აუცილებლად უნდა გაითავისონ ბიოლოგიური დედის როლი, მნიშვნელობა და აუცილებლობა მათ ცხოვრებაში. საქმის განხილვის მიმდინარეობისას, არ გამოკვეთილა მ. ჩ-ის უარყოფითი პიროვნული მახასიათებელი, რაც შესაძლოა საფრთხის შემცველი ან საზიანო ყოფილიყო არასრულწლოვანთა აღზრდის პროცესში. ასევე, არ დადასტურდა მის მიერ ალკოჰოლური სასმელების ხშირად ან მომეტებული დოზით მოხმარება, რაც უარყოფითი კუთხით ეჭვს გააჩენდა დედის მავნე ჩვევების არსებობის მიმართ. ბავშვების დედასთან დაშორებას შესაძლოა საფუძვლად დაედოს მშობლის უარყოფითი პიროვნული მახასიათებლები და ბავშვზე ნეგატიური ზეგავლენის დასაბუთებული საშიშროება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. საცხოვრებელი ადგილის განსაზღვის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მხოლოდ მატერიალურ არამედ მორალურ მხარესაც;

1.2.17. შეგებებული მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერში ასახულია ნ. და ს. ფ-ების ურთიერთობა დედასთან. დედასა და შვილებს შორის ასახული ურთიერთობა ქმნის საფუძველს იმისას, რომ მ. ჩ-სა და არასრულწლოვნებს შორის აღდგეს ნორმალური, ჯანსაღი და მჭიდრო ურთიერთობა.

### 1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებ-

## რივი დასკვნები:

1.3.1. როგორც უკვე ითქვა, წინამდებარე განჩინების კვლევის საგანს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დადგენა და იმის განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რა იქნება ბავშვის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულფასოვანი წევრის ფიზიკური, გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის სასარგებლო. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მართალია, სწორად განსაზღვრა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა, არასწორად მიუსადაგა ისინი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. საკასაციო სასამართლო დასახული მიზნის მისაღწევად ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლზე, რომლითაც გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი თავადვე იძლევა ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლის დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

1.3.2. მოხმობილი კონვენცია ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხის-

მგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა დასკვნის შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, როდესაც იგი არასრულწლოვნის უფლებებს შეეხება, მიუხედავად კანონით რეგლამენტირებული ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპისა, ამოსავალი დებულება ყოველთვის ბავშვის საუკეთესო ინტერესია, რომლის უზრუნველყოფის მიზნით დაიშვება, როგორც ერთ-ერთი, ისე – ორივე მშობლის უფლების შეზღუდვა, თუკი მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა.

1.3.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმინევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დანესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვის უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა განმორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილებით



ბის თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები).

1.3.4. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ დედის საცხოვრებელი გარემო და დედასთან არასრულწლოვნების ცხოვრება ეწინააღმდეგება მათ საუკეთესო ინტერესებს და საფრთხის შემცველია შვილებისათვის. ამ მხრივ მართალია, კასატორი მიუთითებს გარკვეულ მტკიცებულებებზე, რომლებიც ძირითადად არასრულწლოვანთა განმარტებებს ემყარება, თუმცა, პალატა, მტკიცებულებათა ერთობლიობაზე დაყრდნობით ამ განმარტებებს, როგორც ინდივიდუალურად აღებულ მტკიცებულებებს არასაკმარისად და არასანდოდ მიიჩნევს, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით ასევე დადგენილია მამის მხრიდან არც თუ კეთილსაიმედო ზემოქმედება ბავშვებზე. მშობლების პირადი უთანხმოება, პირადი ხასიათის პრობლემები არ შეიძლება აისახოს ბავშვების ერთ-ერთ მშობელთან დამოკიდებულებაზე და ამ გზით დედის მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულება შეექმნათ არასრულწლოვნებს. რაიმე პირდაპირი, იურიდიულად სარწმუნო მტკიცებულება იმისა, რომ დედა საკუთარი ქცევით უარყოფით გავლენას ახდენდა შვილებზე, აპირებდა მათი სიცოცხლის მოსპობას თუ არ ზრუნავდა მათზე, არ დასტურდება, ხოლო, დედის მიმართ მტრის ხატის შექმნა, მისი ნეგატიურად მოხსენიება, მიუხედავად იმისა, ბავშვების საცხოვრებელი ადგილი რომელი მშობლის საცხოვრებლის მიხედვით განისაზღვრება, შეუძლებელია მათ საუკეთესო ინტერესებში შედიოდეს და პოზიტიურ გავლენას ახდენდეს არასრულწლოვანთა გონებრივ და ფსიქიკურ განვითარებაზე. გარდა ამისა, სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბავშვთა ჰარმონიული განვითარებისათვის, ბუნებრივია გარემო-პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, ოჯახური თანაცხოვრების თემაზე მსჯელობისას მშობლის გარემოში შვილის ცხოვრების საკითხს ვერ გადასწონის საცხოვრებელი ფართის მოცულობა, თუკი მასში დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობებია, ასევე ის, უშუალოდ დედას ეკუთვნის ეს ფართი თუ მის მშობელს. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს იმის თაობაზე, რომ დედის საცხოვრებელი გარემო წარმო-

ადგენს კეთილსაიმედოს არასრულწლოვანთათვის და მოცემული დავის ფარგლებში, განქორწინებული მშობლებისა და არასრულწლოვანთა ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის მიზნით უნდა გამოინახოს არა მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის სასარჩელო მოთხოვნაზე სწორი გადანაწევების საშუალება, არამედ, უნდა დადგინდეს მეორე მშობლის ურთიერთობის წესი ბავშვის მიმართ, თუმცა, დავა უნდა გადანაწედს არა მხოლოდ მოსამართლის, როგორც ინდივიდის პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, არამედ – ზედმინევიანით უნდა განიკარგოს სპეციალისტების – ბავშვის კანონიერი წარმომადგენლებისა და ფსიქოლოგების შესაძლებლობანი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ფსიქოლოგიურ კვლევებსა და სოციალური სამსახურების შეფასებებზე, რომელთა ერთობლივი ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ბავშვები გაუცხოებული არიან დედის მიმართ, ჩამოყალიბებული აქვთ კრიტიკულად უარყოფითი პოზიცია, რომელიც არა მხოლოდ ფაქტობრივი ვითარების, არამედ – მამის ნეგატიური გავლენის შედეგია. საკასაციო სასამართლოსათვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლოს მცდელობის მიუხედავად, ფსიქოლოგის ჩართულობით დაედგინა რაიმე ცვლილება ხომ არ იყო დედისა და შვილების ურთიერთობაში, სოციალური სამსახური შემოიფარგლა მცირე განმარტებით, რომ ცვლილება არ არის და სასამართლო უმჯობესია საქმეში ადრე წარმოდგენილი დასკვნით იხელმძღვანელოს. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას ერთ-ერთი მშობლისა და შვილების გართულებული ურთიერთობა, რა საშუალო უნდა ჩატარდეს, მათ შორის მეურვეობის ორგანოს მიერ და რა მექანიზმი არსებობს იმისა, რომ მამის მხრიდან უკვე გამოკვეთილი ბავშვთა ინტერესების არახელშემწყობი ქმედებები იქნას აღმოფხვრილი.

1.3.5. დედა-შვილებს შორის წარმოშობილი გაუცხოების აღმოფხვრის მიზნით საქმეზე მიღებულია დროებითი განკარგულება, თუმცა, ამ განკარგულების აღსრულების გზით მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი, საქმის მასალებით არ დგინდება, არ ირკვევა, არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლის, როგორც ამ კატეგორიის დავებზე გადანაწევტილებათა აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს ეფექტიანი მოქმედებები და ობიექტური, სრული დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნების არსებობა. ამგვარი მიდგომა საკითხის არაეფექტური გადანაწევტაა, რამდენადაც გართულებული ურთიერთობის ფონზე მხოლოდ რამდენიმე შეხვედრის შედეგად რეალური დასკვნის გამოტანა არასრულწლოვანთა ემოციური დამოკიდებულების თაობაზე არასაკმარისია. პა-

ლატის ამგვარი შეფასების საფუძველს სასამართლოში არასრულ-ნლოვნებთან წარმოებული გასაუბრება წარმოადგენს, სადაც არ შეინიშნება დედის მიმართ ბავშვთა ასაკის შესაბამისი ქმედებები, მათ მიერ გამოხატულ ნებას გარე ფაქტორის ზეგავლენა და არა ბავშვთა სუბიექტური აზროვნება და მათი ნამდვილი სურვილი უდევს საფუძველად. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დროებითი განკარგულების მიზნიდან გამომდინარე, იგი სადავო საკითხის თაობაზე რეალური სურათის წარმოჩენის საუკეთესო და ეფექტიან საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, საოჯახო დავაში საკითხის გამოკვლევის ქმედითი საშუალება უნდა იყოს და არ გააჩნდეს ფორმალიზმის ელემენტები. საქმეზე „Cengiz Kinic v. Turkey“ (საჩივრის № 16192/06, 6 დეკემბერი, 2011 წელი), სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. მოცემული დავა შეეხებოდა განქორწინებული მშობლის საჩივარს, სადაც მომჩივანს სასამართლომ დააკისრა ქორწინებაში დაბადებულ შვილზე მეურვეობა, თუმცა, ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადო ღონისძიებების გატარება, რათა მშობელს შეძლებოდა შვილთან ურთიერთობა. ევროსასამართლოს შეფასებით, კონვენციის მე-8 მუხლი, მართალია, პირველ რიგში, მიზნად ისახავს პირთა დაცვას ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან, თუმცა ოჯახური ცხოვრების „დაცულობის“ უფლება აგრეთვე მოიცავს პოზიტიურ ვალდებულებებსაც. ამ დებულების მიხედვით ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის დაკისრებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის განსხვავება არ არის მოცემული ზუსტი დეფინიციით. ორივე შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს შეპირისპირებულ ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფალი ფარგლებით (იხ. Keegan v. Ireland, 26 მაისი, 1994, §49, Series A n 290). რაც შეეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას – გადაადგას გარკვეული ნაბიჯები, სასამართლო იმეორებს, რომ მე-8 მუხლი მოიცავს მშობლის უფლებას, გაატაროს ღონისძიებები მის შვილთან გაერთიანების მიზნით და ხელისუფლების ვალდებულებას, განახორციელოს მსგავსი ღონისძიებები (მაგალითისთვის, იხ. Neulinger and Shuruk v. Switzerland [GC], n 41615/07, § 140, ECHR 2010 -..., Ignaccolo-Zenide v. Romania, n 31679/96, §94, ECHR 2000-I, და Nuutinen v. Finland, n 32842/96, § 127, ECHR 2000-VIII). კონვენციის მიზანია დაიცვას არა თეორიული და ილუზორული, არამედ კონკრეტული და ეფექტიანი უფლებები (იხ. mutatis mutandis, Artico v. Italy, 13 May 1980, § 33, series A no 37). ოჯახური ცხოვრების დაცულობა მოითხოვს, მშობელსა და შვილს შორის სამომავლო ურთიერთობები მოწესრიგდეს ყველა რელევანტური ფაქტორის გათ-

ვალისწინებით. მე-8 მუხლის მიხედვით, შეიძლება გათვალისწინებული იქნეს გადაწყვეტილების მიღების ხანგრძლივობა (W. v. United Kingdom, 8 ივლისი, 1987, § 65, Series A no 121, McMichael v. United Kingdom, 24 თებერვალი, 1995, §§ 87 და 92, Series A no o 307-B, da Dore v. Portugal, n o 775/08, § 45, 1-ლი თებერვალი, 2011). ამ კონტექსტში სასამართლომ აღნიშნა, რომ გატარებული ღონისძიებების ადეკვატურობა ფასდება მისი განხორციელების სიჩქარით. ნამდვილად, მშობლის უფლებასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის გადაწყვეტილებების აღსრულება, საჭიროებს დაუყოვნებლივ მიდგომას, ვინაიდან დროის გასვლას შეიძლება ჰქონდეს გამოუსწორებელი შედეგები შვილებსა და იმ მშობლებს შორის, რომლებიც მათთან ერთად არ ცხოვრობენ (Ignaccolo-Zenide, cited above, § 102; see also Pini and Others v. Romania, nos. 78028/01 and 78030/01, § 175, ECHR 2004-V). მოცემულ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხი იყო, მიიღო თუ არა ეროვნულმა ხელისუფლებამ ყველა ზომა, რომელიც მათ გონივრულად მოეთხოვებოდათ იმ სამართალწარმოების კონტექსტში, რომელიც ეხებოდა მშობლისა და შვილის ურთიერთობის აღდგენას. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მშობლებისა და ბავშვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზა არ იქნა მოთხოვნილი 2008 წლის სექტემბრამდე, შესაბამისი დასკვნები კი წარდგენილ იქნა 2008 წლის დეკემბერში, წყვილის დაშორებიდან და მომჩივნის მიერ განქორწინების მოთხოვნის წარდგენიდან დიდი ხნის შემდეგ. ექსპერტთა დასკვნების მიხედვით, მომჩივანსა და შვილს შორის ადეკვატური ურთიერთობის გარეშე დროის გასვლამ იქონია გადამწყვეტი როლი ამ უკანასკნელის მხრიდან მამის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. მართალია, სასამართლო აღიარებს, რომ ბავშვის ნახვისა და მეურვეობის უფლების ქრილში მხარეთა მიერ შეუსრულებლობა განსაკუთრებით რთულად მოსანესრიგებელია სასამართლოების მეშვეობით, თუმცა სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალები არ აჩვენებდა, რომ საოჯახო საქმეების განმხილველმა მოსამართლემ გამოავლინა ძალისხმევა, მხარეების შერიგების მიზნით ან რომ მან გადადგა ნაბიჯები, რათა ხელი შეეწყოს სასამართლო გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის. რაც შეეხება ღონისძიებებს, რომლებიც სავარაუდოდ შესაძლებელს გახდიდა მომჩივანსა და მის შვილს შორის ოჯახური კავშირის აღდგენას, სასამართლომ გაიმეორა, რომ ამ სენსიტიურ სფეროში ბავშვებთან მიმართებით იძულებითი ღონისძიებების გამოყენება მართალია არ არის სასურველი, თუმცა, სანქციების გამოყენება არ უნდა გამოირიცხოს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს, ცალსახად უკანონოდ იქცე-

ვა (Maire v. Portugal, n o 48206/99, § 76, ECHR 2003-VII). სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს პოზიტიური ღონისძიებები, რომლებიც მშობლის შვილთან ურთიერთობის აღდგენის შესაბამისია არ არის აბსოლუტური. მიუხედავად ამისა, ამ პროცესში ჩართული ყველა პირის თანამშრომლობა და შეხედულებები მთავარი გასათვალისწინებელი ფაქტორია (Maumousseau and Washington v. France, no 39388/05, § 83, 6 December 2007).

1.3.6. ზემოხსენებული განმარტებების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეჭვქვეშ აყენებს გასაჩივრებული განჩინების აღსრულებადობის საკითხს. საკასაციო სასამართლო, ზემოთ განხილული, გადაუჭრელი პრობლემების პარალელურად მხედველობაში იღებს ბავშვების ამჟამინდელ კატეგორიულ დამოკიდებულებას დედასთან ცხოვრების მიმართ და მიუხედავად იმისა, ეს დამოკიდებულება გამონეწეულია სობიექტური თუ იბიექტური ფაქტორებით, ვითარების სხვაგვარად შეცვლამდე, არამართებულად მიიჩნევს დედისათვის შვილების დაუყოვნებლივ გადაცემას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათი (სსსკ-ის 266-ე მუხლი) ვლინდება არა მხოლოდ სასამართლო პროცედურების დასრულებაში, არამედ, მიღებული გადაწყვეტილება დარღვეული/სადავო უფლებების ეფექტიანი დაცვის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, რათა გადაწყვეტილებით საბოლოოდ აღმოიფხვრას სამართლებრივი ურთიერთობის ხარვეზი და მიღებული სიკეთე ეფექტიანი და ხელმისაწვდომი იყოს მისი სუბიექტებისათვის. სხვაგვარად სამართალწარმოების მიზანი ვერ იქნება განხორციელებული, ხოლო დარღვეული უფლება – აღდგენილი. მოცემული დავის აღსრულებადობის საკითხზე მსჯელობისას საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ბავშვების რეალურ სურვილზე და ამ გზით გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობაზე (დამატებით იხ. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება „ნ. წ. საქართველოს წინააღმდეგ“. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არასრულწლოვანთა მიმართ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია მათი მამისათვის გადაცემა იმ პირობებში, როდესაც დედის გარდაცვალების შემდეგ არასრულწლოვნები ცხოვრობდნენ დეიდასთან და მათ, მტრული დამოკიდებულების გამო, არ ჰქონდათ სურვილი მამასთან საცხოვრებლად გადასვლის, რომელმაც მოიხადა სასჯელი (პირობითი მსჯავრი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა), ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისაგან თავის დასაღწევად ჩართული იყო ე.წ „მეტადონის პროგრამაში“, ასევე აღარ აღენიშნებოდა პიროვნული აშლილობის ნიშნები).

1.3.7. საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, წინამდებარე განჩინებით არ ცდილობს რაიმე ფორმით შეზღუდოს სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლით აღიარებული რომელიმე მშობლის ინტერესი, უფრო მეტიც, პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის მრავლისმომცველ უფლებაზე, თუმცა მიიჩნევს, რომ ყოველგვარი რისკი, რომელიც არასრულწლოვანთა ნორმალურ განვითარებას შეიძლება შეეხოს, უნდა იქნეს გამორიცხული. ამ მხრივ სასამართლოს მხედველობაში აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასანეგ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (Cyliz v. the Netherlands). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორწინებამდე ერთად, ერთ სახელში ცხოვრობდნენ (inter alia, Olsson v. Sweden (no. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130). კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ

ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნეს შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვართან (Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands, 2005 წლის პირველი დეკემბერი). კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს. ამ კონტექსტში, მე-8 მუხლის არსებითი მიზანია პირის დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან დისკრეციული ქმედებისაგან. გარდა ამისა, ოჯახური ცხოვრების ეფექტურ „პატივისცემას“ ახასიათებს პოზიტიური ხასიათის ვალდებულებები. მე-8 მუხლი მოიცავს მშობელთა უფლებას, მიიღონ ზომები, რაც საშუალებას მისცემს მათ, ხელახლა გაერთიანდნენ თავიანთ შვილებთან, და ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას, განახორციელონ შესაბამისი ქმედებები. ეს ასევე ეხება იმ შემთხვევებს, სადაც ბავშვებთან კონტაქტთან და საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული დავები წარმოიშობა მშობლებსა და/ან ბავშვების ოჯახის სხვა წევრებს შორის. თუმცა, ეროვნული ხელისუფლების ვალდებულება, განახორციელოს ღონისძიებები ოჯახის გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით, არ არის აბსოლუტური ხასიათის. მშობლის იმ ბავშვთან ხელახალი გაერთიანება, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობს სხვა პირებთან ერთად, შეიძლება ვერ მოხდეს დაუყოვნებლივ და ამ მიზნის მისაღწევად შესაძლოა საჭირო გახდეს მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. ამგვარი მომზადების ხასიათი და მასშტაბი დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის გარემოებებზე, თუმცა, ყველა დაინტერესებული მხარის გაგება და თანამშრომლობა ყოველთვის იქნება ამ პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. ეროვნულმა ხელისუფლებამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მიმართოს ამგვარი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ამ სფეროში ძალდატანების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება უნდა შეიზღუდოს, რადგან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები, ასევე, უფლებები და თავისუფლება და განსაკუთრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მისი უფლებები. თუკი მშობელთან კონტაქტი საფრთხეს უქმნის ამ ინტერესებს ან აბრკოლებს ამ უფლებების განხორციელებას, ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელია შექმნას სამართლიანი ბალანსი. ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს (იხ. „ნ. ნ.

და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“). საკასაციო პალატა არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხზე მსჯელობისას მიიჩნევს, რომ სასამართლო არ არის შეზღუდული, დავის გადაწყვეტისას დაადგინოს ასევე იმ მშობლის ურთიერთობის წესი შვილებთან, რომელთანაც არ ექნებათ ბავშვებს მუდმივი საცხოვრებელი, რათა მშობლების დაშორების მიუხედავად, ბავშვებს ჰქონდეთ ოჯახური გარემო და შეძლონ ამ მოცემულობაში თანაბარი ურთიერთობა ორივე მშობელთან. ეს საკითხი საერთოდ არ შეფასებულა ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან, მაშინ, როდესაც საკასაციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკით ამგვარი მიდგომა მსგავსი კატეგორიის არაერთ საქმეში იქნა გამოყენებული.

1.3.8. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლის დისპოზიციაზე, რომლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ბავშვის აღზრდის საკითხზე მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლის საკანონმდებლო აღიარების სწორი აღქმა ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას ეკისრება ვალდებულება, აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რა წარმომადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამ პროცესში წარმომადგენლობა პასიური ქმედებებით არ შემოიფარგლება და არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩასატარებელი სამუშაოს ფორმალურ შესრულებაზე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა გააცნობიეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ დაკისრებული მოვალეობანი. მან ეფექტური გზით უნდა განიოს სათანადო მუშაობა დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამგვარად კი, ვერ იქნება განხილული წინამდებარე საქმეზე სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედებები.

1.3.9. კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეფასებას ექვემდებარება ასევე დედისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის საკითხი. კასატორი მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნის უარყოფა არ არის დასაბუთებული. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის წაყენე-



ბისას მოსარჩელეს ეკისრება შეზღუდვის აუცილებლობის მტკიცების ტვირთი. კასატორს სურს, ნება დაერთოს მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე შეძლოს შვილების საზღვარგარეთ გაყვანა და ამას ბავშვების განვითარების, ასევე, მათი ნახევარძმის გაცნობის სურვილით ასაბუთებს, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც ბავშვების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება დარღვეულია დედის მიმართ და ბავშვები მისი გარემოსგან მოშორებით იზრდებიან, ამ საკითხის გადანყვეტამდე დედისათვის უფლებების შეზღუდვა, რომლის ლეგიტიმურ საფუძველზეც ვერ მიუთითებს კასატორი, ვერ იქნება მხოლოდ საზღვარგარეთ გაყვანით გადანონილი, მით უფრო, როდესაც მისი განმარტებით, ბავშვების ნახევარძმა არასრულწლოვნებზე უფროსია, ამასთან კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლების უზრუნველყოფის კონტექსტში რატომაა შეუძლებელი მისი საქართველოში ჩამოყვანა, არ არის ახსნილი საკასაციო საჩივარში.

#### **1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალური დასაბუთება:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შეაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

#### **2. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დანყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განა-

წილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **3. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოდგენს ფაქტების დამდგენ ინსტანციას, ახალი მტკიცებულებების წარდგენა დაუშვებელია, რაც შეეხება საქმეში უკვე არსებულ დოკუმენტებს, მათი განმეორებით წარდგენა არ ემსახურება კანონის მიზნებს. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მონინააღმდეგე მხარემ საკასაციო პასუხს დაურთო საჯარო რეესტრის ამონაწერები, თუმცა, ზემოხსენებული მიზეზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა უარს აცხადებს მათ მიღებაზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, უბრუნებს ამ დოკუმენტებს მხარეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 104-ე, 407-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. მ. ჩ-ს დაუბრუნდეს საკასაციო პასუხზე დართული მტკიცებულებები 4 (ოთხი) ფურცლად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **3. მუშალებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობანი**

#### **ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ**

##### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1445-2019

24 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: **ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. ი. ტ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან სარჩენი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ტ-ის (შემდგომში – მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე ან ალიმენტვალდებული პირი) მიმართ, მოპასუხისათვის 2015 წლის 31 ივლისიდან სარჩელის აღძვრამდე – 2018 წლის 31 ივლისამდე ყოველთვიური ალიმენტის სახით 350 ლარის, ხოლო, სარჩელის აღძვრიდან 500 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოპასუხე მოსარჩელისა და ჟ. ტ-ის საერთო შვილია. მოსარჩელე არის ომის ვეტერანი და აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა (თავის ტვინის სხვა სისხლძარღვოვანი სინდრომები ცერებროვასკულარული ავადმყოფობის დროს, ჰემორაგიული ინსულტი, მედიალური ინტრაცერებრული ჰემატომა მარჯვენა ჰემოსფეროში, ქერქვეშა ბირთვების საპროექციო არეში, მარცხენამხრივი ღრმა დისოციურული ჰემიპარეზი პლეგიით ხელში, არტერიული ჰიპერტენზია). 2008 წლის 12 მარტს მან მოპასუხეს აჩუქა 105 კვ.მ შენობა 200 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად. აღნიშნულ ფართში ფუნქციონირებდა მაღაზია, რომელიც ოჯახის ერთადერთ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ, მოპასუხე საშუალებას მისცემდა ოჯახის წევრებს, ესარგებლათ აღნიშნული ფართით. მოსარჩელეს

ჰყავს მეორე შვილი, 1986 წელს დაბადებული კ. ტ-ი, რომელიც მშობლებთან ერთად ცხოვრობს ქ. თბილისში, ... (ყოფილის ... ქ. №26). დღესდღეობით მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება 84 კვ. მ. უძრავი ქონება. კ. ტ-ი იხდის კომუნალურ გადასახადებს, ყიდულობს მოსარჩელისათვის მედიკამენტებს და საკუთარ თავზე იღებს ოჯახის მოვლა-პატრონობისათვის ყველა აუცილებელ ხარჯს. გარდა ამისა, კ. ტ-ს ჰყავს ოჯახი – მეუღლე და ორი არასრულწლოვანი შვილი. 2013 წელს მოპასუხემ მეორედ იქორწინა ბ. ჩ-ძეზე. მოპასუხემ დააპირა მამის მიერ ნაჩუქარი ფართის გაყიდვა, რაც მხარეთა შორის სასამართლოში დავის საფუძველი გახდა, კერძოდ, ი. ტ-მა სარჩელი აღძრა ნ. ტ-ის მიმართ, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. ნ. ტ-ი იღებს სარგებელს გაქირავებული ფართიდან, რომელსაც ამჟამად ქირაობს ინდ. მენარმე თ. მ-ი. აღნიშნულის შედეგად, მოსარჩელე ვეღარ იღებს შემოსავალს. მოპასუხე ყურადღებას არ იჩენს შრომისუვნარო მამის მიმართ, რომელსაც აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა. მოსარჩელე იღებს პენსიას 200 ლარს, რომელიც არ არის საკმარისი სასიცოცხლოდ აუცილებელი ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად და ვერ ფარავს ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხებს. მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მოპასუხეს დახმარების თხოვნით, თუმცა უშედეგოდ. მან ორჯერ გადაიტანა ინსულტი, პირველად 2015 წელს, ხოლო მეორედ – 2017 წლის დეკემბერში, რის შემდეგაც მეტად დამძიმდა მისი მდგომარეობა. ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის ესაჭიროება რეაბილიტაციის კურსის გავლა, რომელიც გრძელდება რამდენიმე თვის განმავლობაში. აღნიშნულის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 300 ლარს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტების შესაძენად ყოველთვიურად ესაჭიროება დაახლოებით 200 ლარი. მოპასუხეს ჰყავს ერთი სრულწლოვანი, შრომისუვნარიანი შვილი, შესაბამისად, მის კმაყოფაზე არავინ იმყოფება. გარდა ამისა, მას აქვს კარგი ფინანსური მდგომარეობა: ზემოთ ხსენებული ფართის გაქირავებით იღებს გარკვეულ შემოსავალს, ასევე მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ში“, საიდანაც ხელფასისა და პრემიების სახით ასაღები ყოველთვიური შემოსავალი დაახლოებით 1 300 ლარს შეადგენს.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელე არ არის შრომისუვნარო და ლოგინად ჩავარდნილი, როგორც ამას თავად ამტკიცებს. იგი მონაწილეობდა ამავე მხარეთა შორის არსებულ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში. გარდა ამისა, ხელმძღვანელობდა სახლში მიმ-

დინარე სარემონტო სამუშაოებს და ფიზიკურადაც ეხმარებოდა ხელოსნებს. ი. ტ-ი საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილის გაქირავებით იღებს შემოსავალს. მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებას არავითარი წინაპირობა არ ჰქონია და დასაჩუქრებულს არ ევალებოდა რაიმე მოქმედების შესრულება. ნაჩუქარი ქონება წარმოადგენდა მშენებარე ობიექტს, ამდენად, იგი ვერ იქნებოდა მოსარჩელისა და კ. ტ-ისათვის შემოსავლის წყარო. შენობამ მალაზიის ფუნქცია შეიძინა მას შემდეგ, რაც მოპასუხემ გარკვეულ ეტაპამდე მიიყვანა მშენებლობა. აღნიშნულ ქონებაზე მიმდინარე დავაზე მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება, სადაც დავის საგანს წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება. ხსენებული უძრავი ქონების პირველ სართულს აქვს საცხოვრისის ფუნქცია და მასში დღეის მდგომარეობით ცხოვრობს მოპასუხის სრულწლოვანი შვილი. ზემოთ მითითებული საქმის განხილვისას, ი. ტ-ის წარმომადგენელმა დაადასტურა სახლის ნაწილის გაქირავებით გარკვეული შემოსავლის – 600 ლარის მიღების ფაქტი და განმარტა, რომ აღნიშნული თანხა არასაკმარისია მკურნალობის საჭიროების მქონე პირისათვის. მოპასუხეს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, მისი დიაგნოზა ფარისებური ჯირკვლის II სტადია (II კლინიკური ჯგუფი), ოპერაციის და იოდოთერაპიის შემდგომი პერიოდი პათომორფოლოგიით: №13/791 ფარისებური ჯირკვლის პაპილური კარცინომა. აღნიშნული დაავადებიდან გამომდინარე საჭიროებს 3-4 თვეში ერთხელ გამოკვლევების ჩატარებასა და მედიკამენტოზურ მკურნალობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რისთვისაც საჭიროა დაახლოებით 300-დან 400 ლარამდე. მასვე აღებული აქვს კრედიტი მამის მიერ ნაჩუქარი სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და კეთილმოწყობისათვის, რომლისთვისაც ყოველთვიურად 450 ლარს იხდის. მოპასუხე დასაქმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ ოპერატიული მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის (დისპეტჩერის) თანამდებობაზე და მისი დარიცხული ხელფასი შეადგენს 1 000 ლარს. ის მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ქ. რუსთაველაში, ... მდებარე №20 ბინაში. მიუხედავად ასაკისა, მოსარჩელე შრომისუნარიანია, იღებს შემოსავალს არა მხოლოდ კუთვნილი სახლის გაქირავებით, არამედ პენსიის სახითაც, რომელიც 200 ლარზე გაცილებით მეტია (დამატებით იღებს ომის ვეტერანობისათვის დადგენილი ოდენობის თანხასაც), ამასთანავე, სარგებლობს სახელმწიფო შეღავათებით.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ალიმენტის სახით ყოველთვიურად 500 ლარის დაკისრება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

##### **1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:**

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სრულწლოვანი ქმედუნარიანი შვილისათვის მშობლის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების წინაპირობების არსებობა. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით ჩათვალა, რომ მოსარჩელე ვერ ამტკიცებდა მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობის არებობას, რასაც არ ეთანხმება კასატორი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამოწმებს. ამ მხრივ უპირველესად პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო განაცხადის თა-

ნახმად, ი. ტ-ი გასაჩივრებული განჩინების შეცვლას მხოლოდ მიმდინარე ალიმენტის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში მოითხოვს. საკასაციო საჩივრის თანახმად კი:

– მოსარჩელე მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრებას მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის საფუძველზე, რამდენადაც, სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის ცნობის თანახმად, კასატორი არის შრომისუუნარო, მას აქვს მნიშვნელოვნად გამოხატული შრომის უნარის შეზღუდვა, ამავე გარემოებას ადასტურებს მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო ცნობები, ვეტერანისა და საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის მოწმობები (ამ უკანასკნელი დოკუმენტის თანახმად, კასატორი იყო 30 კვ. ზონაში ლიკვიდატორი. საერთაშორისოდაა ცნობილი ის ფაქტი, რომ ხსენებული წარმოადგენს ყველაზე მაღალი რისკის მქონე ზონას), ასევე ის ფაქტი, რომ მან ორჯერ გადაიტანა ინსულტი და გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე მსჯელობისას იყენებს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლს და არ მიიჩნევს მას შრომისუუნაროდ, რაც არასწორია, რადგანაც ხსენებული საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა ფორმა №100-ით დასტურდება;

– კასატორი საჭიროებს მატერიალურ დახმარებას, მისი შემოსავალი ჩერნობილელის სტატუსის დანამატიანად თვეში 222 ლარს შეადგენს, მეუღლესთან ერთად გამოტანილი აქვს საპენსიო სესხი და მომდევნო 4 წლის განმავლობაში მისაღებ დახმარებასაც ვერ განკარგავს საკუთარი შეხედულებისამებრ. ცხოვრობენ სარდაფში, ნესტიან და უჰაერო ბინაში, რომელსაც მეტრის სიმაღლის კიბით უნდა დაუკავშირდე;

– მონინალმდეგე მხარემ თავადვე დაადასტურა, რომ მშობლების დახმარებით გაიკეთა ოპერაცია. ამის შემდგომ მას სერიოზული მკურნალობა აღარ დასჭირვებია, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოადგენდა შესაბამის მტკიცებულებებს. მოპასუხეს გააჩნია მატერიალური შემოსავალი, რაც დაადასტურა სასამართლომაც, კერძოდ, მას ფართი მიქირავებული აქვს თ. მ-ზე, რომელიც ინდივიდუალურ მენარმედაა რეგისტრირებული და იურიდიულ მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, ... ხსენებული ფართი წარმოადგენს 76 კვ. მეტრს და მოპასუხის შემოსავალი საშუალოდ 1 500 ლარს შეადგენს. ამ მხრივ სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები და მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად არას-

ნორად არ დაადგინა ფართის გაქირავების გზით მოპასუხის მიერ შემოსვლის მიღების ფაქტი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მოპასუხეს არც შესაგებელში და არც შემდგომ უარუყვია ფართის გაქირავების შედეგად თანხის მიღება, რომელიც კომერციული დანიშნულების ობიექტია, გარდა ამისა, მოსარჩელისათვის ობიექტურად ხელმიუწვდომელი იყო ყოველთვიური ჩარიცხვების დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვება;

– სააპელაციო პალატამ დამატებითი გადანყვეტილებით აპელანტს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ დააკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯის – 800 ლარის გადახდა. მართალია, ხსენებული რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით, თუმცა, პროცესის ხარჯებს, ამავე კოდექსის 249.5 მუხლის თანახმად, განსაზღვრავს გადანყვეტილების მიმღები სასამართლო, შესაბამისად, სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, დაექმყოფილებინა მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, დასაბუთებულ შედავებად განიხილება მხარის პრეტენზია, რომელიც შეიცავს მითითებას იმ პროცესულურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. ამდენად, საკასაციო პალატის წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1.2.1. მოსარჩელე მეუღლესთან – ყ. ტ-თან და შვილებთან: ნ. ტ-თან და კ. ტ-თან ერთად ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... 2013 წელს მოპასუხე დაქორწინდა ბ. ჩ-ძეზე და ამჟამად მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ქ. რუსთავეში, ..., ბინა №20-ში;

1.2.2. მოსარჩელე, მისი მეუღლე და მათი სრულწლოვანი შვილი კ. ტ-ი ამჟამადაც ცხოვრობენ ქ. თბილისში, ... კ. ტ-ს ჰყავს მეუღლე და ორი არასრულწლოვანი შვილი. იგი დასაქმებულია და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება მამას ფინანსურად;

1.2.3. 2008 წლის 12 მარტს მოსარჩელემ ჩუქების ხელშეკრულებ-



ბის საფუძველზე გადასცა ნ. ტ-ს ქ.თბილისში, ... და ... ქუჩების კუთხეში მდებარე შენობა-ნაგებობა №1 (მშენებარე), №2, №3 (ს/კ №...); აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მხარეთა შორის მიმდინარეობს დავა სასამართლოში უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით. ამ ფართში ცხოვრობს ნ. ტ-ის სრულწლოვანი შვილი;

1.2.4. 2013 წლის შემდეგ ოჯახის წევრებს: ი. ტ-ს, ყ. ტ-ს, კ. ტ-სა და ნ. ტ-ს შორის ურთიერთობა უკიდურესად გართულდა. მხარეთა შორის დღემდე კონფლიქტური დამოკიდებულებაა;

1.2.5. 1971 წლის 25 იანვარს დაბადებული ნ. ტ-ი არის ი. ტ-ისა და ყ. ტ-ის შვილი;

1.2.6. მოსარჩელე არის საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის წევრი, ვეტერანი. სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მიხედვით, 2015 წლის აგვისტოდან 2018 წლის 11 ოქტომბრამდე მას შემოსავლები არ უფიქსირდება. მოსარჩელის პენსიის ოდენობა შეადგენს მხოლოდ ასაკით პენსიონერისათვის გათვალისწინებულ 200 ლარს, სხვა სახელმწიფო შეღავათებით იგი არ სარგებლობს და არც ქონების გაქირავების გზით არ აქვს დამატებითი შემოსავალი;

1.2.7. ი. ტ-მა ორჯერ, 2015 წელსა და 2017 წლის დეკემბერში გადაიტანა ინსულტი. მედიცინის მუშაკების მიერ დასმული დიაგნოზის თანახმად, მას აღენიშნება: თავის ტვინის სხვა სისხლძარღვოვანი სინდრომები (ცერებროვასკულარული ავადმყოფობის დროს, ჰემორაგიული ინსულტი, მედიალური ინტრაცერებრალური ჰემატომა მარჯვენა ჰემისფეროში, ქერქქვეშა ბირთვების საპროექციო არეში, მარცხენამხრივი ღრმა დისოცირებული ჰემიპარეზი პლეგიით ხელში, არტერიული ჰიპერტენზია, ჰემორაგიული ინსულტების (2015 წ., 2017 წ.) შემდგომი მდგომარეობა, მარცხენამხრივი ჰემიპარეზი მნიშვნელოვნად გამოხატული დიზარტრია. ი. ტ-ი საჭიროებს მედიკამენტოზურ მკურნალობას;

1.2.8. ნ. ტ-ს ასევე აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მას აღენიშნება ფარისებური ჯირკვლის Cr T2N0M0 II სტადია, მეორე კლინიკური ჯგუფი, პათომორფოლოგიით №13/791 ფარისებური ჯირკვლის პაპილური კარცინომა, კისრის მარჯვენამხრივი მწვავე ლიმფადენოპათია. აღნიშნულის მკურნალობის მიზნით, 2013 წლის 27 სექტემბერს ნ. ტ-მა ჩაიტარა ფარისებური ჯირკვლის ტოტალური რეზექცია პაპილური კიბოს გამო, ამავდროულად ნოსტრის იმპლანტაციის მიზნით, 2013 წლის 27 სექტემბერს ნ. ტ-მა ჩაიტარა ფარისებური ჯირკვლის ტოტალური რეზექცია პაპილური კიბოს გამო, ამავდროულად ნოსტრის იმპლანტაციის მიზნით, 2013 წლის დეკემბერში ჩაუტარდა რადიოაქტიური იოდით, მიღებული აქვს იოდ -131 100 mci, 2013 წლის დეკემბერში ჩაუტარდა რადიოაქტიური იოდით მკურნალობა დოზით 100 მილიკიური;

1.2.9. მოპასუხე დასაქმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს სსიპ „112-ის“ ოპერატიული მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის (დისპეტჩერის) პოზიციაზე და მისი ანაზღაურება 2015 წელს შეადგენდა 995 ლარს, 2016 წლიდან მოპასუხის დარიცხული ხელფასის ანაზღაურება ყოველთვიურად შეადგენს 1000 ლარს. სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მიხედვით, ნ. ტ-ს 2015 წლის აგვისტოდან 2018 წლის 11 ოქტომბრამდე უფიქსირდება ინფორმაცია მიღებული შემოსავლების შესახებ. მიღებული შემოსავალი 2015 წლის 31 ივლისიდან შეადგენს: აგვისტოში – 1 120 ლარს, სექტემბერში – 1 255 ლარს, ოქტომბერში – 1 187.5 ლარს, ნოემბერში – 1 120 ლარს, დეკემბერში – 1 505 ლარს, 2016 წლის იანვარში – 1 120 ლარს, თებერვალში – 1 463.71 ლარს, მარტში – 1 324.09 ლარს, აპრილში – 1 318.18 ლარს, მაისში – 1 246.59 ლარს, ივნისში – 1 246.59 ლარს, ივლისში – 1 246.58 ლარს, აგვისტოში – 1 175 ლარს, სექტემბერში – 1 246.59 ლარს, ოქტომბერში – 1 246.59 ლარს, ნოემბერში – 1 175 ლარს, დეკემბერში – 1 443.18 ლარს, 2017 წლის იანვარში – 1 175 ლარს, თებერვალში – 1 071.59 ლარს, მარტში – 1 350 ლარს, აპრილში – 1 098.76 ლარს, მაისში – 1 364.35 ლარს, ივნისში – 1 485.36 ლარს, ივლისში – 1 127.58 ლარს, აგვისტოში – 1 000 ლარს, სექტემბერში – 1 063.78 ლარს, ოქტომბერში – 1 000 ლარს, ნოემბერში – 1 273 ლარს, დეკემბერში – 1 530.29 ლარს, 2018 წლის იანვარში – 1 000 ლარს, თებერვალში – 1 063.79 ლარს, მარტში – 1 068.19 ლარს, აპრილში – 1 000 ლარს, მაისში – 1 336.38 ლარს, ივნისში – 1 336.38 ლარს, ივლისში – 1 268.18 ლარს, აგვისტოში – 1 255.69 ლარს;

1.2.10. თ. მ-ი რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მენარმედ და მის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, ...; ამავე მისამართზე მდებარე, მოპასუხის კუთვნილი 76 კვ.მ (მეორე სართულზე 44 კვ.მ და მესამე სართულზე 32 კვ.მ) უძრავი ქონების ყოველთვიური საიჯარო ქირის ღირებულება, მოქმედი საბაზრო ფასების გათვალისწინებით, შეადგენს 500 ლარს;

1.2.11. მოპასუხეს ერიცხება სხვადასხვა მოცულობის საკრედიტო დავალიანებები სს „თ. ბ-თან“, სს „კ. ბ-თან“, სს „ს. ბ-თან“, შპს მისო „რ. ე-თან“, სს „ვ.ბ.ჯ-თან“. აღნიშნული საბანკო დავალიანებების დასაფარად იგი ყოველთვიურად იხდის 450 ლარს.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტებს ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადან-

ყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით, საკასაციო პალატა უპირველესად რამდენიმე სამართლებრივ საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას, ხოლო, შემდგომ მოახდენს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სუბსუმირებას მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებთან:

1.3.1. საკასაციო სასამართლოს მხრიდან შეფასებას ექვემდებარება სრულწლოვანი შვილისათვის მშობლის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრება. ხსენებულ მოთხოვნას არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, ასევე, 1219-ე მუხლი. მოხმობილი ნორმების თანახმად, შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუუნარო მშობლის რჩენაში, რომელიც დახმარებას საჭიროებს, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხის სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შვილის მიმართ. განსახილველი ნორმები ადგენენ შვილების მატერიალური პასუხისმგებლობის ელემენტებს მშობლების მიმართ და საოჯახო სამართლით დადგენილი ამ ვალდებულების წინაპირობების სწორად და ზუსტად განსაზღვრისას, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არა ნორმათა სიტყვასიტყვითი, არამედ – ისტორიული განმარტების მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული. პალატა მიიჩნევს, რომ კერძო სამართლის ნორმები, განსაკუთრებით კი, საოჯახო სამართლის დანაწესები საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალური სტანდარტების შესაბამისად უნდა განიმარტოს და სადავო ურთიერთობის კანონის ჩარჩოებში მოქცევისას მხედველობიდან არ უნდა იქნეს გამორჩენილი ის მორალური კატეგორია, რომელიც საკანონმდებლო მოწესრიგებას დაედო საფუძვლად. საქართველოში დამკვიდრებული ქცევის წესია სრულწლოვანი შვილის მიერ დახმარების საჭიროების მქონე მშობლისათვის როგორც ფიზიკური, ისე – მატერიალური დახმარების განევის აუცილებლობა, სწორედ ამაზე მეტყველებს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის პირველი ნაწილი რაც შეეხება ალიმენტის დაკისრებას, ამავე ნორმის მე-2 ნაწილი სწორედ ზემოხსენებული სტადარტის ფარგლებშია განსამარტი, რაც გულისხმობს შემდეგი წინაპირობების არსებობას: მარჩენალსა და სარჩენს შორის საოჯახო სამართლით განსაზღვრული მშობლისა და შვილის ურთიერ-

თობას; შვილი/მარჩენალი უნდა იყოს სრულწლოვანი და შრომისუნარიანი; სარჩენი უნდა საჭიროებდეს მატერიალურ დახმარებას და ამავდროულად უნდა იყოს შრომისუნარო. ამ უკანასკნელ წინაპირობასთან მიმართებით, კანონის სწორი გაგებისათვის არა მისი სიტყვასიტყვითი აზრი, არამედ, კონკრეტულ შემთხვევაში, მისი მიზანი და რეგულირების სფერო უნდა შეფასდეს. საკითხი ეხება სრულწლოვანი შვილის ვალდებულებას, გაუწიოს დახმარება მშობელს, რომელიც ამას საჭიროებს და შრომისუნაროა, რაც არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სოციალური და სხვა მაჩვენებლებიდან გამომდინარეობს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ხანდაზმულია, ჩერნობილელია, აქვს გადატანილი არაერთი დავადება და აქვს ჯანმრთელობის საკმაოდ მძიმე მდგომარეობა. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონს, დასაქმების ბაზარს, მით უფრო ხანდაზმული პირების შეუძლებლობას, გარდა სახელმწიფო გასაცემელისა იქონიონ სხვა შემოსავალი, ასევე იმას, რომ ამ საქმეში ალიმენტის მიღების უფლების მქონე პირს რაიმე შემოსავალი, გარდა პენსიისა არ უდასტურდება და მიიჩნევა, რომ ნორმის წინაპირობები პრეზუმირებულია, ამ პრეზუმციის გაქარწყლება კი, მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენს.

1.3.2. რაც შეეხება სარჩოს ოდენობის სასამართლოს მიერ განსაზღვრას, ამ შემთხვევაში, კანონმდებლის ნება კვლავ შვილების ზნეობრივი ვალდებულებითაა განპირობებული და ივარაუდება, რომ შვილები, რომელთა მიმართაც მშობელს არ შეაქვს სარჩელი, ამ ვალდებულებას ნებაყოფლობით ასრულებენ, რაც სარჩოს განსაზღვრისას ანგარიშგასანევია და მოპასუხედ დასახელებული პირისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობაზე ეს ფაქტორი გავლენას ახდენს, ისევე, როგორც ალიმენტვალდებულის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა.

1.3.3. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას მტკიცების თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ შვილის შემოსავლების მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, ეკისრება მოსარჩელეს, რომელიც ვალდებულია წარადგინოს უტყუარი მტკიცებულებები. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი აპელირებს იმ ფაქტზე, რომ მას არ შეეძლო პირდაპირი მტკიცებულების მოპოვება და ამგვარი ვალდებულების დაკისრებით მას დაუძლეველ ტვირთს უდგენს სასამართლო, თუმცა, პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით ხსენებულ პრეტენზიას უარყოფს. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონება წარმოადგენს

მესამე პირის, როგორც ინდივიდუალური მენარმის იურიდიულ მისამართს, მხოლოდ ხსენებული მართლაც არ შეიძლება კონკრეტული ოდენობით შემოსავლის მიღების მტკიცებას დაედოს საფუძვლად. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ მოპასუხის მხრიდან შემოსავლების მიღების ფაქტთან დაკავშირებით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები. ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც სასამართლო განსაზღვრავს მტკიცების საგანს და გაანალიზებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს, შეჯიბრებითობის ხელმძღვანელობით მოპოვებულ მტკიცებულებებს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად უნდა მიეცეს შეფასება. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოპასუხეს, გარდა შრომის ანაზღაურებისა, შემოსავლის წყაროს არსებობა უდასტურდება, კერძოდ, უდავოა, რომ მამისგან საჩუქრად მიღებული უძრავი ქონება წარმოადგენს კომერციული დანიშნულების ობიექტს და დადგენილია მისი იჯარით გაცემის შემთხვევაში, ყოველთვიური სარგებლის საორიენტაციო ოდენობა. იმ ვითარებაში კი, როდესაც შრომისუუნარო მშობელი საჭიროებს მატერიალურ დახმარებას შვილისაგან, რომელსაც შესაძლებლობა აქვს გააქირავოს ფართი, ბუნებრივია ამ შემოსავლის მიღების პირდაპირი მტკიცებულების არარსებობის პირობებში სარჩელის უარყოფა იურიდიულად გაუმართლებელია, ამასთანავე, საგულისხმოა, რომ შემოსავლის მიღების შეუძლებლობაზე დასაბუთებული არგუმენტი მონინალ-მდეგე მხარეს სასართლოსათვის არ წარმოუდგენია.

1.3.4. მოხმობილი მსჯელობისა და დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ი. ტ-ის მოთხოვნას სრულწლოვანი, შრომისუუნარიანი შვილისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე განხორციელებადად მიიჩნევს, რამდენაც დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების წინაპირობების არსებობა. რაც შეეხება ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობას, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ უდავო გარემოებას, რომ მოსარჩელეს ჰყავს მეორე შვილი, რომელიც ნებაყოფლობით ასრულებს შვილის მორალურ ვალდებულებას, მათ შორის ფინანსური თვალსაზრისით, გარდა ამისა, სააპელაციო პალატის მითითების მიუხედავად, კასატორი ვერ ასახელებს კონკრეტული ოდენობით მატერიალური საჭიროების არსებობას, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოპასუხეს ასევე ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და თავადაც საჭიროებს გარკვეულ სამედიცინო მანიპულაციებს/მკურნალობას, თუმცა, მის კმაყოფაზე არ იმყოფებიან ოჯახის სხვა წევრები, ამას-

თანავე, მოსარჩელე იღებს სახელმწიფო გასაცემელს პენსიას და მის მიერ განსაზღვრული ალიმენტის ყოველთვიური ოდენობა არ აღემატება თვეში 500 ლარს. ამ გარემოებების, ასევე, მოპასუხის დადასტურებული შემოსავლებისა და სხვა დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ მას მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრიდან ყოველთვიურად უნდა დაეკისროს 150 ლარის გადახდა.

1.3.5. პალატა ყურადღებას კიდევ ერთ პროცესუალურ საკითხზე გაამახვილებს: 2019 წლის 16 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა ნ. ტ-ის შუამდგომლობა და აპელანტს მის სასარგებლოდ დააკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯების გადახდა. საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდის ხსენებულს იმ დასაბუთებით, რომ სააპელაციო პალატა არ წარმოადგენს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.5 მუხლის შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი, ეხელმძღვანელა ამავე კოდექსის 53-ე მუხლით. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ხსენებულ პრეტენზიას, ვინაიდან 53-ე მუხლის რეგულაცია ფართოა და ვრცელდება ყველა ინსტანციის სასამართლოზე (სსსკ-ის 53.2 მუხლი), შესაბამისად, პრინციპი, რომ წაგებულ მხარეს მოგებულის სასარგებლოდ ეკისრება პროცესის ხარჯები, მათ შორის საქმის არსებითად გადაწყვეტ სასამართლოშიც გამოიყენება, თუმცა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტზე, რომ სასამართლოს გარეშე ხარჯების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება სააპელაციო პალატამ გამოიტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში. ამავე ნორმის მე-4 ნაწილის თანახმად, ამგვარი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად გასაჩივრებას ექვემდებარება, კასატორს კი, მიუხედავად საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზისა, დამატებითი გადაწყვეტილება დადგენილი წესით და ვადაში არ გაუსაჩივრებია, მან დაზუსტებულ საკასაციო საჩივარში წარადგინა მხოლოდ პრეტენზია იმგვარად, რომ ფორმალურადაც არ მოუთხოვია დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმება. საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, ვერ გასცდება რა საკასაციო მოთხოვნას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერებაზე ვერ იმსჯელებს.

#### **1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური დასაბუთება:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციოს საჩივარს და სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას, ამასთანავე, ვინაიდან არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, თავად იღებს გადაწყვეტილებას: წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ალიმენტის სახით სარჩელის აღძვრიდან ყოველთვიურად უნდა დაეკისროს 150 ლარის გადახდა.

## **2. პროცესის ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, შესაბამისად, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ამ ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები არ არსებობს, რაც შეეხება ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებას, დაკისრებული ალიმენტის ოდენობისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დისპოზიციიდან გამომდინარე, მოპასუხეს, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროს 216 ლარის გადახდა.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

## **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:**

1. ი. ტ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:
  - 2.1. ი. ტ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
  - 2.2. ნ. ტ-ს (პ/№...) ი. ტ-ის (პ/№0...) სასარგებლოდ 2018 წლის 31 ივლისიდან დაეკისროს ალიმენტის გადახდა თვეში 150 ლარის ოდენობით.
  - 2.3. ნ. ტ-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს 216 ლარის გადახდა.
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 4. შპილება

### შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალებისას

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-486-486-2018

28 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: შვილად აყვანის ფაქტის აღიარება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. ბ-ძე (შემდგომში – „აღმზრდელი მამა“) დაიბადა 1956 წელს და გარდაიცვალა 2006 წლის 30 იანვარს.

2. ი. ბ-ი (შემდგომში – „აღმზრდელი დედა“) დაიბადა 1958 წელს და გარდაიცვალა 2016 წლის 20 დეკემბერს.

3. მ. მ-ძის (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „კასატორი“) ბიოლოგიური მამა არის გ. მ-ძე, ხოლო ბიოლოგიური დედა – ლ. მ-ძე (შემდგომში ერთად – „ბიოლოგიური მშობლები“).

4. აღმზრდელი მამა და აღმზრდელი დედა იყვნენ მეუღლეები (შემდგომში ერთად – „აღმზრდელები“ ან „აღმზრდელი მშობლები“). ბიოლოგიური დედა არის აღმზრდელი მამის და.

5. მოსარჩელე და მისი და, რომელიც ახლა გათხოვილია და ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად, ბიოლოგიურმა მშობლებმა აღსაზრდელად გადასცეს ბიძას და ბიცოლას (აღმზრდელებს). მათ ბიოლოგიურ მშობლებს ეკონომიკურად უჭირდათ.

6. მოსარჩელე სწავლობდა ჯერ სოფელ ... საჯარო სკოლაში, ხოლო შემდეგ – სოფელ ... საჯარო სკოლაში, სადაც მიიღო სრული ზოგადი განათლების ატესტატი. ამჟამად მოსარჩელე რეგისტრირებულია ქიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ... (... ტერიტორიული ორგანო).

7. ი. ბ-ი (შემდგომში – „მოპასუხე“) არის აღმზრდელი დედის და. მოპასუხე საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა მხარდაჭერის მიმღებად და მხარდაჭერად დაენიშნა აღმზრდელი დედა. ამ უკანასკნელის



გარდაცვალების შემდგომ (2016 წლის 20 დეკემბერი) მოპასუხის მხარდამჭერად დაინიშნა მოსარჩელე.

8. ან გარდაცვლილი აღმზრდელი დედის სახელზე ირიცხება ქ. ქიათურაში, ... ქუჩა 46 (ყოფილი ... ქ. 46)-ში მდებარე უძრავი ქონება.

9. ამჟამად მოსარჩელე ცხოვრობს ქიათურაში, ... ქ. 46-ში, ან გარდაცვლილი აღმზრდელი დედის სახელზე რიცხულ ბინაში მოპასუხესა და თავის ქმარ-შვილთან ერთად და ოჯახი ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

10. ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული ცნობითა და მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ხუთი წლის ასაკიდან ცხოვრობდა და იზრდებოდა აღმზრდელი მშობლების ოჯახში. მასთან ერთად იზრდებოდა ასევე მოსარჩელის ბიოლოგიური და.

11. 1992 წლის 20 აპრილს დაბადებული მოსარჩელე, რომელიც სარჩელის წარდგენის დროისათვის სრულწლოვანი პირია, აღმზრდელების ოჯახში შვილად იყო მიღებული.

12. სარჩელის წარდგენის დროისათვის ორივე აღმზრდელი გარდაცვლილია.

13. 2017 წლის 6 მარტს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა აღმზრდელი მშობლების გარდაცვალების შემდეგ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება და მოსარჩელის დაბადების მონომოზაში, „მშობლების“ გრაფაში „მამად“ – აღმზრდელი მამის, ხოლო „დედად“ აღმზრდელი დედის ჩანერა. სარჩელის თანახმად, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესია აღმზრდელის სახელზე არსებული ქონების მემკვიდრეობით მიღება.

14. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 აგვისტოს განჩინებით მოპასუხეს მოცემულ საქმეზე დაენიშნა დამცველი (წარმომადგენელი სამოქალაქო საქმეზე) სახელმწიფოს ხარჯზე და ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს დაევალა საჩხერის რაიონულ სასამართლოში ადვოკატის მოვლინება. ამავე განჩინებით, მოპასუხის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა სასამართლოში მისი სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე დაევალა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქიათურის რაიონულ განყოფილებას, რომელიც სარჩელს არ დაეთანხმა. სარჩელი არ ცნო ასევე მოპასუხის წარმომადგენელმა.

15. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

16. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

17. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-12 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

18. სააპელაციო სასამართლომ დაეის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სსკ-ის 1239-ე და 1240-ე მუხლებით.

19. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ის აღმზრდელი დედის ოჯახში შვილად იყო მიღებული, ხოლო ამგვარი სამართლებრივი საფუძვლით შვილად აყვანის დასადგენად კანონი (სსკ-ის 1240-ე მუხლი) განსაზღვრავს შვილად ასაყვანი სუბიექტის სტატუსს და მიუთითებს, რომ ის უნდა იყოს არასრულწლოვანი, განსახილველ შემთხვევაში კი მოსარჩელე სრულწლოვანი პირია.

20. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უმთავრესი და გადამწყვეტი ამ ტიპის სარჩელის დაკმაყოფილებისათვის არის კანონისმიერი დანაწესი, რომელიც იმპერატიულად ითხოვს, რომ აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ (მ. 1240). სააპელაციო პალატის განმარტებით, სასამართლოს წესით შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებისთვის 2 პირობა ერთდროულად უნდა არსებობდეს: 1) არასრულწლოვანი ოჯახში შვილად უნდა იყოს მიღებული და 2) მშვილებელს სიცოცხლეშივე უნდა ჰქონდეს შეტანილი განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

21. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში აღმზრდელი ისე გარდაიცვალა, რომ მას მსგავსი განცხადებით სასამართლოსათვის არ მიუმართავს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

**23. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:**

23.1. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს მოსარჩელის სრულ-  
ნლოვანებაზე და კანონს არასწორად განმარტავს. მოსარჩელე  
არასრულწლოვანი მიიყვანეს ოჯახში და იქ გახდა სრულწლოვანი.  
იგი შვილად იყო მიღებული არასრულწლოვნების პერიოდში. სსკ-  
ის 1240-ე მუხლის მე-2 წინადადება – „თუ არასრულწლოვანი ოჯახ-  
ში შვილად იყო მიღებული“, არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ  
აღმზრდელის გარდაცვალების დროისათვის უნდა ყოფილიყო მო-  
სარჩელე არასრულწლოვანი. კანონის ეს მოთხოვნა ასე პირდაპირ  
არ უნდა იქნეს განმარტებული. მთავარია, არასრულწლოვნების პე-  
რიოდში იყო სუბიექტი ოჯახში შვილად მიღებული, რა პირობასაც  
მოსარჩელე აკმაყოფილებს. რაც შეეხება სსკ-ის 1240-ე მუხლის  
მე-3 წინადადებას – „აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე  
შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ“, ეს  
პირობები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პირობებია და მათი  
ერთდროულად არსებობა სავალდებულო არ არის;

23.2. მოსარჩელესა და აღმზრდელებს შორის არსებობდა შვი-  
ლისა და მშობლის ურთიერთობა. აღნიშნული ურთიერთობის დაკა-  
ნონებას ხელს არ უნდა უშლიდეს ის გარემოება, რომ აღმზრდე-  
ლებს გარდაცვალებამდე განცხადება არ ჰქონდათ შეტანილი სა-  
სამართლოში. თუ ასეთი განცხადება იქნებოდა შეტანილი სასამარ-  
თლოში, მაშინ მოსარჩელე აღიარებითი სარჩელით არ მიმართავდა  
სასამართლოს, არამედ – უფლებამონაცვლის (მზრუნველობისა და  
მეურვეობის ორგანო) ჩართვით გაგრძელებოდა საქმის წარმოე-  
ბა სასამართლოში საერთო წესით;

23.3. მოპასუხე სოფელ ...-ში კომლის უკანასკნელ წევრად ირიც-  
ხება, გააჩნია ქონება – საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი.  
იმის საშიშროება, რომ შვილად აყვანის შემთხვევაში მოსარჩელე  
აღმზრდელი დედის დანაშთ ქონებას მიიღებს და მოპასუხეს ქო-  
ნებრივი საფრთხე შეექმნება, რაც მოპასუხის წარმომადგენლე-  
ბის მოსაზრებაა, გამორიცხულია. ამასთან, მოსარჩელე მოპასუხე-  
ზე, როგორც დეიდაზე, სიყვარულით მზრუნველობს. მოსარჩელის  
მზრუნველობა მოპასუხის მიმართ დადებითად არის შეფასებული  
სოციალური სამსახურის მონიტორინგის მიერ. ამასვე ადასტურებს  
მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი. თუმ-  
ცა, სასამართლომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არ გაითვა-  
ლისწინა.

24. კასატორმა საკასაციო საჩივარში წარმოადგინა შუამდგომ-  
ლობა საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალა-  
ტისთვის განსახილველად გადაცემის თაობაზე იმ დასაბუთებით,  
რომ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებ-  
რივ პრობლემას და არ არსებობს მოსარჩელისა და მისი აღმზრდე-

ლი მშობლების ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

26. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის განსახილველად გადაცემის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობას საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის განსახილველად გადაცემის თაობაზე უნდა ეთქვას უარი, ხოლო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

27. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს კასატორის შუამდგომლობაზე საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის განსახილველად გადაცემის თაობაზე.

28. საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ: ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას) [სსსკ-ის 391<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი].

29. კასატორის მოსაზრებით, საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას და არ არსებობს მოსარჩელისა და მისი აღმზრდელი მშობლების ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. საკასაციო სასამართლო საქმის განხილვისას არ მისულა იმ დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის დიდი პალატისთვის გადაცემის კანონით დადგენილი საფუძველი არსებობს. მართალია, საკასაციო საჩივრით სადავოდ გამხდარი საკითხი სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს, თუმცა, საქმეთა განხილვისას წარმოშობილი ნებისმიერი სამართლებრივი პრობლემის შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის საქმის განსახილველად გადაცემა არ იქნება გონივრული და მიზანშეწონილი. საქმის იშვიათ სამართლებრივ პრობლემად მიჩნევას განაპირობებს ასევე მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირ-

თუღე, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის. შესაბამისად, კასატორის შუამდგომლობა საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის განსახილველად გადაცემის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

30. რაც შეეხება კასატორის მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს, იგი ემყარება სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისას სამართლის ნორმების დარღვევას, კერძოდ, ნორმის არასწორ განმარტებას [სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები: საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი].

31. შვილად აყვანა იურიდიული ფაქტია, რომელიც შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის წარმოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ღვიძლ მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს. შვილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობასა და ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს და მშვილებელსა და ნაშვილებს შორის მყარი და მუდმივი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი გახდება. კანონი უშვებს არა მარტო არასრულწლოვანის, არამედ სრულწლოვანი პირის შვილად აყვანასაც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, გვ. 244-245).

32. შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილებს შორის. სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია [სსკ-ის 1239-ე მუხლი].

33. შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სასამართლო [„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.2. მუხლი], რაც მას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს შვილად აყვანის საქმეების განხილვისას და გადაწყვეტისას.

34. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას მშვილებლის განცხადებით იღებს სასამართლო მშვილებლის ან შვილად ასაყვა-

ნის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ [სსკ-ის 1242-ე მუხლი].

35. თუმცა, კანონი ითვალისწინებს ისეთ საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც საოჯახო ურთიერთობა ფაქტობრივად არსებობდა შვილად აყვანის მსურველსა და შვილად ასაყვანს შორის, მაგრამ მშვილებელმა (აღმზრდელმა) სიცოცხლეში ვერ მოასწრო აღნიშნული ურთიერთობის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გაფორმება ანუ შვილად აყვანა. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ექნება არა მშვილებლის მიერ ნაშვილების შვილად აყვანას, არამედ – სასამართლოს მიერ ნაშვილების შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებას. აღნიშნულ შემთხვევას ანესრიგებს სსკ-ის 1240-ე მუხლი, რომლის თანახმად, აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

36. განსახილველ შემთხვევაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, სსკ-ის 1240-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის (შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება) განმაპირობებელი ორი გარემოება: 1. აღმზრდელის ოჯახში არასრულწლოვანის შვილად მიღება; 2. მშვილებლის მიერ სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ განცხადების სიცოცხლეშივე შეტანა, წარმოადგენს კუმულაციურ თუ ალტერნატიურ პირობებს ანუ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებისთვის აუცილებელია თუ არა ამ ორი წინაპირობის ერთდროულად არსებობა.

37. კანონის გრამატიკული და ტელეოლოგიური განმარტების შედეგად, საკასაციო პალატა სსკ-ის 1240-ე მუხლით განსაზღვრულ ზემოაღნიშნულ გარემოებებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ (ალტერნატიულ) პირობებად განიხილავს და მიიჩნევს, რომ თითოეული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლოს მიერ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება.

38. ნორმის შინაარსის გარკვევა იწყება გრამატიკული განმარტებით. გრამატიკული განმარტებისას ნორმის შინაარსის ახსნა ხდება სიტყვათა მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების მიხედვით. გრამატიკული განმარტება არკვევს არა ერთმანეთისაგან იზოლირებული სიტყვების, არამედ მთლიანად წინადადების მნიშვნელობას. გრამატიკული განმარტება, ასევე, ითვალისწინებს სიტყვათა შორის ლოგიკურ კავშირს და მთლიანად წინადადების ლოგიკურ სტრუქტურას (იხ. გიორგი ხუბუა, „სამართლის თეორია“, მეორე, შეესებული და გადაამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 187-188).

39. გრამატიკული მეთოდის მეშვეობით ხდება კანონის ნორმის, მისი ცალკეული წინადადების გამოკვლევა გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობის, სიტყვათა წყობისა და გრამატიკის ზოგადი წესების მიხედვით. ამ დროს მხედველობაში მიიღება როგორც ცალკეული სიტყვისა თუ ფრაზის ზოგადი (ენობრივი) გამოყენება, ისე იურიდიული, უპირატესად შესაბამის კანონში მინიჭებული მნიშვნელობა (იხ. დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წელი, გვ. 66).

40. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 1240-ე მუხლში მოცემული წინადადებების სტრუქტურას და აღნიშნავს, რომ შედეგის განმაპირობებელი ორი გარემოება (წინადადება): 1. „თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული“; 2. „თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ“ ერთმანეთს უკავშირდება არა „და“ კავშირით, რაც აღნიშნული პირობების ერთდროულად არსებობაზე მიუთითებდა, არამედ – სიტყვით „აგრეთვე“, რომელიც განსაზღვრავს, რომ სასამართლოს წესით შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება შესაძლებელია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

41. ზემოაღნიშნულ დასკვნამდე მივიდა საკასაციო სასამართლო ასევე ნორმის ტელეოლოგიური განმარტების შედეგად.

42. ცალკეული ნორმის განმარტებისას გადამწყვეტია კანონის არსის გათვალისწინება და მისი მიზნის შესაბამისი განმარტება. ამასთან, მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მიზანი, რომლის მიღწევასაც ესწრაფვის კანონმდებელი შესაბამისი ნორმით, არამედ ასევე ამ მიზნის სამართლიანობა და მიზანშეწონილობა. ეს განპირობებულია იმით, რომ თითოეული დებულება არ განიხილება არც შესაბამისი ინსტიტუტებისა თუ ცნებათა სისტემისგან იზოლირებულად, არც სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად. ის სამართლიანი და მიზანშეწონილობაზე დამყარებული სამართლებრივი წესრიგის ნაწილია (იხ. დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წელი, გვ. 74).

43. აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს აღმზრდელის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ სიცოცხლეში გამოხატული ნების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. სიცოცხლეში აღმზრდელის ნება კონკრეტული პირის შვილად აყვანის შესახებ იმით არის გამოხატული, რომ, ერთ შემთხვევაში, მან არასრულწლოვანი შვილად

მიიღო ოჯახში, ხოლო, მეორე შემთხვევაში, – მშვილებელმა განცხადება შეიტანა სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ. აღმზრდელის ნების გამოხატვის ორივე ფორმის ერთდროულად არსებობა, როდესაც თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე მკაფიოდ ჩანს მისი განზრახვა კონკრეტული პირის შვილებაზე, აღნიშნული ნორმით განსაზღვრული მიზნის მიღწევას – შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებას თითქმის შეუძლებელს ხდის და ზედმეტად ამძიმებს შვილად ასაყვანი პირის მტკიცების ტვირთს.

44. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 1240-ე მუხლის გამოყენებაზე უარი იმ დასაბუთებით, რომ მასში მითითებული ორი წინაპირობა ერთდროულად უნდა არსებობდეს, უსაფუძვლოა და ემყარება კანონის არასწორ განმარტებას.

45. ასევე არ არის მართებული სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უარყოფა იმ დასაბუთებით, რომ სსკ-ის 1240-ე მუხლით განსაზღვრული პირველი წინაპირობის (არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული) შემთხვევაში შვილად ასაყვანი სუბიექტი სარჩელის შეტანის დროს არასრულწლოვანი უნდა იყოს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-19 პუნქტი).

46. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე ხუთი წლის ასაკიდან ცხოვრობდა და იზრდებოდა აღმზრდელი მშობლების ოჯახში. 1992 წლის 20 აპრილს დაბადებული მოსარჩელე, რომელიც სარჩელის წარდგენის დროისათვის სრულწლოვანი პირია, აღმზრდელების ოჯახში შვილად იყო მიღებული. სარჩელის წარდგენის დროისათვის ორივე აღმზრდელი გარდაცვლილია (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-10-მე-12 პუნქტები).

47. ამდენად, უდავოა, რომ მოსარჩელე არასრულწლოვნების პერიოდში აღმზრდელების ოჯახში შვილად იყო მიღებული. თუმცა, სადავოა საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა სასამართლოს მიერ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ; ამ ფაქტის დადასტურების ერთ-ერთი წინაპირობის – „თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული“, არსებობისთვის აუცილებელია თუ არა არასრულწლოვანი იყოს შვილად ასაყვანი პირი სარჩელის წარდგენისას.

48. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსკ-ის 1240-ე მუხლის შინაარსიდან განსხვავებული მიდგომა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების მიმართ, რასაც რაიმე გონივრული და დასაბუთებული საფუძველი გააჩნია, არ გამოიმდინარეობს. შვილად ასაყვანი პირის სრულწლოვანება არ წარმოადგენს ამ ნორმით მინიჭებული უფლების რეალიზების დამაბრკოლებელ გარემოებას. იმ სრულწლოვანი პირებისთვის, რომლებიც არასრულწლოვნების პერიოდში შვილად იყვნენ მიღებული აღმზრდელების ოჯახში, შვი-



ლად აყვანის ფაქტის დადასტურებაზე უარის თქმა სრულწლოვანებაზე მითითებით, არ შეესაბამება თავად სსკ-ის 1240-ე მუხლის მიზანს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნორმის მიზანია აღმზრდელის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ სიცოცხლეში გამოხატული ნების სამართლებრივი რეგულირება. შესაბამისად, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე არასრულწლოვნების პერიოდში აღმზრდელების ოჯახში შვილად იყო მიღებული, ხოლო ის, თუ როდის განახორციელა მან აღნიშნული უფლების რეალიზება – არასრულწლოვნების პერიოდში თუ სრულწლოვანების მიღწევისას, არ უნდა წარმოადგენდეს აღნიშნული ნორმის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველს. მით უმეტეს, რომ სსკ-ის 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია სრულწლოვანი პირის შვილებაც სწორედ იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.

49. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია და, შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი [გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული]. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები [სსსკ-ის 411-ე მუხლი]. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

50. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სსკ-ის 1240-ე მუხლის გამოყენების საფუძველები: სარჩელის წარდგენის დროისათვის ორივე აღმზრდელი გარდაცვლილია, ხოლო მოსარჩელე, რომელიც სარჩელის წარდგენის დროისათვის სრულწლოვანი პირია, არასრულწლოვნების პერიოდში აღმზრდელების ოჯახში შვილად იყო მიღებული. ამასთან, სასამართლოს მიერ უნდა შემოწმდეს სრულწლოვანი პირის შვილად აყვანისთვის კანონით დადგენილი პირობების არსებობაც [სსკ-ის 1239.2 მუხლი]. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული პირობებიც დაკმაყოფილებუ-

ლია, კერძოდ, მშვილბლებსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილბლების ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.

51. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. აღიარებულ (დადასტურებულ) უნდა იქნეს აღმზრდელი მამისა და აღმზრდელი დედის მიერ მოსარჩელის შვილად აყვანა და მოსარჩელის დაბადების აქტის ჩანაწერში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები: ა) დედის შესახებ გრაფაში მიეთითოს აღმზრდელი დედა; ბ) მამის შესახებ გრაფაში მიეთითოს აღმზრდელი მამა.

52. განსახილველ შემთხვევაში მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ისინი დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას [სსსკ-ის 46.1. მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი]. შესაბამისად, არ არსებობს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საფუძველი [სსსკ-ის 55.1. მუხლი: სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელი, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. სსსკ-ის 55.3. მუხლი: თუ ორივე მხარე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო].

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. მ. მ-ის შუამდგომლობა საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის განსახილველად გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 იანვრის განჩინება და მიღე-

ბულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. მ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

5. აღიარებულ (დადასტურებულ) იქნეს ზ. ბ-ძისა (გარდაცვალების თარიღი: 2006 წლის 30 იანვარი, პირადი ნომერი: ..., გარდაცვალების აქტის ჩანაწერი №...) და ი. ბ-ის (გარდაცვალების თარიღი: 2016 წლის 20 დეკემბერი, პირადი ნომერი: ..., გარდაცვალების აქტის ჩანაწერი №...) მიერ მ. მ-ძის (დაბადების თარიღი: 1992 წლის 20 აპრილი, პირადი ნომერი: ...) შვილად აყვანა;

6. მ. მ-ძის (დაბადების თარიღი: 1992 წლის 20 აპრილი, პირადი ნომერი: ...) დაბადების აქტის ჩანაწერში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები: ა) დედის შესახებ გრაფაში მიეთითოს: სახელი – ი.; გვარი – ბ.; პირადი №...; მოქალაქეობა – საქართველო; ბ) მამის შესახებ გრაფაში მიეთითოს: სახელი – ზ.; გვარი – ბ-ძე; პირადი №...; მოქალაქეობა – საქართველო;

7. სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაეგზავნოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს იმერეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს;

8. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

9. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა

### მხარდაჭერა

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-533-2019

2 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ხ-ას (შემდეგში: განმცხადებელი, აპელანტი, კასატორი ან მხარდამჭერი) განცხადება დაკმაყოფილდა; ს. ხ-ა (შემდეგში: მხარდაჭერის მიმღები) ცნობილ იქნა მხარდაჭერის მიმღებად შემდეგ სფეროებში:

1.1.1. სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის, მათ შორის, საანაბრე-სადეპოზიტო ანგარიშზე დაგროვილი თანხის) დანიშვნა, აღდგენა, მიღება და განკარგვა, ამ მიზნით ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო, მათ შორის საბანკო დაწესებულებებთან ურთიერთობა;

1.1.2. მკურნალობაზე/რეაბილიტაციაზე თანხმობის გამოსატყობა;

1.1.3. მედიკამენტების შექენა, მიღება (მათ შორის, სპეციალიზირებული სააფთიაქო დაწესებულებებში);

1.1.4. ს. ხ-ას სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების მართვა, მოვლა-პატრონობა, კომუნალური გადასახადების გადახდა;

1.1.5. სს „თ. ბ-სა“ და ს. ხ-ას შორის საკრედიტო ურთიერთობებში წარმომადგენლობა;

1.1.6. სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში წარმომადგენლობა;

1.1.7. სს „თ. ბ-სა“ და ს. ხ-ას შორის სასამართლო დავისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 98-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილებებით წარმომადგენლობა, ადვოკატისათვის წარმომადგენლობით

უფლებამოსილების მინიჭება;

1.1.8. ადმინისტრაციულ ორგანოებთან, საჯარო რეესტრთან ურთიერთობა ს. ხ-ას სახელზე არსებული საკუთრების შესახებ ინფორმაციის მიღების და იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმების მიზნებით;

1.2. მ. ხ-ა დაინიშნა ს. ხ-ას მხარდამჭერად ზემოთ აღნიშნულ სფეროებში და მიენიჭა უფლებამოსილება, თვითონ განახორციელოს ზემოაღნიშნული უფლებები მხარდაჭერის მიმღების ინტერესების შესაბამისად.

1.3. მხარდაჭერის ვადა (მისი გადასინჯვის პერიოდულობა) განისაზღვრა 8 (რვა) თვით.

1.4. მხარდამჭერი ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 4 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ამ ინფორმაციაში მხარდამჭერი მიუთითებს მის მიერ მხარდაჭერის განეგასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

1.5. მხარდამჭერი ვალდებულია, სასამართლოს დაუყოვნებლივ მიმართოს შუამდგომლობით მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის/მხარდაჭერის გაუქმების შესახებ, თუ აღარ არსებობს ან შეიცვალა ის საფუძველი, რომლის გამოც მხარდაჭერის მიმღებს მხარდაჭერა დაუნესდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უკვე მიმართა სასამართლოს.

1.6. თუ მხარდაჭერის მიმღებს სურს, მხარდამჭერი თავისი მოვალეობისაგან გათავისუფლდეს, იგი შესაბამისი მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს შეუჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები).

1.7. მხარდაჭერა შეწყდება, თუ: ა) მხარდაჭერის მიმღები გარდაიცვალა; ბ) მიზეზი, რომლის გამოც მხარდაჭერა დაუნესდა, აღარ არსებობს. მხარდაჭერის მიმღების გარდაცვალების შემთხვევაში მხარდაჭერა შეწყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც მხარდაჭერა დაუნესდა, შეწყდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

1.8. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, და-

იცვას და გააძლიეროს მხარდაჭერის მიმღებები და დაეხმაროს მხარდამჭერებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში, რათა მათ ხელი შეუწყონ მხარდაჭერის მიმღებებს არჩევანის გაკეთებასა და გადანყვეტილების მიღებაში. მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის მიზანია მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადანყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.

1.9. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, შეამოწმოს მხარდამჭერის მიერ განხორციელებული მოქმედებების სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილ ფარგლებთან შესაბამისობა გეგმური შემოწმებით, რომელიც ტარდება: ა) 4 თვეში ერთხელ; ბ) სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით; გ) თავისი ინიციატივით, შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის საჭიროების შესახებ, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის შემოწმებით და ფაქტობრივი ზედამხედველობით.

1.10. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, მას შემდეგ რაც მხარდამჭერი მიაწვდის სასამართლოს გადანყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში, თავისი ინიციატივით განახორციელოს მხარდამჭერის საქმიანობაზე ფაქტობრივი ზედამხედველობა.

1.11. მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმართავს სასამართლოს მხარდამჭერის თავისი მოვალეობებისაგან გათავისუფლების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო, გადანყვეტილების გამოტანამდე, მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები).

1.12. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.07.2017წ. განჩინებით გამოყენებული ლონისძიება, რომლითაც საბოლოო გადანყვეტილების გამოტანამდე

შენიშნული ნოტარიუს მ. გ-ას მიერ 2017 წლის 8 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №170629275) საფუძველზე დაწყებული აღსრულება (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო აღმასრულებლის გ. ნ-ის წარმომავალი არსებული სააღსრულებო საქმე №A...).

**1.13. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

1.13.1. ს. ხ-ას აქვს მყარი ფსიქიკური (გონებრივ/ინტელექტუალური) დარღვევები;

1.13.2. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდეგში: ექსპერტიზის ბიურო) 2017 წლის 10 აგვისტოს დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ ს. ხ-ას აქვს მყარი ფსიქიკური (გონებრივ/ინტელექტუალური) დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ს. ხ-ას ფსიქიკური (გონებრივ/ინტელექტუალური) დარღვევები მნიშვნელოვნადაა გამოხატული. მხარდასაჭერი პირის მოქმედებები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა და გარემოსთან ურთიერთქმედება შეზღუდულია მნიშვნელოვნად; მისი სოციალური ადაპტაციის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დაქვეითებული; ესაჭიროება მხარდამჭერი შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგებების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვა/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, საბანკო დაწესებულებებისა და სააღსრულებო წარმოების, ასევე სასამართლო დავების წარმოების პროცესში წარმომადგენლობის სფეროებში. ს. ხ-ას არ შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა უფლებები და გამოხატოს შესაბამისი ნება მხარდამჭერის დახმარებით თვითონ და მხარდამჭერმა შესაძლებელია განახორციელოს აღნიშნული უფლებანი უშუალოდ მხარდაჭერის მიმღები პირის მონაწილეობის გარეშე. მხარდასაჭერი პირის მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია, ასევე არსებობს მდგომარეობის გაუარესების შესაძლებლობა. მხარდაჭერის გადასინჯვის ვადა რეკომენდირებულია განისაზღვროს ერთი წლით;

1.13.3. 2018 წლის 5 ივნისს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მხარდაჭერის მიმღებ პირთან დამყარებული კომუნიკაციის შედეგად (რომელიც განხორციელდა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ჩართვის გზით) დადგინდა, რომ მას არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და საჭიროებს მხარდაჭერას;

1.13.4. მ. ხ-ა ს. ხ-ას და არის;

1.13.5. საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მასალების, პროცესის მონაწილე პირთა, სოციალური მუშაკის შეფასების გათვალისწინებით, რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, რაც მ. ხ-ას მხარდამჭერად დანიშნას გამორიცხავს, გამოკვეთილი არ არის. მისი პიროვნული თვისებების, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარის, მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულების, მხარდაჭერის მიმღების ინტერესების და ნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია იგი დაინიშნოს ძმის, ს. ხ-ას მხარდამჭერად.

1.13.6. სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს წარმომადგენელი 2018 წლის 5 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე დაეთანხმა განცხადების მოთხოვნას ს. ხ-ას მხარდაჭერის მიმღებად, ხოლო მ. ხ-ას მხარდამჭერად დანიშვნის თაობაზე, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ სფეროებში.

1.14. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-8, 243-ე-244-ე; 249-ე, 257-ე, 363<sup>21</sup>-ე, 364-ე; 369-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1277<sup>1</sup>-ე, 1280-ე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-4, მე-5, მე-12, მე-13, მე-18, 25-ე მუხლებით.

1.15. საქალაქო სასამართლომ სსსკ-ის 363<sup>14</sup>-ე, 363<sup>15</sup>-ე, 363<sup>20</sup>-ე, 363<sup>19</sup>-ე, 363<sup>21</sup>-ე მუხლები, სსკ-ის 1275.3, 1277<sup>1</sup>-ე, 1280-ე, 1283-ე, 1289-ე მუხლები მოიხმო და განმარტა, რომ მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. მხარდამჭერის არჩევისას სასამართლო ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს, მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებს და ნებას, ხოლო მხარდაჭერის მიმღების არასრულწლოვანების შემთხვევაში – აგრეთვე მისი მშობლის მითითებას. პირი მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

1.16. განმცხადებელი არის მხარდაჭერის მიმღების ოჯახის წევრი, იგი არ არის ნასამართლევი, არ იმყოფება ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე და არ საჭიროებს მხარდაჭერას, რაც დასტურდება საქმის მასალებით. ასევე არ იკვეთება მისი მხარდამჭერად დანიშვნის რაიმე სახის დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა, ამასთან, იგი თანახმაა დაინიშნოს მხარდამჭერად.



1.17. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ექსპერტიზის დასკვნის, 2018 წლის 5 ივნისს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოკითხული ექსპერტების განმარტებებითა და მხარდაჭერის მიმღებ პირთან დამყარებული კომუნიკაციიდან გამომდინარე დადგინდა, რომ მას არ შეუძლია საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვა და დამოუკიდებლად გადანყვეტილების მიღება, საჭიროებს მხარდაჭერას.

1.18. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის დასკვნისა და სასამართლო სხდომაზე ექსპერტების მიერ მიცემული ჩვენებით დადგინდა, რომ ს. ხ-ას დამოუკიდებლად, მხარდამჭერის დახმარების გარეშე, არ შეუძლია არანაირი მოქმედების განხორციელება და გადანყვეტილების მიღება, მას ესაჭიროება სრული მხარდაჭერა ყველა სფეროში, კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია, რომ ს. ხ-ას არ შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა უფლებები და გამოხატოს შესაბამისი ნება მხარდამჭერის დახმარებით თვითონ და მხარდამჭერმა შესაძლებელია განახორციელოს აღნიშნული უფლებანი უშუალოდ მხარდაჭერის მიმღები პირის მონაწილეობის გარეშე.

1.19. რაც შეეხება მხარდაჭერის ვადასა და მისი გადასინჯვის პერიოდულობას, აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ მხედველობაში მიიღო თავად ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული რეკომენდირებული ვადა და ასეთად, კვლევის ჩატარების მომენტში, ექსპერტებმა ერთი წელი მიიჩნიეს, ამასთან, აღსანიშნავია, რომ სხდომაზე ექსპერტების მიერ გაკეთებული განმარტებით, სხდომის მომენტისათვის მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, არსებითი ცვლილება არ შეინიშნებოდა, მხარდაჭერის მიმღებ პირთან კომუნიკაციის გათვალისწინებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარდაჭერის გადასინჯვის ვადად უნდა განსაზღვრულიყო 8 თვე.

1.20. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქმედუწუნარობისგან განსხვავებით, სათანადო ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში, პირი, მიუხედავად იმისა, რომ ექვემდებარება მხარდაჭერას და შესაბამისად ხდება მხარდაჭერის მიმღები, რჩება ქმედუწუნარიანი და, სათანადო დახმარების მიღების პირობებში, თვითონ განაგებს თავის ქმედებებს. სსკ-ის 1293-ე მუხლის შესაბამისად მხარდამჭერი ვალდებულია, მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადებისას დაეხმაროს მას გარიგების პირობებისა და სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმაში, თუ ეს სასამართლოს გადანყვეტილებით არის განსაზღვრული. გამონაკლის შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარდამჭერის მი-

ერ მხარდაჭერის მიმღების ნების გამოვლენა 1 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ობიექტურად შეუძლებელია და მის ნაცვლად გადანყევტილების მიღების აკრძალვა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მხარდაჭერის მიმღებს, სასამართლო მხარდამჭერს უფლებას აძლევს, მხარდაჭერის მიმღების სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დადოს აუცილებელი გარიგებები.

1.21. სსსკ-ის 1305<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის მიზანია მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადანყევტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.

## **2. სააპელაციო სასამართლოს გადანყევტილება და დასკვნები**

2.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის გადანყევტილებით მხარდამჭერის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქალაქო სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადანყევტილება, მ. ხ-ას განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ს. ხ-ას ცნობილ იქნა მხარდაჭერის მიმღებად შემდეგ სფეროებში:

2.1.1. სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის, მათ შორის, საანაბრე-სადეპოზიტო ანგარიშზე დაგროვილი თანხის) დანიშვნა, აღდგენა, მიღება და განკარგვა, ამ მიზნით ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო, მათ შორის საბანკო დაწესებულებებთან ურთიერთობა;

2.1.2. სამედიცინო დაწესებულებებთან ურთიერთობა; მკურნალობაზე/რეაბილიტაციაზე თანხმობის გამოხატვა;

2.1.3. მედიკამენტების შეძენა, მიღება (მათ შორის, სპეციალიზირებულ სააფთიაქო დაწესებულებებში);

2.1.4. ს. ხ-ას სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების მართვა, მოვლა-პატრონობა, კომუნალური გადასახადების გადახდა;

2.1.5. მხარდაჭერის მიმღების წარმომადგენლობა საქართველოში არსებულ ყველა საბანკო და სხვა საკრედიტო დაწესებულებებთან ურთიერთობებში, შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების მიზნით; წარმომადგენლობა სს „თ. ბ-სა“ და ს. ხ-ას შორის არსებულ საკრედიტო ურთიერთობებში;

2.1.6. სააღსრულებო და ნებისმიერი სახის ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში წარმომადგენლობა;

2.1.7. სს „თ. ბ-სა“ და ს. ხ-ას შორის სასამართლო დავისას სსსკ-

ის 98-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილებებით წარმომადგენლობა, ადვოკატისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება;

2.1.8. ადმინისტრაციულ ორგანოებთან, საჯარო რეესტრთან ურთიერთობა ს. ხ-ას სახელზე არსებული საკუთრების შესახებ ინფორმაციის მიღების და იპოთეკისა და გირავნობის რეგისტრაციის გაუქმების მიზნებით;

2.1.9. სასამართლოსა და არბიტრაჟში სრული მოცულობით წარმომადგენლობა, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების, საალსრულებო ფურცლის გამოწერისა და სხვა სპეციალური უფლებამოსილებებით.

2.2. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას.

2.3. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა აპელანტის (მხარდამჭერის) მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების მ. ხ-ასათვის მინიჭება სააპელაციო საჩივრით მოთხოვნილი უფლებამოსილებების გარეშე კარგავს მნიშვნელობას და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა:

2.3.1. ს. ხ-ას მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობა მკურნალობაზე/რეაბილიტაციაზე თანხმობის გამოხატვისა და მედიკამენტების შექმნა, მიღების (მათ შორის, სპეციალიზირებულ სააფთიაქო დაწესებულებებში) სფეროში, სამედიცინო დაწესებულებებთან ურთიერთობის გარეშე და აღნიშნულ სფეროში მ. ხ-ას მხარდამჭერად ცნობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სრულყოფილი და სათანადო მკურნალობისა და მოვლა-პატრონობის განხორციელება, ვინაიდან მხარდასაჭერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია მხარდამჭერს ჰქონდეს სამედიცინო დაწესებულებებთან ურთიერთობის შესაძლებლობა.

2.3.2. სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მ. ხ-ა ცნობილი ყოფილიყო მხარდამჭერად შემდეგ სფეროში – ს. ხ-ას წარმომადგენლობა ბანკებთან და სხვა საკრედიტო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სს „თ. ბ-სა“ და ს. ხ-ას შორის არსებულ საკრედიტო ურთიერთობაში. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი მ. ხ-ას მიენიჭა მხოლოდ სს „თ. ბ-სა“ და ს. ხ-ას შორის საკრედიტო ურთიერთობაში წარმომადგენლობა, რაც გამოორიცხავს მხარდამჭერის უფლებამოსილებას საქართველოში არსებულ სხვა საბანკო დაწესებულებებთან იყოს მხარდასაჭერი პირის წარმომადგენელი. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთ შემთხვევაში მ. ხ-ასათვის შეუძლებელი ხდება მოიძიოს ინფორმა-

ცია ს. ხ-ას საბანკო ანგარიშებისა და ფინანსური ვალდებულებების შესახებ. ამასთან, სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ს. ხ-ას ესაჭიროება მხარდამჭერი საბანკო დაწესებულებებთან ურთიერთობის სფეროში, რაც თავისთავად არ გულისხმობს მხოლოდ სს „თ. ბ-თან“ ურთიერთობას.

2.3.3. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში წარმომადგენლობის გარდა, მხარდამჭერს უნდა მიენიჭოს ნებისმიერი სახის ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარდაჭერის მიმღების წარმომადგენლობის უფლებამოსილება, ვინაიდან მხარდამჭერს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვას მხარდასაჭერი პირის უფლებები არა მხოლოდ სააღსრულებო წარმოების, არამედ – სხვა ნებისმიერი ადმინისტრაციული წარმოების დროს და აღნიშნული უფლების მინიჭების გარეშე, აზრს კარგავს მხოლოდ სააღსრულებო წარმოებაში მხარდამჭერის ჩართულობა და მისთვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭება.

2.3.4. გარდა აღნიშნულისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მხარდამჭერს მიენიჭა ადმინისტრაციულ ორგანოებთან, საჯარო რეესტრთან ურთიერთობის უფლებამოსილება მხარდაჭერის მიმღების სახელზე არსებული საკუთრების შესახებ ინფორმაციის მიღების და იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმების მიზნებით. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, გარდა იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმების მიზნისა, მხარდასაჭერს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გირავნობის უფლების გაუქმების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საჯარო რეესტრთან ურთიერთობისა, ვინაიდან ისევე, როგორც გირავნობა, ასევე, იპოთეკაც წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მხარდამჭერს ენიჭება საჯარო რეესტრთან ურთიერთობის უფლებამოსილება, იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმების მიზნით, მასვე უნდა მიენიჭოს აღნიშნული უფლებამოსილება გირავნობის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაშიც.

2.3.5. რაც შეეხება აპელანტის მოთხოვნას – მიენიჭოს მხარდამჭერს ს. ხ-ას წარმომადგენლობა სასამართლოსა და არბიტრაჟში სრული მოცულობით, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების, სააღსრულებო ფურცლის გამოწერისა და სხვა სპეციალური უფლებამოსილებებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მითითებულ მოთხოვნას საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაეთანხმა მონიშნულმდეგე მხარეც, აღნიშნულ ნაწილშიც არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობა, მით უფრო, რომ სასამართლოს შეფასებით,

მოცემული უფლებების განხორციელების გარეშე, მხარდასაჭერ პირს შეეზღუდება კანონმდებლობით გარანტირებული საპროცესო უფლებების რეალიზების საშუალება, რაც სრულად ეწინააღმდეგება მხარდამჭერის ინსტიტუტის არსს და იმაში მდგომარეობას, რომ პირი, მიუხედავად იმისა, რომ ექვემდებარება მხარდაჭერას და შესაბამისად ხდება მხარდაჭერის მიმღები, რჩება ქმედუნარიანი და, სათანადო დახმარების მიღების პირობებში, თვითონ განაგებს თავის ქმედებებს.

2.3.6. აპელანტის მოთხოვნასთან მიმართებით, მხარდამჭერს მიენიჭოს საალსრულებო წარმოებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ს. ხ-ას წარმომადგენლობა, სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ სფეროში გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ს. ხ-ა ისედაც იქნა ცნობილი მხარდაჭერის მიმღებად.

2.4. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი და ყველა იმ სფეროში მ. ხ-ას ს. ხ-ას მხარდამჭერად დანიშვნის საჭიროება, რაც მოთხოვნილია სააპელაციო საჩივრით, ვინაიდან სააპელაციო საჩივარში აღნიშნულ ყველა სფეროში ს. ხ-ა მხარდამჭერის მიმღებად ცნობა, გარდა იმ სფეროებისა, რისი დაკმაყოფილებაც სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი არ ყოფილა საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას. გარდა ამისა, ს. ხ-ას მხარდაჭერის მიმღებად ცნობა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სფეროებში, დამატებით იმ სფეროებთან ერთად, რისი დაკმაყოფილებაც სააპელაციო სასამართლოს შეფასებით უნდა მოხდეს წინამდებარე გადაწყვეტილებით, სრულ შესაბამისობაშია ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტიზის 2017 წლის 25 სექტემბრის დასკვნასთან და დამატებით არ საჭიროებს მ. ხ-ასათვის სხვა ისეთი უფლებამოსილებების მინიჭებას, რისი აუცილებლობაც არ არსებობს და რის გარეშეც მას, როგორც მხარდამჭერს, ხელი არ ეშლება მხარდასაჭერი პირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასა და მის სათანადო მოვლა-პატრონობას.

### **3. აპელანტის საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

3.1. აპელანტმა საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მისი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

3.2. კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილებას ასაჩივრებს სრულად, რადგან იმ ცალკეულ უფლებამოსილებებს, რომლებიც მხარდაჭერის მიმღები პირის სასარგებლოდ მიენიჭა მ. ხ-ას, მის მიერ მოთხოვნილი სხვა უფლებამოსილებების გარეშე, პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია.

3.3. სააპელაციო სასამართლომ აშკარად არასწორად განმარტა და გამოიყენა სსსკ-ის 363<sup>13</sup>-ე-363<sup>24</sup>-ე მუხლები, სსკ-ის 1280-ე მუხლი.

3.4. კასატორის განმარტებით სსსკ-ის 363<sup>15</sup>-ე მუხლიდან გამომდინარე, ს. ხ-ას მხარდაჭერის სფერო უნდა განსაზღვრულიყო, როგორც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე, მის წინაშე მდგარი პრაქტიკული პრობლემების გათვალისწინებით. ამასთან, მხედველობაში უნდა მიღებულიყო, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტის არსი მხარდაჭერის მიმღების უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფაა.

3.5. ს. ხ-ას არ აქვს გაცემული რწმუნებულება, რომელიც მისი წარმომადგენლობის უფლებამოსილებას სხვა პირს მიანიჭებდა. ეს კი შეუძლებელს ხდის ს. ხ-ას სახელით საქმიანი ურთიერთობის წარმოებას, მისი ქონების განკარგვას, უფლებების რეალიზაციას და ა.შ. მხარდასაჭერ პირს არავითარი შემოსავალი არ გააჩნია, მისი ამჟამინდელი მდგომარეობა გამორიცხავს აუცილებელი თანხის მოპოვებას.

3.6. კასატორის განმარტებით, თუკი დაშვებული იქნება, რომ სს „თ. ბ-ის“ სააღსრულებო ფურცელში დაყენებული ფულადი მოთხოვნა მართლზომიერია და ექვემდებარება შესრულებას, მაშინ დავალიანების გასტუმრებისათვის აუცილებელი ფულადი სახსრების მოზიდვა უნდა მოხდეს ს. ხ-ას ქონების გაყიდვის, ამ ქონების დატვირთვის ან სხვა ისეთი ფორმით გამოყენების გზით, რაც საჭიროებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას და ს. ხ-ას სახელით გარიგების დადებას.

3.7. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში სასამართლომ ს. ხ-ას მხარდამჭერს არ მიანიჭა სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე, ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე წარმომადგენლობის, ს. ხ-ას სახელით გარიგებების დადების, ს. ხ-ას ქონების განკარგვის, ს. ხ-ას სახელით მისი ქონების, მათ შორის ფულადი სახსრების მიღების, კუთვნილი ქონების გამოთხოვის, ს. ხ-ას ქონების სანივთო უფლებებით, მათ შორის გირავნობითა და იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილებები. პრაქტიკულად სააპელაციო სასამართლომ ს. ხ-ას სამართლებრივი პარალიზება მოახდინა. მას წაერთვა მთელი რიგი ისეთი უფლებების გამოყენების შესაძლებლობა, რაც დავალიანების გასტუმრებას უზრუნველყოფდა.

3.8. მხარდამჭერს მიენიჭა უძრავი ქონების მოვლა-პატრონობისა და კომუნალური გადასახადების გადახდის უფლებამოსილება, რასაც ს. ხ-ას და, მ. ხ-ა ისედაც ახორციელებდა. მხარდამჭერს მიენიჭა იპოთეკისა და გირავნობის რეგისტრაციის გაუქმების მიზნით საჯარო რეესტრთან ურთიერთობის უფლებამოსილება, მაგრამ ამას ფიქტიური მნიშვნელობა გააჩნია, რადგან თუ ს. ხ-ას არ

მიეცემა უზრუნველყოფის საგნების სანივთო ტვირთისგან გათავისუფლების რეალური შესაძლებლობა, მაშინ იპოთეკა ვერც გაუქმდება და გაუქმების რეგისტრაციის საკითხი აქტუალური არ გახდება.

#### **4. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

4.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმცხადებლის საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

5. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

6. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

7. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებელი თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, № 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], პარ. 81).

8. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების

კონვენციის (ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან; შემდეგში: კონვენცია) პრეამბულით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომლებიც ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელ ღირსებასა და ფასეულობას, ასევე მათ თანასწორობასა და განუყოფელ უფლებებს აღიარებენ თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძვლად; აღიარებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტებში განაცხადა და დაადასტურა ყველა ადამიანის უფლება, ყოველგვარი განსხვავებულობის გარეშე ისარგებლოს აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით. კონვენციის პრეამბულით აღიარებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის აუცილებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის, მათ შორის, ინტენსიური დახმარების საჭიროების მქონეთა მიმართ.

9. კონვენცია აწესებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებების და ძირითად თავისუფლებათა სრული რეალიზებისათვის ხელშეწყობას, თითოეული პიროვნების თანასწორობას კანონის წინაშე და კანონის ძალით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად, ცხოვრების ყველა სფეროში. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის და ეფექტიან ზომას, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება საკუთრების ფლობასა და მემკვიდრეობით მიღებაზე, საკუთარი ფინანსური საქმეების მართვაზე, საბანკო სესხების, საიპოთეკო, სხვა ფინანსური კრედიტების თანაბარ მისაწვდომობაზე და უზრუნველყოფენ, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საკუთრების თვითნებურად ჩამორთმევა.

10. განსახილველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ მხარდაჭერის მიმღებს გარკვეულ სფეროებში სჭირდება მხარდაჭერა, გადანყვეტილებით დადგენილია და საკასაციო საჩივრით შედავებული არ არის. გადანყვეტილებით დადგენილია, რომ ის არის სსკ-ის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი და ესაჭიროება მხარდაჭერი. სსკ-ის 1277<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, მხარდაჭერის მიმღებს ენიშნება მხარდაჭერი (შეად. სუსგ №ას-211-2020, 21.07.2020წ.).

11. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, უნდა მიენიჭოს თუ არა მ. ხ-ას უფლებამოსილება, მხარდაჭერის მიმღების სა-



ხელით, განკარგოს მხარდაჭერის მიმღების კუთვნილი ქონება. კასატორი მიიჩნევს, რომ თუ მას სასამართლო ამგვარ უფლებამოსილებას არ მიანიჭებს აზრი დაეკარგება სხვა თვალსაზრისით მხარდაჭერის განხორციელებას, რადგან საფრთხე ემოქრება მხარდაჭერის მიმღების ერთადერთ უძრავ ქონებას, საცხოვრებელ სახლს, იგი შეიძლება გასხვისებულ იქნეს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ამოღების მიზნით.

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (იხ.: საქმე №2/4/532,533, 08.10.2014წ. გადანყვეტილება), ქმედუნარობა ინდივიდუალიზებული პროცესია. შესაბამისად, კანონმდებლობის მიზანი უნდა იყოს ქმედუნარო პირების დახმარება გადანყვეტილების მიღების საკითხში და არა ყველა სფეროში მათი ნების სრული ჩანაცვლება. მეურვეების უფლებამოსილება მკაცრად უნდა შემოიფარგლებოდეს იმ საკითხებით, რომლებშიც ადამიანს არ გააჩნია ნების ფორმირების შესაძლებლობა, ხოლო ქმედუნარო პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ გადანყვეტილებები მათი შეუზღუდავი უნარების ფარგლებში, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მეურვის თანხმობით.

13. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ მხარდამჭერის დანიშვნით მხარდაჭერის მიმღების ინტერესების დაცვის ამონაურვა არ ხდება, რადგანაც საკითხი, თავისი სოციალური არსითა და ქვეყანაში პირის უფლებების დაცვის ლეგიტიმური ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებს გარკვეულ ზედამხედველობასა და რეგულირებას. სასამართლო, ბუნებრივია, არ წარმოადგენს ამ პროცესის უშუალო მეთვალყურეს, თუმცა, მოვლენათა განვითარების შესწავლა-ზედამხედველობას კანონმდებელი ავალდებულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. სსკ-ის 1289-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მხარდამჭერის ძირითადი ვალდებულება (მხარდამჭერი ვალდებულია თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადანყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში), ასევე სსკ-ის 1293-ე მუხლით გათვალისწინებული დახმარება გარიგების დადებისას და სხვა, ექვემდებარება გადამონმებას კანონით დადგენილი წესით (სსკ-ის 1305<sup>1</sup>-ე-1305<sup>5</sup>-ე მუხლები), გარდა ამისა, კანონი ადგენს ქმედით მექანიზმს დაწესებული მხარდაჭერის შეწყვეტისათვის (სსკ-ის 1304<sup>1</sup>-ე მუხლი), ისევე, როგორც ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღების მოთხოვნის წარდგენას სასამართლოსათვის საკუთარი მოვალეობებისაგან მხარდამჭერის

გათავისუფლების თაობაზე (სსკ-ის 1301-ე მუხლის მე-2 ნაწილი) (იხ.: სუსგ. №ას-982-914-2017, 14.05.2018წ.).

14. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს და ზემოთ მოხმობილი მსჯელობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მ. ხ-ას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობები არ არსებობს. საკასაციო საჩივარი უარყოფილია, რადგან, გარდა იმისა, რომ სააპელაციო საჩივარში დაყენებული მოთხოვნა მხარდამჭერს არ ჰქონდა წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, ამ ეტაპზე უკვე გასულია ექსპერტიზის დასკვნის შესწავლის საფუძველზე სასამართლოს მიერ განსაზღვრული გადაწყვეტილების გადასინჯვის ვადა. აქედან გამომდინარე, სათანადო მტკიცებისა და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მხარდაჭერის მიმღების უფლების დაცვის მიზნით სასამართლო პროცედურების განხორციელება კვლავაც შესაძლებელია მაგრამ არა ამ დავის ფარგლებში, რადგან უნდა გადაისინჯოს უკვე მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები.

15. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, საკასაციო საჩივარი დასაბუთებულად მიეჩნია, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია იმ სამართლებრივი დასაბუთებით, რაც მიუთითებელია.

16. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებულია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ხ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**6. არამართლზომიერად გადაადგილებული ან  
არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის  
დაბრუნებისა და ბავშვთან ურთიერთობის  
უფლებები**

**არამართლზომიერად გადაადგილებული ბავშვის  
დაბრუნება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ას-787-2021

7 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** არამართლზომიერად გადაადგილებული და არა-  
მართლზომიერად დაკავებული ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრე-  
ბელ ადგილას დაბრუნება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ნ. გ-ვი (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „მამა“) და ს. ი-ვა (შემ-  
დგომში – „მოპასუხე“, „დედა“ ან „პირველი კასატორი“) დაქორ-  
წინდნენ 2010 წლის 30 დეკემბერს, აზერბაიჯანში. ქორწინების პე-  
რიოდში შეეძინათ ორი შვილი: 07.04.2010წ. დაბადებული გ. გ-ვი (შემ-  
დგომში – „პირველი შვილი“ ან „ძმა“) და 19.08.2014წ. დაბადებული  
ხ. ნ. კ. გ-ვა (შემდგომში – „არასრულწლოვანი“, „ბავშვი“, „მეორე  
შვილი“, „და“ ან „მეორე კასატორი“) (ერთობლივად – „ბავშვები“ ან  
„შვილები“). მოსარჩელე და ბავშვები არიან აზერბაიჯანის მოქა-  
ლაქეები, ხოლო მოპასუხე საქართველოს მოქალაქე.

2. მოსარჩელე და მოპასუხე 2015 წლამდე არასრულწლოვან შვი-  
ლებთან ერთად ცხოვრობდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ხო-  
ლო 2015 წლიდან საცხოვრებლად გადავიდნენ უკრაინაში და ქი-  
რავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ცხოვრობდნენ შემდეგ  
მისამართზე: ქ. ოდესა, ... გზატკეცილი №148, ბინა 4. მამას და ბავ-  
შვებს აქვთ უკრაინაში მუდმივი ბინადრობის მონაწილეობა.

3. ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონული სასამართლოს 25.06.2018წ.  
დადგენილებით გაუქმდა მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის

30.12.2010წ. რეგისტრირებული ქორწინება. ბავშვები დარჩნენ დედასთან, რასაც მამა დაეთანხმა.

4. 2019 წლის 12 ივნისს მოსარჩელე და მოპასუხე კვლავ დაქორწინდნენ ქალაქ ოდესაში და ბავშვებთან ერთად ცხოვრება გააგრძელეს იმავე მისამართზე.

5. კიევის რაიონული სასამართლოს 26.11.2019წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 12.06.2019წ. რეგისტრირებული ქორწინება. აღნიშნული გადაწყვეტილებით ბავშვების საცხოვრებელი ადგილი არ განსაზღვრულა. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ბავშვების მხარდაჭერისა და მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხს მხარეები გადაწყვეტენ ცალკე სამართალწარმოებით.

6. განქორწინების შემდეგ მოსარჩელე და მოპასუხე უკრაინაში ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე. ბავშვები იზრდებოდნენ დედასთან.

7. მოსარჩელემ 2019 წლის 29 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ოდესის ოლქის ეროვნული პოლიციის მთავარი სამმართველოს ქ. ოდესის კიევის რაიონის პოლიციის განყოფილებას და მოითხოვა წინასასამართლო გამოძიების ჩატარება მოპასუხის მიერ ჩადენილ შესაძლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებით. განმცხადებლის განმარტებით, მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. განქორწინების შემდგომ განმცხადებელი საცხოვრებლად სხვა ბინაში გადავიდა. 2019 წლის 20 ოქტომბერს, როდესაც მივიდა შვილების მოსანახულებლად, მისი მეორე შვილი იყო ნამტირალევი და შეშინებული. მან აუხსნა, რომ მამის არყოფნის პერიოდში დედა მკაცრად ეპყრობოდა, სცემდა, რის შედეგადაც სახეზე გაუჩნდა სისხლჩაქცევები. ბავშვის განმარტებით, ცემის მიზეზი გახდა საჭმლის მიღებაზე უარის თქმა. ორი დღის შემდეგ იგივე შემთხვევა განმეორდა პირველი შვილის მიმართაც, რის გამოც მოსარჩელე იძულებული გახდა გაერიდებინა იგი დედისგან და წაეყვანა თავისთან, თუმცა მეორე შვილის წაყვანა ვერ მოახერხა დედის სკანდალის გამო. განმცხადებელმა მოითხოვა გამოძიების დაწყება დედის მხრიდან შვილის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტზე.

8. კიევის რაიონული სასამართლოს 24.12.2019წ. განჩინებით მოპასუხე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და მის მიმართ საქმე დაიხურა; ხოლო, ოდესის სააპელაციო სასამართლოს 12.06.2020წ. დადგენილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ზემოაღნიშნული განჩინება დარჩა ძალაში. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქმეში წარდგენილი იყო მხოლოდ მცირეწლოვნის (პირველი შვილის) ახსნა-განმარტება, რომელიც არ შეიძლება მიჩნე-

ულ იქნეს სათანადო მტკიცებულებად, რადგან მისგან ახსნა-განმარტება აღებული იყო საქმეზე დაინტერესებული პირის – მამის თანდასწრებით. ამასთან, თვით ახსნა-განმარტების შინაარსიდან გამომდინარე, ნაკლებად იყო სავარაუდო, რომ ის ცხრა წლის ბავშვის მიერ იყო მიცემული.

9. მოსარჩელის განცხადების საფუძველზე 2019 წლის 20 ნოემბერს გაუქმდა მის მიერ ბაქოს №2 „ა. მომსახურების“ ცენტრის სა-ნოტარო ოფისში 15.05.2018წ. გაცემული თანხმობა 03.04.2023წ.-მდე არასრულწლოვანი შვილების მოპასუხესთან ერთად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ნებისმიერ ქვეყანაში გამგზავრების თაობაზე.

10. არასრულწლოვანი ირიცხება ოდესის ოლქის ოდესის საქალაქო საბჭოს „I საფეხურის სპეციალიზირებული სკოლა ინგლისური ენის გაღრმავებული შესწავლით – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების“ საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის მოსწავლედ. იგი 2019 წლის 18 ოქტომბრიდან არ გამოცხადებულა საბავშვო ბაღში, მამის განცხადებით ოჯახური პირობების გამო; ხოლო, 2020 წლის მარტის თვიდან კარანტინის გამო (COVID-19).

11. არასრულწლოვანი ამჟამად იმყოფება საქართველოში, კერძოდ, მარნეულში, დედის მშობლების სახლში. იგი სწავლობს სსიპ ქ. მარნეულის №4 საჯარო სკოლის პირველ კლასში.

12. კლასის დამრიგებლის მიერ გაცემული დახასიათების თანახმად, არასრულწლოვანმა მარტივად გაიარა ადაპტაციის პერიოდი; იგი არის მშვიდი და აქტიური; ინტენსიურად დადის სკოლაში; კლასში არის ძალიან ყურადღებიანი, არ იბნევა, კითხულობს ინტერესით, არ უჭირს ნაკითხულის გააზრება, პასუხობს შეკითხვებს; არის კომუნიკაბელური, ადვილად შედის კონტაქტში ბავშვებთან; ყოველთვის მონერსიგებულია; დედა დაინტერესებულია შვილის განათლებით.

13. მოსარჩელე არის მენარმე ფიზიკური პირი. იგი ამჟამად ცხოვრობს ოდესაში. მეზობლები ახასიათებენ როგორც კარგ მამას. მათი განმარტებით, მოსარჩელე დაკავებული იყო შვილების აღზრდით, მათი სულიერი და ფიზიკური განვითარებით, ბავშვებს უყვართ და პატივს სცემენ მამას.

14. ოდესის საქალაქო საბჭოს ბავშვთა საქმეების სამსახურის მიერ 15.02.2021წ. შემოწმებულ იქნა მოსარჩელის საცხოვრებელი პირობები. იგი ცხოვრობს შემდეგ მისამართზე: ქ. ოდესა, ... ქუჩა №62/2, ბინა №65. საცხოვრებელი სახლი შედგება სამი ოთახისგან; ბინა არის მშრალი, ნათელი, სუფთა და ახალი გარემონტებული. მასში არის ყველა საჭირო საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი. ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის შექმნილია დამაკმაყოფი-

ლებელი პირობები. ბინაში მუდმივად ცხოვრობენ მოსარჩელე, მისი პირველი შვილი და კ-ი ნ. ა-ის ასული.

15. მოპასუხე დასაქმებულია შპს „ფ-ა“ კლინიკაში ლაზერის ეპილაციის ოპერატორის თანამდებობაზე და მისი ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 450 ლარს. კლინიკის დირექტორის განმარტებით, მოპასუხე არის პასუხისმგებლიანი პიროვნება, რომელიც გამოირჩევა პაციენტებისადმი ყურადღებით; იგი კოლექტივში სარგებლობს პატივისცემით.

16. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის შესაბამისად, არამართლზომიერად გადაადგილებული და დაკავებული ბავშვის (მეორე შვილი) ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილზე, მამასთან უკრაინაში დაბრუნება, შემდეგ მისამართზე: ქ. ოდესა, ... №62/2, ბინა №65.

17. მოსარჩელის განმარტებით, დედამ 2020 წლის 25 ივნისს, მამის ნებართვის გარეშე, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, არასრულწლოვანი გადაიყვანა ჯერ უკრაინის, შემდეგ კი საქართველოს საზღვარზე. მოპასუხეს იგი უკანონოდ ჰყავს დაკავებული საქართველოში, მარნეულში, მისი მამის საცხოვრებელ ადგილას.

18. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 იანვრის განჩინებით საქმეში ჩაება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო – სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელსაც გადაეგზავნა საქმის მასალები და დაევალა არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით, წარმომადგენლის დანიშვნა, ასევე, დავის საგანთან მიმართებით დასკვნის წარდგენა.

19. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 იანვრის განჩინებით საქმეში ჩაება არასრულწლოვანი.

20. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 იანვრის განჩინებით არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით, საქმეზე დაინიშნა ადვოკატი, რომლის უზრუნველყოფა დაევალა იურიდიული დახმარების ბიუროს.

21. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 იანვრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, დაევალა საქმეში ფსიქოლოგის ჩართვა და ფსიქოლოგის

დასკვნის წარდგენის უზრუნველყოფა.

22. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 თებერვლის განჩინებით გამოცემულ იქნა ბრძანება, რომლითაც დედას შეეზღუდა არასრულწლოვანი შვილის საქართველოდან გაყვანა (გადაადგილება), საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

23. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

24. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 05 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

25. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 05 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა – დადგინდა არასრულწლოვნის დაბრუნება უკრაინის რესპუბლიკაში.

27. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-15 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

28. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგენილიყო ჰქონდა თუ არა ადგილი არასრულწლოვნის საქართველოში არამართზომიერ ჩამოყვანას და წარმოადგენდა თუ არა უკრაინის რესპუბლიკა მის მუდმივ ადგილსამყოფელს.

29. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე და მოპასუხე არასრულწლოვან შვილებთან ერთად უკრაინაში საცხოვრებლად გადავიდნენ 2015 წლიდან. ხოლო, მოპასუხემ და არასრულწლოვანმა უკრაინის ტერიტორია დატოვეს 25.06.2020წ. მართალია, მანამდე ბავშვები დედასთან ერთად გარკვეული პერიოდულობით მიემგზავრებოდნენ ქვეყნიდან, თუმცა ამას ხანგრძლივი ხასიათი არ ჰქონია. ამდენად, არასრულწლოვანი უკრაინის ტერიტორიაზე ცხოვრობდა დაახლოებით ხუთი წელი, ერთი წლის ასაკიდან, დადიოდა ბაღში და აქვს უკრაინის რესპუბლიკაში ბინადრობის მოწმობა. ეს ყველაფერი კი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ უკრაინა არის ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრე-

ბელი ადგილი.

30. სააპელაციო პალატის განმარტებით, არასრულწლოვანი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილიდან გაყვანილ იქნა უფლებამოსილი მშობლის ნებართვის გარეშე. კერძოდ, 25.06.2018წ. ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონული სასამართლოს დადგენილებით შეწყდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის რეგისტრირებული ქორწინება და მამის თანხმობით არასრულწლოვანი ბავშვები დარჩნენ დედასთან. აღნიშნულის შემდეგ, 12.06.2019წ. მხარეებმა კვლავ იქორწინეს და ბავშვებთან ერთად გააგრძელეს ერთ ოჯახად ცხოვრება. შესაბამისად, აზერბაიჯანის სასამართლოს მიერ ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მოსარჩელისა და მოპასუხის ხელახალი ქორწინებით ავტომატურად გაუქმდა. ამდენად, ეს გარემოება ვერ გამოდგებოდა იმ ფაქტის დასადგენად, რომ მოპასუხე წარმოადგენს არასრულწლოვნის ერთპიროვნულ მეურვეს. გარდა ამისა, მოსარჩელემ 20.11.2019წ. ბაქოში განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა მის მიერ გაცემული სანოტარო აქტის – ბავშვების დედასთან ერთად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ნებისმიერ ქვეყანაში გაყვანის თანხმობის, გაუქმება. არასრულწლოვნის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილიდან გაყვანის შემთხვევაში საჭირო იყო მოსარჩელის თანხმობა, რაც მოპასუხეს არ წარუდგენია. იყოიქით, საქმეში წარდგენილი მასალებით ირკვეოდა, რომ მან ბავშვი ქვეყნიდან გაიყვანა შეცვლილი მონაცემების საფუძველზე დამზადებული დოკუმენტებით.

31. სააპელაციო პალატის მითითებით, მოპასუხე არ უარყოფს, რომ იგი თავის არასრულწლოვან შვილთან ერთად 27.06.2020წ. საქართველოში შემოვიდა პორტის მეშვეობით. რაც შეეხება არასწორ საპასპორტო მონაცემებს, მან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ვერ შეძლო იმ გარემოების დადასტურება, რომ მისთვის ცნობილი არ იყო ბავშვის საპასპორტო მონაცემების შეცვლის თაობაზე (მისი განმარტებით, გამგზავრების წინ ბავშვის პასპორტი და სხვა დოკუმენტები გადასცა მოსარჩელემ. მას არც უფიქრია, რომ მონაცემები იქნებოდა არასწორი. ამ პასპორტით გადაკვეთა უკრაინის საზღვარი და შემოვიდა საქართველოში, პრობლემა არ შექმნია); ასევე, ის ფაქტი, რომ პასპორტი დაკარგა საკარანტინე სივცეში (მისი განმარტებით, პანდემიის დროს დაწესებული რეგულაციებიდან გამომდინარე, მას ბავშვთან ერთად მოუწია საკარანტინე სივრცეში გაჩერება, სადაც შემთხვევით, სხვა ნივთებთან ერთად, დაკარგა ბავშვის პასპორტი). მას არ წარუდგენია აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (მა-



გალითად, განაცხადი საგამოძიებო ორგანოში). ამის საწინააღმდეგოდ, საქმეში წარდგენილია მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართ შედგენილი განაცხადება, სადაც ის ითხოვს გამოძიების დაწყებას მოპასუხის მიერ არასრულწლოვანი ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი დოკუმენტებით შემოყვანის საფუძველით. ამასთან, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, სამმართველოს დასავლეთის საგამოძიებო განყოფილების წარმოებაშია №031161120002 სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

32. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის მე-3-მე-5 მუხლებით, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-6, მე-9 მუხლებით და ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არასრულწლოვანი წარმოადგენს არამართლზომიერად გადაადგილებულ და არამართლზომიერად დაკავებულ პირს.

33. სააპელაციო პალატამ მოიხმო „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის კონვენციის მე-12-მე-13 და მე-20 მუხლები და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, არასრულწლოვნის არამართლზომიერი გადაადგილებიდან გასული არ იყო ერთი წელი, მან უკრაინის ტერიტორია დატოვა 25.06.2020წ., ამასთან, დადგენილი იყო, რომ არასრულწლოვნის მამა გადაადგილების მომენტში ახორციელებდა მასზე მეურვეობის უფლებას, რაც კონვენციის თანახმად, იძლეოდა მისი დაბრუნების საფუძველს, თუმცა მანამდე უნდა გამოკვლეულიყო, ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება ხომ არ შეუქმნიდა ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს, ან ხომ არ ჩააყენებდა მას აუტანელ მდგომარეობაში.

34. წინამდებარე პუნქტში მითითებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარდგენილ დასკვნებზე: სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური ცენტრის 05.02.2021წ. დასკვნის თანახმად, ბავშვს უჭირს უცხო ადამიანებთან კონტაქტში შესვლა მანამ, სანამ არ მოიპოვებს გარკვეულ ნდობას. მან სოციალური

მუშაკის კითხვებს მეორე ვიზიტისას უპასუხა თავისუფლად. ბავშვი ადეკვატურად რეაგირებს მის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, ოჯახის წევრების მიმართ გამოხატავს კეთილგანწყობას, დედასთან ამყარებს თვალთ კონტაქტს და სთხოვს დახმარებას, როცა რამეს ვერ აკეთებს. უყვარს „როლური“ თამაშები. ასაკის შესაბამისად გამომუშავებული აქვს თვითმოვლის უნარ-ჩვევები, თუმცა საჭიროებს უფროსების დახმარებას. ბავშვს როგორც დედა, ასევე, ოჯახის სხვა, უფროსი წევრები ასწავლიან ქცევის წესებს და ცდილობენ მისი ნებისმიერი წარმატება და დადებითი ქმედება შეაქონ, რაც მას ძალიან მოსწონს. ოჯახში ბავშვზე ყოველდღიურ ზრუნვასა და ზედამხედველობას ახორციელებენ დედა და ბებია-ბაბუა. არასრულწლოვნის გარეგნობასა და ჰიგიენაზე ზრუნვა შეინიშნება – შემოსილია სეზონის შესაბამისად, აქვს სასწავლო ინვენტარი და ასაკის შესაბამისი გასართობი და განმავითარებელი ნივთები. სახლში მისთვის გამოყოფილია სათამაშო, სამედიცინო და მოსასვენებელი სივრცე. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობა ოჯახის წევრების მხრიდან სისტემატურად ხორციელდება, დაცულია ძილისა და კვების რეჟიმი. საჭიროების შემთხვევაში ხდება სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. ბავშვზე განხორციელებული ყოველდღიური ზრუნვა მისი საჭიროებების ადეკვატურია.

35. არასრულწლოვანი ცხოვრობს დედასთან, ბებიასთან, ბაბუასთან და დიდ ბებიასთან ერთად, მარნეულში, კერძო, ორსართულიან სახლში, სადაც შექმნილია სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები და ბავშვის განვითარების ხელშემწყობი გარემო. საცხოვრებელი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთით, ასევე, წყლით, ელექტრო ენერგიით, ბუნებრივი აირითა და ინტერნეტით. საცხოვრებელი ზამთრის პერიოდში თბება ბუნებრივი აირის საშუალებით. ოჯახში სათანადოდ არის დაცული ჰიგიენის ნორმები. ოჯახის ყოველთვიურ შემოსავალს წარმოადგენს: ბავშვის ბაბუის პენსია 400 ლარი, მისი დედის პენსია 200 ლარი, ბავშვის დედის ყოველთვიური ხელფასი, თუმცა ზუსტი ოდენობა არ სახელდება, რადგან ხელფასის ოდენობა განისაზღვრება შესრულებული სამუშაოთი. ოჯახს, ასევე, გაქირავებული აქვს მიწის ნაკვეთი, საიდანაც იღებს დამატებით შემოსავალს.

36. ბავშვის დედის განმარტებით, მეუღლესთან განქორწინების შემდეგ, ბავშვები ცხოვრობდნენ მასთან. პირველი (უფროსი) შვილი მეუღლემ მოტყუებით წაიყვანა და აღარ დააბრუნა. დედა მეორე (უმცროს) შვილთან ერთად გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა უკრაინის რესპუბლიკაში, ქირით, თუმცა მამა არ ეხმარებოდა და არ ზრუნავდა მასზე. იგი, ასევე, არ იჩინდა ბავშვთან ურთიერ-

თობის ინიციატივას და არც დედას აძლევდა პირველ შვილთან კონტაქტის უფლებას. ის ემუქრებოდა მეორე შვილის წართმევით, თუ პირველ (უფროს) შვილზე უარს არ იტყოდა. მეუღლესთან დაშორების შემდეგ, მოპასუხეს ოდესაში ცხოვრებისას ეხმარებოდნენ მშობლები. ვინაიდან, მოპასუხეს უკრაინაში არ ჰქონდა სამსახური და იყო ყოფილი მეუღლის მხრიდან მუქარის ქვეშ, მიიღო საქართველოში, მშობლების საცხოვრებელ სახლში დაბრუნების გადამწყვეტილება, რათა ბავშვისთვის უკეთესი და უსაფრთხო გარემო-პირობები შეექმნა.

37. სოციალურ მუშაკთან საუბრისას ბავშვმა განმარტა, რომ მოსწონს დედასთან ერთად ცხოვრება ბებია-ბაბუის ოჯახში და სურს ძმაც მასთან ერთად იყოს. რაც შეეხება მამასთან ურთიერთობას, ბავშვმა არ გამოთქვა მასთან ცხოვრებისა და ურთიერთობის სურვილი, თუმცა მიზეზი ვერ დაასახელა. თქვა, რომ მამა არ ურეკავს და არ აქვს მასთან ურთიერთობა. ვერ გაიხსენა ბოლოს როდის ნახა მამა. სოციალური მუშაკის მოსაზრებით, ბავშვის ჯანსაღი სულიერი, გონებრივი და ფიზიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს ორივე მშობელთან ჰქონდეს ურთიერთობა.

38. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალური ცენტრის ფსიქოლოგის 25.02.2021წ. დასკვნის თანახმად, არასრულწლოვანთან ფსიქოლოგმა განახორციელა ოთხი ვიზიტი. სანყის ეტაპზე იგი არ შედიოდა კონტაქტში, კითხვებზე რეაგირებდა მხოლოდ დუმილით, დროდადრო ამყარებდა თვალით კონტაქტს, სურდა შეხვედრის დასრულება. მომდევნო შეხვედრაზე, ბავშვისთვის მორგებულ გარემოში, ბავშვი იყო მეტად კომუნიკაბელური, ხალისიანი, გამოხატავდა კეთილგანწყობას და შეხვედრის კვლავ განხორციელების სურვილს. ხალისითა და ინტერესით ჩაერთო ასაკის შესაბამის აქტივობებში. პასუხობდა დასმულ კითხვებს, თუმცა სიტყვიერი რეაგირება იყო მწირი, დასმულ კითხვებზე ძირითადად პასუხობდა ერთი სიტყვით ან რეაგირებდა თავის მოძრაობით. კითხვების გააზრება და უკუკავშირი იყო ადეკვატური, ბუნებრივი, პასუხობდა ფიქრის შემდეგ.

39. ფსიქოლოგის შეფასებით, ბავშვის ფსიქო-ემოციური განვითარება შეესაბამება ასაკს. მან გამოავლინა დადებითი ემოციური კავშირი დედის მიმართ. საუბრისას ვლინდებოდა, რომ კვება, ჰიგიენა, ძილის რუტინა დედასთან აქვს დაკავშირებული. ვიზიტზე დედის მიერ ურთიერთდამოკიდებულების ეპიზოდების გადმოცემას ბავშვი უსმენდა და იხსენებდა ხალისით. ინდივიდუალურ შეხვედრაზე მან გამოხატა დედასთან თანაცხოვრების სურვილი. მან

ძლიერი მიჯაჭვულობა, დადებითი ემოციური კავშირი, მონატრება გამოავლინა ძმის მიმართ. გაიხსენა ერთობლივი აქტოვობები (თამაში, აუზში ბანაობა). დასმულ კითხვაზე ბავშვმა გაიხსენა მარნეულში, ძმასთან ერთად ყოფნის სასიამოვნო ეპიზოდი, აღნიშნა, რომ მისი ძმა აქ იყო ადრე და ბევრჯერ. ასევე, აღნიშნა, რომ უნდა ძმასთან ერთად ცხოვრება, უპასუხა, რომ „ძმა იყოს აქ“, „მარნეულში“, სურს ბაბუამ ჩამოიყვანოს. ბავშვი ავლენს პოზიტიურ კავშირს დედის ოჯახის სხვა წევრების მიმართ (ბაბუა, ბებია, დიდი ბებია, დეიდა, დეიდაშვილი), აქვს მათთან თანაცხოვრების სურვილი. მოსწონს სკოლა და თანატოლებთან კომუნიკაცია. ახარებს პოზიტიური შეფასება. არასრულწლოვანმა აღნიშნა, რომ იგი ბაღში დადიოდა ოდესაში, მოსწონდა ბავშვებთან თამაში. დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ დაყავდა დედას. ფსიქოლოგის განმარტებით, სავარაუდოდ, ბავშვს დედის გარეშე, მამასთან დამოუკიდებლად თანაცხოვრების გამოცდილება არ აქვს. შეხვედრებზე განაცხადა მწირი ინფორმაცია მამასთან დაკავშირებით. აღნიშნა მისი სახელი, ამასთან, საუბარში არ ყვებოდა მასთან თანაცხოვრების ეპიზოდებს, დასმულ კითხვაზე პასუხობდა „არ ვიცი“.

40. ფსიქოლოგის შეფასებით, მიღებული ინფორმაციით ვლინდება, რომ არასრულწლოვანი დაცულად გრძნობს თავს და ადაპტირებულია ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში, უზრუნველყოფილია სტაბილურობა და უსაფრთხოება. დედა და ოჯახის სხვა წევრები მისთვის სანდო და მნიშვნელოვანი ადამიანები არიან. ავლენს ძმის მონატრებას და მასთან თანაცხოვრების სურვილს. მოტივირებულია, ახარებს სასწავლო პროცესში ჩართულობა, აკადემიური აქტივობები და თანატოლებთან ურთიერთობა.

41. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ფსიქოლოგის თანდასწრებით მოხდა არასრულწლოვანთან გასაუბრება. ფსიქოლოგის განმარტებით, ბავშვი საუბრობდა მწირე ლექსიკით, პასუხობდა მარტივ კითხვებს, მოყვა იმის შესახებ, ვისთან ერთად სურს ცხოვრება, ზოგ კითხვას უპასუხა, ზოგს არა; დააფიქსირა, რომ მოსწონს მარნეულში ცხოვრება, სკოლა, სადაც დადის, თამაშობს მეგობრებთან; ასევე, გამოხატა იქ ცხოვრების გაგრძელების სურვილი; აღნიშნა, რომ ოდესაში ცხოვრება არ უნდა და სურს ძმასთან ერთად იცხოვროს მარნეულში. თუმცა, რატომ არ უნდა ოდესაში ცხოვრება – ამაზე პასუხი არ აქვს. არასრულწლოვანს დაესვა კითხვები მამასთან დაკავშირებით, თუმცა ბავშვმა დამაზუსტებელ კითხვებს პასუხები არ გასცა. მაგალითად, რას აკეთებდა მამასთან ერთად და რისი გაკეთება სურდა.

42. სააპელაციო პალატამ, ასევე, აღნიშნა, რომ თბილისის საა-

პელაციო სასამართლოში 27.05.2021წ. გამართულ სხდომაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელმა მხარი არ დაუჭირა სასარჩელო მოთხოვნას და აღნიშნა, რომ ბავშვი არ წარმოადგენს არამართლობიერად გადაადგილებულ პირს, ვინაიდან მხარეთა პირველი განქორწინების დროს აზერბაიჯანის რაიონული სასამართლოს მიერ დედას მიენიჭა მეურვეობის უფლება.

43. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარდგენილ დასკვნებში ძირითადად განხილულია ის საკითხი, თუ როგორ გარემოში ცხოვრობს ამჟამად არასრულწლოვანი. დასკვნებში, ასევე, აღნიშნულია, რომ დედა და მისი ოჯახის წევრები სათანადოდ ზრუნავენ ბავშვზე, იგი ადაპტირებულია ახალ გარემოსთან და მიჯაჭვულია დედაზე, კეთილგანწყობილია დედის ოჯახის წევრების მიმართ და სურს მარნეულში დარჩენა. ამასთან, მართალია, ფსიქოლოგი მიუთითებს, რომ ბავშვს არ ახსოვს თუ როდის ნახა მამა, არ აქვს მასთან დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება და არ სურს ოდესაში დაბრუნება, თუმცა იქვე განმარტავს, რომ ბავშვი აღნიშნულის მიზეზებზე კონკრეტულ პასუხს ვერ იძლევა. გარდა ამისა, არცერთი დასკვნა არ მიუთითებს, რომ ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება მას აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენებს და შეუქმნის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს. პირიქით, ბავშვი მონატრებას გამოხატავს ძმის მიმართ, რომელიც მამასთან ერთად ცხოვრობს ოდესაში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება ბავშვის ფსიქიკისთვის მატრავმირებელი იქნება.

44. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ინტეგრაცია არის უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ გარემოსთან შეგუება, ის მოიცავს ფსიქოლოგიურ ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებასა და გარემოში დამკვიდრებასთან. ბავშვების ინტეგრაცია იმდენად აშკარა უნდა იყოს, რომ ამ გარემოში დარჩენამ გადაფაროს კონვენციის უპირველესი ამოცანა, რომელიც არასრულწლოვნის უკან დაბრუნებას გულისხმობს, ამასთან, ეს უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ცალსახად არ დადასტურდა ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობა, ვინაიდან, როგორც საქმის მასალების ერთობლიობაში შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ირკვეოდა, არასრულწლოვანი ერთი წლის ასაკიდან ცხოვრობდა უკრაინაში, აქტიურად იყო ადაპტირებული იქაური ცხოვრების წესზე, უზრუნველყოფილი იყო საცხოვრებლითა და სოციალური პაკეტით, მშობლების ყურადღებით და ა.შ. მისი საქართველოში ჩამოყვანა კი განხორციელდა მოულოდნელად, მა-

მის ნების საწინააღმდეგოდ, დედის მხრიდან საქართველოში სამუშაოდ და საცხოვრებლად გადმოსვლის მოტივით.

45. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებული გამონაკლისი გარემოების არსებობა, რაც გამორიცხავს ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების შესაძლებლობას. რაც შეეხება თავად არასრულწლოვნის ნებას, იგი არ იმყოფება მონიფულობის იმ ასაკში, როდესაც დამოუკიდებლად შეუძლია განსაზღვროს რა სურს და რა არის მისი მომავალი განვითარებისა და ოჯახური ცხოვრებისთვის საუკეთესო.

46. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო არასრულწლოვნის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილზე – უკრაინაში, ქალაქ ოდესაში დაბრუნების საფუძველი.

47. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**48. პირველმა კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:**

48.1. სააპელაციო სასამართლო გასცდა კონვენციის მოთხოვნებს და გამოიყენა იგი მამის როგორც მშობლის, და არა როგორც მეურვის, უფლებების დასაცავად. „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის კონვენციის შესაბამისად, ბავშვის გადაადგილების/დაკავების არამართლობიერება გამოიხატება განმცხადებლის მეურვეობის უფლების დარღვევაში;

48.2. მამამ ბავშვზე მეურვეობის უფლება გადასცა დედას. მეურვეობის უფლების დასადგენად საქმეში წარდგენილია ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონული სასამართლოს 25.06.2018წ. კანონიერ ძალაში შესული დადგენილება, რომლითაც გაუქმდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის რეგისტრირებული ქორწინება და მხარეთა საერთო შვილები აღსაზრდელად დარჩენ დედასთან. აღნიშნული დადგენილება არ გასაჩივრებულა, არ შეცვლილა და იგი თავისი შინაარსით წარმოადგენს ჰააგის კონვენციის მეხუთე მუხლით გათვალისწინებულ, მეურვეობის უფლების განმსაზღვრელ ერთ-ერთ საფუძველს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს დადგენილებაში დაფიქსირებულია მამის თანხმობა შვილების დედის

მეურვეობის ქვეშ დარჩენასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის მეურვეს წარმოადგენს დედა და სწორედ ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილი უნდა იქნეს მიჩნეული ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად. დედის მიერ საკუთარ საცხოვრებელ მისამართზე ბავშვის წაყვანა წარმოადგენს მეურვეობის უფლების განხორციელებას და არ შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც გატაცება;

48.3. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელისა და მოპასუხის ხელახლა დაქორწინების შედეგად, ავტომატურად გაუქმდა აზერბაიჯანის სასამართლოს 25.06.2018წ. გადანყვეტილება ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე. ის გარემოება, რომ მეუღლეები შერიგდნენ და შემდეგ ისევ განქორწინდნენ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ვერ დაუკარგავს იურიდიულ მნიშვნელობას სასამართლოს დადგენილებას, მით უფრო, ბავშვების მიკუთვნების ნაწილში. არც საერთაშორისო და არც ეროვნული სამართლის სისტემა არ იცნობს სასამართლო გადანყვეტილების ავტომატურ რეჟიმში გაუქმების შესაძლებლობას;

48.4. მამა არც ფორმალურად და არც რეალურად არ ახორციელებდა ბავშვის მეურვეობას. კონვენციის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, კონვენციის მე-3 მუხლის ფორმულირება განმცხადებელს აკისრებს მხოლოდ იმის მტკიცების ვალდებულებას, რომ იგი რეალურად ზრუნავდა ბავშვზე. ამ წინაპირობას საფუძვლად უდევს კონვენციის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და მისი არსებობა აუცილებელია მამის, როცა პირი აცხადებს, რომ მისი მეურვეობის უფლება დაირღვა სხვა პირის მიერ ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების დროს. განსახილველ შემთხვევაში, არც ეს კომპონენტი არსებობს. არასრულწლოვანი იყო დედის რეალური მეურვეობის ქვეშ, რაც დაადასტურა მამამაც;

48.5. მოსარჩელე სარჩელში აღნიშნავს, რომ სასამართლოს (იგულისხმება ოდესის სასამართლო) არ უმსჯელია ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ, რის გამოც ორივე ბავშვი ცხოვრობდა დედასთან; ამასთან, მოსარჩელის მიერ ოდესის ოლქის პოლიციის განყოფილების მიმართ 29.10.2019წ. შედგენილ წერილში მითითებულია, რომ დედა ბავშვებთან ერთად ცხოვრობდა ცალკე, სხვა მისამართზე; გარდა ამისა, უკრაინის საზღვრის კვეთის შესახებ დოკუმენტებში ფიქსირდება, რომ მოპასუხე და არასრულწლოვანი 2015 წლის 17 ოქტომბერს თბილისიდან გაემგზავრნენ უკრაინაში, სადაც იმყოფებოდნენ 08.04.2016წ.-მდე. შემდგომი სამი გადაადგილებისას არასრულწლოვანი, ასევე, მოგზაურობ-

და მხოლოდ დედასთან ერთად. მისი და დედის ქვეყანაში შესვლისა და გასვლის თარიღები ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს. ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებების საპირწონედ, მოსარჩელის მიერ მეურვეობის რეალურად განხორციელების დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლომ მოიხმო მამის 20.11.2019წ. განცხადება, რომლითაც მან მოითხოვა მის მიერ გაცემული სანოტარო აქტის – შვილების დედასთან ერთად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ნებისმიერ ქვეყანაში გაყვანის თანხმობის, გაუქმება. აღსანიშნავია, რომ ამ განცხადების შესახებ მოპასუხისთვის მხოლოდ სარჩელის ჩაბარების შემდეგ გახდა ცნობილი, თუმცა, მიუხედავად ამისა, გაუგებარია მისი საქმესთან კავშირი;

48.6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში, ბავშვი უნდა დაბრუნდეს მამის სახლში, სადაც აქამდე ერთი ლამეც არ გაუთენებია. ასევე, მამის საზოგადოებაში, ვისთან ცხოვრების გამოცდილებაც არ აქვს (რადგან დედა ვერ მოახერხებს უკრაინაში ცხოვრებას);

48.7. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ არასრულწლოვანი წარმოადგენს უკანონოდ გადაადგილებულ ან დაკავებულ ბავშვს, მისი უკრაინაში დაბრუნების საკითხის გადაწყვეტისას, ვალდებული იყო გამოერიცხა ჰააგის კონვენციის მე-12-მე-13 მუხლებით გათვალისწინებული საგამონაკლისო პირობების არსებობა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ დასაბუთებას, რომ ბავშვის უკრაინაში დაბრუნება საუკეთესო გამოსავალია და განპირობებულია მისი საუკეთესო ინტერესებით. საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიანიშნებს, რომ ბავშვის ოდესაში დაბრუნება შესაძლებელია მისი ინტერესების დარღვევის გარეშე. სააპელაციო სასამართლოს მიერ იგნორირებულია სოციალური სამსახურის, ფსიქოლოგისა და საკუთრივ ბავშვის დაბრუნებისადმი დამოკიდებულება;

48.8. ჰააგის კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, არ არსებობს ვალდებულება ბავშვის დაბრუნებასთან დაკავშირებით თუ – კომპეტენტური ორგანოს მიერ ბავშვის დაბრუნების მიზნით საქმისწარმოების დაწყების მომენტში ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილებიდან/დაკავებიდან გასულია ერთ წელზე მეტი და თვალნათლივ არის ნაჩვენები, რომ ამ დროისთვის იგი ინტეგრირებულია ახალ გარემოში. მოცემულ შემთხვევაში, არასრულწლოვანი საქართველოში შემოვიდა 2020 წლის 25 ივნისს. შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, გასულია ერთ წელზე მეტი ვადა და ბავშვი სრულად ადაპტირებულია გარემოში. უფრო მეტიც, მას არ სჭირდებო-



და განსაკუთრებული ძალისხმევა შეგუებოდა საქართველოს, რომელიც წარმოადგენს მის მეორე სამშობლოს და არა უცხო ქვეყანას. შესაბამისად, გაურკვეველია, რის საფუძველზე არ მიიჩნია სააპელაციო პალატამ, რომ ბავშვი ინტეგრირებულია თავის ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში;

48.9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ არასრულწლოვანი აქტიურად იყო ადაპტირებული უკრაინული ცხოვრების წესზე, რაც დაუსაბუთებელია. ამის საწინააღმდეგოდ, სოციალური სამსახური, ფსიქოლოგი და სკოლა ერთხმად და სარწმუნოდ განმარტავენ, რომ ბავშვი მთლიანად ინტეგრირებულია საქართველოში და აქ დარჩენა სრულად შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესს;

48.10. სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა სოციალური, სამართლებრივი, კულტურული და ენობრივი ასპექტები. მნიშვნელობა არ მიანიჭა იმას, რომ არასრულწლოვანი 2020 წლის 15 სექტემბრიდან სწავლობს მარნეულის №4 საჯარო სკოლის პირველი კლასში. ეს არის მისი პირველი სასკოლო გამოცდილება. ამდენად, მისთვის ძვირფასია პირველი მასწავლებელი და პირველი კლასელები, რომელთან დაშორება მოუტანს ტკივილს და ზიანს მიაყენებს. ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი საქართველოში თავს მართლაც კარგად გრძნობს, ვლინდება იმითაც, რომ მან გამოავლინა აკადემიური ინტერესი, იგი კომუნიკაბელური და მეგობრულია. ბავშვის მშობლიური ენა არის აზერბაიჯანული და, ბუნებრივია, იგი გაცილებით კომფორტულად გრძნობს თავს მარნეულში, რომელიც აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობით არის დასახლებული, ვიდრე უკრაინაში;

48.11. ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბავშვის დაბრუნების ვალდებულების შემდეგი საგამონაკლისო შემთხვევაა: თუ არსებობს სერიოზული რისკი, რომ დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის ან სხვაგვარად ჩააყენებს მას გაუსაძლის მდგომარეობაში. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი რისკი სახეზეა. ფსიქოლოგებისა და სოციალური სამსახურის კვლევებით გამოიკვეთა ბავშვის დედასთან ძლიერი ემოციური მიჯაჭვულობა. მათი განმარტებით: ინტეგრირებული გარემოდან ბავშვის დედის გარეშე წაყვანა გაამწვავებს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რადგან დედასთან დაშორებით და ინტეგრირებული გარემოდან გასვლის შემთხვევაში, წარმოიქმნება ბავშვისათვის ფსიქოლოგიური საფრთხის შემცველი გარემოებები. აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს არასრულწლოვნის განვითარებაზე, რაც დაუშვებელია. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოში ფსიქოლოგმა განმარტა, რომ რომ დედასთან

დაშორება ბავშვისთვის იქნება მატრავმირებელი და მიაყენებს მას ფსიქოლოგიურ ზიანს;

48.12. ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბავშვის დაბრუნება შეუძლებელია, თუ იგი ამის წინააღმდეგია და, ამავდროულად, მიღწეულია იმ ასაკსა და მონიფულობას, რომ მიზანშეწონილია მისი აზრის გათვალისწინება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის, ბავშვის მოსმენისა და მისი აზრის სათანადოდ გათვალისწინების პრინციპები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არასრულწლოვანი არ იმყოფება მონიფულობის იმ ასაკში, როდესაც დამოუკიდებლად შეუძლია განსაზღვროს რა სურს და რა არის მისი მომავალი განვითარებისა და ოჯახური ცხოვრებისთვის საუკეთესო. თუმცა, გაუგებარია რის საფუძველზე მივიდა სასამართლო ამ დასკვნამდე. არასრულწლოვანი საქმის განხილვის დროს იყო შვიდი წლის, ამასთან, ფსიქოლოგიური შეფასებების მიხედვით, ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონე არის მაღალი. ბავშვის მონიფულობის ხარისხის შეფასება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, თუმცა სააპელაციო სასამართლოს ამ მხრივ არანაირი ძალისხმევა არ გაუწევია. მხოლოდ ასაკზე, როგორც მონიფულობის დამადასტურებელ არგუმენტზე, მითითება კი ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვით 6, 7 და 8 წლის ბავშვების ასაკი არ მიიჩნევა წინააღმდეგ მათი მონიფულობის დასადგენად;

48.13. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ფსიქოლოგის შეფასებით, ბავშვი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე დაკითხვისას საუბრობდა მწირი ლექსიკით, პასუხობდა მარტივ კითხვებს, მოჰყვა იმის შესახებ, ვისთან ერთად სურს ცხოვრება, ზოგ კითხვას უპასუხა, ზოგს არა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის მხრიდან თავშეკავება გამონეგული იყო სააპელაციო სასამართლოში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების დარღვევით. ბავშვის გამოკითხვა მოხდა უშუალოდ სასამართლო სხდომის დარბაზში და არა ბავშვზე მორგებულ გარემოში. ამასთან, არცთუ მეგობრული განწყობით, რაც ბავშვისთვის სტრესული აღმოჩნდა. დაკითხვას პაექრობის სახე ჰქონდა, მოსამართლეები, ყოველგვარი ემპათიის გარეშე, არანეიტრალური და მიმართული კითხვებით აშკარად თავს ესხმოდნენ არასრულწლოვანს და გამოხატავდნენ გაღიზიანებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვერ ასაბუთებდა, რომ არ სურდა მამასთან ცხოვრება. ერთ-ერთმა მოსამართლემ ისიც კი ჰკითხა, ნაყინი ერჩივნა თუ მამა. სოციალური სამსახურის ფსიქოლოგმა რამდენჯერმე სთხოვა სასამართლოს ბავშვისთვის არ დაესვათ მიმანიშნებელი და პირდაპირი

კითხვები;

48.14. შპს „ფ-ას“ 2021 წლის 18 ივლისის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგების თანახმად, „არასრულწლოვანს მამაზე საუბრისას დაუფიქსირდა ემოციური სფეროს გარკვეული სირთულეები. პირველი ვიზიტისას, როდესაც საკმაოდ ფრთხილად შევეხეთ მამის საკითხს, თავი დახარა, შეეცვალა ხასიათი და გაჩუმდა. მამაზე საუბრისას არასრულწლოვანს ეწყება შფოთვა, ერღვევა სიმშვიდისა და უსაფრთხოების განცდა და ეზრდება დაძაბულობა (წარბებს კრავს და ქვევიდან მიყურებს). ოჯახური ურთიერთობების კვლევის მიზნით გამოყენებული მეთოდიკის, „დაუმთავრებელი წინადადებების“ პროცესში მამასთან დაკავშირებულ წინადადებებზე ჩუმდება. მამის სახელი „არ ახსოვს“ და მასზე კითხვების დასმისას ჩუმდება ან ამბობს „არ ვიცი“. მკვეთრ უარს აცხადებს მამის საქართველოში, ანუ მათთან ჩამოსვლაზე და ამბობს, რომ არ უნდა მამასთან წასვლა, თუმცა ენატრება უფროსი ძმა და ძალიან უნდა მასთან ტელეფონით საუბარი. კითხვარის ერთ-ერთ წინადადებაზე, რომელიც მამას ეხებოდა, მითხრა რომ მამა ყვიროდა, დედას ეჩხუბებოდა, მერე დაარტყა და თმებს ქაჩავდაო. მე შემემინდა და ვტიროდიო (სავარაუდოდ, ბავშვი შეესწრო დედ-მამის კონფლიქტს და მეხსიერებაში აქვს ნეგატიური გამოცდილება დედ-მამის ურთიერთობებიდან). ზღაპარი-ტესტი „შიშების“ მიხედვით, ბავშვს უფიქსირდება ღია შიში მამასთან მიმართებით და ამბობს კიდევ, რომ მას მამის ეშინია“;

48.15. ფსიქოლოგმა, დასმულ კითხვაზე: მოახდენდა თუ არა ბავშვზე გავლენას მისი უშუალოდ სასამართლო სხდომის დარბაზში დაკითხვა, უპასუხა, რომ ბავშვისთვის არაბუნებრივ და სტრესულ გარემოში, ანუ სასამართლო დარბაზში ყოფნამ და დაკითხვამ გამოიწვია ბავშვის დაბნეულობა და სწორედ ამიტომ ვერ დაასაბუთა საკუთარი პოზიცია მამასთან დაკავშირებით. თუმცა, ფსიქოლოგთან საუბრისას აღნიშნა შემდეგი: „ვიღაც დეიდები მეკითხებოდნენ მამაზე, მაგრამ მე არ მეშინოდა, იმიტომ რომ დედა იყო ჩემთან“; ამრიგად, ბავშვის ინტელექტუალური უნარებიდან გამომდინარე, მას ნამდვილად შეუძლია საკუთარი პოზიციის არგუმენტირება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით;

48.16. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მიმართ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია. კერძოდ, მან გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ მოპასუხემ დაამზადებინა ყირგიზეთის რესპუბლიკის ყალბი პასპორტი და ისე გამოიყვანა ბავშვი ქვეყნიდან. თუმცა, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს გამოძიება და ამ ეტაპზე საქ-

მეზე საბოლოო გადანყვეტილება მიღებული არ არის. ამდენად, სის-  
ხლის სამართლის საქმე აღძრულიც კი არ არის;

48.17. სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირ-  
თი და მოპასუხეს დააკისრა იმ გარემოების დამტკიცების ვალდე-  
ბულება, რომ მისთვის ცნობილი არ იყო ბავშვის საპასპორტო მო-  
ნაცემების შეცვლის თაობაზე;

48.18. „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექ-  
ტების შესახებ“ ჰააგის კონვენცია არ აკეთებს აქცენტს იმაზე, გა-  
ტაცების დროს საზღვრის კვეთა განხორციელდა თუ არა კანონიე-  
რად. კონვენცია მხარს უჭერს მეურვეობის უფლებას იმის მიუხე-  
დავად, კანონიერად იმყოფება პირი სხვა ქვეყანაში თუ არა.

49. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე საკასაციო  
საჩივარი წარადგინა არასრულწლოვანმა. მან მოითხოვა გადანყვე-  
ტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმა-  
ყოფილებაზე უარის თქმა.

**50. მეორე კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა საა-  
პელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების შემდეგ  
საფუძვლებზე:**

50.1. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ბავშვთა საერთა-  
შორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის კონ-  
ვენციის შესაბამისად, არასრულწლოვანის უკრაინაში დაბრუნების  
საკმარისი საფუძველი;

50.2. სასამართლომ უგულვებელყო და არ გაითვალისწინა ის გა-  
რემოება, რომ ბავშვი ინტეგრირებულია მის ახალ გარემოში. აღ-  
ნიშნული ირკვევა, როგორც ფსიქოლოგის დასკვნიდან, ისე ბავშვის  
მიერ პროცესზე მიცემული ახსნა-განმარტებიდან. სასამართლომ,  
ასევე, არ გაითვალისწინა, რომ ბავშვის დაბრუნებამ შესაძლოა მას  
ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საფრთხე შეუქმნას;

50.3. არასრულწლოვანს სააპელაციო სასამართლოში გასაუბრე-  
ბისას დაესვა შეკითხვა მამასთან დაკავშირებით, თუმცა მან არა-  
ფერი უპასუხა, განსხვავებით დედის, დედმამისშვილების, ბებია-  
სა და პაპასთან დაკავშირებით დასმული კითხვებისა, რომლებთან  
ურთიერთობის სურვილიც გააჩნია;

50.4. ბავშვი საქართველოში იმყოფება 2020 წლის ივნისიდან,  
თუმცა ეს საკმარისი დრო აღმოჩნდა მისი სრული ინტეგრაციისათ-  
ვის. საქართველო რეალურად მისი მეორე სამშობლოა, რადგან დე-  
და სწორედ საქართველოდან არის და მისთვის აქ არ არის უცხო  
გარემო; ბავშვი ჰარმონიულად ცხოვრობს დედის ოჯახში და ჰყავს  
სოციალური მხარდაჭერის მჭიდრო და საიმედო ქსელი (ბაბუა, ბე-  
ბია, დიდი ბებია, დეიდა და დეიდაშვილი), თავს გრძნობს დაცუ-  
ლად და უსაფრთხოდ, როგორც საკუთარ სახლში. ამის მიმანიშნე-

ბელია მისი კეთილი და პოზიტიური განწყობა; ჰყავს მეგობრები და თანაკლასელები; იგი 2020 წლის 15 სექტემბრიდან სწავლობს მარნეულის №4 საჯარო სკოლის პირველ კლასში. ეს არის მისი პირველი სასკოლო გამოცდილება და მისთვის ძვირფასია პირველი მასწავლებელი და პირველი კლასელები, რომელთან დაშორება მოუტანს ტკივილს და მიაყენებს ზიანს; არასრულწლოვანს დედასთან აქვს ძლიერი ემოციური მიჯაჭვულობა. კვება, პიგიენა, ძილის რუტინა სწორედ მასთან აქვს დაკავშირებული; ბავშვს დედის გარეშე მამასთან დამოუკიდებლად თანაცხოვრების გამოცდილება არ აქვს; იგი მამასთან დაბრუნების წინააღმდეგია და სურს იცხოვროს დედასთან ერთად; ბავშვი არ განიცდის არავის უკმარობას. გარდა ამისა, სურს იცხოვროს მარნეულში ძმასთან ერთად; იგი დაცულად გრძნობს თავს და ადაპტირებულია ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში, უზრუნველყოფილია სტაბილურობა და უსაფრთხოება. ფსიქოლოგმა გამოკითხვისას სარწმუნოდ განმარტა, რომ დედასთან დაშორება ბავშვისთვის იქნება მატრავმირებელი და მიაყენებს ფსიქოლოგიურ ზიანს. გარდა ამისა, ქალაქ ბაქოს ხათაის სასამართლოს 25.06.2018წ. დადგენილებით, რომლითაც შეწყდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის რეგისტრირებული ქორწინება, გადანყდა არასრულწლოვანი შვილების მიკუთვნების საკითხი – ისინი დარჩნენ დედასთან;

50.5. ზემოაღნიშნული გარემოებებისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლოს არ უნდა მიეჩნია არასრულწლოვანი არამართლზომიერად გადაადგილებულ და არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვად და არ უნდა მიეღო გადანყვეტილება მისი უკრაინაში, მამასთან დაბრუნების თაობაზე.

51. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 10 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. იმავე განჩინებით, პირველი კასატორის შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულების დართვის თაობაზე დაკმაყოფილდა და საქმეს დაერთო შპს „ფ-ას“ 2021 წლის 18 ივლისის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები.

**52. შპს „ფ-ას“ 2021 წლის 18 ივლისის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგების თანახმად:**

52.1. არასრულწლოვანთან გასაუბრების მიზნით, შედგა ხუთი ეიზიტი;

52.2. არასრულწლოვანი არის ჯანსაღი ფსიქიკის, ხალისიანი, მეგობრული, მშვიდი და დადებითი ემოციების მატარებელი ბავშვი. აქვს ინტერესთა ფართო სპექტრი, მყარი კონცეფტრაციის უნარი,

რაც მეტყველებს იმაზე, რომ მოცემულ ეტაპზე მას შფოთვა არ გააჩნია; შეხვედრებზე ბავშვი თავს გრძნობდა მშვიდად, უსაფრთხოდ და საუბრობდა ძალდატანების გარეშე. ხატავდა სხვადასხვა შინაარსის ნახატებს. არცერთ ნახატში არ ფიქსირდებოდა მამა. ნახატზე გამოსახულები იყვნენ დედა, დეიდა, ბებია, დეიდაშვილები და ბაბუა. ასევე, ხატავდა გულებს, ყვავილებს, ღიმილიან მზეს, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს ამ პირების მიმართ ბავშვის კეთილგანწყობაზე; არასრულწლოვნის შემეცნებითი უნარები და ინტელექტის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ასაკობრივ ნორმასთან მიმართებით. მაღალ დონეზე აქვს განვითარებული სოციალური უნარ-ჩვევები. ბავშვი საუბრობს ლოგიკურად, ხატოვნად, გასაგებად გადმოსცემს საკუთარ აზრს და ადეკვატურად გამოხატავს საკუთარ გრძნობებს; დედასთან ურთიერთობაში არ განიცდის შიშს, შფოთვის, იძულების და დაძაბულობის განცდას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ქცევა იქნებოდა რადიკალურად განსხვავებული; დედა-შვილს შორის არის ჰარმონიული და დადებითი ემოციური კავშირი. ბავშვი, ემოციური თვალსაზრისით, დედის გვერდით თავს გრძნობს სანდოდ, დაცულად და უსაფრთხოდ. მის მიმართ დედა არის თბილი, მზრუნველი და თანმიმდევრული. ბათუმში საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებული დედის ვიზიტისას, ბავშვი იმყოფებოდა მარნეულში. ბავშვს ჰქონდა შფოთვის მაღალი ხარისხი და დედა ცდილობდა ხშირად ესაუბრა მასთან ვიდეოზარის საშუალებით, რათა მისთვის დამატებითი ემოციური სტრესი აერიდებინა. ბავშვი, ასევე, ღელავს, როდესაც დედას მცირე ხნით მაინც აგვიანდება სამსახურიდან დაბრუნება. დედასთან ყოფნა არასრულწლოვნისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და უსაფრთხოების განცდის მატარებელი;

52.3. არასრულწლოვანს ემოციური სფეროს სირთულეები დაუფიქსირდა მამაზე საუბრისას. პირველი ვიზიტისას, როდესაც საკმაოდ ფრთხილად შეეხო ფსიქოლოგი მამის საკითხს, მან თავი დახარა, შეეცვალა ხასიათი და გაჩუმდა. მამაზე საუბრისას ეწყება შფოთვა, ერღვევა სიმშვიდისა და უსაფრთხოების განცდა და ეზრდება დაძაბულობა (წარბებს კრავს და ქვევიდან იყურება). ოჯახური ურთიერთობების კვლევის მიზნით გამოყენებული მეთოდების „დაუმთავრებელი წინადადების“ პროცესში მამასთან დაკავშირებულ წინადადებებზე ჩუმდება, მამის სახელი „არ ახსოვს“ და მასზე კითხვების დასმისას ჩუმდება ან ამბობს „არ ვიცი“. მკვეთრ უარს აცხადებს მამის საქართველოში, ანუ მათთან ჩამოსვლაზე და ამბობს, რომ არ უნდა მამასთან წასვლა, თუმცა ენატრება უფროსი ძმა და ძალიან უნდა მასთან ტელეფონით საუბარი. კითხვარის ერთ-ერთ წინადადებაზე, რომელიც მამას ეხებოდა, ბავშვმა

თქვა, რომ მამა ყვიროდა, დედას ეჩხუბებოდა, მერე დაარტყა და თმებს ქაჩავდაო. მე შემეშინდა და ვტიროდიო (სავარაუდოდ, ბავშვი შეესწრო დედ-მამის კონფლიქტს და მეხსიერებაში აქვს ნეგატიური გამოცდილება მათი ურთიერთობიდან); ზღაპარი-ტესტი „შიშების“ მიხედვით ბავშვს უფიქსირდება ღია შიში მამასთან მიმართებით და ამბობს კიდევ, რომ მას მამის ეშინია;

52.4. დედასთან განხორციელებული ინტერაქციის საფუძველზე, ფსიქოლოგმა აღნიშნა, რომ არასრულწლოვანი აბსოლუტურად ადაპტირებული და ინტეგრირებულია ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოსთან, რაც გამოიხატება შემდეგი მახასითებლებით: სანდო მიჯაჭვულობა დედასთან; ჯანსაღი, პოზიტიური და ადეკვატური თვითშეფასება; დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა დედისა და ბებია-ბაბუის გარემოცვაში; უაღრესად თბილი დამოკიდებულება ბებია-ბაბუასთან (დედის სამსახურში ყოფნისას, სრულ დროს ატარებს ბებიასთან); თბილი დამოკიდებულება დედასთან და მის შვილებთან, რომლებთანაც სიამოვნებით თამაშობს და ატარებს დროს; უაღრესად წარმატებული სასკოლო ცხოვრება. დედამ ფსიქოლოგს აჩვენა სასკოლო კონცერტების ჩანაწერები, საიდანაც ნათლად ჩანს ბავშვის დადებითი დამოკიდებულება სასკოლო გარემოსთან და იმ ადამიანებთან, ვისთან ერთადაც უწევს ყოფნა სასკოლო სივცეში; ბავშვთან განხორციელებული მეთოდის ანალიზი, რომლის მიხედვით ბავშვი კომფორტულად, უსაფრთხოდ და მშვიდად გრძნობს თავს ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში; ბავშვის ნახატები; ბავშვის მომავალი გეგმები, რომლებიც ეხება როგორც სკოლას, ისე ტანვარჯიშის სპორტულ სექციაზე სიარულს, რაც გულისხმობს იმას, რომ ბავშვს თავისი ცხოვრება წარმოდგენილი აქვს ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში. რაც შეეხება მარნეულში ცხოვრებასთან დაკავშირებით ბავშვის ნება-სურვილს, ეს ნამდვილად არის მისი კეთილი ნება, დამოუკიდებელი და გულწრფელი სურვილი, რასაც, ასევე, ადასტურებს დედის გარეშე ბავშვთან განხორციელებული საუბრის შინაარსი. როდესაც ფსიქოლოგმა ბავშვს ჰკითხა მამასთან ცხოვრების სურვილის შესახებ, მან კატეგორიული ნეგატიური პასუხის გაცვა;

52.5. ფსიქოლოგის შეფასებით, დედის მიმართ სანდო მიჯაჭვულობის ხარისხიდან გამომდინარე, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვს არ აქვს დედის გარეშე ცხოვრების გამოცდილება, მოცემულ ეტაპზე ბავშვისათვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა (უკრაინაში დაბრუნება) და დედასთან დაშორება უდავოდ იქნება მაღალი რისკისა და ფსიქოტრავმატიზაციის შემცველი, რაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გულისხმობს იმას, რომ ბავშვს დაერღვევა არსებული უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდა.

მიჯაჭვულობის ობიექტისგან სეპარაცია, დიდი ალბათობით, გამოვლინდება გარკვეულ პერიოდში აგრესიულობის განსხვავებული ხარისხით და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მწვავე ფსიქოლოგიური პრობლემებით – შიშები, ფობიები, დეპრესიული მდგომარეობა, სოციალურობა, კომუნიკაციის დაბალი ხარისხი, საკუთარი უმწევობის და არასრულფასოვნების განცდა და სხვა. ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის დაზიანების ხარისხი ნამდვილად იქნება განსაკუთრებით მაღალი თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ გამოვლინდა ე.წ. კონფლიქტის ზონები ოჯახურ ურთიერთობაში (მამასთან) და ბავშვის ოჯახურ-პიროვნული ურთიერთობების სისტემაში დედისადმი დამოკიდებულების მაღალი დადებითი მაჩვენებელი, რამაც ცალსახად დაადასტურა დედისადმი სანდო მიჯაჭვულობა. აღნიშნული ურთიერთობების რღვევა კი, დიდი ალბათობით, უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვის პიროვნების შემდგომ განვითარებაზე. გარდა ამისა, დედასთან დაშორება სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებს ბავშვის ჯანსაღ განვითარებას, რაც შესაძლებელია გამოიხატოს დათრგუნულობით, ძალადობის სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით, თვითდაზიანებით, კვებითი პრობლემებით, კომპულსიური ტყუილებით, დანაშაულის გრძობის არქონით და ფსიქოლოგიური სახით სხვადასხვა დესტრუქციული ქცევებით. აღსანიშნავია, რომ დედის განმარტებით, იგი ვერ გააყვება ბავშვს უკრაინაში, რადგან ეშინია, რომ მეუღლე შურისძიების მიზნით ფიზიკურად გაუსწორდება. ამას გარდა, მას ოდესაში არ აქვს საცხოვრებელი და სამსახური.

53. ზემოაღნიშნულ დასკვნასთან დაკავშირებით მოსარჩელემ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია. მისი განმარტებით, საგულისხმოა ის გარემოება, რომ კვლევა ჩატარებულია არა რომელიმე სახელმწიფო ან კომპეტენტური და ცნობადი დაწესებულების, არამედ ფიზიკური პირის მიერ დაფუძნებული შპს-ს მიერ, რაც დასკვნის კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობას ეჭქვეშ აყენებს. დასკვნის სხვადასხვა ნაწილები ურთიერთსაწინააღმდეგოა და შედგენილია საქმეზე დაინტერესებული პირის მიერ მინოდებული ცრუ ინფორმაციის საფუძველზე. მასში განვითარებული მოსაზრებები და დასკვნები არაობიექტური და მიკერძოებულია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

54. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს.

55. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯე-



ლობის საგანია წარმოადგენს თუ არა არასრულწლოვანი არამართლზომიერად გადაადგილებულ ან/და არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვს; ხოლო, აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაში, უკრაინაში, მამასთან დაბრუნება შეესაბამება თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ხომ არ იქნება მისთვის ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური საფრთხის შემცველი.

56. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის საერთაშორისო არამართლზომიერ გადაადგილებასთან/დაკავებასთან დაკავშირებული საკითხები რეგლამენტირებულია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციით (შემდგომში – „ჰააგის კონვენცია“ ან „კონვენცია“). ამასთან, აღნიშნული კონვენციის ინტერპრეტაცია და გამოყენება უნდა მოხდეს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების გათვალისწინებით და „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაეროს 1989 წლის კონვენციის შესაბამისად. კონვენციის პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, კონვენციის მიზნებია: სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვების სწრაფი დაბრუნებისა და ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მეურვეობისა და ურთიერთობის უფლებათა ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფა. ამდენად, კონვენცია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს „status quo“-ს აღგენას, ითხოვს რა არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაუყოვნებლივ დაბრუნებას თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას (ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, პარ. 16). აღნიშნული კი, საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დაცვას არამართლზომიერი გადაადგილებით/დაკავებით გამოწვეული მავნე შედეგებისაგან. ამასთან, კონვენციის პრეამბულის მიხედვით, არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნების თაობაზე გადანყვებილების მიღებისას სახელმძღვანელო პრინციპს ბავშვის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მუხლები უშუალოდ არ ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს, კონვენციის ორივე მიზანი – ერთი პრევენციული, ხოლო მეორე მიმართული ბავშვის ჩვეულ გარემოში დაუყოვნებლივი რეინტეგრაციისკენ, მთლიანობაში პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციას (ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, პარ. 25).

57. ჰააგის კონვენციის გამოყენების უპირველესი წინაპირობა

არის იმის დადგენა, არასრულწლოვანი ექცევა თუ არა მის იურისდიქციაში, ანუ სახეზეა თუ არა მისი არამართლზომიერი გადაადგილება/დაკავება. კონვენციის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, ბავშვის გადაადგილება ან დაკავება არამართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, როდესაც: ეს წარმოადგენს მეურვეობის უფლების დარღვევას, რომელიც მიკუთვნებულია პირისთვის, დანესებულებისთვის ან სხვა ორგანოსთვის, ერთობლივად თუ ცალკე, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ გადაადგილებამდე ან დაკავებამდე და გადაადგილების ან დაკავების დროისათვის ეს უფლებები რეალურად გამოიყენებოდა ერთობლივად თუ ცალკე, ანდა ამგვარად გამოიყენებული იქნებოდა, რომ არა გადაადგილება ან დაკავება. აღნიშნული კრიტერიუმები, ასევე, ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351<sup>7</sup>-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305<sup>7</sup>-ე მუხლებში.

58. ამდენად, იმისათვის, რომ არასრულწლოვნის გადაადგილება/დაკავება არამართლზომიერად შეფასდეს, სახეზე უნდა იყოს: განმცხადებლის მეურვეობის უფლების დარღვევა და ეს უფლება გადაადგილებამდე/დაკავებამდე რეალურად უნდა ხორციელდებოდა; ამასთან, არამართლზომიერ გადაადგილებამდე/დაკავებამდე არასრულწლოვანი ჩვეულებრივ უნდა ცხოვრობდეს კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონვენციის მიზნებისთვის, თუ რას გულისხმობს მეურვეობის უფლება და მისი რეალური განხორცილება, ასევე, რა მოიაზრება ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილში.

59. ჰააგის კონვენციის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, „მეურვეობის უფლებები“ მოიცავს უფლებებს, რომლებიც შეეხება ბავშვის პიროვნებაზე მზუნველობას და, კერძოდ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლებას; ხოლო, „ურთიერთობის უფლება“ – უფლებას ბავშვის განსაზღვრული დროით წაყვანისა ისეთ ადგილას, რომელიც არ არის ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, მეურვეობის უფლების წარმოშობის საფუძველია: კანონი, სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, ან/და იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით კანონიერი ძალის მქონე შეთანხმება. იგივე წინაპირობებია განსაზღვრული მეურვეობის უფლების არსებობისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305<sup>7</sup>-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით.

60. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეურვეობისა და ურთიერთობის უფლებების კონცეფციის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს კონვენციის ე.წ. „ავტონომიური“ ბუნებისა და მისი რეგულირების

ობიექტის გათვალისწინებით. კონვენციის „ავტონომიური“ ბუნება გულისხმობს მასში არსებული ცნებების, მათ შორის „მეურვეობის“, განმარტებას მხოლოდ ამ კონვენციაში არსებული მნიშვნელობიდან და შინაარსიდან გამომდინარე. კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლოების მიერ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მეურვეობის უფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი არის ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლებამოსილება. ამასთან, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის კონფერენციის მიერ არის აღნიშნული, სახელმწიფოების დიდი ნაწილის სასამართლო პრაქტიკა მხარს უჭერს მიდგომას, რომლის მიხედვითაც, ურთიერთობის უფლებისა და ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანაზე ვეტოს უფლების ერთობლიობა კონვენციის მიზნებისათვის ქმნის მეურვეობის უფლებას (იხ. ჰააგის კონვენციის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი 2018, გვ. 29-32).

61. მეურვეობის უფლების თაობაზე კონვენცია მხოლოდ იმის ხაზგასმით შემოიფარგლება, რომ აქ იგულისხმება „ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვასთან დაკავშირებული უფლება“ და არაფერს ამბობს ბავშვის ქონების დაცვის მექანიზმებზე. კონვენცია ცდილობს ამ ცნების დაზუსტებას, უსვამს რა ხაზს ბავშვის საცხოვრებელ ადგილზე გადანაცვლების მიღების უფლებას, როგორც აღნიშნული „ზრუნვის“ ერთ-ერთ მახასიათებელს (ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, პარ. 84).

62. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეურვეობის უფლების რეალური გამოყენება პირობითად მეორე კრიტერიუმია, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის გადაადგილების ან დაკავების არამართლმომიერებას. ამ კრიტერიუმის ძირითადი იდეა არის ის, რომ სახელმწიფოების მიერ მეურვეობის უფლების აღიარება არ მოხდეს მართივად და გადანაცვლების მიღების დროს მხედველობაში იყოს მიღებული, თუ რამდენად ხდებოდა რეალურად ამ უფლებით სარგებლობა. ამასთან, მისი მიზანია დაიცვას ბავშვის უფლება სტაბილურ გარემოზე, უფლება, არ შეეცვალოს ემოციური, სოციალური მდგომარეობა, საცხოვრებელი გარემო. კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არსებობს ამ კრიტერიუმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის პრაქტიკა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომა, რომელიც დაფიქსირდა არაერთი ხელშემკვრელი ქვეყნის სასამართლოს გადანაცვლებას, არის ის, რომ კონვენციის საფუძველზე მეურვეობის უფლების დასადგენად არ არის სავალდებულო მეურვეობის უფლების განხორციელება უშუალოდ და პირდაპირ ხდებოდეს ამ უფლების მქონე პირის მიერ. უპირატესი მეურვეობის უფლების მქონე პირს (parent having primary custody right) ხშირად

შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, აქვს უფლება განსაზღვროს ვის მიანდოს ბავშვი აღსაზრდელად. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი არის ის, რომ მეურვეობის უფლების მქონე პირს აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს ბავშვის საცხოვრებელი ადგილი და ინარჩუნებს პასუხისმგებლობას მის მიმართ. სხვა მიდგომის მიხედვით, მეურვეობის უფლების განხორციელება შესაძლებელია მოხდეს იმ მშობლის მხრიდანაც, რომელიც არ ფლობს უპირატეს მეურვეობას, მაგრამ მუდმივ/რეგულარულ კონტაქტშია ბავშვთან და ინარჩუნებს ნახვის/ურთიერთობის უფლებას. იმ მშობლის მხრიდან ბავშვთან რეგულარული კონტაქტის შენარჩუნება, რომელიც ფლობს *de jure* მეურვეობის უფლებას, ნიშნავს, რომ მშობელი ამ უფლებას ახორციელებს. ამასთან, მშობელი, რომელსაც უფლება აქვს შეენიშნა დედგოს მისი თანხმობის გარეშე ქვეყნის საზღვრებს გარეთ ბავშვის გაყვანას, ითვლება, რომ ახორციელებს მეურვეობის უფლებას (იხ. ჰააგის კონვენციის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი 2018, გვ. 32-34; ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, პარ. 72).

63. რაც შეეხება ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილს, ჰააგის კონვენცია კონკრეტულად არ განსაზღვრავს თუ რა მიიჩნევა ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად. კონვენციის საფუძველზე განხილულ საქმეებში ეს ტერმინი, ძირითადად, შემდეგ სამ თეორიაზე დაყრდობით განიმარტება – ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ: სად ცხოვრობდა რეალურად ბავშვი; სად აქვთ მშობლებს განზრახული, რომ იცხოვროს; ორივე კრიტერიუმის ერთობლიობით. პირველი მიდგომის მიხედვით, ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მთლიანად ფოკუსირებულია ბავშვზე, მის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, კონკრეტულ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობაზე, მის ემოციურ და სულიერ კავშირზე ამ ადგილთან, გარემოში მის ინტეგრირებაზე; მეორე მიდგომის მიხედვით, ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისას მნიშვნელოვანია მშობლების (ან ბავშვზე მეურვეობის მქონე სხვა ნებისმიერი პირის) განზრახვის, მიზნების გათვალისწინება. ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი განსხვავდება ტერმინისგან – „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ (ე.წ. *Domicile*), რადგან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის კვალიფიკაციისთვის საჭიროა არსებობდეს კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილას მუდმივად ცხოვრების განზრახვა, ან ვადის განსაზღვრის გარეშე კონკრეტულ ადგილას ცხოვრება შესაბამისი განზრახვით. ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის კვალიფიკაციისთვის ასეთი კრიტერიუმები არ არის დადგენილი (იხ. ჰააგის კონვენციის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი 2018,

გვ. 25-26).

64. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ არასრულწლოვანი საქართველოში იმყოფება 2020 წლის ივნისიდან და ცხოვრობს მარნეულში, დედის მშობლების სახლში. დადგენილია, ასევე, რომ 2015 წლიდან საქართველოში ჩამოსვლამდე, დაახლოებით 5 წლის განმავლობაში, არასრულწლოვანი უწყვეტად ცხოვრობდა უკრაინაში, ქალაქ ოდესაში და დადიოდა ოდესის ოლქის ოდესის საქალაქო საბჭოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. მას აქვს უკრაინაში მუდმივი ბინადრობის მოწმობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უკრაინაში საცხოვრებლად გადასვლის დროისათვის არასრულწლოვანი იყო დაახლოებით ერთი წლის (დაბადებულია 19.08.2014წ.), შესაბამისად, საქართველოში ჩამოსვლამდე მთელი მისი ცხოვრებისეული გამოცდილება სწორედ უკრაინასთან იყო დაკავშირებული და მას მისი საცხოვრებელი ადგილის მიმართ ბუნებრივად ჩამოუყალიბებოდა ემოციური კავშირი. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჰააგის კონვენციის მიზნებისთვის, არასრულწლოვნის საქართველოში ჩამოსვლამდე, მის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა უკრაინა, ქალაქი ოდესა.

65. რაც შეეხება მშობლების მეურვეობის უფლებას და მის რეალურ განხორციელებას, პირველი კასატორი დაკობს, რომ არასრულწლოვნის მეურვეს დედა წარმოადგენს, ვინაიდან ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონული სასამართლოს 25.06.2018წ. დადგენილებით მოსარჩელისა და მოპასუხის განქორწინების შემდეგ მათი საერთო შვილები აღსაზრდელად დარჩნენ დედასთან. შესაბამისად, მის მიერ ბავშვის საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე (საქართველოში) წაყვანა წარმოადგენდა მეურვეობის უფლების განხორციელებას და არა ბავშვის გატაცებას. პირველი კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მხარეთა ხელახლა დაქორწინების შედეგად ზემოაღნიშნული დადგენილება არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე ავტომატურად გაუქმდა.

66. საკასაციო სასამართლო იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორი განმარტება გააკეთა მხარეთა ხელახლა დაქორწინების შედეგად ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონული სასამართლოს 25.06.2018წ. დადგენილების გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 30-ე პუნქტი). მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეები განქორწინების შემდგომ 12.06.2019 წელს ხელახლა დაქორწინდნენ და ბავშვებ-

თან ერთად გააგრძელეს ერთ ოჯახად ცხოვრება. ამ ვითარების გათვალისწინებით, წარმოიშვა მხოლოდ საფუძველი იმისა, რომ მოსარჩელისა და მოპასუხის ხელახლა განქორწინების შედეგად ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა თავიდან მომხდარიყო. თუმცა, კიევის რაიონული სასამართლოს 26.11.2019წ. გადაწყვეტილებით, რომლითაც გაუქმდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 12.06.2019წ. რეგისტრირებული ქორწინება, ეს საკითხი არ დარეგულირებულა. გადაწყვეტილებაში აღინიშნა მხოლოდ, რომ ბავშვების მხარდაჭერისა და მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხს მხარეები ცალკე სამართალწარმოებით გადაწყვეტდნენ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი). აღნიშნული დღემდე განხორციელებული არ არის. შესაბამისად, ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით ხათაის რაიონული სასამართლოს 25.06.2018წ. დადგენილება კვლავ ძალაშია. ამავე დროს დადგენილია, რომ მხარეთა ხელმეორედ განქორწინების შემდეგ, მათი შეთანხმებით ბავშვები საცხოვრებლად დედასთან დარჩნენ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი); ხოლო, არასრულწლოვანი საქართველოში მის გადაადგილებამდე უკრაინაში დედასთან ცხოვრობდა. შესაბამისად, დედა წარმოადგენს ე.წ. უპირატეს მეურვეს (primary carer).

67. მამის მეურვეობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ჰააგის კონვენციის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, კონვენციის მე-3 მუხლის ფორმულირება განმცხადებელს აკისრებს მხოლოდ იმის წინასწარი მტკიცების ვალდებულებას, რომ იგი რეალურად ზრუნავდა ბავშვზე. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კი, კონვენციის მე-13 მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე, ეკისრება „გამტაცებელს“. მან უნდა ამტკიცოს, რომ მშობელი, რომელსაც ბავშვი წაართვეს, ეფექტურად არ ახორციელებდა მეურვეობის უფლებას (იხ. ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, პარ. 73). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მუხლებით განსაზღვრულია მხოლოდ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, იგი განისაზღვრება მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლით.

68. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე განქორწინებამდე არასრულწლოვან შვილებთან ერთად უკრაინაში, ქალაქ ოდესაში ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად, ერთ მისამართზე, ხოლო განქორწინების შემდეგ (26.11.2019წ.) ცხოვრება გააგრძელეს ცალ-ცალკე. არასრულწლოვანი ბავშვები იზრდებოდნენ დედასთან. 2019 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველი შვილი ცხოვრობს მოსარჩელესთან. რაც შეეხება მეორე შვილთან ურთი-

ერთობას, დედას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შესაბამისად, არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება, რომ არასრულწლოვნის საქართველოში ჩამოსვლამდე მამას მასთან არ ჰქონდა კონტაქტი და მუდმივი/რეგულარული ურთიერთობა ან/და არ ახორციელებდა მასზე მზრუნველობას. ამასთან, მართალია დედა წარმოადგენდა ბავშვის ე.წ. უპირატეს მეურვეს (primary carer) (ვინაიდან ბავშვი ცხოვრობდა და იზრდებოდა მასთან), თუმცა აღსანიშნავია, რომ მამას არ ჰქონია ჩამორთმეული ან შეზღუდული ბავშვთან ურთიერთობის უფლება. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მამას დედის მიმართ გაცემული ჰქონდა ნოტარიულად დამონმებული თანხმობა არასრულწლოვანი შვილების საზღვარგარეთ გაყვანის თაობაზე, რაც მისი განცხადების საფუძველზე გაუქმდა 2019 წლის 20 ნოემბერს.

69. რაც შეეხება პირველი კასატორის მითითებას ქალაქ ბაქოს ხათაის რაიონული სასამართლოს 25.06.2018წ. დადგენილებაზე, როგორც დედისთვის ერთპიროვნული მეურვეობის უფლების განსაზღვრის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლებამოსილება, ჰააგის კონვენციის შესაბამისად, აღიარებულია როგორც მეურვეობის უფლების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა არა ერთადერთი ელემენტი. შესაბამისად, თუნდაც პირველი კასატორის მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, ის გარემოება, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრულია ერთ-ერთ მშობელთან, არ გამორიცხავს მეორე მშობლის მეურვეობის უფლებას.

70. დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოს აძლევს დასკვნის საფუძველს, რომ ჰააგის კონვენციის მიზნებისთვის, არასრულწლოვნის საქართველოში გადაადგილებამდე მამა მის მიმართ რეალურად ახორციელებდა მეურვეობის უფლებას. შესაბამისად, ვინაიდან სადავო არ არის, რომ დედამ არასრულწლოვანი უკრაინიდან საქართველოში მამის ნებართვის გარეშე ჩამოიყვანა, ბავშვის ამგვარი გადაადგილებით დაირღვა მისი, როგორც მეურვის უფლება.

71. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას დედის მიერ ბავშვის მართლზომიერად გადაადგილებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი წარმოადგენს უკრაინიდან საქართველოში არამართლზომიერად გადაადგილებულ ბავშვს, რაც ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების წინაპირობაა. თუმცა, ამ გადანყვეტილების მიღებამდე,

ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა შემოწმდეს იმ გამონაკლისების არსებობა, რაც დადგენილია ჰააგის კონვენციის მე-12-მე-13 და მე-20 მუხლებით და რომელთა არსებობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის ვალდებული მიიღოს გადაწყვეტილება არასრულწლოვნის უკან დაბრუნების შესახებ. აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევები, ასევე, ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351<sup>16</sup>-ე მუხლში.

72. კასატორები დავობენ, რომ სასამართლომ ბავშვის დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა სოციალური სამსახურის, ფსიქოლოგისა და თავად ბავშვის მოსაზრება. მათი თქმით, ბავშვი სრულად ინტეგრირებულია ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში და უკრაინაში დაბრუნება არ გამომდინარეობს მისი საუკეთესო ინტერესებიდან. მამასთან, უკრაინაში დაბრუნებამ შესაძლოა ბავშვს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საფრთხე შეუქმნას.

73. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰააგის კონვენციით სასამართლოს აქვს მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს არასრულწლოვნის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებაზე. კერძოდ, ჰააგის კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებაზე, თუ ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების თარიღიდან საქმის გარჩევის დაწყებამდე ერთ წელზე მეტია გასული და იგი ინტეგრირებულია ახალ გარემოში. კონვენციის მიზნებისთვის ადაპტაცია განიხილება არა გარემოსადმი შეგუებად, არამედ არასრულწლოვნის მხრიდან გარემო-პირობების, ცხოვრების წესის იმგვარ ადაპტაციად, როდესაც ის თავს მშობლიურ ვითარებაში გრძნობს, ობიექტურად განიცდის კეთილგანწყობას იმ ადამიანებისა და საცხოვრებელი პირობებისადმი, სადაც მას მოუხდა ცხოვრება და ფაქტობრივად ჩამოუყალიბდა ოჯახური ცხოვრების განცდა, რომლის დარღვევაც მეტი ზიანის მომტანი იქნება მისთვის (იხ. სუსგ საქმე №ას-1040-2020, 19 აპრილი, 2021 წელი). ამასთან, ემოციური სტაბილურობისა და უსაფრთხოების შეგრძნება არის ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ბავშვს ინტეგრაციისას ეუფლება (იხ. ჰააგის კონვენციის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი 2018, გვ. 88-89).

74. ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის გასცეს განკარგულება ბავშვის დაბრუნების თაობაზე, თუკი პირი, დანესებულება ან სხვა ორგანო, რომელიც



მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება, დადგენს, რომ: ა) პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომლის მზრუნველობის ქვეშავე იმყოფება ბავშვის პიროვნება, რეალურად არ სარგებლობდა მეურვეობის უფლებებით გადაადგილების ან დაკავების დროისათვის, ანდა დაეთანხმა ან მოგვიანებით შეეგუა გადაადგილებას ან დაკავებას; ან ბ) არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ მისი დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში. სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს, აგრეთვე, შეუძლია უარი განაცხადოს ბავშვის დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე, თუკი იგი აღმოაჩენს, რომ ბავშვი მისი დაბრუნების წინააღმდეგია და მან უკვე მიაღწია ისეთ წლოვანებას და მოწიფულობის ასაკს, როდესაც მიზანშეწონილია მისი აზრის გათვალისწინება. კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად კი, მე-12 მუხლის დებულებათა მიხედვით ბავშვის დაბრუნებაზე უარი შეიძლება იქნეს ნათქვამი, თუკი ეს აკრძალულია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ძირითადი პრინციპების თანახმად, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას შეეხება.

75. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჰააგის კონვენციით დადგენილი დაბრუნების საგამონაკლისო წინაპირობები ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპს.

76. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ არსებობს ფართო კონსენსუსი საერთაშორისო სამართლის ჩათვლით, რომ, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა უნდა იყოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. იგივე ფილოსოფიაა დამახასიათებელი ჰააგის კონვენციისთვისაც, რომელიც ასოცირდება ბალანსის აღდგენის ინტერესთან, რაც ნიშნავს უკანონო გატაცების შემთხვევაში გადაწყვეტილების საფუძველზე ბავშვის დაუყოვნებლივ დაბრუნებას საკუთარ ქვეყანაში, სადაც ჩვეულებრივ ცხოვრობს. ამავდროულად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ბავშვის დაუბრუნებლობა საკუთარ ქვეყანაში იყოს გამართლებული ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც ხსნის გამონაკლისების არსებობას, განსაკუთრებით როცა ბავშვის დაბრუნებას ახლავს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის დიდი რისკი, ან როდესაც ბავშვი იქნება გაუსაძლის პირობებში (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „გ. ს. საქართველოს წინააღმდეგ“, 21.07.2015წ., პარ. 44).

77. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს

კასატორების პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი ინტეგრირებულია ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში და უკრაინაში დაბრუნება არ შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესებს. არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უკრაინაში დაბრუნება ბავშვისთვის იქნება ფსიქოლოგიური საფრთხის გამომწვევი, რაც, თავისთავად, უარყოფით გავლენას მოახდენს მის შემდგომ განვითარებაზე და ჯანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე, მით უფრო, მისი ასაკის გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე მივიდა სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგების დასკვნებისა და თავად არასრულწლოვნის მოსაზრების, ასევე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთმიჯვერებისა და ანალიზის შედეგად. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ არასრულწლოვანი მშობლების განქორწინების შემდეგ უკრაინაში ცხოვრობდა დედასთან ერთად და დღემდე მასთან ერთად აგრძელებს ცხოვრებას; სადავო არ არის, რომ მას არ აქვს მამასთან ცალკე, დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება; იგი 2020 წლის ივნისის შემდგომ ცხოვრობს საქართველოში, მარნეულში დედის მშობლების სახლში დედასთან, ბებიასთან, ბაბუასთან და დიდ ბებიასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ იგი საქართველოში მანამდე დეც ყოფილა და დედის მშობლების სახლი და გარემო მისთვის არ არის სრულიად უცხო. ამასთან, მათ შორის არ არსებობს ენობრივი ბარიერი; არასრულწლოვანი 2020 წლის 15 სექტემბრიდან სწავლობს მარნეულის №4 საჯარო სკოლაში, სადაც ჰყავს მეგობრები; სკოლის დირექტორის 16.02.2021წ. დახასიათების თანახმად, მან მარტივად გაიარა ადაპტაციის პერიოდი. იგი ინტენსიურად დადის სკოლაში. არის მშვიდი, აქტიური და კომუნიკაბელური ბავშვი; სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალური ცენტრის სოციალური მუშაკის 05.02.2021წ. და ფსიქოლოგ მ. კვას 25.02.2021წ. დასკვნების, ასევე, პირველი კასატორის მიერ წარმოდგენილი (რომელიც დაერთო საქმეს) შპს „ფ-ას“ 2021 წლის 18 ივლისის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგების თანახმად, არასრულწლოვანი აქვს დადებითი ემოციური კავშირი და სანდო მიჯაჭვულობა დედის მიმართ. მასთან თავს გრძნობს უსაფრთხოდ და დაცულად, მცირე დროით დაშორების შემთხვევაშიც კი ეუფლება შფოთვის მაღალი ხარისხი. აქვს დედასთან და მისი ოჯახის წევრებთან თანაცხოვრების სურვილი და მათ მიმართ არის კეთილგანწყობილი. რაც შეეხება მამას, მასზე საუბრისას ბავშვს ეწყება შფოთვა, ერღვევა სიმშვიდისა და უსაფრთხოების განცდა და ეზრდება დაძაბულობა, არ აქვს მამასთან ცხოვრებისა და ურთიერთობის სურვილი, თუმცა ენატრება ძმა და სურს მასთან ერთად

მარნეულში ცხოვრება. აქვს ღია შიში მამასთან მიმართებით და ამბობს კიდევ, რომ მისი ეშინია. ფსიქოლოგების შეფასებით, არასრულწლოვანი ადაპტირებული და ინტეგრირებულია ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში, უზრუნველყოფილია სტაბილურობა და უსაფრთხოება. დედა და ოჯახის სხვა წევრები მისთვის სანდო და მნიშვნელოვანი ადამიანები არიან. რაც შეეხება მარნეულში ცხოვრებასთან დაკავშირებით ბავშვის ნება-სურვილს, ეს ნამდვილად არის მისი კეთილი ნება, დამოუკიდებელი და გულწრფელი სურვილი (დეტალურად სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგების დასკვნები იხ. წინამდებარე გადანწყვეტილების 34-40, 52-55 პუნქტებში).

78. ამრიგად, ზემოაღნიშნული დასკვნებიდან ცალსახად დგინდება, რომ არასრულწლოვანი მის ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში თავს უსაფრთხოდ და მშვიდად, მშობლიურ ვითარებაში გრძნობს, რაც მის ინტეგრაციას აშკარას ხდის, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ემოციური სტაბილურობა და უსაფრთხოების შეგრძნება ბავშვს სწორედ ინტეგრაციისას ეუფლება. ბავშვის ინტეგრაციის ფაქტს, ასევე, ადასტურებს საქმეზე დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილებისა, იგი არ მოხვედრილა სრულიად უცხო სახელმწიფოში და აბსოლუტურად განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ გარემოში.

79. რაც შეეხება არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას, გარდა ზემოაღნიშნული გარემოებებისა, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს შპს „ფ-ას“ 18.06.2021წ. ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგებში მითითებულ შეფასებას, რომლის თანახმად დედის მიმართ სანდო მიჯაჭვულობის ხარისხიდან გამომდინარე, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვს არ აქვს დედის გარეშე ცხოვრების გამოცდილება, მოცემულ ეტაპზე ბავშვისთვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა (უკრაინაში დაბრუნება) და დედასთან დაშორება უდავოდ იქნება მაღალი რისკისა და ფსიქოტრავმატიზაციის შემცველი. მიჯაჭვულობის ობიექტისგან სეპარაცია, დიდი ალბათობით, გამოვლინდება გარკვეულ პერიოდში აგრესიულობის განსხვავებული ხარისხით და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მწვავე ფსიქოლოგიური პრობლემებით – შიშები, ფობიები, დეპრესიული მდგომარეობა, ასოციალურობა, კომუნიკაციის დაბალი ხარისხი, საკუთარი უმწეობისა და არასრულფასოვნების განცდა. გარდა ამისა, დედასთან დაშორება სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებს ბავშვის ჯანსაღ განვითარებას, რაც შესაძლებელია გამოიხატოს დათრგუნულობით, ძალადობის სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით, თვითდაზიანებით,

კვებითი პრობლემებით, კომპლუსიური ტყუილებით, დანაშაულის გრძნობის არქონით და ფსიქოლოგიური სახით სხვადასხვა დესტრუქციული ქცევებით. აღნიშნული შეფასება ცალსახად საყურადღებოა და შეუძლებელია ბავშვის დაბრუნების თაობაზე გადანიშნულების მიღებისას მისთვის გვერდის ავლა.

80. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსარჩელის პოზიციას დასკვნის არაობიექტურობასთან და მიკერძოებულობასთან დაკავშირებით. მას არ წარმოუდგენია აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება. მხოლოდ ის გარემოება, რომ დასკვნა შედგენილია კერძო დაწესებულების ფსიქოლოგის მიერ, ვერ გახდება მის მართებულობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

81. საკასაციო პალატამ, ასევე, მოისმინა არასრულწლოვანთან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 27 მაისის გასაუბრების ოქმი (იხ. 27.05.2021წ. სხდომის ოქმი) და ყურადღებას მიაქცევს გასაუბრებისას უკრაინაში მამასთან დაბრუნებასთან დაკავშირებით მის მიერ დაფიქსირებულ ცალსახა პოზიციას – მას მოსწონს მარნეულში ცხოვრება და არ სურს მამასთან წასვლა.

82. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჰააგის კონვენციაში არსებული ჩანაწერი დაბრუნების თაობაზე არასრულწლოვნის აზრის გამოხატვასთან დაკავშირებით, ეხმიანება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით, მათ შორის, „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით გარანტირებულ აზრის გამოხატვის უფლებას. აღნიშნული კონვენციის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მონიფულობის შესაბამისად. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა მოსმენილ იქნეს ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი, ან წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით.

83. გაეროს კონვენციის ზოგადი კომენტარების მიხედვით, ფრაზა – „ბავშვის უნარი, ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულებები“ არ უნდა იყოს გაგებული ვინროდ. სახელმწიფოებს ეკისრებათ სპეციალური ვალდებულება, შეაფასონ ეს უნარი. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა კონკრეტულად არ განმარტა, თუ რა ასაკიდან შეიძლება ჰქონდეს ბავშვს აღნიშნული უნარი, ისევე, როგორც ამას არ განმარტავს კონვენცია. კომიტეტი არ მოუწოდებს სახელმწი-

ფოებს, დაანესონ კონკრეტული ასაკობრივი ზღვარი, ვინაიდან ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და განალიზდეს. ამასთან, ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლი უთითებს, რომ მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ბავშვის ასაკი და მონიფულობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ასაკი არ არის გადაწყვეტი, რათა შეფასდეს ბავშვის მოსაზრების მნიშვნელობა. ბავშვების განვითარების დონეები ცალსახად არ შეესაბამება მათ ბიოლოგიურ ასაკს. ინფორმაცია, გამოცდილება, გარემო, სოციალური და კულტურული მოლოდინები და მხარდაჭერის დონე განაპირობებს არასრულწლოვნის უნარს, ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება. ამიტომაც ხდება მისი შეფასება ინდივიდუალურად. იგივე აზრია განვითარებული კონვენციის განმარტებით ანგარიშშიც, რომლის მიხედვით, კონვენციის ტექსტის შემუშავების პროცესში წარუმატებლად დასრულდა მცდელობები, განსაზღვრულიყო მინიმალური ასაკი, საიდანაც შესაძლებელია ბავშვის აზრის გათვალისწინება, ვინაიდან „ყველა ციფრს ჰქონდა ხელოვნური, შეიძლება ითქვას, თვითნებური, ხასიათი. უმჯობესად ჩაითვალა ამ დებულების ცხოვრებაში გამოყენება შესაბამისი ორგანოების კომპეტენციას მინდობოდა“. შესაბამისად, ეს საკითხი სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობით ან/და სასამართლო პრაქტიკით რეგულირდება (იხ. ჰააგის კონვენციის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი 2018, გვ. 77-79; ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, პარ. 30).

84. განსახლველ შემთხვევაში, არასრულწლოვანი სააპელაციო სასამართლოში გასაუბრებისას იყო ექვსი წლის (დაბადებულია 19.08.2014წ.). ამასთან, შპს „ფ-ას“ 2021 წლის 18 ივლისის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგების თანახმად, არასრულწლოვნის შემეცნებითი უნარები და ინტელექტის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ასაკობრივ ნორმასთან მიმართებით. მაღალ დონეზე აქვს განვითარებული სოციალური უნარ-ჩვევები. ბავშვი საუბრობს ლოგიკურად, ხატოვნად, გასაგებად გადმოსცემს საკუთარ აზრს და ადეკვატურად გამოხატავს საკუთარ გრძნობებს. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებებთან, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგების დასკვნებთან ერთად, გადანყვეტილების მიღებისას, ასევე, მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არასრულწლოვნის პოზიციას.

85. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-8 მუხლით რეგლამენტირებულია ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ბავშვთან გასაუბრებისა და მისი აზრის მოსმენის პროცესი უნდა იყოს ინფორმაციული, ნებაყოფლობითი, ბავ-

შვისადმი პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების გამოხატ-  
ველი, ბავშვისთვის მორგებული, ინკლუზიური, უსაფრთხო, ბავ-  
შვის საკითხებზე სათანადოდ მომზადებული სპეციალისტების მი-  
ერ წარმართული. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის  
პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოში არასრულწლოვან-  
თან გასაუბრებისას სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი ბავ-  
შვზე მორგებული გარემო, რასაც შეეძლო გამოენვია მისი ერთგვა-  
რი დაბნეულობა, შიში ან/და თავშეკავებულობა. თუმცა, აღნიშ-  
ნულს ხელი არ შეუშლია მისთვის ცალსახად გამოეხატა თავისი უარ-  
ყოფითი პოზიცია უკრაინაში მამასთან დაბრუნებასთან დაკავში-  
რებით. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს  
დასკვნა, რომ ბავშვი არ იმყოფება მონიფულობის იმ ასაკში, რო-  
დესაც დამოუკიდებლად შეუძლია განსაზღვროს რა სურს და რა  
არის მისი მომავალი განვითარებისა და ოჯახური ცხოვრებისთვის  
საუკეთესო.

86. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო  
სასამართლო მიიჩნევს, რომ არასრულწლოვნის უკრაინაში დაბრუ-  
ნება იქნება მისთვის ფსიქოლოგიური საფრთხის შემცველი და ზი-  
ანს მიაყენებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, მათ შორის, მის  
განვითარებას და ფსიქო-ემოციურ სტაბილურობას, რაც დაუშვებ-  
ელია და ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად, წარმო-  
ადგენს არამართლზომიერად გადაადგილებული ბავშვის დაბრუ-  
ნებაზე უარის თქმის საფუძველს. მოსარჩელემ ვერ შეძლო გამოე-  
რიცხა ბავშვის დედასთან დაშორებით მისი ფსიქიკისთვის შესა-  
ფერისი და სტაბილური გარემოს შექმნის შესაძლებლობა, მით უფ-  
რო, იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანს არ აქვს მა-  
მასთან დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება, ხოლო, დე-  
დის მიმართ აქვს მიჯაჭვულობა და მასთან და ამჟამინდელ გარე-  
მოცვასთან თავს გრძნობს დაცულად და უსაფრთხოდ, მშობლიურ  
გარემოში.

87. რაც შეეხება არასრულწლოვნის მიერ საქართველოს სახელ-  
მწიფო საზღვრის კვეთის კანონიერებას, საკასაციო სასამართლო  
ეთანხმება პირველ კასატორს, რომ აღნიშნულ გარემოებას არ აქვს  
არსებითი მნიშვნელობა ჰააგის კონვენციის შესაბამისად, არამარ-  
თლზომიერად გადაადგილებული ბავშვის დაბრუნების შესახებ გა-  
დანყევტილების მიღებისას. ამასთან, ამ საკითხთან დაკავშირე-  
ბით მიმდინარეობს გამოძიება და მისი დადგენა სცდება განსახილ-  
ველი დავის ფარგლებს.

88. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე  
მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო  
სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა გან-

სახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

89. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

90. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს; გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

91. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან: მხარეები - არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

92. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მხარეები გათავისუფლებულები არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ს. ი-ვას და არასრულწლოვანი ხ. გ-ვას საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. გ-ვის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მხარეები გათავისუფლებულები არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **არამართლზომიერად გადაადგილებული ბავშვის დაბრუნება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-70-2022

16 თებერვალი 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: თ. ძიმისტარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ა. ძაბუნძიე,  
ლ. ქოჩიაშვილი**

**აღწერილობითი ნაწილი:**

#### **1. სასარჩელო მოთხოვნა**

ქ. შ-ნამ სარჩელი აღძრა მოპასუხე ს. ს-ის მიმართ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული არასრულწლოვანი ბავშვის – ვ. ს-შ-ას (დაბადებული 2015 წლის 27 მარტს) დაბრუნება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში – რუსეთის ფედერაციაში, დედის ქ. შ-ნას, საცხოვრებელ მისამართზე – ქ. მოსკოვი, ... №21, ბინა №39.

#### **2. სარჩელის საფუძვლები**

2.1. ქ. შ-ნა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც: „მოსარჩელე“, „მონინალმდეგე მხარე“) არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში. 2011 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ს. ს-თან (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც: „მოპასუხე“, „აპელანტი“, „კასატორი“). ერთად ცხოვრების პერიოდში, 2015 წლის 27 მარტს, შეეძინათ ქალიშვილი – ვ. ს-შ-ა. 2017 წლის 18 ნოემბერს მათ შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. განქორწინების შემდეგ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიწყო დავა არასრულწლოვანი შვილის – ვ. ს-შ-ას საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით და მოსარჩე-



ლემ სარჩელით მიმართა ქ. მოსკოვის პრესნენის რაიონულ სასამართლოს, ხოლო ს. ს-მა შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა. დავის მიმდინარეობისას ს-მა, დედის – ქ. შ-ნას თანხმობის გარეშე, არაერთხელ გაიტაცა ვ-სა საბავშვო ბაღიდან. 2020 წლის 9 ოქტომბერსაც წაიყვანა მოტყუებით ისე, რომ ბავშვის ადგილსამყოფელი მოსარჩელისთვის უცნობი იყო. ამიტომ, მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოსკოვის ოლქის პრესნენის სასამართლომ ვ-სას ს-ისთვის ჩამორთმევისა და დედის, ქ. შ-ნას საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებისა და დედისათვის გადაცემის თაობაზე დროებითი განკარგულება მიიღო. განჩინება კანონიერ ძალაშია შესული და გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, თუმცა განკარგულების აღსრულება ვერ მოხერხდა, ვინაიდან მამამ დედასთან შეუთანხმებლად, ბავშვი გაიყვანა რუსეთის ფედერაციიდან, კერძოდ, 2020 წლის 10 ოქტომბრიდან ბავშვი წაიყვანა ჯერ ბელორუსიაში, გადავიდა არაბულ სახელმწიფოებში, შემდეგ თურქეთში, საიდანაც 2021 წლის 2 მარტს, სტამბოლის აეროპორტის მეშვეობით, შევიდა თბილისში, ხოლო 4 მარტს – ბათუმში.

2.2. ამ ინფორმაციის მიღებისთანავე, 2021 წლის 6 მარტს, მოსარჩელე ჩავიდა ბათუმში. შვილის ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, მოსარჩელემ მიმართა საერთაშორისო ინტერპოლს, რომელთაც დაადგინეს ბავშვის ადგილსამყოფელი – საქართველო, ქ. ბათუმი. მოპასუხე უარს აცხადებდა მოსარჩელეს ბავშვის რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებაზე, რის გამოც მოსარჩელე იძულებული გახდა, აღეძრა წინამდებარე სარჩელი.

### **3. მოპასუხის პოზიცია**

3.1. მოპასუხე არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და შესაგებელში მიუთითა, რომ მას ბავშვი არასოდეს გაუტაცებია და არც მისი ნების საწინააღმდეგოდ არ უმოქმედია. მისი განმარტებით, მოსარჩელე მხოლოდ მცირე დროით იმყოფებოდა საქართველოში, როდესაც მიმართა პოლიციას არარსებული ძალადობის ფაქტებზე, იმ მოლოდინით, რომ ს. ს-ს დააკავებდნენ, მაგრამ, როდესაც უფლებამოსილი ორგანოების მიერ მასალების მოკვლევისას, ეს არ დადასტურდა, მან დატოვა საქართველოს ტერიტორია. მოპასუხე აცხადებდა, რომ იგი თავად აპირებდა, მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის ბავშვზე შესაძლო ძალადობისა და ცრუ დასმენის მოთხოვნით.

3.2. მოპასუხე შესაგებელში აღნიშნავდა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არ ჰქონდა წარდგენილი სარჩელის განხილვის უფლებამოსილება, რადგან „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქ-

ტომბრის კონვენციის საფუძველზე, ვერ მოგვარდებოდა ურთიერთობა, ვინაიდან არ არსებობს ორმხრივ თანამშრომლობაზე შეთანხმება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის.

3.3. შესაგებელში მხარე, მიუთითებდა, რომ საქართველოში მოპასუხისა და მისი შვილის ყოფნა ავტომატურად არ ნიშნავდა ბავშვის არამართლზომიერად დაკავებას. მოპასუხეს სურდა, ორივე მშობელს თანაბრად ეზრუნა შვილის აღზრდა/განვითარებაზე, რაც მოსარჩელისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და, შურისძიების მიზნით, ცდილობს ზიანი მიაყენოს მას.

#### **4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და დასაბუთება**

4.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ს. ს-ის მიმართ არამართლზომიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის დაბრუნების თაობაზე ქ. შ-ნას სარჩელი დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილებით დადგინდა არასრულწლოვანი ვ. ს-შ-ას (დაბ. 27.03.2015 წ.) რუსეთის ფედერაციაში დედასთან ქ. შ-ნასთან დაბრუნება. ქ. შ-ნასთვის გადაცემის უზრუნველყოფა მამას – ს. ს-ს დაევალა. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

4.2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება ს. ს-მა გაასაჩივრა საპელაციო საჩივრით, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **5. სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება**

5.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით – ს. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ საქმის მასალების, ფსიქოლოგების დასკვნების, მხარეთა, მათ შორის, არასრულწლოვნის, მოსმენისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, დაადგინა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა კანონის სწორ განმარტებას, საქმის გადასაწყვეტად საჭირო ყველა ფაქტი დადგენილი იყო, სამართლებრივი გარემოებები სწორად შეფასებული და არ არსებობდა მისი გაუქმების ფაქტობრივსამართლებრივი წინაპირობები.

5.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა ცნობილი დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– მოსარჩელე ქ. შ-ნა და მოპასუხე ს. ს-ი არიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები;

– ქ. შ-ნა ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში. ის დასაქმებულია საერთაშორისო კომპანია – ფ „ა.ზ-ში“ მარკეტოლოგის თანამდებობაზე და აქვს მაღალი ანაზღაურება. ს. ს-ი 2020 წლის ოქტომბრამდე ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში, პროგრამისტია და დაკავებულია ბიზნესსაქმიანობით;

– 2011 წლიდან მხარეები იმყოფებოდნენ ქორწინებაში და ქ. მოსკოვში ერთად ცხოვრობდნენ. თანაცხოვრების პერიოდში, 2015 წლის 27 მარტს, მხარეებს შეეძინათ

ქალიშვილი – ვ. ს-შ-ა. ვ-სა დაიბადა ქ. მოსკოვში და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა;

– 2017 წლის 18 ნოემბერს, ს. ს-სა და ქ. შ-ნას შორის ქორწინება შეწყდა. მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ ბავშვი საცხოვრებლად დარჩა დედასთან, ქ. მოსკოვში. ბავშვის აღზრდაში ქ. შ-ნას ეხმარებოდნენ თავისი მშობლები, რომლებთანაც ვ-სა რჩებოდა დედის სამსახურებრივ მივლინებებში ყოფნის პერიოდში;

– მცირეწლოვანი ბავშვის – **ვ. ს-შ-ას ძირითადი საცხოვრებელი ადგილია რუსეთის ფედერაცია.** რუსეთის ფედერაციაში ვ-სას რეგისტრაციისა და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართია – ქ. მოსკოვი, ... №21, ბინა №39, სადაც რეგისტრირებულია და ცხოვრობს მოსარჩელე ქ. შ-ნაც. ქ. მოსკოვში, ... №21-ში მდებარე ბინა №39 წარმოადგენს ქ. შ-ნასა და ს. ს-ის თანასაკუთრებას;

– მცირეწლოვანი ვ-სა, თავისი ასაკის შესაბამისად, სრულყოფილად ფლობს

მშობლიურ რუსულ ენას. ქ. მოსკოვში ის დადიოდა საბავშვო ბაღში – რომანოვების სკოლა „მ-ში“, შემდეგ მისამართზე: ... სახლი 16;

– **განქორწინების შემდეგ, ქ. შ-ნა და ს. ს-ი შეთანხმდნენ შვილთან ურთიერთობის გარკვეულ წესზე**, იმგვარად, რომ ს. ს-ს შეეძლო, ურთიერთობა ჰქონოდა მცირეწლოვან შვილთან და წაეყვანა თავისი მშობლების საცხოვრებელ ადგილას, თუმცა 2020 წლიდან მხარეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა;

– 2020 წლის 22 ივლისს, ს. ს-მა მცირეწლოვანი შვილი – ვ. ს-შ-ა, **დედასთან – ქ. შ-ნასთან შეთანხმების გარეშე, წაიყვანა საბავშვო ბაღიდან.** 2020 წლის 24 ივლისს, ქ. შ-ნამ, იმ მიზეზით, რომ მამა უარს აცხადებდა ბავშვის დაბრუნებაზე და დედას არ ეძლეოდა მცირეწლოვან შვილთან კონტაქტის საშუალება, ქ. მოსკოვის პრესნის რაიონულ სასამართლოს ს. ს-ის მიმართ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და ბავშვთან მამის ურთიერთო-

ბის წესის განსაზღვრის თაობაზე სარჩელით მიმართა. ს. ს-მა შეგებებული სარჩელი აღძრა ქ. შ-ნას მიმართ და მოითხოვა ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა. მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ ს. ს-ი შვილთან ერთად იმყოფებოდა პერმის ოლქში არსებულ სანატორიუმში, ქ. შ-ნას თანხმობის გარეშე, საიდანაც დედამ ბავშვი წაიყვანა ქ. მოსკოვში;

– 2020 წლის 9 ოქტომბერს, ს. ს-მა დედის – ქ. შ-ნას თანხმობით, ვ. ს-შ-ა 2 დღით წაიყვანა უკან დაბრუნების პირობით, თუმცა **ს-მა ბავშვი დედასთან აღარ დააბრუნა.**

– 2020 წლის 14 ოქტომბერს, ქ. შ-ნამ, ბავშვის ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, განცხადებით მიმართა ქ. მოსკოვის პრესნის პოლიციის განყოფილებას, რომელმაც, თავის მხრივ, ვ. ს-შ-ას ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით მიმართა კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციას;

– ქ. შ-ნამ შუამდგომლობითაც მიმართა ქ. მოსკოვის პრესნის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე არასრულწლოვანი ბავშვის ბინადრობის ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, იმ მოტივით, რომ მამამ ვ-სა წაიყვანა სხვა რეგიონში, დედის თანხმობის გარეშე და დედას აღარ ეძლევა შვილთან ურთიერთობის საშუალება;

– ქ. მოსკოვის პრესნის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინებით:

**„ – არასრულწლოვან გოგონას, ვ-სა ს-ის ასული ს. შ-ას, – დაბადებული 2015 წლის 27 მარტს, – ქ. მოსკოვში, ბინადრობის ადგილად განისაზღვრა დედის – ქ. ა-ს ასული შ-ას საცხოვრებელი ადგილი აღნიშნულ სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.**

– განჩინება წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ არასრულწლოვანი ვ-სა ს-ის ასული ს-შ-ა, – დაბადებული 2015 წლის 27 მარტს, – **ჩამოერთვას მამას – ს. ს. ძე ს-ს და გადაეცეს დედას – ქ. ა. ასულ შ-ას.**

– განჩინება დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

სასამართლოს მითითებით, საქმე განხილულ იქნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს – პრესნის მუნიციპალური ოკრუგის წარმომადგენლის, მოსარჩელე ქ. შ-ნას, მისი წარმომადგენლის, მოპასუხე ს. ს-ის წარმომადგენლის მონაწილეობით. **შუამდგომლობის განხილვისას სასამართლომ გაითვალისწინა დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბინის საცხოვრებელი-სა-ყოფაცხოვრებო პირობები, პრესნის მუნიციპალური „ოკრუგის“ ადმინისტრაციის წარმომადგენლის წერილობითი დასკვნა სადავო საკითხთან დაკავშირებით, ბავშვის ასაკი, კავშირი დედას-**

**თან**, არასრულწლოვნის ინტერესები, ასევე ის გარემოება, რომ **მოპასუხემ ბავშვი წაიყვანა** ქალაქ მოსკოვიდან ქალაქ პერმში თავის მშობლებთან, **დედის თანხმობის გარეშე**;

– განჩინების აღსრულების მიზნით, ქ. მოსკოვის პრესნის რაიონული სასამართლოს მიერ, 2020 წლის 18 ნოემბერს, გაიცა სააღსრულებო ფურცელი და გადაეცა აღსასრულებლად შესაბამის ორგანოს, მოსკოვის სასამართლო ბოქაულთა ფედერალური სამსახურის მთავარ სამმართველოს №1;

– 2020 წლის ოქტომბერში ს. ს-ი შვილთან ერთად გაემგზავრა ბელორუსიაში, შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, საიდანაც დუბაისა (არაბთა გაერთიანებული საემიროები) და სტამბოლის (თურქეთის რესპუბლიკა) გავლით, **2021 წლის 2 მარტს, შვილთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში, თბილისში, ხოლო 2021 წლის 4 მარტს – ბათუმში**. მითითებულ პერიოდში (დაახლოებით 5 თვის განმავლობაში) დედამ, ქ. შ-ნამ, არ იცოდა შვილის ვ. ს-შ-ას კონკრეტული ადგილსამყოფელი, საქართველოშიც ს. ს-მა ბავშვი ჩამოიყვანა დედის – ქ. შ-ნას თანხმობისა და მისი ინფორმირების გარეშე;

– ს. ს-ისა და ბავშვის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ ინფორმაცია მიიღო ინტერპოლის მეშვეობით. ინფორმაციის მიღებისთანავე, წარმომადგენლის მეშვეობით, 2021 წლის 22 მარტს, სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე ს. ს-ის მიმართ და მოითხოვა არამართლზომიერად გადაადგილებული/ დაკავებული ბავშვის ძირითადი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში დაბრუნება.

– 2021 წლის 6 მარტს ქ. შ-ნა მოსკოვი-სტამბოლი-თბილისის რეისით ჩამოფრინდა საქართველოში, შვილის რუსეთის ფედერაციაში წაყვანის მიზნით, რაც ვერ შეძლო

ს. ს-ის წინააღმდეგობის გამო;

– ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 მარტის ბრძანებით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ს. ს-ს აეკრძალა ვ. ს. შ-ას გადაადგილება ქ. ბათუმიდან სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ან საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა უზრუნველყო ს. ს-ისა და ვ. ს. შ-ას ადგილსამყოფლის დადგენა და სასამართლოს ინფორმირება. ბრძანება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად;

– საქართველოს შსს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს 2021 წლის 1 აპრილის №1... წერილით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ეცნობა, რომ ს. ს-ი შვილთან – ვ. ს. შ-სთან ერთად ცხოვრობს ქ. ბათუმში, თუმცა კონკრეტული

მისამართი უცნობია, ვინაიდან ს. ს-ი არ ასახელებდა საცხოვრებლის მისამართს და განმარტავდა, რომ მას არ სურდა, მიეწოდებინა საგამოძიებო ორგანოებისთვის ან სხვა უწყებებისთვის თავისი და შვილის საცხოვრებელი მისამართის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, ის განმარტავდა, რომ შვილთან ერთად ცხოვრობს ბათუმში და არ აპირებს საქართველოდან წასვლას;

**– 2021 წლის 21 იანვარს ქ. მოსკოვის პრესნის რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ბავშვის ვ. ს-შ-ას საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი, ხოლო მამას დაუდგინდა ბავშვთან ურთიერთობის დღეები;**

– ს. ს-ი შვილთან ერთად ცხოვრობს ქ. ბათუმში. არასრულწლოვანი ვ. ს-შ-ა ირიცხება ბათუმში არსებული „... სკოლის“ პირველ კლასში. სწავლა დაეწყო 2021 წლის 4 ოქტომბრიდან. ვ-სა კერძო პედაგოგებთან ეუფლება ინგლისურ და ფრანგულ ენებს, ასევე – ქართულ ენას, ბალეტს, ჭადრაკსა და ხატვას, ჩართულია სხვადასხვა აქტივობაში, პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სკოლისა და ბალეტის ამხანაგებთან;

– საქალაქო სასამართლოში დავის განხილვისას, მეურველობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგების მიერ მომზადებული არაერთი დასკვნის თანახმად, ვ. ს-შ-ას დადებითი დამოკიდებულება აქვს როგორც მამის, ასევე – დედის მიმართ, სურს, იცხოვროს ორივე მშობელთან ერთად;

– სააპელაციო წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი **სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის სოციალური მუშაკის ნ. მ-ს მიერ 01.12.2021წ. მომზადებული დასკვნის თანახმად:** „მამა-შვილს შორის ურთიერთობაზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ შორის არის დადებითი და პოზიტიური ურთიერთობა. მამა ზრუნავს ბავშვზე და უზრუნველყოფს მის ყველა საჭიროებებს. ვ-სა დედასთან დაკავშირებით საუბრობდა დადებითად, აღნიშნავდა, რომ დედა ძილის წინ მას უკითხავს ზღაპრებს და მასთან აქვს ხშირი კომუნიკაცია. – ს. ს-ისა და ქ. შ-ნის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, იკვეთება, რომ ისინი ვერ იღებენ შეთანხმებულ გადაწყვეტილებას არ იზიარებენ ერთმანეთის აზრს გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა, ოჯახში ძალადობრივი გარემო არ შეიმჩნევა. – არასრულწლოვანი ვ. ს-შ-ა მარტის თვიდან იმყოფება საქართველოში. ის დადის სკოლაში, ბალეტის გაკვეთილებზე და სათამაშო მოედანზე. გოგონა სწავლობს ქართულ ენას, ოჯახში ვიზიტის დროს ის ქართულ ენაზე

წერდა სიტყვებს, რომელიც ნაიკითხა კიდევ. ვ-სამ საუბარში აღნიშნა, რომ მას მეგობრები ჰყავს როგორც სკოლაში, ისე საბავშვო მოედანზე, სადაც ისინი თამაშობენ სხვადასხვა თამაშებს და ერთობიან. შესწავლის შედეგად და მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ბავშვის ინტეგრაცია ამჟამინდელ გარემოში დანყებულია, თუმცა, სრულად მისი ინტეგრაციისათვის აუცილებელია მრავალმხრივი ურთიერთობა, როგორც მშობლებთან და მათ ნათესავებთან, ისე თანატოლებთან (დღესასწაულების ერთად აღნიშვნა, სტუმრად სიარული და სხვა), რისი შესაძლებლობაც მას არ ეტაპზე არა აქვს.** – დასკვნის შესაბამისად, ბავშვის სრულყოფილი ფსიქოემოციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მას რეგულარული ურთიერთობა ჰქონდეს ორივე მშობელთან და ნათესავებთან. მიზანშეწონილია მხარეები შეთანხმდნენ იმგვარად, რომ დაცული იყოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას მიზანშეწონილია მხარეებს შორის შედგეს მორიგება ბავშვის უფლებებისა და ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის მიზნით“;

– 2021 წლის 29 ნოემბერს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის ფსიქოლოგის მიერ მომზადებული შეხვედრის ოქმის თანახმად: „საცხოვრებელ სახლში მისვლისას სახლში დახვდათ ს. ს-ი და ვ. ს-შ-ა. – შეხვედრის განმავლობაში ვ-სა მაგიდასთან იჯდა და საღებავებით ხატავდა, ს. ს-ი კი სოციალური მუშაკის მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხობდა. ვიზიტის მსვლელობისას, საშუალება მიეცათ ს. ს-ისა და მისი ადვოკატის დასწრების გარეშე გასაუბრებოდნენ ვ-სას. – ვ-სა თავისუფლად კონტაქტირებდა მათთან, ამომწურავად პასუხობდა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს, თუმცა, რამდენჯერმე შეკითხვაზე პასუხის გაცემამდე ვ-სა ჩუმდებოდა, ერთ წერტილს უყურებდა, ეფანტებოდა ყურადღება. შესაბამისად, მოუწიათ შეკითხვების რამდენჯერმე განმეორება. საუბრის დასაწყისში გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანი სწავლობს ქართულ ენას, აჩვენა მისი დაწერილი სიტყვები და ნაიკითხა კიდევ. ამბობდა, რომ ძალიან მოსწონს ქართული ენა. ასევე აღნიშნა, რომ დადის სკოლაში, ჭადრაკზე, ბალეტზე და სათამაშო მოედანზე. დასმულ შეკითხვაზე სახლში ხომ არ მოდიან სკოლის მეგობრები პასუხობს, რომ ჯერ არა, თუმცა, იმედოვნებს, რომ მალე ესტუმრებიან. რაც შეეხება შეკითხვას, თუ რამდენად ხშირად ეკონტაქტება დედას ვ-სა პასუხობს, რომ ყოველ დღე. ყვება, რომ დედა უკითხავს იმ ზღაპრებს, რომელსაც აირჩევს. თხოვნაზე, რომ მათი თანდასწრებით

დაერეკა დედისთვის აღნიშნა, რომ ახლა ზღაპრების წაკითხვის დრო არ არის და შესაბამისად უარი განაცხადა დედასთან გასაუბრებაზე“.

– 2021 წლის 9 დეკემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სხდომაზე არასრულწლოვანი ბავშვის ვ. ს-შ-ას ადვოკატის – ნ. ი-ძის განმარტების თანახმად, ბავშვს პირველად შეხვდა ს. ს-ის ადვოკატის ოფისში, ხოლო მეორედ – ს-ის საცხოვრებელ მისამართზე. ისინი შეთანხმდნენ, რომ ბავშვთან გასაუბრების დასრულებისას დედასთან – ქ. შ-ნასთან ექნებოდათ სატელეფონო კომუნიკაცია, რაზეც ს-ი დაეთანხმა, თუმცა, როდესაც შეეცადნენ ქ. შ-ნასთან დარეკვას, აღმოჩნდა, რომ დედის ნომერზე ბავშვის ტელეფონიდან გამავალი ზარები დაბლოკილი იყო და საჭიროებდა დამცავი კოდის შეყვანას, რომელიც უკარნახა ს-მა, მაგრამ დარეკვა მაინც ვერ მოახერხეს. ს-ს სთხოვა შეზღუდვის მოხსნა, რამაც მასში აგრესია გამოიწვია და უთხრა, რომ 7 საათის შემდეგ იბლოკებოდა ყველა ზარი ბავშვის ტელეფონზე. საბოლოოდ, ს-ის ადვოკატების დახმარებით, ქ-თან დარეკვა მაინც მოახერხეს. დედასთან საუბრისას ბავშვი ძალიან ნერვიულობდა, სთხოვა არ ჩაერთო ვიდეოთვალი, რადგან არ გაეგო დედას, თუ სად ცხოვრობდნენ. დედას არ უნდა სცოდნოდა მათი მისამართი. ბავშვი მასთან საუბრისას ამბობდა შემდეგ ფრაზებს, რომელიც მამამ უთხრა: „მე არ მინდა რუსეთში დაბრუნება, რადგან იქ ავად გავხდები“, ავად გახდომაში ბავშვი მოიაზრებდა კოვიდ-პანდემიას; „მოსკოვში თუ წავიდოდა იქ წაიყვანდნენ სოფელში სტუმრად, სადაც ქათმებია და მას არ უნდოდა ქათმებთან“, ამის შესახებ ს-მაც ისაუბრა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, ამით ის ცდილობს, დააკნინოს ის გარემო, სადაც ვ-სა ატარებდა დროს (დედის მშობლებთან). ბავშვის გადმოცემით – „ბებიამ (მამის დედამ) მითხრა, რომ დედაშენი ცბიერი მელაა და მას არ უნდა უთხრა, სად ცხოვრობო“; მამამ მას უთხრა, რომ „მისი დაბადება დედას არ გაუხარდა, რადგან მას ბიჭი უნდოდა. მამას უფრო უყვარს ის, ვიდრე დედას“. ადვოკატის განმარტებით, ეს და კიდევ სხვა გარემოებები აძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ მამის მიერ ბავშვზე მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ზეგავლენა და დედის როლის დაკნინება. ს-ი მისი და ბავშვის, ასევე – ბავშვისა და ფსიქოლოგის შეხვედრას ფარულად უსმენდა და ზედამხედველობდა. ამდენად, ს-ი აკონტროლებს მათ საუბრებს, რათა შემდეგში ბავშვის სასაუბრო თემები შეერჩია და დაემუშაებინა. არასრულწლოვანი არ არის თავისუფალი ნების გამოხატვისას, მამა ცდილობს, გააკონტროლოს მისი თითოეული შეხვედრა და გასაუბრება, გოგონას მუდ-



მივად უკეთია სააათი, რომელსაც აქვს ჩანერის ფუნქცია. ეს საათი ეკეთა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლესთან გასაუბრებისას. ს-ი აქტიურად ცდილობს, გოგონა შეაგუოს ახალ გარემოს, **აქვს ზედმეტად დატვირთული გრაფიკი**. როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში იხილებოდა დროებითი განკარგულების შეცვლის საკითხი, ბავშვის დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, ძლივს მოახერხეს დედა-შვილის შეხვედრა. **არასრულწლოვანს არა აქვს დასვენების პერიოდი**, ვინაიდან ყოველი საათი განერილი აქვს. მამა ცდილობს, ხელოვნურად შეუქმნას შვილს სამეგობრო წრეც. გოგონამ იცის რამდენიმე ქართული სიტყვა და შეუძლია, დაწეროს დასწავლილი ტექსტი, ჯერ-ჯერობით არ ფლობს ქართულ ენას, სწავლის პროცესშია. **ადაპტაციად არ მიიჩნევა ბავშვისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნა და იძულებით სწავლა იმ სახელმწიფოს ენისა, რომელშიც არამართზომიერად გადაადგილებულია**. ამასთან, რუსეთის ფედერაციაში მხარეთა შორის ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე დავა ამჟამად დასრულებულია და **ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრულია დედის საცხოვრებელი ადგილი**. ს-მა, დედისა და მეურვეობის ორგანოს თანხმობის გარეშე, ბავშვი შემოიყვანა საქართველოში, რაც აპელანტმა დაადასტურა კიდევც სასამართლო სხდომაზე. არასრულწლოვანი არამართზომიერად გადაადგილებული პირია. არ იკვეთება რუსეთის ფედერაციაში ბავშვის დაბრუნების კანონით დადგენილი დამაბრკოლებელი რაიმე წინაპირობა. შესაბამისად, ბავშვი უნდა დაბრუნდეს რუსეთის ფედერაციაში;

– 2021 წლის 9 სექტემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მესამე პირის წარმომადგენლის – ი. შ-ძის განმარტებით, მხარეთა მიერ მიწოდებული ინფორმაციების შესაბამისად, დედას არ ჰქონდა ბავშვის გადაადგილების შესახებ ინფორმაცია. ის დაეთანხმა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის მიერ გაცემულ დასკვნებში მითითებულ გარემოებებს და დამატებით განმარტა, რომ **ბავშვის ადაპტაცია დაწყებულია, თუმცა ინტეგრირებული და გარემოსთან შეგუებული არ არის**;

– 2021 წლის 9 სექტემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სხდომაზე სოციალური მუშაკი ნ. მ-ვა სრულად დაეთანხმა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის წარმომადგენლებისა და მათ მიერ გაცემულ დასკვნებში მითითებულ გარემოებებს;

– 2021 წლის 17 დეკემბერს, მოსამართლეებთან გასაუბრებისას არასრულწლოვანმა ვ. ს-შ-ამ აღნიშნა, რომ დღეისათვის ცხოვრობს მარტო მამასთან ერთად, მაგრამ სურს ორივე მშობელთან ერთად. ამასთან, აღნიშნა, რომ არ უნდა მოსკოვში ცხოვრება და ურჩევნია ბათუმში. ვ-სას სიტყვებით, ბათუმში ჰყავს ბევრი მეგობარი, აქ არის დიდი აუზი, მამა დაჰპირდა, რომ წაიყვანს საფრანგეთში და ელოდებიან, როდის მოვა დიდი თოვლი;

5.3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ჰააგის კონვენციის, როგორც გამოსაყენებელი სამართლის რელევანტურობის შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დასკვნა და აღნიშნა რომ საქართველო და რუსეთის ფედერაციაც „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ხელმოწერი სახელმწიფოებია, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ აიღეს ვალდებულება, კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ნებისმიერი იმ ბავშვის მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობდა ხელშემკერულ სახელმწიფოში მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევამდე. პალატამ მიიჩნია, რომ ბავშვის ინტერესების დაცვის უპირატესი მნიშვნელობის გათვალისწინებით, კონვენციით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი ვერ გახდებოდა ის, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არ არსებობს კონვენციაზე მიერთების აღიარება (კონვენციის 38-ე მუხლი), რადგან არ წარმოადგენდა კონვენციის გამოყენების გამომრიცხავ გარემოებას.

5.4. სასამართლომ განსახილველი ტიპის დავების განხილვისას არასრულწლოვნის ძირითადი საცხოვრებლის დადგენისა და მისი მნიშვნელობის შესახებ გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი მნიშვნელოვანია უფლებადარღვეული მშობლის მეურვეობის უფლებების განსაზღვრისათვის და იმის დასადგენად, მეურვეობის უფლებები დაირღვა თუ არა და, შესაბამისად, გადაადგილება ან დაკავება არამართლომიერი ხომ არ იყო. სასამართლოს მითითებით, ჩვეულებრივი საცხოვრებელი, თითოეულ შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოების მიერ ფაქტობრივი ელემენტების საფუძველზე უნდა განსაზღვრულიყო, იგი ავტონომიური ცნებაა და უნდა განიმარტოს კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე და არა ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების მიხედვით.

5.5. არასრულწლოვნის ძირითადი, ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის მიზნით, სააპელაციო პალატამ მხედველობაში მიიღო, რომ არასრულწლოვანი **ვ. ს-შ-ა და მისი მშობლები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან**, ვ-სა დაიბადა 2015

წლის 27 მარტს და ცხოვრობდა რუსეთში მშობლებთან ერთად, ხოლო 2017 წლიდან, მშობლების დაშორების შემდეგ – დედასთან ერთად, ქ. მოსკოვში, სადაც დადიოდა ბაღში, ფლობს მშობლიურ რუსულ ენას, ჰყავს მშობლების მხრიდან ნათესავები, ბებია-ბაბუა და სხვები, რომლებთანაც ჰქონდა მჭიდრო კავშირი, არასრულწლოვანი საქართველოში ცხოვრობს მხოლოდ 2021 წლის მარტიდან, არ იცის ქართული ენა და ამჟამად სწავლობს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვეა დადის სკოლაში და საბალეტო წრეზე, სადაც შეიძინა მეგობრები, სასამართლოს აზრით, საქართველოში ჩამოყვანის შემდგომ ბავშვის გარემოსთან ინტეგრაციისა და ადაპტაციის ფაქტი არ დასტურდებოდა, რის გამოც პალატამ დაადგინა, რომ ბავშვის ძირითადი, ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი იყო რუსეთის ფედერაცია.

5.6. აღნიშნულის შემდგომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ტერმინებზე, როგორებიცაა: „ბავშვის არამართლზომიერად გადაადგილება“ და „ბავშვის დაკავება“, როდესაც ჰააგის 1980 წლის კონვენციის მხედველობაში მიღებით მიუთითა, რომ ქ. მოსკოვის, პრესნის რაიონულ სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი განკარგულების თანახმად, არასრულწლოვანი ვ. ს-მ-ას ბინადრობის ადგილად განისაზღვრა დედის – ქ. შ-ნას საცხოვრებელი, რომელიც მდებარეობს ქ. მოსკოვში. ეს განჩინება წარმოადგენდა იმის საფუძველს, რომ დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, არასრულწლოვანი ჩამორთმეოდა მამას და გადასცემოდა დედას. მიუხედავად ამისა, მამამ ბავშვი ნებართვის გარეშე, რუსეთის ფედერაციიდან წამოიყვანა საქართველოში და მიმდინარე დავის ფარგლებშიც, უარს აცხადებდა მის ნებაცხოვრებით რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებაზე. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ს. ს-ის მხრიდან აშკარა იყო არასრულწლოვან ვ. ს-მ-ას როგორც არამართლზომიერი გადაადგილება, ისე არამართლზომიერ დაკავება, რაც კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე უკანონოდ გადაადგილებული და დაკავებული ბავშვის ძირითადი, ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში დაუყოვნებლივ დაბრუნების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

5.7. გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ გამოიკვლია ჰააგის 1980 წლის კონვენციით გათვალისწინებული არასრულწლოვანის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების გამომრიცხველი გარემოებები, ყურადღება გაამახვილა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის დასკვნაზე

(მათ შორის, უახლესი – 01.12.2021წ. დასკვნით), მხარეთა ახსნა-განმარტებებზე, არასრულწლოვანთან გასაუბრების ოქმზე, მისი ადვოკატების, წარმომადგენლების, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის მოსაზრებებზე და დაადგინა, რომ **ბავშვი საქართველოში იმყოფებოდა 2021 წლის მარტიდან – ანუ ერთ წელზე ნაკლები დროით**, ამასთან, არ არსებობდა ჰააგის კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებული ისეთი გარემოება/გამონაკლისი, რაც მიუთითებდა, რომ **გოგონა ამ დროისათვის იმგვარად, იმ ხარისხით იყო ინტეგრირებული თავის ახალ გარემოში, რომ არსებობდა მის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებაზე უარის თქმის საფუძველი.**

5.8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება ს. ს-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა.

### **6. კასატორის მოთხოვნა და საფუძველები**

6.1. 2021 წლის 23 დეკემბერს წარდგენილი საკასაციო საჩივრით, ს. ს-მა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

6.2. საკასაციო საჩივარში კასატორი მიუთითებს, რომ ჰააგის 1980 წლის კონვენციით (ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ) მიმდინარე დავებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონვენციის ნეკრი სახელმწიფოების ცენტრალურ ორგანოთა თანამშრომლობას, ამავე კონვენციის 38-ე მუხლის თანახმად კი, სახელმწიფოთა შორის უნდა არსებობდეს კონვენციაზე მიერთების აღიარება იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეძლონ კონვენციის საფუძველზე ორმხრივი სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება, ასეთი აღიარება კი, საქართველოსა და რუსეთს შორის არ არსებობს, ამიტომ, ეს სახელმწიფოები სამართლებრივად არ თანამშრომლობენ არ ხორციელდება, რაც სარჩელის წარმოებაში მიღებასა და განხილვაზე უარის თქმის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

6.3. ასევე, მხარე აცხადებს, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არ არსებობს სამართლებრივი თანამშრომლობა, რაც კასატორისთვის დამატებითი მტკიცებულებების მოძიების შესაძლებლობას გამოიწვევს. ამ ტიპის დავებზე აუცილებელია, დადგინდეს ბავშვის შესაძლო დაბრუნების ადგილზე არსებული სოციალური გარემო და ფონი, რომლის შემოწმებაც ამავე მიზეზით, შეუძლებელია. აგრეთვე, კასატორის აზრით, კონვენციის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნულ დავებში მხარე გათავისუფლებულია ვალდებულებისგან, დაიცვას უცხო ქვეყნის სახელმწიფოს სასამართლოების და/ან სხვა უწყებათა გადაწყვეტი-

ლებების საქართველოს სახელმწიფოში ცნობისა და აღსრულების წესი.

6.4. კასატორი მიუთითებს, რომ თვითონ და თავისი არასრულწლოვანი შვილი საქართველოში თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით სარგებლობენ, პრაქტიკის განვითარების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანი იქნებოდა, სასამართლომ შეაფასოს ჰააგის კონვენციის დებულებების გამოყენებით თავშესაფრის მაძიებლის, არასრულწლოვნის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების საკითხი.

6.5. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლით და არ განკარგა ყველა შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფდა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, მშობლებს შორის წარმოშობილი დავის მორიგებით დასრულებას.

6.6. ამასთან, კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, ყურადღება საერთოდ არ გაუმახვილებია ისეთ მნიშვნელოვან მტკიცებულებებზე, როგორებიცაა: 1) 2021 წლის 8 სექტემბრით დათარიღებული სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის აჭარის ა/რ/ რეგიონული ცენტრის ფსიქოლოგის (ლ. გ-ი) №07-27/2013 განმეორებითი შეფასება (ფსიქოლოგი – ს. ს-ძე); 2) 2021 წლის 24 მაისით დათარიღებული სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის აჭარის ა/რ/ რეგიონული ცენტრის ფსიქოლოგის (ლ. გ-ის) №07-27-1351 დასკვნა; 3) 2021 წლის 14 ივნისის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური კლინიკის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები (ფსიქოლოგი ქ. ბ-ძე); 4) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 17/03/2021-15/05/2021 წლის №003234421 ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა; 5) 2020 წლის 25 სექტემბრის (რუსეთის ფედერაცია), არასასამართლო საკომისიო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის შედეგებით მიღებული ექსპერტიზის დასკვნა №პე7720-189რ; 6) 2020 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული მიხაილ ვრუბლეცკის ფსიქოლოგიისა და სამართლის ცენტრის ფსიქოლოგის №24 დასკვნა.

6.7. გარდა აღნიშნულისა, კასატორის მტკიცებით, მის მიერ საქმის მასალებში წარმოდგენილი იყო არაერთი მტკიცებულება, რომელიც ბავშვზე დედის ნეგატიურ ზემოქმედებას ადასტურებდა, რაც სასამართლოს არ გაუზიარებია, აგრეთვე, სასამართლოს არ უხელმძღვანელია ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინე-

ბით, რომელიც მრავალ სხვა ასპექტთან ერთად, დავის საგანთან მიმართებით ბავშვის ნების გათვალისწინებას გულისხმობს, მოცემულ შემთხვევაში კი, ბავშვს არ სურდა რუსეთის ფედერაციაში დაბრუნება, მამასთან, მეგობრებსა და სკოლასთან დაშორება. სასამართლომ გადანყევტილება მიიღო მხოლოდ შინაგანი რწმენისა და სუბიექტური შეხედულების საფუძველზე, რადგან მონინაალმდევე მხარე არის „დედა“ და სწორედ ეს გახდა მნიშვნელოვანი გადამწყვეტი ფაქტორი დავის გადანყვეტისას. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატას არ სურდა ობიექტური სურათის დანახვა, რომლის თანახმად, ბავშვის აღზრდაში დაბადებიდან ძირითადად მამა იყო ჩართული, მხოლოდ ბიოლოგიური დედობა არ ნიშნავს ბავშვთან უფრო მეტი ემოციური კავშირის არსებობას.

6.8. აგრეთვე, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატის მიერ არ გამოკვლეულა არსებობდა თუ არა, 1980 წლის ჰააგის კონვენციის მე-12, მე-13 და მე-20 მუხლებით გათვალისწინებული ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების გამომრიცხველი გარემოებები. პალატამ არ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251(16)-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, უარ თქვას არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნებაზე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუყენებია „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 და მე-12 მუხლები, რომლებიც ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერ საქმის განხილვისას უპირატესობას ანიჭებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესს, რაც განსახილველ შემთხვევაში იყო უგულებელყოფილი. არასრულწლოვანს რუსეთის ფედერაციაში ფაქტობრივად მეურვეობდა მამა, ბავშვი დღესდღეობით ადაპტირებულია და ინტეგრირებულია გარემოსთან, დადის ქ. ბათუმის სკოლაში. ბავშვის ასაკი, განვითარება და ფიზიკური მდგომარეობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებული იყოს მისი აზრი. კასატორის მტკიცებით, ბავშვის რუსეთის ფედერაციაში დაბრუნება იქნება მატრავმირებელი, რამაც შესაძლებელია, მნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის პიროვნულ ფორმირებაზე. სოციალური ადაპტაციის ეფექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურად, ინდივიდუალურად აღიქვამს ბავშვი თავს და სოციალურ კავშირებს, ვ. ს-შ-ას მოსწონს ის გარემო, სადაც ცხოვრობს და, შეიძლება ითქვას, რომ ადაპტირებულია ამ გარემოში. საქმის მასალებში წარმოდგენილ არაერთ მტკიცებულებაში მითითებულია, რომ დედა უარყოფითად განაწყობს შვილს მამის მიმართ, ნეგატიურად აღწერს მას, რაც ბავ-

შვის რუსეთში დაბრუნების შემთხვევაში აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნის კიდევ ერთი მტკიცებულებაა. ს. ს-ის მიმართ რუსეთის ფედერაციაში მიმდინარეობს დევნა, გამოცემულია მისი წინასწარ დაკავების ბრძანება, რის გამოც იგი ვერ შეძლებს რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებას, არასრულწლოვნის მამასთან დიდი ხნით დაშორება და მათ შორის არსებული ძლიერი ემოციური კავშირის განწყვეტა კი, გამოუსწორებელ ფსიქოლოგიურ სტრესს გამოიწვევს ბავშვისთვის.

6.9. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უკანონოა, რის გამოც უნდა გაუქმდეს და მოსარჩელის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

7.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 31 იანვრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ნარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

7.2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 11 თებერვალს, ს. ს-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და 2022 წლის 16 თებერვალს, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა დადგინდა.

**8. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:**

8.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. **საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების თანახმად, კასატორი არ იზიარებს ქუთაისის სააპელაციო პალატის მიერ არასრულწლოვნის ძირითად, ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად ქ. მოსკოვის განსაზღვრას, სადავოდ ხდის სააპელაციო პალატის მიერ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციით განმტკიცებული გამოწვევა-**

## სების არარსებობის დადგენის ფაქტს და გამორიცხავს ამავე კონვენციის გამოყენების შესაძლებლობას.

8.2. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, უპირველესად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია არასრულწლოვნის არამართლზომიერად გადაადგილებისა ან/და არამართლზომიერად დაკავების ფაქტის არსებობა-არარსებობის შემოწმება, ხოლო, დადასტურების შემთხვევაში, იმის განსაზღვრა – არასრულწლოვნის რუსეთის ფედერაციაში დედასთან დაბრუნება შეესაბამება თუ არა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ხომ არ იქნება მისთვის ფიზიკური ან/და ფსიქოემოციური საფრთხის შემცველი (კონვენციის საგამონაკლისო შემთხვევები). დასმული საკითხების შინაარსობრივი კვლევის დაწყებამდე კი, პალატა, საკასაციო საჩივარში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ გამოთქმულ პრეტენზიას უპასუხებს.

8.3. კასატორის მტკიცებით, ჰააგის 1980 წლის „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ (შემდგომში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „კონვენცია“) კონვენციით გარანტირებული დებულებები რომ ამოქმედდეს, აუცილებელია, მოთხოვნის გამგზავნი და მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოები თანამშრომლობდნენ ორმხრივად კონვენციის 38-ე მუხლის შესაბამისად. უდავოა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არ არსებობს ორმხრივ თანამშრომლობაზე შეთანხმება და არც კონვენციასთან მიერთების შესახებ აღიარება, რაც დავის გადაწყვეტის მიზნებისთვის გამორიცხავს კონვენციის გამოყენების შესაძლებლობას.

8.4. უზენაესი სასამართლო კასატორის ამ პოზიციას ვერ გაიზიარებს და განმარტავს, კონვენციით გარანტირებული დებულებების ასამოქმედებლად, ზოგადი სტანდარტის თანახმად, აუცილებელია რამდენიმე კრიტერიუმი კუმულაციურად არსებობდეს, კერძოდ: ბავშვს არ უნდა ჰქონდეს შესრულებული 16 წელი (მე-4 მუხლი), უნდა დგინდებოდეს, რომ არამართლზომიერ გადაადგილებამდე/დაკავებამდე არასრულწლოვანი, ჩვეულებრივ, ცხოვრობდა კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში (მე-3(1)(ა) და მე-4 მუხლები) და მოთხოვნის გამგზავნი და მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოები ორმხრივად უნდა თანამშრომლობდნენ კონვენციის 38-ე მუხლის **(ნებისმიერი სხვა სახელმწიფო შეუძლია შეუერთდეს ამ კონვენციას... შეერთებას ძალა ექნება მხოლოდ შეერთებულ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობასთან მიმართებაში, რომლებსაც განცხადებული ექნებათ მათ მიერ შეერთების მიღების შესახებ. ამგვარი განცხადება გასაკეთებელი ექნება ნებისმიერ იმ წევრ სახელმწიფოსაც,**



**რომელიც კონვენციას რატიფიკაციას გაუკეთებს, მიიღებს ან დაამტკიცებს შეერთების შემდეგ)** შესაბამისად. აღნიშნული მუხლის თანახმად, კონვენცია აწესებს კონკრეტული სახელმწიფოებისათვის კონვენციის ძალაში შესვლის დამატებით მოთხოვნას, რაც საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართალში არატრადიციული მონესრიგებაა და იგი მოითხოვს, რომ **კონვენციის ასამოქმედებლად, საჭიროა ეს მიერთება აღიარონ იმ სახელმწიფოებმა, რომელთათვისაც კონვენცია უკვე ძალაშია შესული** (იხ. ჰააგის 1980 წლის კონვენცია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ პრაქტიკული სახელმძღვანელო). მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ როგორც საქართველოს ასევე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოები, წარმოადგენენ 1980 წლის ჰააგის კონვენციის ხელშემკვერელ მხარეებს, თუმცა საქართველოს სახელმწიფოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არ არსებობს ორმხრივ თანამშრომლობაზე შეთანხმება/კონვენციასთან მიერთების აღიარება კონვენციის 38-ე მუხლის შესაბამისად. ამ საფუძვლით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, როგორც კონვენციით გათვალისწინებულმა ცენტრალურმა ორგანომ, უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, პალატას მიაჩნია, რომ მოცემული ვითარება არ წარმოადგენს დავის გადაწყვეტისას, კონვენციით გათვალისწინებული დებულებების გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველს, კერძოდ, საკასაციო პალატა მიუთითებს **კონვენციის 29-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „ეს კონვენცია ხელს არ უშლის ნებისმიერ პირს, დანესებულებას ან ორგანოს, რომელიც აცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევას მე-3 (ბავშვის არამართლობიერად გადაადგილების/დაკავების საფუძვლები) და 21-ე მუხლის (შეფარების უფლება) მნიშვნელობის ფარგლებში, მიმართოს უშუალოდ ხელშემკვერელ სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს, ამ კონვენციის დებულებათა თანახმად იქნება ეს, თუ არა“**. ზემოთ აღნიშნული ნორმის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ ჰააგის კონვენცია არ ცდილობს შექმნას განსაკუთრებული სისტემა ხელშემკვერელ სახელმწიფოებს შორის ბავშვების დაბრუნების მიზნით. **პირიქით, ის წარმოგვიდგება, როგორც დამატებითი ინსტრუმენტი** იმ პირების დასახმარებლად, ვისი მეურვეობის ან ნახვის უფლებაც დარღვეულ იქნა. შესაბამისად, პირებს ამავე კონვენციით აქვთ არჩევანის შესაძლებლობა – **მიმართონ ხელშემკვერელი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებს ანუ გამოიყენონ კონვენციის მექანიზმები თუ აირჩიონ უშუალო ქმედების გზა** მეურვეობისა და ნახვის უფლებების სფე-

როში კომპეტენტური ორგანოების წინაშე იმ სახელმწიფოში, სადაც ბავშვი იმყოფება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ანუ, როდესაც დაინტერესებული პირები ამჯობინებენ პირდაპირ მიმართონ აღნიშნულ ორგანოებს, მათ შეუძლიათ მეორე არჩევანიც გააკეთონ და წარადგინონ თავიანთი განცხადება „კონვენციის დებულებების გამოყენებით ან მის გარეშე“. მეორე შემთხვევაში, ცხადია, კომპეტენტური ორგანოები არ იქნებიან ვალდებული, გამოიყენონ კონვენციის დებულებები, თუ სახელმწიფოს არ აქვს ისინი გადატანილი შიდა კანონმდებლობაში, კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად.

შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ კონვენციის 38-ე მუხლი ე.წ. გამოყენების საგამონაკლისო ნორმას კი არ წარმოადგენს და კონვენციის გამოყენების აკრძალვას კი არ ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფოთა შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ აღიარება არ არსებობს, არამედ ე.წ. პროცედურული ნორმაა, რომელიც კონვენციის წევრი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოების კონვენციასთან მიერთების/აღიარების პროცედურას (თანამშრომლობას) განამტკიცებს. ამგვარი ქმედებებით ხელშემკვრელი სახელმწიფოები შეეცადნენ, შეენარჩუნებინათ აუცილებელი წონასწორობა უნივერსალიზმის სურვილსა და იმ რწმენას შორის, რომ თანამშრომლობის სისტემა მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც მხარეებს შორის არსებობს საკმარისი ხარისხის ორმხრივი ნდობა (იხ. ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, გვ. 12-13, 49. <https://assets.hcch.net/docs/7d5e50cc-c3df-4308-8f33-09b4fe92b4f1.pdf>).

განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელემ საკუთარი უფლების დაცვის მიზნით, უშუალოდ მიმართა კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს – სასამართლოს და მოთხოვნა სწორედ ჰააგის კონვენციით განმტკიცებულ დებულებებს დააფუძნა, რაც სასამართლოს, დავის გადანაცვლის მიზნებისთვის, სწორედ ამ სამართლებრივი ინსტრუმენტის გამოყენების წინაპირობებს უქმნიდა. დამატებით კი, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351<sup>7</sup>-ე-351<sup>18</sup>-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305<sup>7</sup>-ე-1305<sup>18</sup>-ე მუხლებზე, რომლებიც აწესრიგებს არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებისა და ბავშვთან ურთიერთობის უფლებებს, ასევე ითვალისწინებს ასეთი საქმეების განხილვის თავისებურებებს და აღნიშნული ნორმები სრულად შეესაბამება 1980 წლის ჰააგის კონვენციის მოთხოვნებს.

8.5. რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტებს

დავის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს კონვენციის მიზნებზე. კონვენციის პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, კონვენციის მიზნებია: **სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვების სწრაფი დაბრუნებისა და ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მეურვეობისა და ურთიერთობის უფლებათა ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფა**. ამდენად, კონვენცია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს status quo-ს აღგენას, ითხოვს **რა არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაუყოვნებლივ დაბრუნებას თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას** (ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, პარ. 16). ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დაცვას არამართლზომიერი გადაადგილებით/დაკავებით გამოწვეული მავნე შედეგებისაგან. ამასთან, კონვენციის პრეამბულის მიხედვით, არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმძღვანელო პრინციპს, ბავშვის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს. **მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მუხლები უშუალოდ არ ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს, კონვენციის ორივე მიზანი – ერთი პრევენციული, ხოლო მეორე მიმართული ბავშვის ჩვეულ გარემოში დაუყოვნებლივი რეინტეგრაციისკენ, მთლიანობაში პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციას** (ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, პარ. 25).

8.6. ჰააგის კონვენციის გამოყენების უპირველესი წინაპირობა არის იმის დადგენა, **არასრულწლოვანი ექცევა თუ არა მის იურისდიქციაში**, ანუ ვლინდება თუ არა მისი **არამართლზომიერი გადაადგილება ან/და არამართლზომიერი დაკავება**. საკასაციო პალატა, უპირველესად, განმარტავს, თუ რა განსხვავებაა ხსენებულ ორ ტერმინს შორის: **ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილება ეს არის** პირისათვის ან ორგანოსათვის ერთობლივად ან ინდივიდუალურად მიკუთვნებული **მეურვეობის უფლების დარღვევა**, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ არამართლზომიერ გადაადგილებამდე და რომელიც გადაადგილების დროისათვის რეალურად გამოიყენებოდა ერთობლივად ან ინდივიდუალურად, ან/და ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა არამართლზომიერი გადაადგილება, **ბავშვი კი ამ სახელმწიფოდან კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში გადაიყვან-**

ნეს მეურვეობის უფლების მქონე პირის ნებართვის გარეშე და მისი მოთხოვნის შემდეგ არ აბრუნებენ. რაც შეეხება არასრულწლოვნის არამართლზომიერად დაკავებას, აშკარაა, როდესაც არსებობს პირისა თუ ორგანოსათვის ერთობლივად ან ინდივიდუალურად მიკუთვნებული მეურვეობის უფლების დარღვევა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ არამართლზომიერ დაკავებამდე და დაკავების დროისათვის რეალურად გამოიყენებოდა ერთობლივად ან ინდივიდუალურად, ან/და ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა არამართლზომიერი დაკავება; ამ სახელმწიფოდან მეურვეობის უფლების მქონე პირის ნებართვის შედეგად არასრულწლოვანი გადაადგილდა კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოში განსაზღვრული ვადით, თუმცა ვადის გასვლის შემდეგ ბავშვს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში არ აბრუნებენ, მიუხედავად მეურვეობის უფლების მქონე პირის მოთხოვნისა (იხ. ჰააგის 1980 წლის კონვენცია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ პრაქტიკული სახელმძღვანელო). ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები, ასევე, ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3517-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 13057-ე მუხლებში.

8.7. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც უნდა არსებობდეს გადაადგილების/დაკავების არამართლზომიერების დასადგენად. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რომ გადაადგილებით/დაკავებით დარღვეულია განმცხადებლის მეურვეობის უფლება (კონვენციის მე-3(1)(ა) მუხლი, ხოლო შემდეგ ეტაპზე დასამტკიცებელია გადაადგილებამდე/დაკავებამდე განმცხადებლის მიერ რეალურად მეურვეობის უფლების განხორციელება (კონვენციის მე-3(1)(ბ) მუხლი).

8.8. ამასთან, მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ ჰააგის კონვენციის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, რა უფლებებია ნაგულისხმევი მეურვეობის უფლებაში. დოქტრინაში აღიარებულია, რომ მეურვეობა მოიცავს უფლებებს, რომლებიც შეეხება პიროვნებაზე მზუნველობას, კერძოდ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლებას, ხოლო ურთიერთობის უფლება – უფლებას ბავშვის განსაზღვრული დროით ნაყვანისა ისეთ ადგილას, რომელიც არ არის ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, მეურვეობის უფლების წარმოშობის საფუძველია: კანონი, სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, ან/და იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით კანონიერი ძალის მქონე შეთან-

ხმება. იგივე წინაპირობებია განსაზღვრული მეურვეობის უფლების არსებობისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305<sup>7</sup>-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით.

8.9. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ **მეურვეობის უფლების რეალური გამოყენება** მეორე კრიტერიუმია, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის გადაადგილების ან დაკავების არამართლზომიერებას. ამ კრიტერიუმის ძირითადი იდეა არის ის, რომ სახელმწიფოებმა მეურვეობის უფლება არ აღიარონ მართივად და გადანყვეტილების მიღების დროს მხედველობაში იყოს მიღებული, თუ **რამდენად სარგებლობდნენ რეალურად ამ უფლებით**. ამასთან, მისი მიზანია, დაიცვას ბავშვის უფლება, იცხოვროს სტაბილურ გარემოში, არ გაუარესდეს ემოციური, სოციალური მდგომარეობა, საცხოვრებელი გარემო. კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებში არსებობს ამ კრიტერიუმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის პრაქტიკა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომა, რომელიც აისახა არაერთი ხელშემკვერელი ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილებაში, არის ის, რომ კონვენციის საფუძველზე მეურვეობის უფლების დასადგენად არ არის სავალდებულო, მეურვეობის უფლებას უშუალოდ და პირდაპირ ახორციელებდეს ამ უფლების მქონე პირი. უპირატესი მეურვეობის უფლების მქონე პირს, ხშირად შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, აქვს უფლება, განსაზღვროს – ვის მიანდოს ბავშვი აღსაზრდელად, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი არის ის, რომ მეურვეობის უფლების მქონე პირს აქვს უფლებამოსილება, განსაზღვროს ბავშვის საცხოვრებელი ადგილი და ინარჩუნებს პასუხისმგებლობას მის მიმართ. სხვა მიდგომის მიხედვით, მეურვეობის უფლება შესაძლებელია განხორციელდეს იმ მშობლის მხრიდანაც, რომელიც არ ფლობს უპირატეს მეურვეობას, მაგრამ მუდმივად/რეგულარულად ურთიერთობს შვილთან და ინარჩუნებს ნახვის/ურთიერთობის უფლებას. იმ მშობლის მხრიდან ბავშვთან სისტემატური კონტაქტის შენარჩუნება, რომელიც ფლობს de jure მეურვეობის უფლებას, ნიშნავს, რომ მშობელი ამ უფლებას ახორციელებს. ამასთან, მშობელი, რომელსაც უფლება აქვს, შეენინაალმდეგოს თანხმობის გარეშე ქვეყნის საზღვრებს გარეთ ბავშვის გაყვანას, მიიჩნევა, რომ ახორციელებს მეურვეობის უფლებას (იხ. ჰააგის კონვენციის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი 2018, გვ. 32-34; ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას) განმარტებითი ანგარიში, პარ. 72).

8.10. **საკასაციო პალატა იმის გამოსარკვევად არასრულწლოვნის დედას – ქ. შ-ნას, ჰქონდა თუ არა ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას მეურვეობის უფლება, ყურადღებას მიაპყრობს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგე-**

**ნილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა მიმართ საკასაციო საჩივარში წამოყენებული არ არის დასაშვები ან დასაბუთებული პრეტენზია** და, შესაბამისად, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, სავალდებულოდ მიიჩნევა საკასაციო სასამართლოსთვის.

8.11. საქმეზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2017 წლის 18 ნოემბერს, ს. ს-სა და ქ. შ-ნას შორის ქორწინება შეწყდა და **ბავშვი საცხოვრებლად დარჩა დედასთან**, ქ. მოსკოვში. ბავშვის აღზრდაში ქ. შ-ნას ეხმარებოდნენ თავისი მშობლები, რომლებთანაც ვ-სა რჩებოდა დედის სამსახურებრივ მივლინებებში ყოფნის პერიოდში; მცირეწლოვანი ბავშვის – **ვ. ს-შ-ას ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილია რუსეთის ფედერაცია**. რუსეთის ფედერაციაში ვ-სას რეგისტრაციისა და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართია – ქ. მოსკოვი, ... №21, ბინა №39, **სადაც რეგისტრირებულია და ცხოვრობს მოსარჩელე (დედა) – ქ. შ-ნაც**. 2020 წლის 24 ივლისს, ქ. შ-ნამ სარჩელით მიმართა ქ. მოსკოვის პრესნის რაიონულ სასამართლოს ს. ს-ის მიმართ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და მასთან მამის ურთიერთობის წესის განსაზღვრის თაობაზე. ს. ს-მა შეგებებული სარჩელი აღძრა ქ. შ-ნას მიმართ და მოითხოვა ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა, ასევე, ქ. შ-ნამ, შუამდგომლობით მიმართა ქ. მოსკოვის პრესნის რაიონულ სასამართლოს და **მოითხოვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე არასრულწლოვანი ბავშვის ბინადრობის ადგილად დედის საცხოვრებლის განსაზღვრა**, იმ მოტივით, რომ მამამ ვ-სა წაიყვანა სხვა რეგიონში, დედის თანხმობის გარეშე და დედას აღარ ეძლევა შვილთან კონტაქტის საშუალება. ამ მოთხოვნის შესაბამისად, ქ. მოსკოვის პრესნის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინებით: „**არასრულწლოვანი გოგონას, ვ-სა ს-ის ასული ს-შ-ას, დაბადებული 2015 წლის 27 მარტს, ქ. მოსკოვში, ბინადრობის ადგილად განისაზღვრა დედის, ქ. ა. ასული შ-ას საცხოვრებელი ადგილი**“. შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლომ სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, გაითვალისწინა დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ბინის საცხოვრებელი-საყოფაცხოვრებო პირობები, ბავშვის ასაკი, კავშირი დედასთან, არასრულწლოვანის ინტერესები, მოპასუხის მიერ ბავშვის წაყვანა მოსკოვიდან ქალაქ პერმში, თავის მშობლებთან დედის თანხმობის გარეშე.

8.12. საქმის მასალებიდან ირკვევა, **2021 წლის 21 იანვარს ქ. მოსკოვის პრესნის რაიონულმა სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც ბავშვის – ვ. ს-შ-ას საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი**,

ხოლო მამას დაუდგინდა ბავშვთან ურთიერთობის დღეები გარკვეული წესით. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება ვერ აღსრულდა, ვინაიდან 2020 წლის ოქტომბერში, ს. ს-ი შვილთან ერთად გაემგზავრა ბელორუსიაში, შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, საიდანაც დუბაისა (არაბთა გაერთიანებული საემიროები) და სტამბოლის (თურქეთის რესპუბლიკა) გავლით, **2021 წლის 2 მარტს, შვილთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში, ქ. თბილისში, ხოლო 2021 წლის 4 მარტს – ქ. ბათუმში.**

8.13. გარდა ამისა, სსიპ სოციალური სამსახურის სოციალური მომსახურების სერვისცენტრის 2021 წლის 24 მაისის დასკვნის თანახმად, სოციალური მუშაკის დასკვნით, **ორივე მშობელთან გასუბრებისას გამოიკვეთა, რომ ვ-სა ქ. მოსკოვში ცხოვრობდა დედასთან – ქ. შ-ნასთან, რომელიც ფაქტობრივად თავად ზრუნავდა შვილზე.**

8.14. ამასთან, მართალია, საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის დროს, მხარე მიუთითებდა, რომ არასრულწლოვანს რეალურად თავად მეურვეობდა, რადგან დედას დატვირთული სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, არ ეცალა მოსაველეად, თუმცა ჰააგის კონვენციის განმარტებით ანგარიშის მიხედვით, კონვენციის მე-3 მუხლის ფორმულირება განმცხადებელს აკისრებს მხოლოდ იმის წინასწარი მტკიცების ვალდებულებას, რომ იგი რეალურად ზრუნავდა ბავშვზე. **საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კი, კონვენციის მე-13 მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე, ეკისრება „გამიტაცებელს“. მან უნდა ამტკიცოს, რომ მშობელი, რომელსაც ბავშვი წაართვეს, ეფექტურად არ ახორციელებდა მეურვეობის უფლებას (იხ. ჰააგის კონვენციის (ელიზა პერეს-ვერას განმარტებითი ანგარიში, პარ. 73). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მუხლებით განსაზღვრულია მხოლოდ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, იგი განისაზღვრება მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლით. როგორც საკასაციო პალატამ უკვე მიუთითა, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საპირისპირო დოკუმენტები, რომლითაც მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და მითითებული გარემოებების სისწორე ეჭვქვეშ დადგებოდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი სტანდარტით, საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს. ამ მიმართებით, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს თავად კასატორის მიერ წარმოდგენილ 2020 წლის 25 სექტემბრის სპეციალიზებული კვლევებისა და ექსპერტიზის ცენტრის არასასამართლო, საკომისიო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის შედეგებით მიღებული ექსპერტიზის**

**№პე7720-189რ** და 2020 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებულ მიხაილ ვრუბლევსკის ფსიქოლოგიისა და სამართლის ცენტრის ფსიქოლოგის №24 დასკვნებს, საიდანაც ცალსახად დგინდება, რომ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას – რუსეთის ფედერაციაში, არასრულწლოვანი დედასთან ერთად ცხოვრობდა, შესაბამისად, საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობით, უდავოდ დასტურდება, რომ მისი რეალური მეურვე იყო ქ. შ-ნა.

8.15. როგორც წინამდებარე გადაწყვეტილებაში უკვე განიმარტა, რეალური სხვაობა არასრულწლოვნის არამართლზომიერ გადაადგილებასა და არამართლზომიერ დაკავებას შორის არის ის, რომ არამართლზომიერად აკავებენ, როდესაც რეალურ მეურვეს თავდაპირველად გაცემული ჰქონდა ბავშვის კონკრეტული დროით გადაადგილების შესახებ ნებართვა, თუმცა ამ დროის გასვლის შემდგომ, ბავშვს უკან აღარ აბრუნებენ. არამართლზომიერი გადაადგილების დროს კი, ბავშვის გადაადგილების თაობაზე რეალური მეურვის თანხმობა, საერთოდ არ არსებობს. მოხმობილი მტკიცებულებებისა და სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, რომელთა სისწორის შესახებ საკასაციო საჩივარში შედავება განხორციელებული არ არის და არც რაიმე ისეთი მტკიცებულება არ წარმოდგენილა, რაც სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს შეუქმნიდა, **პალატა მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციაში არასრულწლოვნის „რეალური მეურვე“ იყო დედა – ქ. შ-ნა, რომელსაც არ გაუცია არასრულწლოვნის რუსეთის ფედერაციიდან გაყვანის შესახებ თანხმობა. ამიტომ, ქვემდგომ სასამართლოებს არასრულწლოვნის დედისთვის ე.წ. უპირატესი მეურვის უფლების მისანიჭებლად და ბავშვის არამართლზომიერად გადაადგილების ფაქტის დასადგენად, ყველა საფუძველი ჰქონდათ.** შესაბამისად, ამ მიმართებით გაზიარებული ვერ იქნება გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა იმის შესახებ, რომ განსახილველ შემთხვევაში იკვეთებოდა, როგორც არასრულწლოვნის არამართლზომიერად გადაადგილების, ასევე – არამართლზომიერად დაკავების ფაქტიც.

8.16. რაც შეეხება სასამართლოს საკვლევ იმ გარემოებას, თუ რომელი ადგილი უნდა მივიჩნიოთ არასრულწლოვანი ვ. ს-შ-ას ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად, საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ჰააგის კონვენცია კონკრეტულად არ განსაზღვრავს, თუ რა მიიჩნევა ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად. **სტანდარტულად, ბავშვის**



**ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს რეალურად ბავშვი** ანუ ძირითადი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია ბავშვზე, მის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, კონკრეტულ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობაზე, მის ფსიქოემოციურ კავშირზე ამ ადგილთან, გარემოში მის ინტეგრირებაზე;

8.17. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ არასრულწლოვანი ბავშვის ძირითადი, ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი არის რუსეთის ფედერაცია, ქ. მოსკოვი, კერძოდ, არასრულწლოვანი ბავშვი ვ. ს-შ-ა დაიბადა რუსეთის ფედერაციაში, მოსკოვში. ის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და 2020 წლამდე იგი ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში. ამასთან, სასამართლოს წინაშე არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ქ. შ-ნა და ს. ს-ი არასრულწლოვან შვილთან, ვ. ს-შ-ასა და თავიანთ მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ მოსკოვში. ბავშვის აღზრდაში ქ-ს ეხმარებოდნენ თავისი მშობლები. ვ-სა, თავისი ასაკის შესაბამისად, სრულყოფილად ფლობს რუსულ ენას. დადიოდა მოსკოვში საბავშვო ბაღში – რომანოვების სკოლა „მ-ში“, მდებარე მისამართზე: ... სახლი №16.

8.18. 2021 წლის 24 მაისით დათარიღებულ დასკვნაში ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ ბავშვის ადაპტაციის პროცესი საქართველოში ნაწილობრივ დაწყებულია, რადგან ვ-სა ელოდება 15 სექტემბერს, სწავლის დაწყებას, ესწრება სხვადასხვა წრეს: ინგლისურის, ბალეტის, ჰყავს მეგობარი ტ-ო, მამის ადვოკატის შვილი. მას მოსწონს ბათუმში ყოფნა, სადაც სეირნობს მამასა და ბებიასთან (მამის დედა) ერთად. ვ-სა არ ფლობს და ამ ეტაპზე არ სწავლობს ქართულ ენას. მამის განმარტებით, იცის საბაზისო სიტყვების ნაწილი, ადრე მასწავლებელიც ამეცადინებდა, შესწავლას განაახლებს სკოლაში სიარულისას. ამასთან, სსიპ სოციალური სამსახურის სოციალური მომსახურების სერვისცენტრის 2021 წლის 24 მაისის დასკვნის თანახმად, ვ-სა მოცემულ ეტაპზე სასტუმროშია, მანამდე ცხოვრობდნენ ნაქირავებ ბინაში, რომელშიც დედა შეიჭრა ბავშვის გასატაცებლად. ამის შემდეგ დაიქირავა დაცვა და ახალი საცხოვრებელი ფართის მოძიებამდე იცხოვრებენ სასტუმროში. **სოცმუშაკის აზრით, ვ-სა ფაქტობრივად არ იმყოფება ჩვეულ გარემოში და ამ მოკლე დროში ვერ ინტეგრირდებოდა ახალ გარემოში.** ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არასრულწლოვანმა გამოკითხვისას მიუთითა, რომ სურს როგორც დედასთან ურთიერთობა და ცხოვრება, ისე – მამასთან, თუმცა ქ. მოსკოვს ურჩევნია ბათუმი. **აქაც შეიძინა მეგობარი. მოსკოველი 2 მეგობარი**

**გოგონა წერდა ხოლმე, თუმცა ბოლო პერიოდში აღარ შეეხმიანნენ, გაუბრაზდა მათ და აღარც თვითონ არ კითხულობს.**

8.19. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ: ბავშვი საქართველოში იმყოფება მხოლოდ 2020 წლის 2 მარტიდან და ცხოვრობს ბათუმში; 2015 წლიდან საქართველოში ჩამოსვლამდე, დაახლოებით 5 წლის განმავლობაში, არასრულწლოვანი უწყვეტად ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში და დადიოდა ადგილობრივ საბავშვო ბაღში, ჰყავდა მეგობრები და ნათესავები. საქართველოში ჩამოსვლამდე არასრულწლოვანი ბავშვის მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება დაკავშირებული იყო რუსეთის ფედერაციასთან და მას ბუნებრივად ჩამოუყალიბდა ემოციური კავშირი ამ ქვეყანასთან. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არასრულწლოვნის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, კონვენციის მიზნებისთვის, რუსეთის ფედერაციაა, ქ. მოსკოვი.

**8.20. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის არამართლზომიერად გადაადგილებულად ცნობა, კონვენციის მიხედვით, ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების წინაპირობაა.** თუმცა, ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს იმ გამონაკლისების არსებობა, რაც დადგენილია ჰააგის კონვენციის მე-12, მე-13 და მე-20 მუხლებით და, რომელთა არსებობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის ვალდებული, მიიღოს არასრულწლოვნის უკან დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევები, ასევე, ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351<sup>16</sup>-ე მუხლში.

8.21. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ჰააგის კონვენციით დადგენილი დაბრუნების საგამონაკლისო წინაპირობები ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია და ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, არაერთგზის განმარტა, რომ სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის, უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასა და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საკითხი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათ-

ვალისწინებულ მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (საქმე „ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ“ – Elsholz v. Germany, № 25735/94, 31.07.2000, პარ. 52 da TK da KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – TK and KM v. UK, № 28945/95, 10.05.2001, პარ.72. Johansen v. Norway)

8.22. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია აწესებს ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. **კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირატესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.** „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მონიჭებულობის შესაბამისად. „ბავშვთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად; ამასთან ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა.

8.23. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება მოიცავს ბავშვის უფლების პატივისცემას, თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრება ყველა საკითხზე, რომელიც მასზე ზეგავლენას ახდენს და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას (იხ. გაეროს

ბავშვთა კომიტეტის №12 ზოგადი სახელმძღვანელო კომენტარი). ამავდროულად, როდესაც საკითხი უკავშირდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და უფლებას მოუსმინონ, გათვალისწინებული უნდა იქნეს **ბავშვის განვითარებადი უნარები**. ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, რაც უფრო მეტი იცის ბავშვმა და მეტი გამოცდილება აქვს და მეტი ესმის, მით უფრო უნდა შეცვალონ მშობლებმა, მეურვეებმა ან ბავშვზე პასუხისმგებელმა სხვა პირებმა მითითებები და დარიგებები – შესხენებითა და რჩევებით, მოგვიანებით კი – დამოკიდებულება დამყარდეს აზრთა ურთიერთგაცვლით, თანასწორ საფუძვლებზე. შესაბამისად, **ბავშვის მომწიფებასთან ერთად მის მოსაზრებებს მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მისი საუკეთესო ინტერესების შეფასებისას**. სიმნიფე არის გაგებისა და კონკრეტული საკითხის შეფასების უნარი და ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად დგინდება. სიმნიფის განსაზღვრა ძნელია; ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის მე-12 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ეს არის ბავშვის შესაძლებლობები გამოხატოს მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით გონივრულად და დამოუკიდებლად. ამასთან, ბავშვს აქვს უფლება „თავისუფლად გამოთქვას შეხედულებები“. „თავისუფლად“ ნიშნავს, რომ ბავშვს შეუძლია აზრის გამოხატვა ზენოლად გარეშე და ასევე ნიშნავს, რომ დაუშვებელია ბავშვით მანიპულირება ან მასზე უსაფუძვლო გავლენა ან ზენოლა. „თავისუფლად“ შინაგანად დაკავშირებულია ბავშვის „საკუთარ“ მოსაზრებასთან: ბავშვს აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და არა სხვების აზრები.

**საკასაციო პალატა, კასატორის ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის განხილვისას, ორივე ინსტანციის სასამართლოებმა მოუსმინეს ექვსი წლის არასრულწლოვან ვ. ს-შ-ას.** საქმის მასალების თანახმად, 2021 წლის 17 დეკემბერს, მოსამართლეებთან გასაუბრებისას არასრულწლოვანმა ვ. ს-შ-ამ აღნიშნა, რომ დღეისათვის ცხოვრობს მარტო მამასთან ერთად, მაგრამ სურს ორივე მშობელთან ერთად. ამასთან, აღნიშნა, რომ არ უნდა მოსკოვში ცხოვრება და ურჩევნია ბათუმში.

8.24. საქმის მასალებში წარმოდგენილი ფსიქოლოგის დასკვნების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვანს ორივე მშობელთან აქვს პოზიტიური ემოციური კავშირი. აქვე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილი ექსპერტებისა და ფსიქოლოგების დასკვნების იმ ნაწილზე, სადაც აღნიშნულია ბავშვზე მამის „არაპირდაპირი/ირიბი ზეგავლენის შესახებ“ (იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ზეპირ სხდომაზე არასრულწლოვანის ადვოკატების ნ. ი-ძისა და ბ. გ-ძის ახსნა-გან-

მარტება, ასევე, იხ. ფსიქოლოგის ს. ს-ძის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები, იხ. ფსიქოლოგის დასკვნა, რაც სასამართლოს აძლევს იმდაგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ ქ. მოსკოვში დაბრუნების სურვილის არქონა, სწორედ მამის არაპირდაპირი/ირიბი ზეგავლენის შედეგია. ამასთან, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ბავშვის მიერ ძირითადი საცხოვრებელი ადგილის დამოუკიდებლად არჩევის მიზნებისთვის, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვ. ს-შ-ას ასაკი მონიფულად ვერ მიიჩნევა).

8.25. საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ქვემდგომმა ინსტანციის სასამართლოებმა გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინეს საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის დასკვნები იმის თაობაზე, რომ ბავშვი საქართველოში ინტეგრირებულია და რუსეთის ფედერაციაში დაბრუნება არ გამომდინარეობს მისი საუკეთესო ინტერესებიდან, რადგან მისი დაბრუნება იქნება მატრავმირებელი, რაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითად აისახოს ბავშვის პიროვნულ ფორმირებაზე. კასატორის მითითებით, მის მართ რუსეთის ფედერაციაში მიმდინარეობს დევნა, გამოცემულია მისი წინასწარ დაკავების ბრძანება, რის გამოც იგი ვერ შეძლებს რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებას, არასრულწლოვნის მამასთან დიდი ხნით დაშორება და მათ შორის არსებული ძლიერი ემოციური კავშირის განწყვეტა კი, გამოუსწორებელ ფსიქოლოგიურ სტრესს მიაყენებს.

8.26. საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის კვლევის მიზნებისთვის სასამართლო ცალ-ცალკე შეისწავლის კონვენციით განმტკიცებულ, არასრულწლოვნის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების თითოეულ გამონაკლის შემთხვევას.

8.27. ჰააგის კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, უარი თქვას არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებაზე, **თუ ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების თარიღიდან საქმის გარჩევის დაწყებამდე ერთ წელზე მეტია გასული და იგი ინტეგრირებულია ახალ გარემოში.** კონვენციის მიზნებისთვის ადაპტაცია განიხილება არა გარემოსადმი შეგუებად, არამედ არასრულწლოვნის მხრიდან გარემო პირობების, ცხოვრების წესთან იმგვარ ადაპტაციად, როდესაც თავს მშობლიურ ვითარებაში გრძნობს, ობიექტურად განიცდის კეთილგანწყობას იმ ადამიანებისა და საცხოვრებლისადმი, სადაც მას მოუხდა ცხოვრება და ფაქტობრივად ჩამოუყალიბდა ოჯახური ურთიერთობის განცდა, რომლის დარღვევაც მეტი ზიანის მომტანი იქნება მისთვის (იხ. სუსგ საქმე №ას-1040-2020, 19 აპრილი, 2021 წე-

ლი). ამასთან, ემოციური სტაბილურობისა და უსაფრთხოების შეგრძნება არის ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ბავშვს ინტეგრაციისას ეუფლება (იხ. ჰააგის კონვენციის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი 2018, გვ. 88-89).

**8.28. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, რომლის თანახმად ვერ დადგინდა არასრულწლოვანი ბავშვის საქართველოში სრული ინტეგრირების ფაქტი.** ამ მიმართებით პალატა ყურადღებას ამახვილებს სსიპ სოციალური სამსახურის სოციალური მომსახურების სერვისცენტრის 2021 წლის 24 მაისის დასკვნაზე, საიდანაც ირკვევა, რომ სოცმუშაკის აზრით, **ვ-სა ფაქტობრივად არ იმყოფება ჩვეულ გარემოში და მოცემულ მოკლე დროში ვერც შეეგუებოდა.** ბავშვის სრულყოფილი ფსიქოემოციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, ბავშვს რეგულარული ურთიერთობა ჰქონდეს ორივე მშობელთან და მხარეები შეთანხმდნენ იმგვარად, რომ დაცულ იქნეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები და შედგეს მორიგება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სასამართლოს ზეპირ სხდომაზე სოც. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის **სოციალური მუშაკმა მხარი დაუჭირა არასრულწლოვანის რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებას** (იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი). გარდა ამისა, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის წარმომადგენელმა ი. შ-ძემ ზეპირ სხდომაზე განმარტა, **რომ არ დგინდებოდა ბავშვის საქართველოში ადაპტაციის ფაქტი**, რადგან ბავშვის ახალ გარემოსთან შეგუებას სჭირდება წლები, ამასთან, ვ-სა არ ფლობს ქართულ ენას, ამ ეტაპზე არც ეუფლება მასწავლებელთან, შესაბამისად, ის არ არის ადაპტირებული საქართველოში და ვერც ბავშვის პოზიცია ვერ იქნება გათვალისწინებული დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მისი ასაკიდან გამომდინარე. ამასთან, სწორედ კონვენციის გონივრული განსჯის პრინციპიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მართებულად არ გაიზიარეს კასატორის წარმოდგენილი 2021 წლის 14 ივნისის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ფსიქოლოგიური კლინიკის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები** (ფსიქოლოგი ქ. ბ-ძე). გარდა იმისა, რომ აღნიშნული მტკიცებულება შინაარსობრივად ეწინააღმდეგება საქმის მასალებში წარმოდგენილ სხვა არაერთი ექსპერტიზისა და ფსიქოლოგის დასკვნას და ბავშვის საქართველოში სრულ-

ლად ადაპტირების შესახებ ერთადერთი დოკუმენტია რომელიც არ მიუთითებს, თუ კონკრეტულად რის საფუძველზე მიიჩნია ფსიქოლოგმა ბავშვის შეგუება სრულად გარემოსთან, რაც მის სანდობას ასუსტებს და სხვა თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებთან არ არის თანხვედრაში.

8.29. აქვე სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვნის ადაპტაციად მიიჩნევა არა ბავშვისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნა და იძულებით სწავლა იმ სახელმწიფოს ენის, რომელშიც ის არამართლზომიერად არის გადაადგილებული, არამედ – არასრულწლოვნის ბუნებრივი, მჭიდრო ემოციური კავშირის გათვალისწინება სამშობლოს მიმართ, სადაც იგი დაბადებიდან მის არამართლზომიერად გადაადგილებამდე ცხოვრობდა. ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, რომ არასრულწლოვნის ცხოვრების წესის იმგვარი ადაპტაცია, როდესაც ის თავს მშობლიურ ვითარებაში გრძნობს, საქმის გარემოებით არ დასტურდება, რაც ცალსახად გამორიცხავს კონვენციის მე-12 მუხლით განმტკიცებული საგამონაკლისო ნორმის გამოყენების შესაძლებლობას.

8.30. არამართლზომიერად გადაადგილებული პირის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების მეორე საგამონაკლისო შემთხვევა განმტკიცებულია ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლით, რომლის თანახმად, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის, გასცეს ბავშვის დაბრუნების თაობაზე განკარგულება, თუკი პირი, დაწესებული ან სხვა ორგანო, რომელიც მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება, დადგენს, რომ: ა) პირი, დაწესებული ან სხვა ორგანო, რომელიც ზრუნავს ბავშვზე, რეალურად არ სარგებლობდა მეურვეობის უფლებებით გადაადგილების ან დაკავების დროისათვის, ან/და დაეთანხმა, ან მოგვიანებით შეეგუა გადაადგილებას ან დაკავებას; ან ბ) არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ მისი დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში. სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს, აგრეთვე, შეუძლია, უარი განაცხადოს ბავშვის დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე, თუკი აღმოაჩენს, რომ ბავშვი მისი დაბრუნების წინააღმდეგია და მან უკვე მიაღწია ისეთ წლოვანებასა და მონიფულობის ასაკს, როდესაც მიზანშეწონილია მისი აზრის გათვალისწინება.

8.31. როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების 8.10-8.15 პუნქტებში განვითარებულმა მსჯელობამ ცხადყო, ბავშვის დედას,

რომელიც ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას შვილზე რეალურად ზრუნავდა, არასრულწლოვნის გადაადგილებაზე თანხმობა არ გაუცია და არც შემდგომში არ შეჰგუებია მას (წარადგინა სარჩელი), ამიტომ მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამომრიცხავი გარემოება არ არსებობს, რაც შეეხება „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ წინაპირობებს, კასატორი მიუთითებდა, რომ რუსეთის ფედერაციასთან სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესაძლებლობა არ არსებობს და სასამართლოს არ გამოუკვლევია ის გარემო-პირობები თუ სოციალური ფონი, სადაც ბავშვს დაბრუნების შემდეგ მოუწევს ცხოვრება, რის გამოც მისი, ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება მიზანშეუწონელი იყო. აღნიშნულ არგუმენტს სასამართლო ვერ გაიზიარებს და ამ მიმართებით საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს საქმის მასალებში წარმოდგენილ ქ. მოსკოვის, პრესნის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განჩინებას, რომლის მტკიცებულებითი ძალაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, კასატორს არ გაუქარწყლებია. ხსენებულ განჩინებაში მითითებულია, რომ საქმესთან დაკავშირებით შეგროვებული მტკიცებულებების, მათ შორის, **დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბინის საცხოვრებელი-საყოფაცხოვრებლო პირობების გამოკვლევის აქტის**, რომელიც შედგენილი იყო პრესნის მუნიციპალური ოკრუგის (ოლქი) ადმინისტრაციის სპეციალისტის მიერ, ასევე, **პრესნის მუნიციპალური ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენლის წერილობითი დასკვნისა და ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით – ვ-სა ს-ის ასული ს-შ-ას, ბინადრობის ადგილად განისაზღვრა დედის – ქ. ა. ასული შ-ას საცხოვრებელი ადგილი.**

8.32. აღნიშნული მტკიცებულება სასამართლოს არათუ აფიქრებინებს, არამედ უქმნის მტკიცებულებით შექმნილ მყარ რწმენას მასზე, რომ ბავშვის წარმოშობის ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით შემონმდა რეალური მეურვის საცხოვრებელი მისამართი და დადგინდა, რომ იგი **აკმაყოფილებდა არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრის წინაპირობებს.** რუსეთის ფედერაციის სასამართლომ შეისწავლა ქ. შ-ნას ფინანსური მდგომარეობაც და დაადგინა, რომ იგი **დასაქმებულია საერთაშორისო კომპანია „ა.ზ-სი“ მარკეტოლოგის თანამდებობაზე და აქვს მაღალი ანაზღაურება.** საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, კასატორს არ განუცხადებია და არც დასაბუთებული შედაგება არ წარუდგენია იმ ფაქტის დასამტკიცებლად, რომ დედის ეკონომიკური მდგომარეობა შეიცვალა და მას ბავშვის საჭიროებების უზრუნველყოფის ფინანსური შესაძ-



ლებლობა არ გააჩნია, ამიტომ, საკასაციო პალატა ადგენს, ვინაიდან საქმეზე უკვე გამოკვლეულია ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის წინაპირობები და არსებობს მისი პოზიტიურად შეფასების შესახებ შეუცილებადი მტკიცებულება, კასატორის არგუმენტის გაზიარება ფაქტობრივსამართლებრივად უსაფუძვლოა.

8.33. რაც შეეხება არამართლზომიერად გადაადგილებული პირის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების მესამე საგამონაკლისო შემთხვევას, იგი განმტკიცებულია ჰააგის კონვენციის მე-20 მუხლით, რომლის თანახმად, მე-12 მუხლის დებულებათა მიხედვით, ბავშვის დაბრუნებაზე უარი შეიძლება იქნეს ნათქვამი, თუკი ეს აკრძალულია თანახმად მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ძირითადი პრინციპებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას შეეხება. ამ მუხლში დასახელებული საგამონაკლისო შემთხვევის არსებობის შესახებ, საკასაციო საჩივარში არ არის წარმოდგენილი არგუმენტები, მათი არსებობა არც სასამართლოს შინაგანი რწმენიდან არ გამომდინარეობს, რაც საგამონაკლისო შემთხვევის არარსებობის დადგენის წინაპირობას ქმნის.

8.34. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიას იმასთან დაკავშირებითაც, რომ ბავშვს საქართველოში აქვს თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი და იქამდე სანამ კომპეტენტური ორგანოების მიერ არ იქნება მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება, დაუმჯებელია ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას მისი დაბრუნება. პალატა განმარტავს, რომ განსახილველი დავა შეეხება არამართლზომიერად გადაადგილებული ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას, როდესაც სასამართლო ხელმძღვანელობს „ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციით, „ბავშვის უფლებათა კოდექსით“, საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებებით. ამიტომ, მამის მიერ რომელიმე სახელმწიფო უწყებაში შეტანილი პუბლიცარული ან/და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადება ისე, რომ საკასაციო საჩივარში ამ განცხადების შეტანის ობიექტური საფუძვლებიც კი არ არის მითითებული, ვერ გახდება საქართველოს მიერ ჰააგის 1980 წლის კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი.

8.35. ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისა და დადგენისას საქართველოში მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს ინკვიზიციური სამართალწარმოების ელემენტე-

ბით აღჭურავს, რაც სასამართლოს მიერ საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრის განსაზღვრასა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ მტკიცებულებების საკუთარი ინიციატივით გამოთხოვაში გამოიხატება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამავე კოდექსის 251<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 24 სექტემბერის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2. პუნქტის მიხედვით დადგინდა, რომ **საქართველოდან ვ. ს-მ-ას რუსეთის ფედერაციაში დაბრუნება და დედისათვის - ქ. შ-ნასთვის გადაცემა უნდა უზრუნველყოს მამამ - ს. ს-მა** (დაბ. 30.12.1983წ, პასპორტის ნომერი ...), (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე) და აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 20 დეკემბრის გასაჩივრებული განჩინებით.

8.36. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორმა არასრულწლოვანი შვილი დედის (რომელიც რუსეთის ფედერაციის სასამართლოს განჩინებით და მოგვიანებით გადაწყვეტილებით, ცნობილ იქნა არასრულწლოვნის მეურვედ) თანხმობის გარეშე, არამართლობიერად გადაადგილა რუსეთის ფედერაციიდან და უარს აცხადებს, ნებაყოფლობით დააბრუნოს იგი ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას.

8.37. აქვე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინებით, ქ. შ-ნას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც გადაწყდა არამართლობიერად გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის რუსეთის ფედერაციაში დაბრუნება. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ტერიტორიული ერთეულის 2022 წლის 24 იანვრის წერილით, დგინდება, რომ სასამართლოს საალსრულებო ფურცელი და სასამართლოს აქტით განსაზღვრული პირობების ნებაყოფლობითი აღსრულების მოთხოვნის შესახებ წინადადება ჩაბარდა **ს. ს-ს, რომელმაც გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარი განაცხადა, იმ საფუძველით, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის იმდაგვარად ჩამოყალიბებული, რომ არასრულწლოვანი საქართველოში გადაეცეს კანონიერი**

## მეურვეს.

8.38. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და განმარტავს, რომ „სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინსაც იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება“ (იხ. „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №40765/02; *Burdov v. Russia*, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; *Hornsby v. Greece*, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 Hornsby; *Mutishev and Others v. Bulgaria*, 18967/03, §129, 3 December 2009; *Antonetto v. Italy*, no. 15918/89, §28, 20 July 2000).“ (იხ. სუსგ. 2021 წლის 29 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1115-2021)

8.39. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ფორმით, როგორც ეს სარეზოლუციო ნაწილის 1.2. პუნქტშია მითითებული, ვერ აღსრულდება, ამიტომ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2. პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ს-ს დაევალოს რუსეთის ფედერაციაში დაბრუნების მიზნით, არასრულწლოვანი ვ. ს-შ-ა გადასცეს დედას – ქ. შ-ნას.

8.40. საკასაციო პალატა მოდავე მხარეებს განუმარტავს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain [GC]* par.26; *Jahnke and Lenoble v France (dec.)*; *Perez v France [GC]*, par. 81); *Boldea v. Romania*, par. 30).

8.41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარ-

და აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

8.42. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

8.43. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი და ამ ნაწილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, დადგინდეს, რუსეთის ფედერაციაში დაბრუნების მიზნით, არასრულწლოვანი ვ. ს-შ-ას დედისთვის გადაცემა უზრუნველყოს მამამ, ს. ს-მა, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

8.44. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებას ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

8.45. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე და 411-ე მუხლებით და

#### **გ ა ღ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. ს. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინება იმ ნა-  
ნილში, რომლითაც უცვლელი დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამარ-  
თლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი  
და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

2.1. რუსეთის ფედერაციაში დაბრუნების მიზნით, არასრულწლო-  
ვანი ვ. ს-შ-ას დედისთვის გადაცემა უზრუნველყოს მამამ ს. ს-მა,  
ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

3. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ სა-  
ჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 2 98 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)